

გიორგი რუსიაშვილი

უსაფუძვლო გამდიდრების
სამართლის სარეფორმო
წინადადება



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

გიორგი რუსიაშვილი

უსაფუძვლო გამდიდრების
სამართლის სარეფორმო
წინადადება

თბილისი, 2020

წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი მზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ენობრივი რედაქტორი **ლადო სირდაძე**
ტექნიკური რედაქტორი **გვანცა მახათაძე**

© გიორგი რუსიაშვილი, 2020

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე:

lawlibrary.info/ge

შინაარსი

შესავალი	7
I. კონიგის პროექტი	7
II. კანონპროექტის კრიტიკა	8
1. შესრულების კონდიქციის კრიტიკა	9
2. ხელყოფის კონდიქციის კრიტიკა	12
3. კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლები	14
III. შეჯამება და საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების აუცილებლობა	16
კანონის სამომავლო სარეფორმო წინადადება	18
მუხლი 976 – შესრულების კონდიქცია	23
I. შესრულების კონდიქციის ამოსავალი დებულება, 976 I 1	24
II. არარსებული ვალდებულების გაცნობიერებული შესრულება, 976 II ბ)	25
III. არანამდვილობის ნორმის მიზანი, 976 II გ) 1	28
IV. 976 II ა)-გ) მუხლის გავრცელება არაკონდიქციურ მოთხოვნებზე, 976 III	30
მუხლი 977 – კონდიქცია დასახული მიზნის მიუღწევლობისას	33
მუხლი 978 – შესრულება შესაგებლის არსებობის მიუხედავად	34
I. conditio ex iniusta causa-ს ამოშლის აუცილებლობა	34
II. შესრულება შესაგებლის არსებობის მიუხედავად	36
მუხლი 979 – კონდიქციური მოთხოვნის ფარგლები	38
I. ნატურით რესტიტუცია, 979 I	39
II. ღირებულების ანაზღაურება, 979 II	40
III. განმდიდრების შესაგებელი, 979 III	41
IV. ორმხრივი არანამდვილი გარიგების უკუქცევის წესი, 979 IV	43
1. სალდოს თეორია, 979 IV 1	43
ა) სალდოს თეორია – „მოძღვრება ფაქტობრივი სინალაგმის შესახებ“	43
ბ) სალდოს თეორიის ამოსავალი დებულებისა საკანონმდებლო მოწესრიგება, 979 IV 1	45
გ) გამონაკლისები სალდოს თეორიიდან, 979 IV 2-3	46
2. სალდოს თეორია და 352 IV გ) მუხლი	48

მუხლი 980 – მოთხოვნის განხორციელების წესი	50
I. ხარჯებისა და ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების წესი	50
II. ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევის გამორიცხვა ვინდიკაციითა და მისი დამატებითი მოთხოვნების მიხედვით, 980 III	53
1. დაკავების უფლების გარეშე კონდიქციური და ვინდიკაციური პარალელური გადაწყვეტის შესაბამისობაში მოყვანის შეუძლებლობა	55
2. 163-ე და 979-ე, 980 I მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ჩარჩოები ურთიერთაცდენა	56
3. სალდოს თეორია, როგორც ორმხრივი ხელშეკრულების უკუქცევის სპეციალური წესი	59
მუხლი 981 – გამკაცრებული პასუხისმგებლობა	62
I. გამკაცრებული პასუხისმგებლობა, 981 I	63
1. გამკაცრებული პასუხისმგებლობის წინაპირობები, 981 I	64
ა) არაკეთილსინდისიერი მიმღები	64
ბ) სარჩელის ჩაბარება მოპასუხისათვის	65
2. განმდიდრებაზე მითითების შეუძლებლობა	65
II. commodum ex negotiatione (981 II 2) და ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობა	66
III. ზიანის ანაზღაურება ბრალისგან დამოუკიდებლად, 981 IV	68
მუხლი 982 – ხელყოფის კონდიქცია	70
I. ხელყოფის კონდიქციის ამოსავალი დებულება, 982 I	70
1. გამოყენება-განკარგვის მონოპოლია	70
2. მიღებულის დაბრუნება	73
II. განკარგვის შედეგად მიღებული სასყიდლის დაბრუნება, 982 II 1	75
III. არანამდვილი განკარგვის მოწონება, 982 II 2	77
მუხლი 983 – შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ	79
I. შესრულების ნამდვილობა უფლებამოსილი პირის წინაშე, 983 I	79
II. არანამდვილი შესრულების მოწონება, 983 2	80
მუხლი 984. ხელმყოფის პასუხისმგებლობა	82
I. ხელმყოფის პასუხისმგებლობის ფარგლები, 984 I	82
II. სამართლებრივი სიკეთის მოპოვების ხარჯები, 984 I 2	84
მუხლი 985 – მოგების მოთხოვნის უფლება	87
I. ხელმყოფის მოგება, 985 I	87

II. უფლებასმოსილი პირის ქონებრივი დანაკლისი	89
მუხლი 986 – რეგრესის კონდიცია	90
I. რეგრესის კონდიცია	90
II. სხვისი ვალის შეგნებულად დაფარვა	91
III. რეგრესის კონდიციის ფარგლები	93
მუხლი 987 – დანახარჯების კონდიცია	97
I. დანახარჯების კონდიცია, 987 I	97
II. კონკურენცია დანახარჯების ანაზღაურების სხვა მოთხოვნებთან	99
IV. პასუხისმგებლობის ფარგლები	100
1. „დანახარჯების ამოღება“, 987 III ა)	102
2. შეტყობინების ვალდებულების ბრალეული დარღვევა, 987 III ბ)	104
3. უარი დანახარჯებზე, 987 III გ)	105
4. სარგებლის რეალიზაცია	105
მუხლი 988 – კონდიციური ურთიერთობა სამ პირს შორის. შესრულება	
მითითების საფუძველზე	108
I. შესრულების სამკუთხედი	109
II. სუბსიდიარულობის დოგმა	110
III. მითითების საფუძველზე განხორციელებული შესრულება	113
1. <i>კონიგის</i> კანონპროექტის კრიტიკა	114
2. შემსრულებლის განსაზღვრა მიმღების თვალსაწიერიდან	117
3. ნამდვილი მითითების შემთხვევა, 988 II 1, 2	118
4. არანამდვილი მითითება, 988 II 3	119
5. პირდაპირი კონდიციის ტიპი და პასუხისმგებლობის ფარგლები	122
მუხლი 989 – დათმობილი მოთხოვნის დაფარვა. ვალდებულების	
შესრულება მესამე პირის მიერ	124
I. კონდიციური უკუქცევა მოთხოვნის დათმობისას, 989 I	125
1. დათმობილი მოთხოვნის დაფარვა მოვალის მიერ	126
2. არანამდვილი დათმობა და შესრულება, რომელიც ცედენტს არ	
შეერაცხება	128
II. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ,	
371-ე მუხლი	131
1. მესამე პირის შესრულება, რომელიც მოვალის მიერ არ არის	
განპირობებული	132
2. მესამე პირის შესრულება, რომელიც მოვალის მიერ არის	
განპირობებული	133

მუხლი 990 – მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული	135
I. პირდაპირი კონდიქცია მესამე პირის მიმართ	135
II. პასუხისმგებლობის ფარგლები	138
მუხლი 991. არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები	139
I. გენერალური დათქმის ამოშლის აუცილებლობა	139
II. პასუხისმგებლობის ფარგლები	141

შესავალი

ქართული სამართლის კონდიქციების სისტემა ყველაზე მეტად გერმანულ მოდელს ენათესავება, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი წარმოადგენს თითქმის უცვლელ ასლს 1981 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის *დეტლეფ კონიგის* მიერ შემუშავებული პროექტისა, რომლის დანაწესებითაც უნდა ჩანაცვლებულიყო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის არსებული ნორმები. ეს პროექტი *კონიგმა* შეიმუშავა გერმანიის ფედერალური იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით, თუმცა გერმანიაში ის ძალაში არ შესულა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა თანამედროვე სამეცნიერო დისკუსიაში. ქართველმა კანონმდებელმა პროექტი მცირედი მოდიფიცირებით გადმოიღო.

I. კონიგის პროექტი

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი *კონიგის* პროექტში დაყოფილია ოთხ ნაწილად. პირველი ნაწილი ეძღვნება შესრულების კონდიქციას, მეორე ნაწილი – ხელყოფის კონდიქციას, მესამე ნაწილი – ხარჯების კონდიქციას (ხარჯების კონდიქცია წარმოადგენს გვარეობით ცნებას დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქციისათვის)¹, ხოლო უკანასკნელ ნაწილში მოწესრიგებულია სამ პირს შორის წარმოშობილი კონდიქციური ურთიერთობა². ამგვარად კანონპროექტი იმეორებს *კონიგის* მასწავლებლის, *ფონ კემერერის*, მიერ შემუშავებულ კონდიქციურ მოთხოვნათა ტიპოლოგიას³, რომელმაც უკვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა⁴. შესრულების კონდიქცია წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის დანამატს, ხელყოფის კონდიქცია – დელიქტური სამართლის დანამატს, ხოლო დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქცია – დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დანამატს. ეს პრინციპები, სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის

¹ ამიტომაც არასწორია კონდიქციების მხოლოდ ორ ჯგუფად, შესრულებისა და ხელყოფის კონდიქციად, დაყოფა (შდრ. *ქობაშვილი*, რომან შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი 2012, 286) რადგან მათ გარდა კონდიქციური მოთხოვნის კიდევ ორი ტიპი არსებობს – დანახარჯებისა და რეგრესის.

² შდრ. სსკ-ის კონდიქციათა სისტემასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი/ენგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 86-ე და შემდგომი გვერდები.

³ v. *Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 333-ე და მომდევნო გვერდები.

⁴ Restatement of the Law of Restitution (1937); *Dobbs*, Handbook on the Law of Remedies, St. Paul 1973; *Palmer*, The Law of Restitution, Boston 1978; *Goff/Jones*, The Law of Restitution, 2. ed., London 1978.

მეცნიერების მიერ მანამდეც აღიარებული იყო⁵, თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 812-ე პარაგრაფი, რომელიც გაცილებით ადრე შევიდა ძალაში, მხოლოდ შესრულებისა და არაშესრულების კონდიციებს შორის ასხვავებდა, რითაც ამგვარი დაყოფისათვის არამყარ დასაყრდენს წარმოადგენდა. *კონიგმა* ამის საპირისპიროდ თავის კანონპროექტში კონდიციის თითოეულ ტიპს თავისი სპეციალური დანაწესი მიუჩინა. კანონპროექტის ბოლო დანაწესში მოწესრიგებულია გენერალური დათქმა, რომელიც იმ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება, როდესაც შეუძლებელია რომელიმე სხვა კონდიციის გამოყენება.

*კონიგის*⁶ მიზანი იყო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 812-ე და შემდგომი პარაგრაფებისათვის ახალი სახის მიცემით მარტივად აღსაქმელი კონდიციური დანაწესების შექმნა, რაც პრაქტიკაში მათ სწრაფ და უპრობლემო გამოყენებას შეუწყობდა ხელს. თუმცა ის თვითონვე აღიარებს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის რთული თემატიკა ყოველთვის არ ტოვებს ადგილს მარტივად აღქმადი დანაწესებისათვის. პროექტის გამოქვეყნების შემდეგ სწორედ ეს გარემოება გახდა მთავარი კრიტიკის საგანი.

II. კანონპროექტის კრიტიკა

კონიგის პროექტმა მისი გამოქვეყნებისთანავე საკმაოდ ცხარე დისკუსია გამოიწვია და ძირითადად გაკრიტიკებული იყო⁷. დაიწუნეს იმიტომ, რომ არ შეიცავდა რაიმე არსობრივად ახალს და მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის რეცეფციითა და რედაქტირებით შემოიფარგლებოდა⁸. მართალია, ავტორი შეეცადა „მარტივი და ცალსახა წესები შეემუშავებინა, რომლებიც სასამართლო პრაქტიკას საშუალებას მისცემდა სწრაფად და უმტკივნეულოდ დაეძლია უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ყოველდღიური პრობლემები“⁹, თუმცა საეჭვოდ მიიჩნეეს კონდიციური სამართლის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ამის შესაძლებლობა¹⁰.

⁵ შეად. *Bartels*, Zum Rückgriff nach eigennütziger Zahlung auf fremde Schuld, *RabelsZ* 2014, 479 და შემდგომი გვერდები.

⁶ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1519.

⁷ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2; *Lieb*, Das Bereicherungsrecht de lege ferenda, *NJW* 1982, 2034 და შემდგომი გვერდები; *Grunsky*, Vorschläge zu einer Reform des Schuldrechts, *AcP* 182 (1982), 462 და შემდგომი გვერდები.

⁸ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2; *Lieb*, Das Bereicherungsrecht de lege ferenda, *NJW* 1982, 2040.

⁹ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1519.

¹⁰ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

1. შესრულების კონდიციის კრიტიკა

შესრულების კონდიციის შემთხვევაში კონდიციური ურთიერთობის მხარეები არიან შემსრულებელი და ვითომ-კრედიტორი, ანუ მიმღები, რომელსაც მიღებულის შენარჩუნებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. შესრულებისათვის აუცილებელია სხვისი ქონების გაცნობიერებული შევსება, თუმცა ეს არასაკმარისია. შემსრულებელი ამ შევსებით კონკრეტულ მიზანს უნდა ისახავდეს, როგორც არის, მაგალითად, ვალის დაფარვა ან ახალი ვალდებულების წარმოშობა (მაგ., რეალური ჩუქებისას). ამ ე. წ. ვალის დაფარვის მიზნის განსაზღვრა გარიგების დარი¹¹ მოქმედებაა¹² და, სასამართლო პრაქტიკასა¹³ და ლიტერატურაში¹⁴ გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საექვოობისას ობიექტური მიმღების თვალსაწიერიდან უნდა განიმარტოს, თუმცა *კონიგი* ამაზე უარს აცხადებს¹⁵. ეს თავისებური „რეკოლუცია ნების გამოხატვის სამართლისა¹⁶“, რომელიც განსაკუთრებით სამ პირს შორის ურთიერთობაში ხდება აქტუალური, ძნელად თუ შეიძლება გავამართლოთ¹⁷. მაგალითად, კონდიციურ სამკუთხედში¹⁸, როდესაც მითითება ნაკლოვანია, გადამწყვეტია, შეერაცხება თუ არა მითითება მიმითებელს. თუ, მაგალითად, ბანკი თავისი კლიენტის კრედიტორს უხდის ორმაგს, ისე რომ კლიენტი აქ არაფერ შუაშია, ეს გადახდა კლიენტს არ შეერაცხება შესრულებად კრედიტორის წინაშე, ამიტომაც, ეს ზედმეტი თანხა უკან უნდა მოითხოვოს არა კლიენტმა შესრულების კონდიციით, არამედ პირდაპირ ბანკმა

¹¹ გერმანული *Rechtsgeschäftsähnliche Handlung* (ქართულად, სავარაუდოდ, „გარიგების დარი მოქმედება“) გულისხმობს სამართლებრივ აქტს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს გარიგებას, ცალკე აღებული, ან სხვა მოქმედებებთან ერთად იწვევს კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგს.

¹² BGHZ 106, 166; BGHZ 111, 386.

¹³ BGHZ 40, 274; BGHZ 72, 249; BGHZ 105, 365, 369; BGHZ 122, 46, 50 და შემდეგი გვერდი; BGH ZIP 1999, 435, 437; BGH NJW 2005, 60.

¹⁴ *Beuthien*, *Zweckerreichung und Zweckstörung im Schuldverhältnis*, Tübingen 1969, 292; *Hagmann-Lauterbach*, *Der Zusammenhang zwischen dem finalen Leistungsbegriff im Bereicherungsrecht und den Erfüllungslehren*, Gelsenkirchen 1974, 156-ე და შემდგომი გვერდები, 174; *Hassold*, *Zur Leistung im Dreipersonenverhältnis – Anweisung und Vertrag zugunsten Dritter als Modell –*, München 1981, 14; *Seibert*, *Erfüllung und Konvaleszenz – Eine Untersuchung über über den Zusammenhang zwischen dem Erfüllungsstatbestand des § 362 und den Heilungsvorschriften des BGB*, JZ 1981, 384; *Bülow*, *Grundfragen der Erfüllung und ihrer Surrogate*, JuS 1991, 531; *Gernhuber*, *Die Erfüllung und ihre Surrogate*, Tübingen 1994, § 5 III 4; *Muscheler/Bloch*, *Erfüllung und Erfüllungssurrogate*, JuS 2000, 734; შდრ. დამატებითი ლიტერატურა *Beckhaus*, *Die Rechtsnatur der Erfüllung*, Tübingen 2013, 64 სქ. 423.

¹⁵ *König*, *Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes*, Köln 1981, 1541.

¹⁶ *Thomale*, *Erfüllungsautonomie im Bereicherungsrecht*, Tübingen 2012, 24.

¹⁷ *Thomale*, *Erfüllungsautonomie im Bereicherungsrecht*, Tübingen 2012, 24.

¹⁸ კონდიციური ურთიერთობა, რომელშიც სამი პირია ჩართული, მის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს ე. წ. „მითითების შემთხვევა“ როდესაც მოვალე უხდის არა უშუალოდ თავის კრედიტორს, არამედ კრედიტორის კრედიტორს.

არაშესრულების კონდიციით. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღებმა იცოდა მითითების გამოხმობის, ან არარსებობის შესახებ¹⁹, არ აქვს რა უფლება ივარაუდოს, რომ ამგვარი გაშუალებული გადახდით მოვალეს მის წინაშე სურდა შესრულება. მიმითებელს, დამოუკიდებლად მითითებული მიმღების²⁰ ცოდნა-არცოდნისა, არ შეერაცხება მითითება, თუ მას არ შეიძლება მივაწეროთ ეს მოჩვენებითი სამართლებრივი ფაქტი²¹, ანუ მას არაფრით გამოუწვევია ის²².

ეს შეერაცხვის მიხედვით გადაწყვეტა²³ კონიგმა თავის პროექტში გადაიღო. კანონპროექტის შესაბამისი ნორმა შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

კონიგის კანონპროექტი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
<p>4.1. (1) ვინც 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის²⁴ მიხედვით საკუთარი კრედიტორის მითითების საფუძველზე მესამე პირს გადასცემს რაიმეს, შეუძლია უკან გამოითხოვოს შესრულება ვითომ-კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ ვითომ-კრედიტორს არ შეერაცხება მითითება, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ მესამე პირის წინააღმდეგ.</p>	<p><i>მუხლი 988. ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები. 1. პირს, რომელიც 976-ე მუხლის თანახმად რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულების გამოთხოვა ვითომ კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.</i></p>

კონიგის კანონპროექტის ტექსტი და ქართული ტექსტი ერთმანეთს ზუსტად არ შეესატყვისება, თუმცა საბოლოო ჯამში, ფორმულირების უზუსტობის მიუხედავად, ქართული დანაწესიც კანონპროექტის ამ ნორმის აზრს მაინც სწორად დამოსცემს, მაგრამ გერმანული იურიდიული ლიტერატურის კრიტიკა სწორედ რომ კონიგის მიერ შექმნილი ნორმის წინააღმდეგაა მიმართული და ამგვარად ძალაში რჩება 988-ე მუხლის შემთხვევაშიც. კონიგმა, მართალია, გადაიღო შეერაცხვის პრინციპი, მაგრამ უარი თქვა ვალის დაფარვის მიზნის მიმღების თვალსაწიერი-

¹⁹ BGH ZIP 2003, 69, 71; BGH NJW 2001, 2880, 2881; BGHZ 88, 232, 236.
²⁰ Anweisungsbegünstigte – „მითითებული მიმღები“, ანუ პირი, რომელიც იღებს გაშუალებულ შესრულებას მესამე პირის მიერ განხორციელებული მითითების საფუძველზე.
²¹ Scheintatbestand – გარკვეული გარემოებების გამო შექმნილი სამართლებრივი ფაქტის არსებობის ილუზია, რაც ქართულად სავარაუდოდ მოჩვენებით სამართლებრივ ფაქტად უნდა ვთარგმნოთ.
²² BGH NJW 2001, 2880, 2881; BGH NJW 2004, 1315, 1316; BGH NJW 2005, 3213, 3214.
²³ ე.წ. შეერაცხვის პრინციპი (Zurechnungsgedanke), როდესაც გადამწყვეტია, თუ რამდენად შეერაცხება მითითება მის სავარაუდო გამცემს.
²⁴ კანონპროექტის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილი შეესატყვისება სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ელ ნაწილს.

დან განმარტვამე და გსკ-ის 362-ე პარაგრაფისა და 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ალტერნატივის მიხედვით შესრულების იდენტურად აღქმამ²⁵. ამ შემთხვევაში კი ავტორის მიერ მიზნად დასახული კონდიქციური სამართლის გამარტივება ფუჭ მისწრაფებად რჩება, რადგან კანონი არ შეიცავს ამ მესამე პირის მიმართ განხორციელებული გადახდის შერაცხვის კრიტერიუმებს. ამის საპირისპიროდ, ზოგად ვალდებულებით სამართალში მოწესრიგებული ვალის დაფარვასა და უსაფუძვლო შესრულებას შორის პარალელური კავშირის აღიარება, გზას გახსნიდა გარიგებების შესახებ მოძღვრების ფარგლებში შემუშავებულ შერაცხვის კრიტერიუმებისაკენ²⁶.

კონიგმა თავის კანონპროექტში ამ შემთხვევების გადაწყვეტას სამართლიანობის პრინციპს გადაულოცა, რასაც ყოველთვის არ მივყავართ სამართლიან შედეგამდე. მაგალითად, მხოლოდ სამართლიანობის პრინციპის მიხედვით შეუძლებელია მოჩვენებითი მოვალის მიერ მოჩვენებითი ცესიონერისათვის გადაცემული შესრულების გადაწყვეტა. მოცემული საკითხი – გამცემის თვალსაწიერი თუ მიმღების თვალსაწიერი უნდა იყოს გადამწყვეტი კონდიქციურ სამკუთხედში – შეუძლებელია მხოლოდ სამართლიანობის კრიტერიუმის გამოყენებით გადაწყვიტოთ, ყოველგვარი დოგმატური ხელმოსაჭიდის გარეშე.

კონიგის მიხედვით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტი უნდა იყოს გამცემის თვალსაწიერი, რადგან მიმღები თავისთავად არის დაცული გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აბრუნებს რა გამდიდრებას მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ჯერ კიდევ გამდიდრებულია. თუმცა ის ფაქტი, რომ მიმღების მხოლოდ გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით დაცვა არასაკმარისია, გერმანულ სამართალში დიდი ხანია აღიარებულია²⁷. უკვე რაიხის სასამართლოს ცნობილი „საფოსტო მითითების გადაწყვეტილებიდან“²⁸ მოყოლებული.²⁹

²⁵ *Thomale*, Erfüllungsautonomie im Bereicherungsrecht, Tübingen 2012, 24.

²⁶ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

²⁷ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

²⁸ RGZ 60, 24.

²⁹ შემთხვევა მდგომარეობდა შემდეგში: ფოსტის მოხელემ სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მიუთითა ფოსტის განყოფილებას და გადაარცხვინა გარკვეული თანხა თავისი კრედიტორისათვის. პირადად მას ფოსტისათვის არაფერი გადაუხდია. მოგვიანებით სასამართლო დავის საგანს წარმოადგენდა, ჰქონდა თუ არა ფოსტას ადრესატისაგან გადახდილი თანხის კონდიციონერების უფლება, თუ ეს თანხა ფოსტის მოხელისაგან უნდა მოეთხოვა, რომელმაც გააყალბა მითითებები. ზემოთ მოყვანილი არგუმენტი, რომ მიმღების ინტერესები საკმარისადაა დაცული გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აქაც ძალაში იყო, თუმცა სასამართლომ მაინც მიიჩნია, რომ მიმღებს „არ მიუღია იმაზე მეტი, ვიდრე ეკუთვნოდა და არ იყო უსაფუძვლოდ გამდიდრებული“ (RGZ 60, 29). ანუ არ დააბრუნებინა უკან მიღებული, რადგან ფოსტის მიერ მოტყუებით განხორციელებული გადახდა მისი ვითომ-კრედიტორის კრედიტორისათვის, ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი მოვალის მხრიდან განხორციელებულ გადახდად აღიქმებოდა. ამრიგად, სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ცალსახა იყო, რომ მიმღების დაცვის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ე. წ. „კონკრეტული ნდო-

2. ხელყოფის კონდიქციის კრიტიკა

რაც შეეხება კანონპროექტში ხელყოფის კონდიქციას, აქაც ქართული კანონი სიტყვა-სიტყვით არ იმეორებს გერმანული ორიგინალის ტექსტს. კანონპროექტის შესაბამისი ნორმა შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

კონიგის კანონპროექტი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
<p>2.1. (1) ვინც სხვის საკუთრებას, სხვა უფლებას, ან ქონებრივი სიკეთეს ხელყოფს, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე განკარგვის დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვაგვარად ხელყოფით, უფლებამოსილ პირს უნდა აუნაზღაუროს მისი საერთო ღირებულება.</p>	<p>მუხლი 982. სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები. 1. პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.</p>

პირველ რიგში, რაც თვალში გვხვდება ამ ორი დანაწესის შეპირისპირებისას, ეს არის გერმანული ორიგინალისაგან განსხვავებით ქართულ ტექსტში ნახსენები ზიანის ანაზღაურება³⁰, რაც არასწორია და სავარაუდოდ მთარგმნელის შეცდომას უნდა მივაწეროთ. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი არ არის ზიანის ანაზღაურების სამართალი, არამედ ქონების უსაფუძვლო გადადინების უკუქცევის სამართალი. კონდიქციური მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც უფლებამოსილ პირს ამით არაფერი არ დააკლდა და არ წარმოიშვას, მიუხედავად მეორე პირისათვის მიყენებული ზიანისა, თუ სხვისი ქონების ხელყოფმა ამ ზიანის სანაცვლოდ არაფერი არ მიიღო.

თვითონ კონიგის მიერ შერჩეული გადაწყვეტა თავის დროზე გაკრიტიკებული იყო იმის გამო, რომ იყენებდა „ქონებრივი სიკეთის“ ცნებას³¹, რაც ხელყოფილი სამართლებრივი პოზიციის დახასიათებისათვის ძალზე ზოგადია³². ეს ცნება საბოლოო ჯამში არაფერსმთქმელია და გადაუწყვეტელს ტოვებს პრაქტიკაში წარმოშობილ მთავარ პრობლემებს. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების

ბის დაცვა“ (იგულისხმება მიღებულის შენარჩუნების ნდობის დაცვა გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით.) საკმარისი არ იყო (*Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2).

³⁰ არასწორად აკეთებენ აქცენტს ზიანზე ასევე *ქონაშვილი* (რომან შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 291) და *ყინდაშვილი*, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, თბილისი 2010, 193.

³¹ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1554.

³² *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

თანხმად, უკეთესი იქნებოდა „მართლწესრიგის მიერ მინიჭებული რეალიზაციის მონოპოლიის“³³ შინაარსის მქონე ცნების დაფიქსირება, რა შემთხვევაშიც ცალსახა გახდებოდა, რომ ხელყოფის ობიექტი არ შეიძლება იყოს, მაგალითად, მეორე პირისათვის მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება საკონკურენტო სამართლის წესების მიხედვით.³⁴ ეს კრიტიკა აუცილებლად გასათვალისწინებელია ასევე ქართულ სამართალშიც, სადაც ამ ობიექტის აღმნიშვნელი ცნება არანაკლებ ფართოა და სადაც არ მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გახდეს ხელყოფის საგანი და რა არ შეიძლება გახდეს.

არც თუ ისე ცალსახაა *კონდიგის* გადაწყვეტილება, *condictio ex iniusta causa*-ს (უსამართლო საფუძვლიდან გამომდინარე კონდიქცია) კანონპროექტში შეტანასთან დაკავშირებით, რომელზე გსკ-ის მამებმა თვის დროზე უარი თქვეს. ეს კონდიქცია სსკ-ის 978-ე მუხლშია დაფიქსირებული და ეხება შემთხვევას, როდესაც ერთი პირი მეორეს, არა ვალდებულების შესრულების მიზნით, არამედ მუქარის ან იძულების საფუძველზე გადასცემს რაიმეს. გადაცემულის უკან მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მიძღვება არ გააჩნდა გადაცემის მოთხოვნის უფლება, რისი მტკიცების ტვირთიც მასვე ეკისრება. ამ კონდიქციისათვის ადგილის მიჩენა შესრულების კონდიქციებს შორის და მისი პასუხისმგებლობის მასშტაბად შესრულების კონდიქციის მასშტაბის აღიარება, არც თუ ისე გამართლებული ჩანს. *condictio ex iniusta causa*, რომელიც რომის სამართლიდან მოდის, იქ აღიარებული იყო ხელყოფის და არა შესრულების კონდიქციად. ამასვე აღიარებს თავად *კონდიგ*, როდესაც ამბობს, რომ იძულების, ან მუქარის საფუძველზე გადახდა არ ხდება *solvendi causa*, ანუ სახეზე არ გვაქვს სხვისი ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული შევსება³⁵. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ავტორი უარს ამბობს გამცემის მიერ განხორციელებული გადახდის დაფარვის მიზნის განმარტვაზე მისი მიძღვების თვალსაწიერიდან. ეს ასე რომ არ იყოს, კიდევ იქნებოდა შესაძლებელი იძულება-მუქარის საფუძველზე გადახდილის შესრულებად მიჩნევა. მაგალითად, გარიგებების შესახებ მოძღვრების მიხედვითაც მუქარის ან იძულების ძალით გამოხატული ნება არ განიხილება, როგორც არარა, განსხვავებით *vis absoluta*-ს (აბსოლუტური ფიზიკური ძალის) გამოყენებით მოქმედების იძულებისაგან, როდესაც პირს არჩევანის თავისუფლება სრულად მოსპობილი აქვს. პირველ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ გამომხატველის ნების ავტონომიურობა სრულად არ არის უგულვებელყოფილი. ამრიგად, თუ განხორციელებული გადახდის დაფარვის მიზანს მიძღვების თვალსაწიერიდან განვმარტავდით, კიდევ შეიძლებოდა შესრულებაზე, როგორც სხვისი ქონების გაცნობიერებულ და მიზან-

³³ *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 50 I 1.

³⁴ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

³⁵ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1543.

მიმართულ შევსებაზე საუბარი, მაგრამ, თუ ამ დაფარვის მიზანს გადამხდელის თვალსაწიერიდან აღვიქვამთ, იძულებით გადახდა ველარ ჩაითვლება შესრულებად. *კონიგის* მიერ შემოთავაზებული გამართლება ამ მოთხოვნისა შემდეგია: მუქარის, ან იძულების მეშვეობით გადახდისას გადამხდელს, ჩვეულებრივ, აქვს თანხის უკან მოთხოვნის დელიქტური უფლება გსკ-ის 826-ე პარაგრაფის, ასევე 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და შესაბამისი სისხლის სამართლებრივი დანაწესის ურთიერთკავშირის მიხედვით, თუმცა *condictio ex iniusta causa*-ს მიხედვით უკან მოთხოვნას ის უპირატესობა აქვს, რომ მოთხოვნის წამყენებელი ვალდებული არ არის ამტკიცოს დელიქტური მოთხოვნის წინაპირობები. რაც შეეხება შესრულების კონდიქციის წინაშე *condictio ex iniusta causa*-ს უპირატესობას, ამ უკანასკნელის გამოყენების შემთხვევაში არ არსებობს გადახდის უსაფუძვლობის მტკიცების ვალდებულება, ამ დროს ასეთი საფუძვლის არსებობა უნდა ამტკიცოს მოპასუხემ. ამ კონდიქციის გამოყენების სფეროდ, საბოლოო ჯამში, მაინც მხოლოდ მარგინალურ შემთხვევათა წრე რჩება, რადგან, ჩვეულებრივ, მუქარა-იძულების საფუძველზე გადამხდელი ან დელიქტური მოთხოვნის წინაპირობების დამტკიცებას შესძლებს, ან შესრულების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას. ამ მიზეზების გამო, მოცემულმა კონდიქციამ თავის დროზე ადგილი ვერ ჰპოვა გსკ-ში³⁶.

3. კონდიქციური პასუხისმგებლობის ფარგლები

კონიგის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა, როდესაც ის კონდიქციურ პასუხისმგებლობას ცალკეული კონდიქციის ტიპისდა მიხედვით ყოფს, ცალსახად მომგებიანია და საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული არაერთი დოგმატური გაურკვევლობა, რომელთა გადაჭრაც გსკ-ის კანონმდებელმა მოსამართლეს გადაულოცა. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონპროექტი ასხვავებს ოთხი ტიპის კონდიქციას და ცალ-ცალკე აწესრიგებს უკუმოთხოვნის ფარგლებს. ეს სრულებით გამართლებულია და არასწორია სხვისი ქონების ხელმყოფი პირისა და არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე შესრულების მიმდების პასუხისმგებლობის ერთ თარგზე გამოჭრა. მაგალითის სახით შეიძლება სალდოს თეორიის მოყვანა. ამ თეორიის კოდიფიცირება *კონიგის* კანონპროექტის ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა და ამაზე დეტალურად ქვემოთ იქნება საუბარი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულებიდან პასუხისმგებლობის ფარგლები კანონპროექტში და მისი გავლით სსკ-შიც, დეტალურად არის გაწერილი, რაც ქართული კანონის უპირატესობას წარმოადგენს გსკ-ის

³⁶ *Schlechtriem*, Restitution und Bereicherungsausgleich in Europa II, Tübingen 2001, 88; შდრ. *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, და შემდგომი გვერდები.

მიმართ, სადაც დღემდე გაურკვეველია, თუ რა წესის მიხედვით უნდა მოხდეს ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევა, თავდაპირველი, თუ მოდიფიცირებული სალდოს თეორიის, *ფლუმეს*³⁷ „ქონებრივი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების“ თეორიის მიხედვით თუ *კანარისის*³⁸ „საპირისპირო შესრულების კონდიქციის თეორიის“ შესაბამისად.

თუმცა თითოეული კონდიქციის პასუხისმგებლობის ფარგლების ცალკე მოწესრიგებაც არ დარჩენილა იურიდიული ლიტერატურის მხრიდან კრიტიკის გარეშე³⁹. მის მთავარ ნაკლს არასისტემურობა წარმოადგენს. მაგალითად, სამ პირს შორის ურთიერთობაში, როდესაც მითითება არ შეერაცხება ვითომ-კრედიტორს, *კონიგის* კანონპროექტის მიხედვით, მიმღებმა პირდაპირ გამომხდელის წინაშე უნდა აგოს პასუხი (სსკ-ის 988-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება) და მისი პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება შესრულების კონდიქციის მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლების მიხედვით, თუმცა ამგვარი გადაწყვეტის გამართლება შეუძლებელია მხარეთა ინტერესების აწონ-დაწონვის მეშვეობით, რადგან ვითომ-მითითებული პირი გადახდას შეცდომით საკუთარი ინტერესების შესაბამისად მიითვლის. მას უნდა, მითითებული მიმღებისათვის გადახდით გაათავისუფლდეს საკუთარი ვალდებულებისაგან ვითომ-კრედიტორის წინაშე. ინტერესთა გადანაწილება, ამგვარად, შეესატყვისება არა შესრულების კონდიქციის, არამედ ხარჯების კონდიქციის შემთხვევას (იხ. დეტალურად 988-ე მუხლის სარეფორმო წინადადების III.5).

კრიტიკის შემდეგ პუნქტს წარმოადგენს გსკ-ის 822-ე პარაგრაფის (სსკ-ის 989-ე მუხლის) მიხედვით პასუხისმგებელი და გსკ-ის 816-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების (990-ე მუხლის) მიხედვით პასუხისმგებელი კონდიქციის მოვალის პასუხისმგებლობის განსხვავებული მასშტაბი. პირველი პასუხს აგებს როგორც შესრულების კონდიქციის მოვალე (სსკ-ის 989-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო მეორე – როგორც ხელყოფის კონდიქციის მოვალე (სსკ-ის 990-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე კონდიქცია პასუხისმგებლობის მასშტაბის მხრივ ყველაზე ახლოს დანახარჯების კონდიქციასთან დგას. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ უსასყიდლოდ შეძენა არ მოხდეს მესამე პირის ხარჯზე, თუმცა უსასყიდლოდ შემძენს უნდა ჰქონდეს ასევე შეძენილზე, როგორც ფუფუნების საგანზე, მითითების უფლება. ეს პრინციპი კი ყველაზე მეტად

³⁷ *Flume*, Die Saldotheorie und die Rechtsfigur der ungerechtfertigten Bereicherung, AcP 194 (1994), 439; *Flume*, Der Wegfall der Bereicherung in der Entwicklung vom römischen zum geltenden Recht, FS Niedermeyer (1953), 152.

³⁸ *Canaris*, Die Gegenleistungskondiktion, FS W. Lorenz (1991), 20 და შემდგომი გვერდები; *Larenz/Canaris*, Schuldrecht, besonderer Teil II, 13. Auflage, München 1986, § 73 III 2.

³⁹ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

დანახარჯების კონდიციის შემთხვევაშია გამოკვეთილი (იხ. 991-ე მუხლის სარეფორმო წინადადების II).

III. შეჯამება და საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების აუცილებლობა

გერმანიაში *კონიგის* კანონპროექტმა დღის სინათლე ვერ იხილა, იმ გაგებით, რომ ის კანონად ვერ იქცა, თუმცა ეს ვერ იქნება საფუძველი ამ პროექტის ღირებულების უარყოფისა⁴⁰. ორი ათწლეულის შემდეგაც მასზე მიუთითებენ, როგორც გასულ საუკუნეში განხორციელებული კონდიციური დანაწესების ყველაზე წარმატებულ შეჯამებაზე⁴¹. მიჩნეულია, რომ *კონიგმა* მოახერხა მოექდენა ოქროს შუალედი გადამეტებულ რეგულირებასა და დერეგულირებას შორის⁴².

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ვერასოდეს იქნება ამომწურავად მოწესრიგებული მხოლოდ კანონის ნორმების საფუძველზე. მისი ჯეროვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ჰარმონია ამ ნორმებსა და მათი განმარტების გზებს შორის პრაქტიკასა თუ სამართლის მოძღვრებაში⁴³. მოცემული გარემოებების გამო, ქართველმა კანონმდებელმა გადმოიღო არა საუკუნეზე მეტის განმავლობაში უცვლელად დარჩენილი გსკ-ის დანაწესები, არამედ სწორედ *კონიგის* კანონპროექტი. მის მიმართ გამოთქმული კრიტიკისა და მიუხედავად, კანონპროექტის გადმოღება მაინც სწორი გადაწყვეტილება იყო. სრულებით შესაძლებელია, რომ პროექტის ღირებულება ამოიწურება მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის მიერ აღიარებული პრინციპების სისტემატიზირებითა და რედაქტირებით და ის არ შეიცავს ავტორის ორიგინალურ მიგნებებსა თუ თეორიებს, თუმცა მხოლოდ სისტემატიზირება-რედაქტირებაც კი, ცალკე აღებული, საკმაოდ რთული ამოცანაა. ქართული სამართლისათვის კი ამგვარ პროექტზე ორიენტირება იყო ერთადერთი გამოსავალი, გერმანული უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მთლიანი კონცეპტის და არა მხოლოდ ცალკეული დანაწესების გადმოღებისა. კანონმდებელი ქართულ კანონში მხოლოდ გსკ-ის 812-ე და შემდგომი პარაგრაფების ანალოგის შექმნით რომ შემოფარგლულიყო, ეს გერმანული უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნახევრად გადმოღების ტოლფასი იქნებოდა. გერმანული სასამართლო პრაქტიკა და სამართლის მოძღვრება უკვე საუკუნეზე მეტია ამ პარაგრაფების შინაარსის დაკონკრეტება-განვითრებითა დაკავებული და ხშირად ისეთ შინაარსს დებს ამ დანაწესებში, რაც მათი სიტყვა-სიტყვითი განმარ-

⁴⁰ *Bartels*, Zum Rückgriff nach eigennütziger Zahlung auf fremde Schuld, *RabelsZ* 2014, 4.

⁴¹ *Zimmermann*, Unjustified Enrichment: The Modern Civilian Approach, *OJLS* 15 (1995), 424; *Grunsky*, Vorschläge zu einer Reform des Schuldrechts, *AcP* 182 (1982), 462-ე და მომდევნო გვერდი.

⁴² *Zimmermann*, Unjustified Enrichment: The Modern Civilian Approach, *OJLS* 15 (1995), 425.

⁴³ *Zimmermann*, Unjustified Enrichment: The Modern Civilian Approach, *OJLS* 15 (1995), 425.

ტებიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს. შესაბამისად, *კონიგის* კანონპროექტი იყო ერთადერთი გზა გერმანული უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მთლიანად მოცივისა და გადმოღებისა.

მიუხედავად კანონპროექტის ხსენებული ღირსებისა და მისი გადმოტანის გადაწყვეტილების ცალსახად დადებითად შეფასებისა, დღესდღეობით მომწიფდა ცვლილებების აუცილებლობა გერმანულ თარგმანში გამოტრილ ქართულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის რეგულატიურ კომპლექსში. პირველ რიგში ეს განპირობებულია იმით, რომ *კონიგის* კანონპროექტში მთელი რიგი ნორმები ჩამოყალიბებულია მოკლე, მაქსიმალურად კომპაქტური ფორმით, რის მიუხედავადაც ისინი გერმანული იურისტისათვის სრულებით გასაგებია, გამომდინარე იქიდან, რომ ეს დანაწესები წარმოადგენენ გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული პრინციპების განსხეულებას კანონში. ამ წესების შინაარსი გერმანული იურისტისათვის ან წინასწარვე ცნობილია, ან მათი განმარტება მარტივად ხელმისაწვდომია. ქართველი მკითხველისათვის კანონის ნორმის ფორმით მიწოდებული ეს პრინციპები დამატებით განვრცობასა და დაქუცმაცებას საჭიროებს. ის, რაც ჩაითვლება ოქროს შუალედად გადამტებული რეგულაციასა და დერეგულაციას შორის გერმანულ ტრადიციაში, ნამდვილად ვერ ჩაითვლება ასეთად ქართულში, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ტრადიცია ჩამოყალიბების პროცესშია და მხოლოდ თავის პირველ კონტურებს იძენს.

კანონის მიღებიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ რეტროსპექტული ანალიზით ნათლად ჩანს, რომ *კონიგის* კანონპროექტიდან გადმოღებული მთელი რიგი საკვანძო ნორმები მხოლოდ ქალაქდღე დაწერილ მკვდარ დანაწესებად დარჩა, რომლებიც პრაქტიკამ ვერ გაითავისა. ზოგ შემთხვევაში აქ თავისი როლი ითამაშა არასწორმა თარგმანმა, არაზუსტმა ფორმულირებებმა, სტილისტურმა გაუმართაობამ (რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებს ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას) და თვითნებურმა გადაწყვეტილებებმა, რა მიმართულებითაც ქართველმა კანონმდებელმა საკმაოდ უხვად შეცოდა და რაც გარდაუვალი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ შემოკლებულ ვადებს, რა ვადებშიც იქმნებოდა სამოქალაქო კოდექსი. ამიტომაც, რეტროსპექტულ პერსპექტივაში ნათლად ჩანს ცვლილებების აუცილებლობა, რათა გერმანული პროფესორის ნააზრევი, რომლის უკანაც საუკუნოვანი გერმანული დოქტრინა დგას, მომავალშიც არ დარჩეს უცხო სხეულად ქართულ კანონმდებლობაში, არამედ იქცეს ქართული იურიდიული აზროვნების ორგანულ ნაწილად.

კანონის სამომავლო სარეფორმო წინადადება

მუხლი 976. შესრულების კონდიცია

1. ვინც არარსებული ან შემდგომში გაქარწყლებული ვალდებულების შესასრულებლად სხვას რაიმეს გადასცემს, შეუძლია მოითხოვოს მიმღებისგან მისი უკან დაბრუნება.
2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია:
 - ა) ბნეობრივი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში;
 - ბ) თუ შემსრულებელმა გაცნობიერებულად შეასრულა არარსებული ვალდებულება
 - გ) ან შესრულების კონდიციით უკუმოთხოვნა ეწინააღმდეგება გარიგების არანამდვილობის განმაპირობებელი ნორმის მიზანს.
3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უკუმოთხოვნა დაუშვებელია, ასევე, არაკონდიციური მოთხოვნების შემწეობითაც.

მუხლი 977. კონდიცია დასახული მიზნის მიუღწევლობისას

1. პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს.
2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:
 - ა) მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო და გადამცემმა ეს იცოდა, ან
 - ბ) გადამცემმა მიზნის მიღწევას არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი.

მუხლი 978. შესრულება შესაგებლის არსებობის მიუხედავად

უკან უნდა დაბრუნდეს იმ მოთხოვნის შესასრულებლად გადაცემული, რომლის განხორციელებაც შესაგებლის გამო ხანგრძლივი დროით იყო გამორიცხული. 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი და 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი უცვლელად რჩება ძალაში.

მუხლი 979. კონდიციური მოთხოვნის ფარგლები

1. უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება მიღებულ საგანზე (ნატურით დაბრუნება), სარგებელზე, და საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურებაზე (სუროგატი).
2. ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მიმღებმა უნდა აანაზღაუროს მიღებულის ღირებულება ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის.

3. მიმღები თავისუფლდება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ ის არც მიღებულით და არც დანაზოგით აღარ არის გამდიდრებული (განმდიდრების შესაგებელი).

4. ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევისას, რა ფარგლებშიც ერთი მხარე არ აბრუნებს მიღებულს განმდიდრების შესაგებელზე მითითებით, იმ ფარგლებში ვეღარ დაიბრუნებს გაცემულს. ცალმხრივად შესრულების შემთხვევაში მიმღები ვერ მიუთითებს განმდიდრებაზე მის მიერ განსახორციელებელი შესრულების ფარგლებში. ეს წესი არ მოქმედებს ქმედუნარო, შეზღუდულად ქმედუნარიანი, მხარდაჭერის მიმღები, მოტყუებული, იძულებული ან იმ პირის საზიანოდ, რომლის დაცვასაც ემსახურებოდა ხელშეკრულების არანამდვილობა 54-ე მუხლის მიხედვით.

5. თუ გარიგების, რომელიც შეიძლება საცილო გამხდარიყო, უკუქცევა ხდება 405-ე მუხლის, 352-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მაგივრად გამოიყენება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესები.

მუხლი 980. მოთხოვნის განხორციელების წესი

1. მიმღები მოვალეა დააბრუნოს საგანი მხოლოდ მის მიერ გაწეული დანახარჯებისა და მისთვის მიყენებული ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ანაზღაურებას ექვემდებარება დანახარჯები, რომლებიც, კანონის ან მხარეთა შეთანხმების, საფუძველზე შემსრულებელს ეკისრებოდა ან მის ინტერესებშია. ანაზღაურებადია მხოლოდ ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მიმღებს წარმოეშვა საგნის სამუდამოდ შენარჩუნების ნდობიდან გამომდინარე.

2. ანაზღაურების მოვალეობანი 979-ე და 980-ე მუხლების მიხედვით უნდა შესრულდეს ერთდროულად. უკან დაბრუნების ხარჯები და რისკი ეკისრება შემსრულებელს.

3. ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევა უნდა მოხდეს მხოლოდ 976-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. 172-ე, 163-ე და 164-ე მუხლები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.

მუხლი 981. გამკაცრებული პასუხისმგებლობა

1. შესრულების უსაფუძვლობის შესახებ შეტყობის მომენტიდან (არაკეთილსინდისიერი მიმღები) ან კონდიქციური სარჩელის მისთვის ჩაბარების შემდეგ მიმღები ვეღარ მიუთითებს განმდიდრებაზე 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. მისი პასუხისმგებლობის ფარგლები დამატებით განისაზღვრება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის საფუძველზე.

2. მიმღები ვალდებულია, აანაზღაუროს ბრალეულად მიუღებელი სარგებელი, ხოლო ფულადი ვალის შემთხვევაში – გადაიხადოს პროცენტები. საგნის გასხვი-

სების შემთხვევაში ის აბრუნებს გასხვისებიდან მიღებულ მოგებასაც, რომელიც აღემატება საგნის ღირებულებას.

3. შესრულების საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღები მოვალეა, აანაზღაუროს ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამაში ბრალი მიუძღვის. საგანზე გაწეული აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურება მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესების მიხედვით.

4. არაკეთილსინდისიერი მიმღების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 402-ე მუხლი.

მუხლი 982. ხელყოფის კონდიცია

1. ვინც ხელყოფს სხვა პირის საკუთრებას ან სხვა უფლებასა თუ ქონებრივ სიკეთეს, რომლის გამოყენება-განკარგვის უფლებამოსილებაც მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს, მისი თანხმობის გარეშე მითვისების, განკარგვის, სარგებლობის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, ვალდებულია დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს ამის შედეგად მიღებული.

2. სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში ხელმყოფმა უნდა გადასცეს უფლებამოსილ პირს მიღებული სასყიდელი. თუ განკარგვა არანამდვილია, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს მიღებული სასყიდლის მისთვის გადაცემა მის მიერ განკარგვის მოწონების სანაცვლოდ.

მუხლი 983. შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

თუ არაუფლებამოსილი პირი იღებს უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას, რომელიც ნამდვილია ამ უკანასკნელის წინაშე, მიღებული უნდა გადასცეს უფლებამოსილ პირს. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი პირი იწონებს არანამდვილ შესრულებას.

მუხლი 984. ხელმყოფის პასუხისმგებლობა

1. ხელმყოფის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას შესაბამისად გამოიყენება 979-981-ე მუხლები.

2. ხელმყოფის მიერ სამართლებრივი სიკეთის მოსაპოვებლად გაღებული ხარჯები არ ამცირებს მის გამდიდრებას.

მუხლი 985. ხელყოფით მიღებული მოგება

1. უფლების განზრახ ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს ამით მიღებული მოგება.

2. ხელმყოფმა უნდა წარმოადგინოს ამ მოგებასთან დაკავშირებული ცნობები.

მუხლი 986. რეგრესის კონდიქცია

1. ვინც შეგნებულად ფარავს სხვის ვალს, შეუძლია მოითხოვოს მისგან თავისი ხარჯების ანაზღაურება, თუ სხვა საფუძვლით რეგრესი გამოირიცხულია.
2. რეგრესის კონდიქციის მოვალის სასარგებლოდ შესაბამისად გამოიყენება მე-200 და 201-ე მუხლის მე-2 ნაწილი. კონდიქციური მოთხოვნა ხანდაზმული ხდება დაფარული მოთხოვნისათვის გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადაში, ამ ვადის შეწყვეტის გარეშე.

მუხლი 987. დანახარჯების კონდიქცია

1. ვინც შეგნებულად ან შეცდომით სწევს ხარჯებს სხვის საგანზე, შეუძლია მოითხოვოს მისგან ამ დანახარჯების ანაზღაურება.
2. ანაზღაურების ვალდებულება არსებობს იმდენად, რამდენადაც მოვალე საგნით სარგებლობით, მისი გასხვისებით ან სხვაგვარად ახერხებს დანახარჯების შედეგად გაზრდილი ღირებულების რეალიზებას.

მუხლი 988. კონდიქციური ურთიერთობა სამ პირს შორის. შესრულება მითითების საფუძველზე

1. მიმღები არ აგებს პასუხს უფლებამოსილი პირის წინაშე ხელყოფის კონდიქციით, თუ მან სამართლებრივი სიკეთე შესრულებით მოიპოვა სხვა პირისაგან. გადაცემული მიმღებისაგან უკან უნდა მოითხოვოს შემსრულებელმა 976-ე მუხლის მიხედვით.
2. ვითომ-კრედიტორის მითითების საფუძველზე მესამე პირისათვის (მიმღებისათვის) რაიმეს გადაცემის შემთხვევაში შემსრულებლად ითვლება ვითომ-კრედიტორი, თუ ის ასეთად არის აღქმული მესამე პირის მიერ. ამ შემთხვევაში პირს, რომელსაც მიუთითეს, 976-ე მუხლის მიხედვით უკუმოთხოვნის უფლება აქვს ვითომ-კრედიტორისაგან, ხოლო მიმითებელ ვითომ-კრედიტორს – მესამე პირისაგან. მითითების არანამდვილობის შემთხვევაში მისი გამცემი ვითომ-კრედიტორი მაინც ჩათვლება შემსრულებლად, თუ ის ასეთად არის აღქმული შესრულების კეთილსინდისიერი მიმღების მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას მითითება არ შეერაცხება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დასაშვებია პირდაპირი უკუმოთხოვნა, რომლის ფარგლებიც შესაბამისად განისაზღვრება 987-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

მუხლი 989. დათმობილი მოთხოვნის დაფარვა. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

1. დათმობილი არარსებული მოთხოვნის დაფარვით მოვალე ასრულებს ცედენტის, ხოლო ცედენტი – ცესიონერის წინაშე. ამ შემთხვევაში მოვალეს 976-ე მუხ-

ლის მიხედვით უკუმოთხოვნის უფლება აქვს ცედენტისაგან, ხოლო ცედენტს – ცესიონერისაგან. თუ დათმობა არანამდვილია ან შესრულება არ ყოფილა განპირობებული ვითომ-ცედენტის მიერ, მოვალეს შეუძლია გადაცემული პირდაპირ ვითომ-ცესიონერისაგან მოითხოვოს უკან, რა შემთხვევაშიც შესაბამისად გამოიყენება 987-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

2. ვინც ასრულებს სხვა პირის არანამდვილ ვალდებულებას, გადაცემულის დაბრუნება უნდა მოითხოვოს ვითომ-კრედიტორისაგან 976-ე მუხლის მიხედვით, თუ ეს შესრულება არ არის განპირობებული მოვალის მიერ. მოვალის მიერ განპირობებული შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 988-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება.

მუხლი 990. მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული

1. თუ პირი, რომელსაც ეკისრება უკან დაბრუნების ვალდებულება 976-ე და 989-ე მუხლების მიხედვით, მიღებულ საგანს, სარგებელს, სუროგატს ან მათ ღირებულებას უსასყიდლოდ გადასცემს მესამე პირს, მაშინ მესამე პირი მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.

2. მესამე პირის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას შესაბამისად გამოიყენება 979–981-ე მუხლები.

მუხლი 991. არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები

1. თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს.

2. პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას შესაბამისად გამოიყენება 979–981-ე და 985-ე მუხლები.

მუხლი 976 – შესრულების კონდიცია

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 976. ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები</p>	<p>მუხლი 976. შესრულების კონდიცია</p>
<p>1. პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ:</p> <p>ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში;</p> <p>ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოირიცხულია მოთხოვნის წარდგენა.</p> <p>2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:</p> <p>ა) შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ან</p> <p>ბ) გაგიდა ხანდაზმულობის ვადა, ან</p> <p>გ) მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები, ანდა</p> <p>დ) მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.</p>	<p>1. ვინც არარსებული ან შემდგომში გაქარწყლებული ვალდებულების შესასრულებლად სხვას რაიმეს გადასცემს, შეუძლია მოითხოვოს მიმღებისგან მისი უკან დაბრუნება.</p> <p>2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია:</p> <p>ა) <i>ზნეობრივი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში;</i></p> <p>ბ) <i>თუ შემსრულებელმა გაცნობიერებულად შეასრულა არარსებული ვალდებულება</i></p> <p>გ) <i>ან შესრულების კონდიციით უკუმოთხოვნა ეწინააღმდეგება გარიგების არანამდვილობის განმაპირობებელი ნორმის მიზანს.</i></p> <p>3. <i>ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უკუმოთხოვნა დაუშვებელია, ასევე, არაკონდიციური მოთხოვნების შემთხვევითაც.</i></p>

I. შესრულების კონდიქციის ამოსავალი დებულება, 976 I 1

976 I 1 მუხლი აყალიბებს შესრულების კონდიქციის ამოსავალ დებულებას, შესრულებისა და არარსებული (გაქარწყლებული) ვალდებულების ცნებების მეშვეობით. ამ დანაწესში მოცემული შესრულების კონდიქცია გამოიყენება შეცდომით არარსებული ვალის გადახდის, არანამდვილი, ან არშემდგარი გარიგების საფუძველზე გადახდილის უკუქცევისას და ამგვარად აერთიანებს *Condictio indebiti* და *Condictio ob causam finitam*-ის შემთხვევებს. მიუხედავად იდენტური შინაარსის დატოვებისა, 976 I 1 მუხლის რამდენიმე ხარვეზი ახალ რედაქციაში გასწორებას საჭიროებს.

ამჟამინდელი რედაქციის 976 I ა) ქვეპუნქტის მე-2 ვარიანტში მოხსენიებული „შემდგომში შემწყდარი ვალდებულება“ უმჯობესია ჩანაცვლდეს „შემდგომში გაქარწყლებული ვალდებულებით“, რადგან ცნებების დონეზე არ ასოცირდებოდეს ვალდებულების გასვლის ან მოშლის საფუძველზე შეწყვეტასთან, რა დროსაც კონდიქციური მოთხოვნა არ გამოიყენება.

კონიგმა ცალკე ვარიანტად გამოყო რეალური გარიგებების ჩაშლის გამო უკუმოთხოვნის შესაძლებლობა და ხაზი გაუსვა მას „არშემდგარი“ (რაც ქართველმა კანონმდებელმა „არწარმოშობილად“ თარგმნა) გარიგების საფუძველზე გადახდილის ხსენებით.⁴⁴ მაგალითად, უკუმოთხოვნა დაიშვება იმ შემთხვევაშიც, როდესაც შესრულების საფუძველად მდებარე ჩუქება მხოლოდ შესრულებასთან ერთად უნდა წარმოშობილიყო, თუმცა არ წარმოიშვა. არშემდგარი/არწარმოშობილი ვალდებულების ცალკე ჯგუფად გამოყოფა არ არის აუცილებელი, რადგან ის ისედაც მოცულია „არარსებული ვალდებულების“ ცნებით – ვალდებულება, რომელიც არც შესრულებამდე და არც მის შემდეგ არ წარმოშობილა.

ტერმინ „ვიტომ-კრედიტორის“ ხსენება, რომელმაც ქართულ იურიდიულ ლექსიკაში თავისი ადგილი ვერ დაიმკვიდრა, ზედმეტია და უმჯობესია, ნორმის დისპოზიციის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, უბრალოდ “მიმღებით” ჩანაცვლდეს.⁴⁵

შესაგებლით დატვირთული მოთხოვნის შესრულებას უმჯობესია ცალკე დანაწესი მიეძღვნას გსკ-ის 813-ე პარაგრაფის დარად, კერძოდ, 978-ე მუხლი, სადაც ამჟამად მოწესრიგებულია *condictio ex iniusta causa*, რომელიც უნდა ამოიშალოს (იხ. დეტალურად 978-ე მუხლში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით). შესაბამისად, 976 II ბ) მუხლით გათვალისწინებული უკუმოთხოვნის გამომ-

⁴⁴ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1541.

⁴⁵ „ვიტომ-კრედიტორი“, როგორც ტერმინი, უნდა დარჩეს მხოლოდ 988 II და 989 II მუხლებში, რადგან ამ შემთხვევაში მის გარეშე სამ პირს შორის ურთიერთობის აღწერა შეუძლებელია.

რიცხავი გარემოება, რომელიც ხანდაზმულობის შესაგებელს უკავშირდება და კონიგის კანონპროექტიდან შინაარსობრივად არასწორად იქნა გადმოღებული, ამ, 978-ე მუხლში უნდა გადანაცვლდეს. 976-ე მუხლის პირველი ნაწილში მხოლოდ ერთი წინადადება რჩება, რაც აადვილებს მის აღქმადობას და ამავდროულად ხაზს უსვამს მის, როგორც შესრულების კონდიქციის ამოსავალი დებულების, მნიშვნელობას.

976-ე მუხლი, ისევე როგორ ყველა სხვა კონდიქციის მომწესრიგებელ ამოსავალი ნორმა, უნდა დასათაურდეს კონდიქციის ტიპისდა მიხედვით („შესრულების კონდიქცია“, „ხელყოფის კონდიქცია“, „დანახარჯების კონდიქცია“, „რეგრესის კონდიქცია“), როგორც თავიდანვე იყო ჩაფიქრებული კონიგის მიერ. ეს პირველი რიგში გააადვილებს ამ მთავარი დანაწესების შეცნობადობას, დამატებითი ნორმების მათთვის მიკუთვნებას და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მკითხველს კონდიქციური სამართლის სტრუქტურის უკეთ აღქმას.

II. არარსებული ვალდებულების გაცნობიერებული შესრულება, 976 II ბ)

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 976. ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები</p> <p>...</p> <p>2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:</p> <p>გ) მიძღვება შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები, ანდა</p>	<p>მუხლი 976. შესრულების კონდიქცია</p> <p>...</p> <p>2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია:</p> <p>ბ) თუ შემსრულებელმა გაცნობიერებულად შეასრულა არარსებული ვალდებულება</p>

გსკ-ის 814-ე მუხლის პირველი ვარიანტში დაფიქსირებული შესრულების კონდიქციის გამომრიცხველი გარემოება უფრო სწორად კი მისი ნეგატიური წინაპირობა, კონიგმა თავის კანონპროექტში სახეცვლილი ფორმით გაითვალისწინა: კონდიქციას გამორიცხავდა არა არარსებული ვალდებულების შეგნებული (შეცდომის გარეშე) შესრულება, არამედ შესრულების მიძღვების მიერ მისი ასეთად აღქმა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ფედერალური სასამართლო ცალკეულ

შემთხვევაში ამ დანაწესს მართლაც ამგვარად განმარტავს,⁴⁶ ეს მაინც განზოგადობაუუნარო გამონაკლისს წარმოადგენს. მოცემული დანაწესის შინაარსობრივი დავიწროების აუცილებლობას *კონიგი* ასაბუთებს შესრულების კონდიქციის ფარგლებში განუყოფლად შერწყმული რომაული *condictio indebiti*-სა⁴⁷ და *condictio sine causa*-ს⁴⁸ შორის მიჯნის დადების მიზნით,⁴⁹ რაც განუხორციელებელი ამოცანაა. *condictio indebiti*-სა და *condictio sine causa*-ს დიქტომიის თავიდან აღორძინება და გამომრიცხავი გარემოების მხოლოდ პირველის შემთხვევებზე გავრცელება გსკ-ის ან სსკ-ის ფარგლებში უკვე შეუძლებელია. მიუხედავად *კონიგის* მიერ გსკ-ის 814-ე პარაგრაფის პირველი ვარიანტის ახლებურად გადააზრებით დასახული მიზნებისა – მისი მოქმედების სფეროს, ერთი მხრივ, შეკვეცა, ხოლო მეორე მხრივ კი გაფართოება –, ვერც ერთი მიზანი ჯეროვნად ვერ განხორციელდა და საბოლოო ჯამში ეს დანაწესი მკვდარი ნორმის სახით დაფიქსირდა სსკ-ის ამჟამინდელ რედაქციაში.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ 976 II ბ) ქვეპუნქტში დაფიქსირდება გსკ-ის 814-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის იდენტური ფორმულირება – თუ შემსრულებელი ასრულებს არარსებულ ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ფლობს პოზიტიურ ცოდნას ამის შესახებ, უკუმოთხოვნა გამორიცხული უნდა იყოს. უკუმოთხოვნა ასევე გამორიცხულია, თუ ასრულებს მხარე, რომელსაც აქვს გარიგების შეცილების უფლება. ვინც ასრულებს საკუთარი შეცილების უფლების შესახებ ცოდნისდა მიუხედავად, ცხადყოფს ამით, რომ უნდა გარიგების შენარჩუნება (დამოუკიდებლად 61 III მუხლისა), მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოგვიანებით.⁵⁰ ამის საპირისპიროდ, მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა საკმარისი არ არის. შემსრულებელმა უნდა იცოდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებები, საიდანაც გამომდინარეობს ვალდებულების არარსებობა, არამედ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ სამართალი მას არ აკისრებს შესრულების ვალდებულებას.⁵¹ ეჭვი ან შეცდომა ვალდებულების არსებობასთან დაკავშირე-

⁴⁶ RGZ 97, 140; BGHZ 32, 273; *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1529, 1541.

⁴⁷ არარსებული ვალდებულების შესრულება, რომლის უკუმოთხოვნის წინაპირობასაც შემსრულებლის შეცდომა წარმოადგენდა.

⁴⁸ მხარის ქმედუუნარობის, ფორმის ნაკლის, კანონისა ან მორალის ნორმის დარღვევის გამო არანამდვილი ვალდებულების შესრულება, რისი უკუმოთხოვნის წინაპირობაც არ იყო შესრულებაში შეცდომა.

⁴⁹ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1529.

⁵⁰ *Mugdan*, Die gesammten Materialien zum Bürgerlichen Gesetzbuch für das Deutsche Reich, Berlin 1899, 473.

⁵¹ BGHZ 113, 62, 70; BGH NJW-RR 2008, 824, 825.

ბით გამორიცხავენ აუცილებელ პოზიტიურ ცოდნას. ბრალს არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება.

გსკ-ის 814-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის ფუნქციის მთლიანობაში გაცნობიერების შემდეგ ნათელი ხდება, რომ *კონიგის* მიერ არჩეული ფორმულირება მის მხოლოდ ერთ ეპიზოდს მოიცავს, რაც სრულებით არასაკამრისია. მაშინაც კი, როდესაც ამგვარი გადაწყვეტის სათავე *condictio indebiti*-სა და *condictio sine causa*-ს შორის დიქტომიაში უნდა ვეძებოთ, დღესდღეობით ის კონდიქციური სამართლის დამოუკიდებელ წესად ჩამოყალიბდა და წარმოადგენს *venire contra factum proprium* – პრინციპის (ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევის აკრძალვა) გამოვლინებას.⁵² ვინც გაცნობიერებულად ასრულებს ვალდებულებას, რომლის შესახებაც იცის, რომ არ არის ვალდებული შეასრულოს, არ იმსახურებს დაცვას⁵³ და გაცემულს უკან ველარ მოითხოვს, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ აღიქვამდა მის შესრულებას მეორე მხარე – უკუმოთხოვნის ბედი მთელ რიგ შემთხვევებში ვერ გადაწყდება მხოლოდ შესრულების მიმდების თვალსაწიერიდან გამომდინარე და აუცილებელია შემსრულებლის სუბიექტურ ცოდნაზე აქცენტის გაკეთება.

კონიგის მიერ არჩეული მიდგომა – მიმდების თვალსაწიერზე აქცენტის გაკეთება – თანამედროვე გერმანულ დოქტრინაში სრულებით უკუგდებულია. მაშინაც კი, როდესაც საპენსიო ფონდი პენსიონერის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების შემდეგაც აგრძელებს გადახდას,⁵⁴ ან მოიჯარე იჯარის ავტომატურ გადარიცხვას თავდაპირველი ოდენობით, მიუხედავად მისი შემცირებისა⁵⁵ და ა. შ.⁵⁶, უკუმოთხოვნის შესაძლებლობის დაშვებისათვის გადაწყვეტა არა მიმდების ნდობა – რომ მას არ შეეძლო ამგვარად მოპოვებულის სამუდამოდ შენარჩუნების ნდობა გასჩენოდა – არამედ ის, რომ შესრულებას საფუძვლად უდევს შემსრულებლის დაუდევრობა. შემსრულებელმა ამ დროს, მართალია, ზოგადად იცის საფუძვლის არარსებობის შესახებ, თუმცა უგულისყურობის გამო ავიწყდება გადახდის ავტომატიზირებული სისტემისათვის სხვა დავალების მიცემა. ამგვარი უგულისყურობა არ წარმოადგენს *venire contra factum proprium*-ს და შესაბამისად არც უნდა გამორიცხავდეს უკუმოთხოვნას.⁵⁷

⁵² Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 814 Rn. 2.

⁵³ Lorenz, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 814 Rn. 2.

⁵⁴ BGH NJW 1979, 763; AG Bad Segeberg BeckRS 2011, 26859.

⁵⁵ OLG Stuttgart ZMR 2006, 936.

⁵⁶ შდრ. დამატებითი მაგალითებისათვის OLG München NJW 2011, 80; Kort, Zivilrechtliche Folgen unangemessen hoher Vorstandsvergütung – eine „Mannesmann“-Spätlese, DStR 2007, 1131; Mühlbert, Behaltensklauseln für Vertriebsvergütungen in der institutsinternen Vermögensverwaltung – mit einem Seitenblick auf die orderbegleitende Anlageberatung, WM 2009, 487.

⁵⁷ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 814 Rn. 8; OLG Stuttgart ZMR 2006, 935.

თუ მხარე ასრულებს იმ ხელშეკრულებას, რომლის შესახებაც იცის, რომ არანამდვილია, თუმცა ელოდება მეორე მხარისაგანაც შესრულებას და (მაგ. ფორმის ნაკლის გამო არანამდვილი) ხელშეკრულების ე. წ. „მორჩენას“ ფაქტობრივი შესრულების გზით, ამ შემთხვევაშიც არ გამოიყენება სსკ-ის 814-ე პარაგრაფის 1-ლი ვარიანტი⁵⁸ და დასაშვებია უკუმოთხოვნა, თუ მეორე მხარემ თავისი წილი ვალდებულება არ შეასრულა და ხელშეკრულება არანამდვილი დარჩა. ამ დროს სახეზე არ არის ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევა და შესრულების კონდიქციით უკან მოთხოვნაც გამართლებულია, რაც ასე ცალსახა არ არის მოცემულ შემთხვევაზე სსკ-ის ამჟამინდელი რედაქციის 976 II გ) მუხლის გამოყენებისას.⁵⁹

ამგვარად, კონიგის მიერ არჩეული და სსკ-ის 976 II გ) მუხლში დაფიქსირებული გადაწყვეტა – მიმღების აღქმაზე და მის ნდობაზე აქცენტის გაკეთება – უკუსაგდება და უნდა ჩანაცვლდეს venire contra factum proprium-პრინციპის უფრო ზუსტად გამომხატველი დანაწესით.

III. არანამდვილობის ნორმის მიზანი, 976 II გ) 1

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 976. ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები</p>	<p>მუხლი 976. შესრულების კონდიქცია</p>
<p>...</p> <p>2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:</p> <p>დ) მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.</p>	<p>...</p> <p>2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია:</p> <p>ბ) თუ</p> <p>გ) ან შესრულების კონდიქციით უკუმოთხოვნა ეწინააღმდეგება გარიგების არანამდვილობის განმაპირობებელი ნორმის მიზანს.</p>

ამჟამინდელი რედაქციის 976 II დ) მუხლი, უფრო ზუსტად კი შესაბამისი ნორმა კონიგის კანონპროექტიდან (§ 1.1. (2) d) მიზნად ისახავს შესრულების კონდიქციით უკუმოთხოვნის გამორიცხვას იმ შემთხვევებში, როდესაც გარიგება არანამდვი-

⁵⁸ *Sprau*, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 814 Rn. 6; BGHZ 73, 202, 205 f.; BGH NJW 1999, 2892; OLG Hamm NJW-RR 2003, 974; OLG Düsseldorf NJW-RR 1986, 692.

⁵⁹ გამომდინარე იქიდან, რომ ეს დანაწესი წინა პლანზე მიმღების ნდობის დაცვას აყენებს და არა ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევის აკრძალვას.

ლია კანონის ან მორალის ნორმის საფუძველზე და რომლითაც დასახული მიზანიც ჩაიშლებოდა კონდიქციით უკუმოთხოვნის შემთხვევაში.⁶⁰ გამყვეფი სესხის მეშვეობით გაყვეფილ მსესხებელს ამ გარიგების არანამდვილობის გამოაშკარავების შემდეგ არ უნდა მოუწიოს ძირი თანხის დაუყოვნებლივ დაბრუნება, რამაც ის შეიძლება უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდოს, ვიდრე გარიგების ძალაში დატოვებამ.⁶¹ ქრთამის მიმცემს არ უნდა ჰქონდეს ამ ქრთამის შესრულების კონდიქციით უკან მოთხოვნის უფლება.⁶² რადარის ამომცნობი მოწყობილობის (ან პროგრამის) მყიდველს არ უნდა ჰქონდეს მასში გადახდილი ფასის უკან მოთხოვნის შესაძლებლობა, როდესაც აღმოაჩენს, რომ მოტყუებით ნაკლოვანი ნივთი შეასაღეს.⁶³

რამდენადაც ცალსახა ამ დანაწესის აუცილებლობა და მისი ზოგადი მიზანი, იმდენად გაუმართლებელია ის ფორმულირება, რაც ქართველმა კანონმდებელმა აირჩია. პირველ რიგში „სავალო“ ხელშეკრულების ხსენება (რაც კანონპროექტში ნახსენები Schuldvertrag-ის არასწორ თარგმანს წარმოადგენს) მკითხველის გონებაში პირდაპირ ასოცირდება სესხის ხელშეკრულებასთან, რაც არასწორია. 976 II დ) მუხლში მოცემული გამომრიცხავი გარემოება, ისევე როგორც გსკ-ის 817 2 პარაგრაფი, გამორიცხავს როგორც არანამდვილი სესხის, ისე არანამდვილი ნასყიდობისა და ნებისმიერი სხვა გარიგების საფუძველზე უკუმოთხოვნას და ძალაშია შესრულების კონდიქციის ყველა შემთხვევისათვის.⁶⁴ შესაბამისად, „სავალო ხელშეკრულება“ ნორმის დისპოზიციიდან უკვალოდ უნდა ამოიშალოს.

გარდა ამისა, არაფრისმოქმელი და გრამატიკულად გაუმართავი „ბათილობის შესახებ ნორმა“, თავისი „დაცვითი ფუნქციით“, რომელიც გერმანული Schutzzweck-ის პირდაპირ კალკს წარმოადგენს, სასურველია შეიცვალოს უფრო გენერალური და გასაგები ფორმულირებით, როგორცაა „არანამდვილობის განმაპირობებელი ნორმის მიზანი“. „დაცვითი ფუნქცია“, გერმანული პირდაპირი შესატყვისისაგან განსხვავებით, ვერ დამკვიდრდა ტექნიკურ ტერმინად ქართული სამართალში და პირველ რიგში ასოცირდება გარიგების ერთ-ერთი მხარის დაცვის მიზანთან, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს შესაბამისი ნორმა, რაც არას-

⁶⁰ მაგალითებისათვის შდრ. *რუსიაშვილი/ენგატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 146-ე და მომდევნო გვერდები.

⁶¹ *რუსიაშვილი/ენგატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 150; RGZ 151, 73; RGZ 161, 56; BGH NJW-RR 1994, 293; BGH WM 1990, 1324; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 699.

⁶² *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 817 Rn. 69.

⁶³ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 817 Rn. 59; BGH WM 2005, 1386; LG Bonn NJW 1998, 2682.

⁶⁴ BGH NJW 1965, 1585; BGH NJW 1968, 1329; OLG Köln MDR 2013, 1071; BGH NJW 1968, 1329; BGH NJW-RR 1993, 1457; RGZ 161, 52 [55]; *Larenz/Canaris*, Schuldrecht, besonderer Teil II, 13. Auflage, München 1986, § 68 III 3 c; *Sprau*, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 817 Rn. 12.

წორია. გერმანული Schutzzweck-ი გულისხმობს არა რომელიმე მხარის, არამედ სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანს. 976 II დ) მუხლი (სამომავლო რედაქციის 976 II გ) მუხლი) უნდა გამოიყენებოდეს მაშინაც კი, როდესაც არც ერთი მხარე არ იმსახურებს დაცვას, თუმცა უკუმოთხოვნა მაინც გამორიცხული უნდა იყოს, რადგან მის გარეშე ნორმის გენერალური მიზანი ვერ რეალიზდებოდა. მაგ. „შემკვეთილი მკვლელობისას“⁶⁵ არც შემკვეთი და არც შემსრულებელი არ იმსახურებს დაცვას, თუმცა, ე. წ. გენერალური პრევენციის მიზნიდან გამომდინარე, შემკვეთის მიერ გადახდილი თანხის უკუმოთხოვნა მაინც გამორიცხულია.⁶⁶ გერმანულ Schutzzweck-ს სწორედ ეს ტექნიკური მნიშვნელობა გააჩნია და არ გულისხმობს მხოლოდ ერთი მხარის დაცვის მიზანს, რის გამოც მისი თარგმანა „დაცვით ფუნქციად“ დაავიწროებდა მის გამოყენების სფეროს.

IV. 976 II ა)-ბ) მუხლის გავრცელება არაკონდიციურ მოთხოვნებზე, 976 III

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 976. ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები	მუხლი 976. შესრულების კონდიცია
...	... 3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უკუმოთხოვნა დაუშვებელია, ასევე, არაკონდიციური მოთხოვნების მეშვეობითაც.

976 III მუხლში სასურველია დანაწესის გათვალისწინება, რომლის ანალოგი არ მოიპოვება სსკ-ის ამჟამინდელ რედაქციაში, არც კონიგის კანონპროექტში და არც გსკ-ში. დანაწესმა უნდა შეავსოს და ხელი შეუწყოს ზემოთ მოყვანილ ქვეპუნქტებში დადგენილებული წესების ჯეროვან განხორციელებას – თუ არანამდვილობის ნორმის მიზანია კონდიციური მოთხოვნის გამორიცხვა და მიღებულის მიმღებისათვის დატოვება, ან უკუმოთხოვნა გამორიცხულია ზნეობრივი ვალდებულების შესრულების ან არარსებული ვალის გაცნობიერებულად დაფარვის გამო (იხ. ზე-

⁶⁵ იხ. *Tiedtke*, Die gegenseitigen Ansprüche des Schwarzarbeiters und seines Auftraggebers, DB 1990, 2307; *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 155.

⁶⁶ შდრ. ასევე *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 151-ე და მომდევნო გვერდები.

მოთ), მაშინ ამ გადაწყვეტის გვერდის ავლა არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შემსრულებელმა სხვა ტიპის (არაკონდიციური) მოთხოვნით (მაგ. ვინდიკაციით) გამოითხოვოს უკან შესრულება. საქართველოში ამ საკითხის ნორმატიული მოწესრიგების გარეშე დატოვება და მისი გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკისათვის მინდობა არასწორი იქნებოდა, გამომდინარე პრობლემის სპეციფიკურობიდან.

გამორიცხვა პირველ რიგში ეხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმომდგარ მოთხოვნას 974 I მუხლის მიხედვით, რომელიც გერმანიაში გამოირიცხება გსკ-ის 817 2 პარაგრაფის ანალოგიით.⁶⁷ ამ ანალოგიის გარეშე შემსრულებელი კონდიციური სამართლის გაგებით, რომელიც, ჩვეულებრივ, ასევე 969-ე და მომდევნო მუხლების მიხედვითაც შემსრულებელი იქნება, გაწეული სამუშაოსა და ხარჯებისათვის მოითხოვდა ანაზღაურებას 974 I მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს მის საქმიანობას და კონდიციური უკუმოთხოვნის უფლება მას არ გააჩნია.

ვინდიკაციისა (172 I) და მისი დამატებითი მოთხოვნების (163, 164) გამორიცხვის აუცილებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც გამორიცხულია შესრულების კონდიცია, ქართულ სამართალში უფრო მწვავედ დგება, ვიდრე გერმანულში, გამომდინარე იქიდან, რომ აქ მოქმედი კაუზალობის პრინციპის გამო ვალდებულებით გარიგებასთან ერთად ავტომატურად ჩაიშლება საკუთრების გადაცემაც და შემსრულებელს გაცემულის (თუ ნივთს ეხება საქმე) დაბრუნება შეეძლება, ასევე, 172 I მუხლის მიხედვით. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების⁶⁸ თანახმად, ამ შემთხვევაშიც ანალოგიით გამოიყენება გსკ-ის 817 2 პარაგრაფი⁶⁹ – პირი, რომლის შესრულებაც ფულში ან სხვა შერევად საგანში მდგომარეობდა და უკუმოთხოვნა შეეძლო მხოლოდ (გსკ-ის 817 2 პარაგრაფის საფუძველზე გამორიცხული) შესრულების კონდიციით, არ უნდა აღმოჩნდეს უფრო უარესს მდგომარეობაში, ვიდრე საგნობრივი შესრულების განმხორციელებელი, რომელსაც უკუმოთხოვნის უფლება აქვს ასევე 172 I მუხლის მიხედვით. იგივე უნდა ითქვას დანახარჯებისა და სარგებლის ანაზღაურებაზე 163-164-ე მუხლების მიხედვით.

⁶⁷ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 817 Rn. 16; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 7 IV 2b; LG Saarbrücken ZfBR 2015, 85; ამ გადაწყვეტისაკენ იხრება ასევე გერმანული სასამართლო პრაქტიკაც BGH NJW 1962, 2010; BGH NJW 1968, 1329.

⁶⁸ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 817 Rn. 13; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 7 IV 2b; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 697; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 817 Rn. 16; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 817 Rn. 14; *Wieling*, Bereicherungsrecht, Berlin, Heidelberg 2007, § 3 III 6c; შდრ. ასევე რუსიაში, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 36.

⁶⁹ საუბრობენ ასევე გსკ-ის 814-ე პარაგრაფის (შეესაბამება სსკ-ის სამომავლო რედაქციის 976 II ა)-ბ) მუხლი) ვინდიკაციაზე გავრცელებაზე, იხ. ამასთან დაკავშირებით *Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, Tübingen 1996, 349.

ამგვარად, 976 III მუხლის მიხედვით ამ ნაწილის ა)-გ) ქვეპუნქტებში მოცემული კონდიციის გამომრიცხავი გარემოებები უნდა გავრცელდეს არაკონდიციური უკუმოთხოვნის შემთხვევებზეც, რის გარეშეც ეს დანაწესები მეტწილად აზრს დაკარგავდა (და რაც არ უნდა ამოიწუროს 172 I, 163, 164 და 974 I მუხლებით). ამ ზოგადი მიმართულების მიცემის შემდეგ უკვე დასაშვებია მისი შემდგომი დაკონკრეტების სასამართლო პრაქტიკისათვის გადალოცვა.

მუხლი 977 – კონდიქცია დასახული მიზნის მიუღწევლობისას

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 977. გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის დაუშვებლობა	<i>მუხლი 977. კონდიქცია დასახული მიზნის მიუღწევლობისას</i>
...	...

977-ე მუხლის სამომავლო რედაქციაში უნდა შეიცვალოს მხოლოდ მისი სათაური და შესაბამისობაში მოვიდეს ნორმის შინაარსთან. მიზნობრივი კონდიქციის (condictio ob rem) მომწესრიგებელი დანაწესის დასათაურება ყველაზე გამართლებული ჩანს შემდეგი ფორმულირებით: კონდიქცია დასახული მიზნის მიუღწევლობისას.

მუხლი 978 – შესრულება შესაგებლის არსებობის მიუხედავად

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 978. იძულების ან მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა</p>	<p><i>მუხლი 978. შესრულება შესაგებლის არსებობის მიუხედავად</i></p>
<p>პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე.</p>	<p>უკან უნდა დაბრუნდეს იმ მოთხოვნის შესასრულებლად გადაცემული, რომლის განხორციელებაც შესაგებლის გამო ხანგრძლივი დროით იყო გამორიცხული. 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი და 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) და გ) ქვეპუნქტები უცვლელად რჩება ძალაში.</p>

I. *condictio ex iniusta causa*-ს ამოშლის აუცილებლობა

არც თუ ისე ცალსახაა *კონდიცის* გადაწყვეტილება, *condictio ex iniusta causa*-ს (უსამართლო საფუძველიდან გამომდინარე კონდიქცია) კანონპროექტში შეტანასთან დაკავშირებით, რომელზეც გსკ-ის მამებმა თავის დროზე უარი თქვეს. ეს კონდიქცია სსკ-ის 978-ე მუხლშია დაფიქსირებული და ეხება შემთხვევას, როდესაც ერთი პირი მეორეს, არა ვალდებულების შესრულების მიზნით, არამედ მუქარის ან იძულების საფუძველზე გადასცემს რაიმეს. გადაცემულის უკან მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მიმღებს არ გააჩნდა გადაცემის მოთხოვნის უფლება, რისი მტკიცების ტვირთიც მასვე ეკისრება. ამ კონდიქციისათვის ადგილის მიჩენა შესრულების კონდიქციებს შორის და მისი პასუხისმგებლობის მასშტაბად შესრულების კონდიქციის მასშტაბის აღიარება, არც თუ ისე გამართლებული ჩანს. *condictio ex iniusta causa*, რომელიც რომის სამართლიდან მოდის, წარმოადგენდა ხელყოფის და არა შესრულების კონდიქციის ნაირსახეობას. ამასვე აღიარებს თავად *კონდიციც*, როდესაც ამბობს, რომ იძულების, ან მუქარის საფუძველზე გადახდა არ ხდება *solvendi causa*, ანუ სახეზე არ გვაქვს სხვისი ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული შევსება.⁷⁰ ამგვარად, ღიად რჩება საკითხი, მო-

⁷⁰ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2; შესრულების ცნების დეფინიციასთან დაკავშირებით იხ. *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კამუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 91-და მომდევნო გვერდი; *condictio ex iniusta causa*-ს კანონში დაფიქსირებით გამოწვეულ გაუგებრობას ემატება ის გარემოებაც, რომ ავტორი უარს ამბობს გამცემის მიერ განხორციელებული გადახდის დაფარვის მიზნის განმარტვაზე მისი მიმღების თვალსაწიერიდან.

ცემული კონდიქცია შესრულების კონდიქციას განეკუთვნება, თუ ხელყოფისას, რომლის წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს და რომლის პასუხისმგებლობის ფარგლებია (შესრულების კონდიქციის: 979-981-ე მუხლები, თუ ხელყოფის კონდიქციის: 984-985-მუხლები) მისთვის გადაწყვეტი.

კონიგის მიერ შემოთავაზებული გამართლება ამ მოთხოვნისა შემდეგია: მუქარის, ან იძულების მეშვეობით გადახდისას გადამხდელს, ჩვეულებრივ, აქვს თანხის უკან მოთხოვნის დელიქტური უფლება,⁷¹ თუმცა *condictio ex iniusta causa*-ს მიხედვით უკან მოთხოვნას ის უპირატესობა გააჩნია, რომ მომთხოვნის წამყენებელი ვალდებული არ არის ამტკიცოს დელიქტური მოთხოვნის წინაპირობები. რაც შეეხება შესრულების კონდიქციის წინაშე *condictio ex iniusta causa*-ს უპირატესობას, ამ უკანასკნელის გამოყენების შემთხვევაში არ არსებობს გადახდის უსაფუძვლობის მტკიცების ვალდებულება, ამ დროს ასეთი საფუძვლის არსებობა უნდა ამტკიცოს მოპასუხემ. ამ კონდიქციის გამოყენების სფეროდ, საბოლოო ჯამში, მაინც მხოლოდ მარგინალურ შემთხვევათა წრე რჩება, რადგან, ჩვეულებრივ, მუქარა-იძულების საფუძველზე გადამხდელი ან დელიქტური მოთხოვნის წინაპირობების დამტკიცებას შეძლებს, ან შესრულების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობისა. ამ მიზეზების გამო, მოცემულმა კონდიქციამ თავის დროზე გსკ-ში ადგილი ვერ ჰპოვა.⁷²

გარდა ამისა, 978-ე მუხლის არსებული ფორმულირება – რომელიც მიუხედავად გამოძალვისა, მიმღებს ანიჭებს შესრულების შენარჩუნების უფლებას, თუ ჰქონდა შესაბამისი მოთხოვნა – სამართლის პოლიტიკის კუთხით საკმაოდ პრობლემურია, რადგან იძლევა 118-119-ე მუხლების ფარგლებისაგან დამოუკიდებელ თვითდახმარების უფლებას, რაც შეუთავსებელია ძალადობაზე სახელმწიფოს მონოპოლიის პრინციპთან. ასევე არაცალსახაა *condictio ex iniusta causa*-ს

ეს ასე რომ არ იყოს, კიდევ იქნებოდა შესაძლებელი იძულება-მუქარის საფუძველზე გადახდილის შესრულებად მიჩნევა. მაგალითად, გარიგებების შესახებ მოძღვრების მიხედვითაც მუქარის ან იძულების ძალით გამომხატული ნება არ განიხილება, როგორც არაა, განსხვავებით *vis absoluta*-ს (აბსოლუტური ფიზიკური ძალის) გამოყენებით მოქმედების იძულებისაგან, როდესაც პირს არჩევანის თავისუფლება სრულად მოსპობილი აქვს. პირველ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ გამომხატველის ნების ავტონომიურობა სრულად არ არის უკუღვებელყოფილი. ამრიგად, თუ განხორციელებული გადახდის დაფარვის მიზანს მიმღების თვალსაწიერიდან განვმარტავდით, კიდევ შეიძლებოდა შესრულებაზე, როგორც სხვისი ქონების გაცნობიერებულ და მიზანმიმართულ შევსებაზე საუბარი, მაგრამ, თუ ამ დაფარვის მიზანს გადამხდელის თვალსაწიერიდან აღვიქვამთ, იძულებით გადახდა ვეღარ ჩაითვლება შესრულებად.

⁷¹ გსკ-ის 826-ე პარაგრაფის, ასევე 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისა და შესაბამისი სისხლის სამართლებრივი დანაწესის ურთიერთკავშირის მიხედვით; საქართველოში 992-ე მუხლის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მართლწინააღმდეგობა გამომდინარეობს შესაბამისი სისხლის სამართლებრივი ნორმიდან.

⁷² *Schlechtriem*, *Restitution und Bereicherungsausgleich in Europa II*, Tübingen 2001, 88; *König*, *ungerechtfertigte Bereicherung*, 1985, 157.

გამოყენების შემთხვევების 85-ე და მომდევნო მუხლების გამოყენების სფეროსაგან გამიჯვნა.⁷³

ამგვარად, პრობლემატურია რა *condictio ex iniusta causa*-ს ადგილი კონდიციური სამართლის დოგმატიკაში, მისი წინაპირობები, მოცემული კონდიცია გაუმართლებელია სამართლის პოლიტიკის კუთხით და ამასთან არ აქვს რეალური გამოყენების სფერო, აუცილებელია მისი ამოშლა კანონის სამომავლო რედაქციიდან.

II. შესრულება შესაგებლის არსებობის მიუხედავად

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p><i>მუხლი 978. იძულების ან მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა</i></p> <p>პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესახებ და, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლებს ჰქონდა გადაცემულზე.</p>	<p><i>მუხლი 978. შესრულება შესაგებლის არსებობის მიუხედავად</i></p> <p>უკან უნდა დაბრუნდეს იმ მოთხოვნის შესასრულებლად გადაცემული, რომლის განხორციელებაც შესაგებლის გამო ხანგრძლივი დროით იყო გამორიცხული. 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი და 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) და გ) ქვეპუნქტები უცვლელად რჩება ძალაში.</p>

შესაგებლით დატვირთული მოთხოვნის შესრულებას უმჯობესია ცალკე დანაწესი მიეძღვნას გსკ-ის 813-ე პარაგრაფის დარად, კერძოდ 978-ე მუხლი, სადაც ამჟამად მოწესრიგებულია *condictio ex iniusta causa*, რომელიც უნდა ამოიშალოს. შესაბამისად, ამჟამინდელი რედაქციის 976 II ბ) მუხლით გათვალისწინებული უკუმოთხოვნის გამომრიცხავი გარემოებაც, რომელიც ხანდაზმულობის შესაგებელს უკავშირდება და *კონიციის* კანონპროექტიდან შინაარსობრივად არასწორად იქნა გადმოღებული, ამ 978-ე მუხლში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

პირველ რიგში ეს ემსახურება 976 I 1 მუხლის შინაარსობრივ განტვირთვას. ამ ერთ ნორმაში შესრულების კონდიციის ყველა შესაძლო ვარიაციის თავის გამომრიცხავი გარემოებებთან ერთად მოწესრიგება არ უწყობს ხელს მისი შინაარსის აღქმადობას.

შესაგებლით დატვირთული მოთხოვნის შესრულების უკუმოთხოვნა და მისი გამომრიცხავი გარემოება ქმნიან ერთიან თვითკმარ დანაწესს. მათი გახლეჩა და

⁷³ იხ. *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.c.ge, 10.09.2016, მუხ. 85 ველი 32-ე და მომდევნო ველი, სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით.

976-ე მუხლში ჩამოყალიბებულ შესრულების კონდიციის სხვა შემთხვევებთან შერევა, არამიზანშეწონილია. სამომავლო რედაქციის 976-ე მუხლი კონსტრუირებულია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულების შემთხვევის გარშემო, მაშინ როდესაც შესაგებლით დატვირთული მოთხოვნის შესრულებისას ეს სამართლებრივი საფუძველი სახეზეა, თუმცა უკუმოთხოვნის მიზეზს აქ წარმოადგენს ის გარემოება, რომ შესრულების მოთხოვნა მისი განხორციელების ხანგრძლივი ვადით გამომრიცხავი შესაგებლით იყო დატვირთული. ეს ორი, განსხვავებული წანამძღვრის მქონე, შესრულების კონდიცია ცალ-ცალკე უნდა მოწესრიგდეს. არსებულ რედაქციაში შესრულების კონდიციის ამ ორი შემთხვევის 976-ე მუხლში ერთიანად მოწესრიგების გამო, თითოეულის წინაპირობები და გამომრიცხავი გარემოებები ერთმანეთში ირევა და სამართლის შემფარდებელზე დამაბნეველად მოქმედებს. მაგალითად, მკითხველს ექმნება ილუზია, რომ 976 II ა) ქვეპუნქტი გამორიცხავს ასევე შესაგებლით დატვირთული მოთხოვნის შესრულების უკან დაბრუნებასაც, რაც ცნებების დონეზე კი გამორიცხულია და პირიქით: ხანდაზმული მოთხოვნის შესრულების უკან დაბრუნების დაუშვებლობა (976 II ბ)⁷⁴ ვრცელდება, ასევე, *condictio indebiti*-ს შემთხვევაზე, რაც ასევე არასწორია.

კონიგის მიერ არჩეული გზა, როდესაც ის შესრულების ხანგრძლივი დროით გამომრიცხავი შესაგებლების ნუსხიდან იღებს ხანდაზმულობის შესაგებელს და აკეთებს ამას ხაზგასმით (§ 1.1.(2) b), გამართლებულია, თუმცა იმავე მიზნის მიღწევა შეიძლებოდა 144 II, III მუხლებზე მითითებით ამ ნორმის ტავტოლოგიის გარეშე. ამიტომაც ახალი რედაქციის 978 2 მუხლში დაფიქსირებული უნდა იყოს მხოლოდ მითითება 144 II, III მუხლებზე, მისი შინაარსის თავიდან გადმოცემის გარეშე.

გარდა ამისა, 978 2 მუხლი შეიცავს მითითებას მოცემული ტიპის შესრულების კონდიციის გამომრიცხავ სხვა გარემოებაზე, რომლებიც მოწესრიგებულია 976 II ბ) მუხლში და რომელიც ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩება.

⁷⁴ თუმცა 976 II ბ) მუხლს, გამომდინარე იქიდან, რომ არასწორად არის თარგმნილი *კონიგის* კანონპროექტიდან, დაკარგული აქვს თავდაპირველი მნიშვნელობა და სრულებით საპირისპირო მნიშვნელობა აქვს შეძენილი. დანაწესის მიზანია ხანდაზმული ვალდებულების შესრულების უკუმოთხოვნის გამორიცხვა, ამჟამინდელი ფორმულირებიდან კი გამომდინარეობს, რომ კონდიციური მოთხოვნა გამორიცხულია, თუ გავიდა (მისი, ანუ კონდიციური მოთხოვნის) ხანდაზმულობის ვადა, რაც 144 I მუხლის გარდა დამატებით მოწესრიგებას არ საჭიროებს და 976 II ბ) მუხლს ცარიელ ნორმად აქცევს.

მუხლი 979 – კონდიქციური მოთხოვნის ფარგლები

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები</p>	<p>მუხლი 979. კონდიქციური მოთხოვნის ფარგლები</p>
<p>1. უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შექმნილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით.</p> <p>2. თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით.</p> <p>3. არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა.</p> <p>4. თუ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთ-ერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების გამო, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი.</p>	<p>1. უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება მიღებულ საგანზე (ნატურით დაბრუნება), სარგებელზე, და საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურებაზე (სუროგატი).</p> <p>2. ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მიმღებმა უნდა აანაზღაუროს მიღებულის ღირებულება ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის.</p> <p>3. მიმღები თავისუფლდება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ ის არც მიღებული და არც დაზარალებით აღარ არის გამდიდრებული (განმდიდრების შესაგებელი).</p> <p>4. (1) ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევისას, რა ფარგლებშიც ერთი მხარე არ აბრუნებს მიღებულს განმდიდრების შესაგებელზე მითითებით, იმ ფარგლებში ვეღარ დაიბრუნებს გაცემულს.</p> <p>(2) ცალმხრივად შესრულების შემთხვევაში მიმღები ვერ მიუთითებს განმდიდრებაზე მის მიერ განსახორციელებელი შესრულების ფარგლებში.</p>

(3) ეს წესი არ მოქმედებს ქმედუნარო, შეზღუდულად ქმედუნარიანი, მხარდაჭერის მიმღები, მოტყუებული, იძულებული ან იმ პირის საზიანოდ, რომლის დაცვასაც ემსახურებოდა ხელშეკრულების არანამდვილობა 54-ე მუხლის მიხედვით.

5. შესრულების საგნის დაღუპვა ან გაფუჭება, რისთვისაც შემსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ნამდვილობის დროს, ყოველთვის ათავისუფლებს მიმღებს ანაზღაურების მოვალეობისაგან.

5. თუ გარიგების, რომელიც შეიძლება საცილო გამხდარიყო, უკუქცევა ხდება 405-ე მუხლის, 352-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვებუნქტის მაგივრად გამოიყენება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესები.

I. ნატურით რესტიტუცია, 979 I

979 I მუხლის ფორმულირება ახალ რედაქციაშიც თითქმის უცვლელი რჩება. ხდება მხოლოდ ნატურით დაბრუნების პრიმატის გამოკვეთა, რადგან კონდიციური მოთხოვნაც პირველ რიგში მიღებულის (ნატურით) რესტიტუციისკენაა⁷⁵ მიმართული და არა ღირებულების კომპენსაციისაკენ.⁷⁶ თუ მიღებულის (ან მისი სუროგატის) დაბრუნება საგნობრივად ჯერ კიდევ შესაძლებელია, არც კონდიციის კრედიტორს და არც მოვალეს არ აქვს უფლება აირჩიოს ამის მაგივრად ფულადი ანაზღაურება.⁷⁷

⁷⁵ v. *Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (Tübingen 1954), 333 და მომდევნო გვერდები, 368; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 72 III 1; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, 518.

⁷⁶ შდრ. *Flume*, Der Wegfall der Bereicherung in der Entwicklung vom römischen zum geltenden Recht, FS Niedermeyer (Göttingen 1953), 164, 169.

⁷⁷ BGH NJW 1995, 55; BGH ZIP 2002, 532; BGH NJW 2002, 1874; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 21; *Sprau*, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 818 Rn. 5, 18.

II. ღირებულების ანაზღაურება, 979 II

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები</p> <p>...</p> <p>2. თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით.</p>	<p>მუხლი 979. კონდიციური მოთხოვნის ფარგლები</p> <p>...</p> <p>2. <i>ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მიმღებმა უნდა აანაზღაუროს მიღებულის ღირებულება ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის.</i></p>

ახალი რედაქციის 979 II მუხლში არსებული დანაწესი შინაარსობრივად უცვლელი რჩება, კონკრეტდება მხოლოდ ის გარემოება, რომ მიმღებს ნატურით დაბრუნების ვალდებულებისგან მხოლოდ შეუძლებლობა ათავისუფლებს, რომელიც შეიძლება იყოს სუბიექტური და ობიექტური⁷⁸ და ამგვარად ნაწილობრივ იკვეთება შეუძლებლობის ცნებასთან ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილიდან. თუმცა აქ კონდიციის მოვალეს არ ეკისრება მიღებული საგნის შოვნის ან აღდგენის ზოგადი ვალდებულება,⁷⁹ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის გაკეთება უპრობლემოდ არის შესაძლებელი.⁸⁰ ეს გადაკვეთა ცნებების დონეზე ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილთან, შეგნებულად არის დაშვებული და ანიჭებს მოსამართლეს მყარ ამოსავალ წერტილს ამ ტიპის შემთხვევების გადაწყვეტისათვის, ვიდრე ამჟამინდელი არაფრისმთქმელი და ძალზე ზოგადი ფორმულირება – „რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება“.

ღირებულების განსაზღვრის მომენტი გსკ-ში ღიად არის დატოვებული. გერმანული იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა ასეთ მომენტად მიიჩნევს კონდიციური მოთხოვნის წარმოშობის მომენტს, თუ „რაიმეს“ მოპოვებისა და ღირებულების წარმოშობის მომენტი ერთმანეთს ემთხვევა, ანუ მიღე-

⁷⁸ *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 51 I 4 b; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 16 I 2; *Sprau*, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 818 Rn. 17; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 21.

⁷⁹ BGH BB 1971, 1348; BGH NJW 1991, 917; RGZ 56, 387; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 49; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 21.

⁸⁰ BGH NJW 2002, 1874.

ბულის დაბრუნება მხოლოდ ღირებულების ანაზღაურების ფორმითაა შესაძლებელი (ერთჯერადი მომსახურება, სხვისი ნივთით სარგებლობა).⁸¹ იმ შემთხვევაში კი, როდესაც მიღებულის დაბრუნება თავიდან ნატურით იყო შესაძლებელი, თუმცა მოგვიანებით დამდგარი შეუძლებლობის გამო კონდიციური მოთხოვნა ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნად გარდაიქმნა, ღირებულების განსაზღვრისათვის გადაწყვეტი უნდა იყოს ეს გარდაქმნის – ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის დადგომის – მომენტი.⁸² ეს გადაწყვეტა სსკ-ში გადმოღებულია 979 II 2 მუხლში, თუმცა მისი გადმოცემა უფრო მოკლედ შეიძლება, რის გამოც სამომავლო რედაქციის 979 II მუხლს მხოლოდ ერთი წინადადება უნდა ჰქონდეს.

„საერთო ღირებულების“ (gemeiner Wert) ხსენება, რომელიც *კონიგის* კანონპროექტის შესაბამისი ნორმიდანაა (§1.4 (2) ნასესხები და რაც გერმანულ სამართალში საბაზრო ღირებულების სინონიმად გამოყენება, სსკ-ის ნორმაში ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რადგან ამ სიტყვას ქართულ იურიდიულ ლექსიკონში ამგვარი მნიშვნელობა არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, 979 II მუხლის სამომავლო რედაქციის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილთან შეპირისპირებიდან, რომელიც დანაზოგზე აკეთებს აქცენტს და, ამგვარად, – მიღებულის სუბიექტურ ღირებულებაზე მიმღებისათვის (რამც აპელირების უფლება მას მხოლოდ განმდიდრების შესაგებლის ფარგლებში აქვს), გამომდინარეობს, რომ მე-2 ნაწილში ღირებულების ქვეშ, ამის საპირისპიროდ, მხოლოდ ობიექტური, ანუ საბაზრო ღირებულება უნდა იგულისხმებოდეს და ამის სხვაგვარად დაკონკრეტების აუცილებლობა აღარ არსებობს.

III. განმდიდრების შესაგებელი, 979 III

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები</p> <p>....</p> <p>3. არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა.</p>	<p>მუხლი 979. კონდიციური მოთხოვნის ფარგლები</p> <p>...</p> <p>3. მიმღები თავის უფლდება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ ის არც მიღებულით და არც დანაზოგით აღარ არის გამდიდრებული (განმდიდრების შესაგებელი).</p>

⁸¹ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 116; Sprau, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 818 Rn. 19; RGZ 101, 391; RGZ 119, 336; BGHZ 5, 201; BGH NJW 1963, 1301; OLG Düsseldorf ZMR 1988, 221.

⁸² BGH NJW 2006, 2847; Wendehorst, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 33; Lorenz, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 31.

ამჟამინდელ რედაქციაში მოცემული არაამომწურავი ჩამონათვალი იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმღები აღარ ითვლება გამდიდრებულად, უმჯობესია შეიცვალოს მარტივად აღქმადი ფორმულირებით. აუცილებელია ხაზგასმა იმ გარემოებისა, რომ მიმღები, რომელიც „რაიმეს“ მოპოვების მომენტში გამდიდრებული იყო, უკან დაბრუნების მომენტისათვის უკვე „აღარ არის გამდიდრებული.“ არსებული ფორმულირება „არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებული“ კონცენტრირებულია მიღებული საგნის დაბრუნების შეუძლებლობისათვის სანაცვალგებოს მიუღებლობაზე და არასაკმარისად ცხადად უთითებს ე. წ. დანაზოგებით გამდიდრების შესაძლებლობაზე. მაგალითად, „ღირებულებით გამდიდრება“ არ მოიცავს შემთხვევას, როდესაც მიმღებმა უსაფუძვლოდ მიღებული საგანი გააჩუქა და დაზოგა ამით თავისი სხვა ნივთი, რომლის გაცემაც მოუწევდა სხვა შემთხვევაში. ამ დროს მიმღები გამდიდრებულია არა უსაფუძვლოდ მიღებული საგნის, არამედ დაზოგილი საგნის ღირებულებით.

გარდა ამისა, არსებულ რედაქციაში ნახსენებია „საგნით გამდიდრების“ შესაძლებლობა, რაც წინააღმდეგობაში მოდის წინარე ნაწილთან, სადაც საუბარია ან საგნის სუბსტანციურ განადგურებაზე, ან მისი მიმღების ქონებრივი სფეროდან გასვლაზე, რის შემდეგაც მიმღები აპრიორი ვეღარ იქნება „საგნით გამდიდრებული“.

არსებული რედაქციის შინაარსობრივი ხარვეზების გათვალისწინებით უმჯობესია უარი ითქვას მასზე უფრო ზოგადი და ყოვლისმომცველი ფორმულირების სასარგებლოდ. ნებისმიერ შემთხვევაში გამდიდრების გაქარწყლების (განმდიდრების) ყველა შემთხვევის მოცვა შეუძლებელია რაიმე ამომწურავი ან არაამომწურავი ჩამონათვალის მეშვეობით და ის საბოლოო ჯამში მინც სასამართლო პრაქტიკის დასაკონკრეტებელია. ამიტომაც უმჯობესია არჩევანი გაცეთდეს ზოგადი, ღია დანაწესის სასარგებლოდ, რომელიც ხელ-ფეხს გაუხსნის სასამართლო პრაქტიკას მისი შემდეგი დაზუსტებისათვის.

გარდა ამისა, სასურველია „განმდიდრების“ გამდიდრების არ არსებობის აღმნიშვნელ ტექნიკურ ტერმინად დამკვიდრება.⁸³ ცნებითი აპარატის განუვითარებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს ცალკეული პრობლემებისათვის შესაბამისი ადგილის მიჩენას კონდიქციური სამართლის ფარგლებში და რადგან პრაქტიკა და სამეცნიერო ლიტერატურა ამ მიმართულებით ძალზე ინერტულია, უმჯობესია, თუ ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოკვეთა ისევ საკანონმდებლო დონეზე მოხდება.

⁸³ მიუხედავად იმისა, რომ განმდიდრება ძველქართულში გამდიდრების სინონიმად გამოიყენებოდა, თანამედროვე სამეტყველო ენაში მისი ეს მნიშვნელობა სრულებით მივიწყებულია და დასაშვებია, რომ ეს სიტყვა გამდიდრების ანტონიმის ტექნიკური მნიშვნელობით დამკვიდრდეს.

IV. ორმხრივი არანამდვილი გარიგების უკუქცევის წესი, 979 IV

1. სალდოს თეორია, 979 IV 1

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები</p>	<p>მუხლი 979. კონდიციური მოთხოვნის ფარგლები</p>
<p>....</p> <p>4. თუ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთ-ერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების გამო, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი.</p>	<p>....</p> <p>4. (1) ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევისას, რა ფარგლებშიც ერთი მხარე არ აბრუნებს მიღებულს განმდიდრების შესაგებელზე მითითებით, იმ ფარგლებში ველარ დაიბრუნებს გაცემულს.</p> <p>(2) ცალმხრივად შესრულების შემთხვევაში მიმღები ვერ მიუთითებს განმდიდრებაზე მის მიერ განსახორციელებელი შესრულების ფარგლებში.</p> <p>(3) ეს წესი არ მოქმედებს ქმედუუნარო, შებლუდულად ქმედუუნარიანი, მხარდაჭერის მიმღები, მოტყუებული, იძულებული ან იმ პირის საზიანოდ, რომლის დაცვასაც ემსახურებოდა ხელშეკრულების არანამდვილობა 54-ე მუხლის მიხედვით.</p>

ა) სალდოს თეორია – „მოძღვრება ფაქტობრივი სინალგამის შესახებ“

ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შესრულებები ურთიერთდაპირისპირებულ მდგომარეობაშია (სინალგამა). იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არანამდვილია, მაგრამ მხარეებმა უკვე გაცვალეს ეს საპირისპირო შესრულებები, კამათის საგანს წარმოადგენს, თუ როგორ უნდა აისახოს კონდიციის კრედიტორის უკუმოთხოვნაზე ის ფაქტი, რომ ის თვითონაც შესრულების მიმღები და კონდიციის მოვალეა.

თუ მიღებული შესრულება მიმღებთან განადგურდა ან დაზიანდა, ცალმხრივად მოწყობილი განმდიდრების შესაგებლის გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს

იმ შედეგამდე, რომ მიმღები ცალმხრივად დაიბრუნებდა გაცემულს, ხოლო მიღებულის დაბრუნების ნაწილში კი განმდიდრებაზე მიუთითებდა, რაც სრულებით არადაშავიერებად რეგულატორია და რისი თავიდან ასაცილებლად გერმანული სამართლის დოქტრინამ ე. წ. სალდოს თეორია შეიმუშავა. ამ თეორიის დოგმატური კონტურებიც დროთა განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალა, თუმცა უცვლელი დარჩა მისი ქვაკუთხედი – საპირისპირო შესრულებების სალდირების პრინციპი (საიდანაც იღებს ეს თეორია თავის დასახელებას).⁸⁴

ეს პრინციპი დღესდღეობით გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად იფუთება და საბუთდება ფაქტობრივი სინალაგმის შესახებ მოძღვრებით.⁸⁵ ის გარემოება, რომ შესრულებები, ურთიერთდაპირისპირებულად იყვნენ დაგეგმილი და გაცვლილი, გადამწყვეტია ასევე მათი უკუქცევისასაც იმგვარად, რომ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს აღარ შეუძლია იზოლირებულად მოითხოვოს უკან საკუთარი შესრულება, თუ ის თავის მხრივ ვეღარ აბრუნებს მიღებულს განმდიდრების გამო. მიღებული და გაცემული შესრულებების ღირებულებები უნდა დაჯამდეს (სალდირება), და რა ნაწილშიც მიმღები ვეღარ აბრუნებს მიღებულს, იმ ნაწილში (იმ ოდენობით) ვეღარ დაიბრუნებს გაცემულს. ურთიერთდაპირისპირებული შესრულებების სალდირება უნდა მოხდეს მათი ღირებულების გათვალისწინებით იმ მომენტისათვის, რა მომენტშიც ერთი მხარისათვის მიღებულის დაბრუნება შეუძლებელი შეიქმნა და წარმოეშვა განმდიდრების შესაგებებლზე მითითების შესაძლებლობა,⁸⁶ რაც შეესაბამება სამომავლო რედაქციის 979 II მუხლში ხაზგასმულ პრინციპს („ამ მომენტისათვის“, იხ. ზემოთ).

⁸⁴ იხ. სალდოს თეორიის ჩამოყალიბებასთან და განვითარებასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 155-ე და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი*, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, სამართლის ჟურნალი № 1 (2013), 225-ე და მომდევნო გვერდები.

⁸⁵ *v. Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel I (1954), 384-ე და შემდეგი გვერდები, *Leser*, Von der Saldotheorie zum faktischen Synallagma, Freiburg 1956, 110; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 17 III 3 b; *Esser/Weyers*, Schuldrecht II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, 113-ე და შემდეგი გვერდი; *Leser*, Der Rücktritt vom Vertrag, Tübingen 1973, 111-ე და შემდეგი გვერდები; *Pawlowski*, Rechtsgeschäftliche Folgen nichtiger Willenserklärungen, Göttingen 1966, 37-ე და შემდეგი გვერდები; *TH. Honsell*, Die Saldotheorie – Erweiterung oder Restriktion des § 818 Abs 3 BGB? JZ 1980, 803-ე და შემდეგი გვერდი; *H. Honsell*, Der defekte Mähdrescher – BGHZ 78, 216, JuS 1982, 814; იხ. ქართულ ენაზე ამასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 158-ე და მომდევნო გვერდები.

⁸⁶ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 17 III 3 c aa) (2).

ბ) სალდოს თეორიის ამოსავალი დებულებისა საკანონმდებლო მოწესრიგება, 979 IV 1

ამგვარად, სალდოს თეორიის მთავარი დებულება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ორმხრივი არანამდვილი გარიგების უკუქცევისას, თუ ერთი მხარისათვის მიღებულის დაბრუნება მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელია, მაშინ მისი კონდიციური მოთხოვნაც მცირდება ამავე ოდენობით.⁸⁷

კონიგის კანონპროექტში არსებული დანაწესი, მიუხედავად იმისა, რომ ის ზუსტად არ უთითებს, თუ სალდოს თეორიის რომელ ვარიანტს მინიჭა უპირატესობა,⁸⁸ მაინც ფაქტობრივი სინალაგმის შესახებ მოძღვრების კანონში განსხეულებად უნდა მივიჩნიოთ.⁸⁹ თუმცა მისი ფორმულირება აშკარად ბუნდოვანია და შეცვლას საჭიროებს. მაშინ როდესაც გერმანელი იურისტისათვის თავისთავად გასაგებია, თუ რას ნიშნავს ორმხრივი გარიგების უკუქცევის სპეციალური წესი – სალდოს თეორია და მისი გამოყენებისათვის მხოლოდ ნორმატიულ დასაყრდენს საჭიროებს, საიდანაც გამოიყვანს, როგორც წესს, ისე გამონაკლისს, ქართულ სამართალში აუცილებელია ჯერ ამ თეორიის ამოსავალი დებულების ახსნა და მხოლოდ ამის შემდეგ ამ თეორიიდან გამონაკლისზე საუბარი. არსებულ დანაწესში კი მხოლოდ გამონაკლისია მოწესრიგებული – შემთხვევა, როდესაც სალდოს თეორია არ მოქმედებს, საიდანაც სამართლის შემფარდებელმა თავად უნდა გამოიყვანოს უკუდასკვნით ამ თეორიის ამოსავალი დებულება, რაც ქართულ პრაქტიკაში გაურკვეველობას განაპირობებს და ამ ნორმას მკვდარ ნორმად აქცევს.

შესაბამისად, პირველ რიგში აუცილებელია გამოიკვეთოს სალდოს თეორიის მთავარი დებულება, რომ ის წარმოადგენს ორმხრივად შესრულებული ხელშეკრულების უკუქცევის წესს:

მაგ. ა-მ იყიდა ბ-საგან მანქანა (რეალური ღირებულება: 12 000) 10 000 ლარად. მას შემდეგ, რაც ორივე მხარემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება აბრალის გარეშე მოყვა ავარიისაში, რამაც მანქანის ღირებულება განახევრა. მოგვიანებით მხარეებმა შეიტყვეს გარიგების არანამდვილობის შესახებ.

ამ დროს “განმდიდრების რისკი” შესრულების მიმღებ ა-ს აწევბა. ის ვერ დააბრუნებს განახევრებული ღირებულების მქონე მანქანას და ვერ მოითხოვს სანაცვლოდ ნასყიდობის მთლიან ფასს უკან. ა, თუ დააბრუნებს 6 000 ღირებულების მქონე მანქანას, სანაცვლოდაც ნასყიდობის ფასიდან მხოლოდ 4 000 დაიბრუ-

⁸⁷ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 17 III 3 c aa) (2).

⁸⁸ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1548.

⁸⁹ *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 277-ე და მომდევნო გვერდები.

ნებს.⁹⁰ ეს გადაწყვეტა საკანონმდებლო დონეზე შეიძლება გადმოიცეს შემდეგი ფორმით: *რა ფარგლებშიც ერთი მხარე არ აბრუნებს მიღებულს განმდიდრების შესაგებელზე მითითებით, იმ ფარგლებში ვეღარ დაიბრუნებს გაცემულს*. ამით გასაგები ხდება როგორც მისი ამოსავალი პრინციპი, ისე მისი მოქმედება კონკრეტულ შემთხვევაში. მოცემულ ნორმატიულ გადაწყვეტაში დაფიქსირებულია როგორც სალდოს თეორიის გულის გული – გაცვლილი შესრულებების ღირებულებებს შორის სალდირება (ერთგვარი უკან დაბრუნების მოთხოვნების შემთხვევაში⁹¹), ასევე ამ სალდირების განმაპირობებელი (ფაქტობრივი) სინალაგმატური კავშირის გაბმა საპირისპირო (მათ შორის არაერთგვაროვან⁹²) შესრულებებს შორის განმდიდრების შესაგებელის მეშვეობით – ორმხრივი ხელშეკრულების უკუქცევისას, თუ ერთი მხარე უთითებს განმდიდრების შესაგებელზე, ის ავტომატურად მოქმედებს მეორე მხარის სასარგებლოდაც. განმდიდრებული იბრუნებს მხოლოდ იმ ნაშთს, რაც რჩება მისი შესრულებისათვის განმდიდრების ოდენობის გამოკლების შემდეგ.

გ) გამონაკლისები სალდოს თეორიიდან, 979 IV 2-3

თუმცა ეს დანაწესი ვერ იქნება ამომწურავი და ისევე როგორც ზოგადად სალდოს თეორია, წარმოადგენს მხოლოდ საბაზისო წესს, რომლის მოდიფიცირებაც ხდება მთელ რიგ საგამონაკლისო შემთხვევებში.⁹³

პირველ რიგში აუცილებელია სალდოს თეორიის მოდიფიცირება შესრულების ცალმხრივად მიღებისას, მაგ.: ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში მხოლოდ ბ-მ შეასრულა, ხოლო ა-მ გადადო ნასყიდობის ფასის გადახდა გაურკვეველი დროით, რის შემდეგაც მიღებული მანქანა მასთან განადგურდა. ამ შემთხვევაში ფაქტობრივი სინალაგმატური კავშირის გაბმა უკუმოთხოვნებს შორის შეუძლებელია, რადგან ა-ს ჯერ საერთოდ არ შეუსრულებია და არც არაფრის მოთხოვნას არ აპირებს ბ-საგან. მიუხედავად ამისა, ა-ს არ უნდა ჰქონდეს ცალმხრივად განმდიდრებაზე მითითების უფლება არაფრის დაბრუნების სანაცვლოდ, რადგან

⁹⁰ იხ. სხვა მაგალითები *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო განმდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 157-ე და მომდევნო გვერდი;

⁹¹ იხ. *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 159.

⁹² არაერთგვაროვანი კონდიციური ვალდებულებების შემთხვევაში ფაქტობრივი სინალაგმა უკუდაბრუნების მოდუსზე შემდეგნაირად აისახება: არანამდვილი გაცვლის შემთხვევაში, თუ მიღებული საგანი მიმღებთან განადგურდა, ის მის მიერ გაცემულ საგანს მხოლოდ მაშინ დაიბრუნებს, თუ აანაზღაურებს მიღებულის ღირებულებას. ეს ორი კონდიციური ვალდებულება ერთმანეთთან სინალაგმატურ კავშირშია 980 II მუხლით გათვალისწინებულ შესაგებელზე მითითების გარეშეც.

⁹³ *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 161-ე და მომდევნო გვერდები.

ამით დაჯილდოვდებოდა შეუსრულებლობისათვის.⁹⁴ ამიტომაც ა-ს მის მიერ განსახორციელებელი შესრულების ფარგლებში არ უნდა ჰქონდეს განმდიდრებაზე მითითების უფლება, თუმცა მან, რა თქმა უნდა, არ უნდა დააბრუნოს ღირებულების ანაზღაურების სახით 12 000, ანუ საკუთარი შესრულების ღირებულებაზე მეტი, არამედ მხოლოდ 10 000.⁹⁵ 2 000 ფარგლებში მას შეუძლია მიუთითოს განმდიდრებაზე.

საღლოს თეორია არ უნდა მოქმედებდეს ქმედუნარო, შეზღუდულად ქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღების საზიანოდ.⁹⁶ ამ პირებს შეუზღუდავად შეუძლიათ განმდიდრების შესაგებებლზე მითითება, რადგან მათი პრივილეგირება კანონის გენერალურ მიზანს წარმოადგენს. საღლოს თეორია ემსახურება იმ კონდიქციის მოვალის დაცვას, რომლის მიერ გაცემული შესრულებაც განადგურდა მეორე მხარესთან, ანიჭებს რა მეორე მხარის განმდიდრების ფარგლებში ასევე მასაც განმდიდრების შესაგებელს. ამ დაცვას არ იმსახურებს პირი, რომელიც მოტყუებით ან იძულებით ადებინებს მეორე მხარეს გარიგებას. მოტყუებულს, ან იძულებულს შეუძლია შეუზღუდავად მიუთითოს განმდიდრების შესაგებებლზე და ამასთან მთლიანი ოდენობით დაიბრუნოს გაცემული.⁹⁷ გამონაკლისი უნდა დაიშვას ასევე გაყვლეფილის და ყველა იმ პირის სასარგებლოდ, რომლის დაცვასაც ემსახურებოდა გარიგების არანამდვილობა 54-ე მუხლის მიხედვით.⁹⁸

კონიგის მიერ დაფიქსირებული გადაწყვეტა, როდესაც ის არანამდვილობის ნორმის მიზანზე მითითებით – საღლოს თეორია არ მოქმედებს, თუ ეს წინააღმდეგობაში მოდის არანამდვილობის ნორმის მიზანთან – ყველა ამ შემთხვევის მოცვას ცდილობს, უკუსაგდება. ამ საკამოდ ჩახლართული დოგმატიკის მქონე ინსტიტუტის ნორმატიული მოწესრიგება ქართულ სამართალში ვერ ჩაეტევა ერთწინადადებიან დანაწესში, საიდანაც ზოგადი წესი უკუდასკვნით გამომდინარეობს და გამონაკლისი კი ერთბაშად ხუთ შემთხვევას მოიცავს. უმჯობესია ეს რეგულატიური კომპლექსი რამდენიმე ნორმად დანაწევრდეს.

რაც შეეხება საღლოს თეორიიდან გამონაკლისის დაშვებას იმ შემთხვევაში, როდესაც საგანი განადგურდა ნაკლის გამო, რომლისათვისაც ნამდვილი ხელშეკრულების ფარგლებში მეორე მხარე აგებდა პასუხს (ამჟამინდელი რედაქციის

⁹⁴ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 17 III 3 b.

⁹⁵ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 17 III 3 b.

⁹⁶ BGHZ 126,105; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 17 III 3 c bb); *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 230; *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 51 II 3b.

⁹⁷ BGHZ 57, 137, 149; ეს წესი უნდა მოქმედებდეს მაშინაც, როდესაც გარიგება ბათილდება არა მოტყუების ან იძულების გამო შეცილებით, არამედ სხვა საფუძველით. ამ გადაწყვეტის გათვალისწინების საშუალებას ამჟამინდელი რედაქციის 979 IV მუხლი არ იძლევა.

⁹⁸ BGHZ 78, 216, 222.

979 V მუხლი),⁹⁹ ამ გამონაკლისის გათვალისწინება კანონში სავალდებულო არ არის. სწორად მიუთითებს *მარტინეკ/როიტერი*¹⁰⁰ იმ გარემოებაზე, რომ ნივთის თანდაყოლილი ნაკლის გამო განადგურების შემთხვევაში, მისი ღირებულება სალდირებისათვის გადამწყვეტ მომენტში, რომელიც იდენტურია ნატურით დაბრუნების ვალდებულების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებად გარდაქმნის მომენტისა (979 II), ისედაც ნულის ტოლფასია – შავი ჭირით დაავადებული ძროხის ღირებულება, რა თქმა უნდა, არ განისაზღვრება მისი ამ დაავადებისაგან დამოუკიდებლად და როდესაც დაავადება ძროხას ბოლოს მოუღებს (979 II მუხლის მიხედვით ნატურით დაბრუნების ვალდებულება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებად გარდაიქმნება, რაც გადამწყვეტია ამ ღირებულების განსაზღვრისათვის) ნივთის ღირებულება ამ დროს უკვე ნულის ტოლფასია. 979 IV 1 მუხლის მიხედვით სალდირებისას მყიდველმა თავის ფასის უკან მოთხოვნის უფლებას უნდა გამოაკლოს ძროხის ეს ნულოვანი ღირებულება, რაც ნიშნავს იმას, რომ ის სრულად დაიბრუნებს ფასს, სანაცვლოდ რამის დაბრუნების გარეშე. ამ გადაწყვეტის დამატებით ნორმაში გათვალისწინების აუცილებლობა არ არსებობს, რის გამოც 979 V მუხლი უკვალოდ უნდა ამოიშალოს.

2. სალდოს თეორია და 352 IV გ) მუხლი

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები</p> <p>....</p> <p>5. შესრულების საგნის დაღუპვა ან გაფუჭება, რისთვისაც შემსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ნამდვილობის დროს, ყოველთვის ათავისუფლებს მიმღებს ანაზღაურების მოვალეობისაგან.</p>	<p>მუხლი 979. კონდიქციური მოთხოვნის</p> <p>....</p> <p>5. თუ გარიგების, რომელიც შეიძლება საცილო გამხდარიყო, უკუქცევა ხდება 405-ე მუხლის, 352-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მაგივრად გამოიყენება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესები.</p>

პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სალდოს თეორიისა და გასვლის სამართლის 352 IV გ) მუხლის კონკურენცია, რომელიც აქტუალური ხდება ყველა

⁹⁹ იხ. მაგალითისათვის *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 167-ე და მომდევნო გვერდები.

¹⁰⁰ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 17 III 3 c aa) 2.

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე ერთდროულად ფლობს ნაკლოვანი შესრულებიდან გამომდინარე გასვლისა და ნების ნაკლის გამო შეცილების უფლებებს.¹⁰¹ 405-ე მუხლის საფუძველზე გასვლის უფლებამოსილების მქონე მყიდველი თავის ამ უფლებას იყენებს, რესტიტუციულ ურთიერთობის ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს მიღებული ორმხრივად უკან უნდა დაუბრუნონ. ამ დროს მყიდველი მიღებული საგნის განადგურების შემდეგ შეიძლება საერთოდ გათავისუფლდეს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ საკუთარ საქმეებში გამოჩენილი გულისხმიერებით ექცეოდა მას (*diligentia quam in suis*). გაცემულ ფასს ის დაიბრუნებს 352 I მუხლის მიხედვით. საპირისპირო შედეგს მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ნების ნაკლის გამო შეცილების უფლებას გამოიყენებს და კონდიციით უკუქცევისას სახეზე არ იქნება გამონაკლისი სალდოს თეორიიდან.¹⁰² მყიდველი იძულებული იქნება მიღებული საგნის ღირებულება გამოქვითოს მისთვის დასაბრუნებელი ნასყიდობის ფასიდან სალდოს თეორიის მიხედვით.

ერთი და იმავე შემთხვევის ორი პარალელური გადაწყვეტის არსებობა სამართლის სტაბილურობიდან გამომდინარე დაუშვებელია. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ 352 IV გ) მუხლი სამართლის პოლიტიკის კუთხით საკმაოდ მკაცრად გაკრიტიკებულ ნორმას წარმოადგენს¹⁰³ და გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება¹⁰⁴ ცდილობს გადაუხვიოს ამ პრინციპს კონდიციური სამართლის პრინციპების სასარგებლოდ, რასაც ვერ ახერხებს, გამომდინარე იქიდან, რომ სალდოს თეორია გსკ-ში დღემდე არ არის მოწესრიგებული. ქართულ სამართალში ამ (წარუმატებელი) გერმანული გამოცდილების გათვალისწინებით უმჯობესი იქნება, თუ უარს ვიტყვით 352 IV გ) მუხლიდან გამომდინარე გადაწყვეტაზე (მყიდველის გადამეტებული პრივილეგიერებით), სალდოს თეორიის სასარგებლოდ. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, 979 V მუხლში უნდა დაფიქსირდეს ცალსახა წესი, რომელიც ამ ტიპის კოლიზიური შემთხვევებისათვის გამორიცხავს 352 IV გ) მუხლის გამოყენებას 979 IV მუხლში მოცემული სალდოს თეორიის სასარგებლოდ.

¹⁰¹ იხ. დეტალურად *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 269-ე და მომდევნო გვერდები; მაგალითისათვის *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 163-ე და მომდევნო გვერდები.

¹⁰² *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 272-ე და მომდევნო გვერდები.

¹⁰³ იხ. *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 41 და იქ მითითებული ლიტერატურა.

¹⁰⁴ შდრ. *Medicus* in: Lorenz, *Karlsruher Forum* 2005.: Schuldrechtsmodernisierung – Erfahrungen seit dem 1. Januar 2002, Karlsruhe 2006, 205 და უფრო შორს მიმავალი პოზიციით *Ernst*, *Sachmängelhaftung und Gefahrtragung*, FS Huber (2006), 234; იხ. ამასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 274-ე და მომდევნო გვერდი.

მუხლი 980 – მოთხოვნის განხორციელების წესი

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 980. ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი</p> <p>1. თუ მიმღებმა გასწია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შექცენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შექცენილად.</p> <p>2.</p>	<p>მუხლი 980. მოთხოვნის განხორციელების წესი</p> <p>1. (1) მიმღები მოვალეა დააბრუნოს საგანი მხოლოდ მის მიერ გაწეული დანახარჯებისა და მისთვის მიყენებული ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების პირობით.</p> <p>(2) ანაზღაურებას ექვემდებარება დანახარჯები, რომლებიც, კანონის ან მხარეთა შეთანხმების, საფუძველზე შემსრულებელს ეკისრებოდა ან მის ინტერესებშია.</p> <p>(3) ანაზღაურებადია მხოლოდ ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მიმღებს წარმოეშვა საგნის სამუდამოდ შენარჩუნების ნდობიდან გამომდინარე.</p> <p>2.</p> <p>3. (1) ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევა უნდა მოხდეს მხოლოდ 976-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.</p> <p>(2) 172-ე, 163-ე და 164-ე მუხლები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.</p>

I. ხარჯებისა და ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების წესი

პრობლემურ და საკმაოდ საკამათო საკითხს წარმოადგენს მიმღების მიერ გაწეული იმ დანახარჯებისა და მისთვის მიყენებული ქონებრივი დანაკლისის განსაზღვრა, რომლებიც უნდა გამოიქვითოს მიღებული გამდიდრებიდან და ამგვარად განმდიდრების შესაგებლის ნაწილს წარმოადგენს. გერმანულ სასამარ-

თლო პრაქტიკაში წარსულში გაბატონებული მოსაზრების¹⁰⁵ თანახმად, გამდიდრებას ამცირებდა ყველა ის ქონებრივი დანაკლისი (და დანახარჯი), რომელიც მიმღების ქონებას უსაფუძვლოდ მიღებულმა ადეკვატურ-კაუზალურად მიაყენა. უახლესი სასამართლო პრაქტიკა¹⁰⁶ უარყოფს ამ განმდიდრების განმაპირობებელი დანაკლისისა და დანახარჯების მხოლოდ მიზმშედეგობრიობის კრიტერიუმის მეშვეობით განსაზღვრას და რისკის გადანაწილების კრიტერიუმებზე აკეთებს აქცენტს – გადამწყვეტი უნდა იყოს, კონდიქციური ურთიერთობის რომელმა მხარემ უნდა ატაროს კონკრეტული დანახარჯებისა და ქონებრივი დანაკლისის რისკი. ამის საპირისპიროდ, ლიტერატურაში გაბატონებული¹⁰⁷ მოსაზრების თანახმად, მხოლოდ ისეთი ქონებრივი დანაკლისი და დანახარჯები განაპირობებს განმდიდრებას, რომელიც წარმოეშობა მიმღებს მიღებულის სამუდამოდ შენარჩუნების ნდობიდან გამომდინარე.

*კონიგმა*¹⁰⁸ თავის კანონპროექტში ეს უკანასკნელი გადაწყვეტა აირჩია. თუმცა მიმღების ნდობა მაშინ, როდესაც სრულებით გამართლებული კრიტერიუმია ქონებრივი დანაკლისის განმდიდრებად დაკვალიფიცირებისათვის, დანახარჯების შემთხვევაში ყოველთვის არ იძლევა სწორი დიფერენცირების შესაძლებლობას. ამიტომ ამ შემთხვევაში უმჯობესია სასამართლო პრაქტიკის მიერ ხსენებული კრიტერიუმის მოშველიება და განმდიდრების შესაგებლის განმაპირობებელი ხარჯების რისკის სფეროებისდა მიხედვით გამიჯვნა. განმდიდრებას წარმოადგენს ის დანახარჯები, რომლებიც, კანონის ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, შემსრულებელს ეკისრებოდა. მაგალითად, მიღებულის სამუდამოდ შენარჩუნების მიმართ ნდობა არასაკმარისად მყარი კრიტერიუმია ხელშეკრულების განხორციელების იმ ხარჯების ანაზღაურებისათვის, რომლებიც, კანონის ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, გამყიდველს ეკისრებოდა და სინამდვილეში კი მყიდველმა გაიღო – აქ გადამწყვეტია არა მიმღების ნდობა, არამედ ეს კანონისმიერი (შესაბამის შემთხვევაში – გარიგებისმიერი) გადანაწილება ამ ხარჯებისა. მყიდველის მიერ მოძრავი ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯების (478), ისევე როგორც, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების ხარჯების (479) კისრება, ანიჭებენ მას განმდიდრების შესაგებელს ამ ოდენობით,¹⁰⁹

¹⁰⁵ BGHZ 1, 75, 81; BGH NJW 1981, 277, 278; RGZ 106, 4, 7; შდრ. ასევე Motive zu dem Entwurfe eines bürgerlichen Gesetzbuches für das deutsche Reich II, Berlin, 1896, 468.

¹⁰⁶ BGHZ 109, 139, 145; BGHZ 116, 251, 255.

¹⁰⁷ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 73 I 2 a; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 150; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 14 II 1; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 18.

¹⁰⁸ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1546.

¹⁰⁹ *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 37; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 818 Rn. 79-ე და მომდევნო ველები.

განსხვავებით, მაგალითად, ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯებისაგან (478).¹¹⁰

გარდა ამისა, მიღებულის სამუდამოდ შენარჩუნების მიმართ ნდობა გამოუსადეგარი კრიტერიუმია იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველმა ნასყიდობის ფასის დასაფინანსებლად პროცენტის სესხი აიღო. სესხის აღებისა და პროცენტის ხარჯები ცალსახად განპირობებულია ნასყიდობის საგნის სამუდამოდ შენარჩუნების მიმართ ნდობით. მიუხედავად ამისა, არასწორია, რომ მყიდველმა ნასყიდობის არანამდვილობის გამოაშკარავების შემდეგ გამყიდველს 979 I მუხლის საფუძველზე მოსთხოვოს სარგებელი (პროცენტები) გადაცემული ნასყიდობის ფასიდან და, ამასთან, თავად მიუთითოს სესხის პროცენტებზე, როგორც განმდირებაზე.¹¹¹ მყიდველს არ უნდა ჰქონდეს ამ ორმაგი სარგებლის რეალიზების საშუალება,¹¹² არა ნდობის არარსებობის გამო, არამედ ეკონომიკური ინტერესის კრიტერიუმის საფუძველზე – გამომდინარე იქიდან, რომ გამყიდველს უწევს პროცენტების, როგორც სარგებლის, დაბრუნება, მას არ აქვს ინტერესი მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის დაფინანსების ხერხთან დაკავშირებით და ამას მყიდველი მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამო აკეთებს. გამყიდველისათვის სულ ერთია, თუ რა გზით მოიპოვებს მყიდველი ნასყიდობის საფასურს. ამის საპირისპიროდ, მიღებული საგნის ჩვეულებრივი მოვლის ხარჯები, ისევე, როგორც სარგებლისა და ნაყოფის მიღებისათვის გაწეული დანახარჯები, უნდა გამოაკლდეს უკან დასაბრუნებელ გამდირებას¹¹³ (უფრო ზუსტად: მიღებული დაბრუნდეს მხოლოდ ამ ხარჯების ანაზღაურების პირობით) გამომდინარე იქიდან, რომ ისინი კონდიქციის კრედიტორის ინტერესებშია – ის იბრუნებს ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნებულ საგანს და, გარდა ამისა, 979 I მუხლის მიხედვით, ასევე, იმ სარგებელს, რომლის რეალიზებაც კონდიქციის მოვალის მიერ გაწეული ხარჯების შედეგად მოხდა. ამ ორი შემთხვევის (პროცენტის სესხი ნასყიდობის ფასის დასაფინანსებლად და სარგებლის მიღებისათვის გაწეული დანახარჯები) ერთმანეთისაგან გამიჯვნისათვის გადამწყვეტია *ინტერესის*¹¹⁴ კრიტერიუმი და არა სამუდამოდ შენარჩუნების ნდობის კრიტერიუმი.

¹¹⁰ იხ. სხვა მაგალითებისათვის BGHZ 116, 256; BGH NJW 1992 1038; BGH NJW 1970, 2059; OLG Hamm WM 1982, 833; RGZ 118, 187.

¹¹¹ შდრ. BGH NJW 1992, 1037; BGH NJW-RR 1992, 590; OLG Hamm NJW-RR 1993, 591; OLG Rostock BeckRS 2013, 09795.

¹¹² Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 143; BGH vom 25.10.1995 – VIII ZR 42/94 – LM § 818 Abs. 2 BGB Nr. 35 mit Anm. Pfeiffer.

¹¹³ BGH NJW 1983, 1907; Lorenz, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 37.

¹¹⁴ BGHZ 116, 256.

II. ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევის გამორიცხვა ვინდიკაციითა და მისი დამატებითი მოთხოვნების მიხედვით, 980 III

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 980. ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი	მუხლი 980. მოთხოვნის განხორციელების წესი
1. ...	1. ...
2. ...	2. ...
	3. (1) ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევა უნდა მოხდეს მხოლოდ 976-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.
	(2) 172-ე, 163-ე და 164-ე მუხლები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.

ქართულ სანივთო სამართალში მოქმედი კაუზალობის პრინციპის საფუძველზე (186 I) კაუზალური ვალდებულებითი გარიგების არანამდვილობა იწვევს, ასევე, საკუთრების გადაცემის არანამდვილობას, რის გამოც შემსრულებელი რჩება მესაკუთრე და ინარჩუნებს ვინდიკაციით უკუმოთხოვნის შესაძლებლობას. ამგვარად, გაცემულის უკუმოთხოვნისას ვინდიკაცია და მისი დამატებითი მოთხოვნები კონკურირებენ შესრულების კონდიქციასთან და მის დამატებით მოთხოვნებთან.¹¹⁵ ამ ვინდიკაცია-შესრულების კონდიქციის კონკურენციის საკითხი აუცილებელია გადაწყდეს ერთი ან მეორე რეგულატიური კომპლექსის სასარგებლოდ და დაუშვებელია მათი პარალელური გამოყენება, პირველ რიგში, დაკავების უფლების არარსებობის გამო. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ ერთმანეთსაა აცდენილი 163-ე და 980 I მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ჩარჩოები. გარდა ამისა, ვინდიკაციითა და მისი დამატებითი მოთხოვნებით უკუქცევისას ყურადღების მიღმა რჩება სალდოს თეორიის პრინციპები, რაც ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევის ოპტიმალურ მოდუსს წარმოადგენს.¹¹⁶

¹¹⁵ იხ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 256-ე და მომდევნო გვერდები.

¹¹⁶ *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 155-ე და მომდევნო გვერდები.

ვინდიკაციური და კონდიქციური დანაწესების კონკურენცია ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევისას უნდა გადაწყდეს კონდიქციური რეგულაციური კომპლექსის სასარგებლოდ და ის უნდა იქნეს აღიარებული ამ ხელშეკრულების უკუქცევის სპეციალურ წესად, რომლის წინაშეც ვინდიკაციამ და მისმა დამატებითმა მოთხოვნებმა უკან უნდა დაიხიონ, როგორც სუბსიდიარულმა ინსტრუმენტმა.¹¹⁷

ვინდიკაცია გამორიცხული უნდა იყოს, როდესაც მესაკუთრე მფლობელის წინაშე განსაკუთრებული, მფლობელობის გადაცემით განპირობებული ვალდებულებითი ურთიერთობით არის შებოჭილი, რომელსაც დაუქვემდებარა საკუთარი (როგორც მესაკუთრისათვის მიკუთვნებული) პოზიციები. ამგვარად, მას კუთვნილი ნივთის დაბრუნება მხოლოდ ამ ვალდებულებითი ურთიერთობის წესების შესაბამისად უნდა შეეძლოს.¹¹⁸ „მფლობელობის გადაცემის, როგორც კერძო ავტონომიური აქტის“ გამო ვინდიკაცია, როგორც განსაკუთრებული გამოვლინება ხელყოფის კონდიქციის სუბსიდიარულობისა, უკან უნდა იხევდეს შესრულების კონდიქციის წინაშე.¹¹⁹

ეს პრინციპი უნდა გამყარდეს ახალი რედაქციის 980 III მუხლში, რის აუცილებლობასაც განსაკუთრებით ნათელყოფს ქვემოთ მოყვანილი არგუმენტები.

¹¹⁷ იხ. ვინდიკაციისა და მისი დამატებითი მოთხოვნების სუბსიდიარულობასთან დაკავშირებით *Siber*, Der Rechtszwang im Schuldverhältnis nach deutschem Reichsrecht, Leipzig 1903, 125-ე და მომდევნო გვერდები; *Siber*, Passivlegitimation bei der rei vindicatio als Beitrag Zur Lehre Von Der Aktionenkonkurrenz, Leipzig 1907, 249; *Raiser*, Eigentumsanspruch und Recht zum Besitz, FS M. Wolff (1950), 123-ე და მომდევნო გვერდები, 139-ე და მომდევნო გვერდები; *Raiser*, Verwendungsansprüche des Werkunternehmers, JZ 1958, 683-ე და მომდევნო გვერდები; *Raiser*, Die Subsidiarität der Vindikation und ihrer Nebenfolgen, JZ 1961, 529-ე და მომდევნო გვერდები; *Wolff/Raiser*, Sachenrecht, 10. Aufl., Tübingen 1957, § 84 I 2; *Waltjen*, Das Eigentümer-Besitzer-Verhältnis und Ansprüche aus ungerechtfertigter Bereicherung, AcP 175 (1975), 120; *Bälz*, Ersatz oder Ausgleich – Zum Standort der Gefährdungshaftung im Licht der neuesten Gesetzgebung, JZ 1992, 65; *Bälz*, Zum Strukturwandel des Systems zivilrechtlicher Haftung, Tübingen 1991, 54; *Bälz*, Leistung-Rückgriff-Durchgriff, FS Gernhuber (1993), 44; *Wieling*, Sachenrecht, 5. Aufl., Berlin/Heidelberg 2007, § 12 I 3 c; *Honsell*, Die zivilrechtliche Sanktion der Sittenwidrigkeit, JZ 1975, 441; *Finkenauer*, Das faktische Synallagma und die Lehre von der Gesamtabrechnung, JuS 1998, 986; იხ. ამ მოსაზრებების შეჯამებისათვის *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 31-ე და მომდევნო გვერდები.

¹¹⁸ *Raiser*, Eigentumsanspruch und Recht zum Besitz, FS M. Wolff (1950), 237.

¹¹⁹ *Raiser*, Verwendungsansprüche des Werkunternehmers, JZ 1958, 531 სქ. 8; *Waltjen*, Das Eigentümer-Besitzer-Verhältnis und Ansprüche aus ungerechtfertigter Bereicherung, AcP 175 (1975), 120; *Bälz*, Ersatz oder Ausgleich – Zum Standort der Gefährdungshaftung im Licht der neuesten Gesetzgebung, JZ 1992, 65; *Wieling*, Sachenrecht, 5. Aufl., Berlin/Heidelberg 2007, § 12 I 3 c; *v. Caemmerer*, Leistungsrückgewähr bei gutgläubigem Erwerb, FS Boehmer (1954), 154 სქ. 42.

1. დაკავების უფლების გარეშე კონდიქციური და ვინდიკაციური პარალელური გადაწყვეტის შესაბამისობაში მოყვანის შეუძლებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ მოიპოვება დანაწესი, რომელიც ერთი და იმავე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ კონდიქციასა და ვინდიკაციას ერთმანეთთან დააკავშირებდა და მხარეებს მიანიჭებდა თავიანთი შესრულებების ერთდროულად დაბრუნების შესაძლებლობას. ამგვარი პრინციპის არარსებობამ კი პრაქტიკაში შეიძლება იმ შედეგამდე მიგვიყვანოს, რომ, როდესაც ერთი მხარე თავის შესრულებას ვინდიკაციით, ხოლო მეორე კონდიქციით ითხოვს უკან, გაცემულის დაბრუნების ბედი დასწრებაზეა დამოკიდებული. ანუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ვალდებული იქნება მიღებული შესრულება დაუბრუნოს კრედიტორს, რომელიც უკვე გაკოტრდა, თავად კი დასჯერდეს გაკოტრებულის ქონებიდან მისთვის დარჩენილ წილს.

დანაწესები, რომლებსაც შეუძლიათ დაპირისპირებული მოთხოვნების ურთიერთკავშირში მოყვანა, მოწესრიგებულია კონკრეტული ინსტიტუტების შიგნით და ვრცელდება მხოლოდ ერთგვაროვანი მოთხოვნების შემთხვევებით უკუქცევამდე. მაგალითად, 163 III მუხლის მიხედვით, ნივთის კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია მანამ არ დააბრუნოს ეს ნივთი, სანამ არ დაკმაყოფილდება მისი, როგორც არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის, საპირისპირო მოთხოვნები, თუმცა ამ დაკავების უფლების ფარგლებში მესაკუთრის ვინდიკაციას ვერ დავუპირისპირებთ მფლობელის საპირისპირო კონდიქციას, როდესაც ეს არაუფლებამოსილი მფლობელი ამავდროულად შემსრულებელიცაა. გარდა ამისა, ამ დანაწესების შემთხვევით არ ხერხდება ორი ვინდიკაციის – როდესაც, მაგალითად, არანამდვილი გაცვლიდან ერთმანეთს ორი არაუფლებამოსილი მფლობელი უპირისპირდება – დაკავების უფლების შემთხვევით ერთმანეთთან დაკავშირება, რის გამოც, 163 III მუხლი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არ გამოდგება ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუსაქცევად.¹²⁰

ამის საპირისპიროდ, 980 II მუხლით გათვალისწინებული დაკავების უფლება შექმნილია ორმხრივი ხელშეკრულების უკუსაქცევად და მოიცავს ურთიერთსაპირისპირო უსაფუძვლო გამდიდრებისმიერ დაბრუნების ვალდებულებას, როგორც გამდიდრების საგანთან დაკავშირებით, ასევე მისგან წარმომდგარ სარგებელთან და მასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და ქონებრივი დანაკლისის მიმართ. თუმცა ეს დანაწესი ვინდიკაციის მიმართ არ მოქმედებს,¹²¹ რაც წარმოადგენს

¹²⁰ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 142.

¹²¹ მართალია, არსებობს ასევე მესამე დანაწესიც, კერძოდ სსკ-ის 369-ე მუხლი, მის მიხედვით პირი, რომელსაც ეკისრება ვალდებულება ორმხრივი გარიგებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია დააყოვნოს შესრულება საპირისპირო შესრულების მიღებამდე (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის ვალდებული იყო წინასწარ შეესრულებინა), თუმცა ეს წარმოადგენს გსკ-ის 320-ე პარაგ-

ცალსახა მინიშნებას იმასთან დაკავშირებით, რომ ორმხრივი გარიგების უკუქცევა მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიხედვით უნდა მოხდეს.¹²²

2. 163-ე და 979-ე, 980 | მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ჩარჩოები ურთიერთაცდენა

979-ე, 980 | მუხლების, როგორც ამჟამინდელი, ისე სამომავლო რედაქცია დეტალურად აწესრიგებს შესრულების მიმდინაობის მიერ შესრულების საგნიდან მიღებული სარგებლის, გაწეული დანახარჯებისა და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების წესს. ეს დანაწესები მაქსიმალურად ითვალისწინებენ ორმხრივი შესრულების ურთიერთობის ფარგლებში არსებულ ინტერესთა გადანაწილებას და ცდილობენ მათ შორის კომპრომისის მონახვა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია.

ამის საპირისპიროდ, 163-ე მუხლი არ შეიცავს საერთოდ არანაირ დანაწესს ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.¹²³ ასევე არ ასხვავებს იმ შემთხვევებს შორის, როდესაც არაუფლებამოსილ მფლობელს შეეძლო ნივთი სამუდამო შეძენილად მიეჩნია და როდესაც მას ამის უფლება არ ჰქონია. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში¹²⁴ გამოთქმული მოსაზრების მცდარობა, რომლის მიხედვითაც, ვინდუკაციამ და მისმა თანმდევმა მოთხოვნებმა კონკურენციისას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განდევნონ კონდიქციისმიერი დანაწესები, განსაკუთრებით ნათლად იკითხება 980-ე მუხლიდან. ვინდუკაციური დანაწესები ყოველთვის უპირატესად გამოსაყენებელ მოთხოვნებს რომ წარმოადგენდეს, მაშინ 980-ე მუხლს გამოყენების სფერო აღარ დარჩებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ დანაწესს ვეღარ გამოვიყენებდით, როდესაც შემსრულებელი ამავდროულად მესაკუთრეც იქნებოდა, ხოლო შემთხვევა, როდესაც შემსრულებელი არ იყო მესაკუთრე და მიმღებმა მაინც მიიჩნია ნივთი სამუდამოდ შეძენილად, რთული

რაფის შესატყვისს, რომლის წინაპირობაცაა სინალაგმატური კავშირი შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, რაც ვინდუკაციისა და კონდიქციის დაპირისპირებისას, სწორედ რომ, არ გვაქვს სახეზე. ჩვენი დისკუსიის საგანს წარმოადგენს პრობლემა, თუ როგორ შეიძლება ორი არაერთგვაროვანი მოთხოვნა, რომელთა შორისაც აპრიორი შინაგანი კავშირი არ არსებობს, სინალაგმატურად დავაკავშიროთ. ამ პრობლემის გადაწყვეტა იმგვარად, რომ მასზე ანალოგიით გამოვიყენოთ დანაწესი, რომლის წინაპირობასაც თავად წარმოადგენს ურთიერთდაპირისპირებულ მოთხოვნებს შორის სინალაგმატური კავშირი, დოგმატური თვალსაზრისით აბსურდს წარმოადგენს, რის გამოც ამ დანაწესის ანალოგიით გამოყენება ვინდუკაცია-კონდიქციის კონტრადიქტორულ წყვილზე ვერ გახდება სერიოზული დისკუსიის საგანი.

¹²² *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 258.

¹²³ იხ. ამასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 129-ე და მომდევნო გვერდები.

¹²⁴ *ჩაჩავა*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი 2010, 146.

წარმოსადგენია. გინდ წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა, მაინც რთულად ასახსნელია, თუ რატომ უნდა შეეძლოს მიმღებს მხოლოდ ამ ერთადერთ შემთხვევაში დანახარჯების სრული ოდენობით მოთხოვნა, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში კი 163-ე მუხლზე იყოს დამოკიდებული. ეს არგუმენტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს¹²⁵ ყურადღების მიღმა რჩება, როდესაც ის თავის 2010 წლის გადაწყვეტილებაში ბინის არანამდვილი ნასყიდობის უკუქცევისას ხარჯების გამწვევ მფლობელს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას 163 II მუხლის მიხედვით ანიჭებს.

გერმანულ ლიტერატურაში¹²⁶ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, არაუფლებამოსილი მფლობელობიდან და უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლებების კონკურენციისას ამ ინსტიტუტების განსხვავებული მიზნებია გასათვალისწინებელი. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ემსახურება ქონების უსაფუძვლო მოძრაობის აღმოფხვრას. ამის საპირისპიროდ, არაუფლებამოსილი მფლობელის მხრიდან დანახარჯების მოთხოვნა ემსახურება მხოლოდ იმ ხარჯების კომპენსირებას, რომლებიც მესაკუთრისათვის სასარგებლო აღმოჩნდა. 980-ე მუხლი მიზნად ისახავს გამდიდრების მიმღებისათვის გამდიდრების ობიექტთან დაკავშირებული ყველა ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურებას, მათ შორის იმ დანაკლისისაც, რომელიც ვერ გამოიწვევს მესაკუთრის გამდიდრებას, რაც განასხვავებს კიდევ მათ დანახარჯებისაგან. ერთადერთი ნიშანი, რომელიც უნდა ახასიათებდეს ანაზღაურებად ქონებრივ აქტივებს, არის ის, რომ ისინი გაწეული უნდა იყოს ნივთის სამუდამოდ შექენასთან დაკავშირებული ნდობიდან გამომდინარე (რაც ახალ რედაქციაში ნაწილობრივ უფრო დახვეწილი კრიტერიუმით ჩანაცვლდება, იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ). ნდობა განისაზღვრება (შენაძენის ხასიათის მიხედვით) ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად. როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანული დოქტრინის მიერ გამოყენებული ძირითად პრინციპს წარმოადგენს „განმდიდრების რისკის გადანაწილება“¹²⁷.

ამის საპირისპიროდ, არაუფლებამოსილი მფლობელობიდან წარმოშობილი მოთხოვნა ემყარება კომპენსაციის პრინციპს. მესაკუთრე, რომელიც იღებს გაუმჯობესებულ ნივთს, ვალდებულია, არაუფლებამოსილ მფლობელს აუნაზღაუროს ეს დანახარჯები, თუ ეს დანახარჯები არ არის უკვე კომპენსირებული ნივთიდან მიღებული სარგებლით. ბრალეულად მიუღებელი შემოსავალი უნდა გამოიქვითოს. ეს დანაწესი, რომელიც მიესადაგება ცალმხრივი დაბრუნების მოთხოვნის უფლებას, არ მიესადაგება არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობას. ის მხოლოდ მიღებული ნივთის გარშემო ტრიალებს. 163 I მუხლი არ ითვალისწინებს იმას, რომ

¹²⁵ საქ. უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-1249-1269-2011, 04/04/2012.

¹²⁶ *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 20 III 3 d.

¹²⁷ იხ. *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 123.

შესაძლებელია, არაუფლებამოსილი მფლობელი თვითონაც შემსრულებელი იყოს, მასაც ჰქონდეს მესაკუთრის მიმართ მოთხოვნის უფლება და არ იყოს აუცილებელი, რომ ნივთზე გაწეული ხარჯები მისგან მიღებულ სარგებელს დავუპირისპიროთ. კომპენსაციის პრინციპი წარმოადგენს გარკვეულწილად უკიდურეს გამოსავალს და მიესადაგება ვინდიკაციური დანაწესის ამოსავალ წერტილს, ანუ იმ შემთხვევას, როდესაც მესაკუთრე ნივთს გამოითხოვს მესამე პირისაგან, რომელთანაც მას სახელშეკრულებო ურთიერთობა არ აკავშირებს და რომლისგანაც მას, თავის მხრივ, შესრულება არ მიუღია. ამ დროს ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნების სხვაგვარი (უფრო დახვეწილი ფორმით) გაქვითვა, გარდა ნივთზე გაწეული დანახარჯების ნივთიდან მიღებული სარგებლით კომპენსირებისა, შეუძლებელია.

ამისაგან განსხვავებით, ორმხრივი ხელშეკრულების კონდიქციით უკუქცევისას, უკვე ხსენებული „განმდირების რისკის გადანაწილების“ პრინციპს შეესატყვისება, რომ, თუ ორივე მხარემ უნდა დაიბრუნოს მიღებული ნივთი სარგებლითურთ, მხოლოდ ის დანახარჯები უნდა გამოიქვითოს უკან დაბრუნების ვალდებულებიდან, რომელთა გამდირების სახით არარსებობის რისკიც კონდიქციის კრედიტორს აწევს. ამ უკუქცევაში კომპენსაციის პრინციპის ჩაჩრა და დანახარჯების სარგებლით კომპენსირება, მხოლოდ დაარღვევა გაცვლილ შესრულებებს შორის არსებულ ბალანსს, რადგან ორივე მხარის მიმართ კომპენსაციის პრინციპის გამოყენება, ჩვეულებრივ, შეუძლებელია. მაგალითად, არანამდვილი ნასყიდობიდან მყიდველი მოითხოვს ფულს და მისგან მიღებულ პროცენტებს, როგორც სარგებელს (979-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მთლიანად უსაფუძვლო გამდირების სამართლის წესების მიხედვით, რადგან თანხის მიღების კუთვნილ თანხასთან შერევის შემდეგ შეუძლებელია მისი ვინდიკაციის წესების მიხედვით გამოთხოვა. ამ დროს კომპენსაციის პრინციპს ვეღარ გამოვიყენებთ. რაც შეეხება ნივთის მყიდველისაგან გამოთხოვას, თუ ამ შემთხვევაში ვინდიკაციას და მის დამატებით მოთხოვნებს გამოვიყენებდით, მაშინ მყიდველი, რომელმაც დაიბრუნა მის მიერ გადახდილი თანხა და ასევე ამ თანხიდან მიღებული სარგებელი – პროცენტები, თავის მხრივ, არ დააბრუნებდა არანაირ სარგებელს, სანაცვლოდ კი აუნაზღაურებოდა მხოლოდ ნივთიდან მიღებული და ბრალეულად არმიღებული სარგებლით კომპენსირებული დანახარჯები.

მყიდველისა და გამყიდველის პასუხისმგებლობის მასშტაბის ერთმანეთისაგან აცდენამ შეიძლება საკმაოდ უსამართლო შედეგი გამოიწვიოს, არამხოლოდ შესაბამისი დაკავების უფლების არარსებობის გამო (იხ. ზემოთ). მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა განლევადი ნივთი, რომელიც უკან დაბრუნების მომენტისათვის უკვე სრულებით გალეულია.

მყიდველს, როგორც კეთილსინდისიერ მფლობელს, 163 | 1 მუხლის მიხედვით, არ დაეკისრებოდა ნივთიდან მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოვალეობა. ის დაუბრუნებდა გამყიდველს სრულებით განლეულ და, შესაბამისად, გაუფასურებულ ნივთს, სანაცვლოდ კი, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, მოითხოვდა ნასყიდობის საგანში გადახდილ ფულს სრული ოდენობით. ამგვარ შედეგს რთულად თუ შეიძლება მოექცნოს გამართლება და მისი თავიდან აცილება მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების, როგორც ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების შედეგების აღმოფხვრის სპეციალურ ინსტრუმენტად აღიარების მეშვეობითაა შესაძლებელი.

გარდა ამისა, ერთმანეთსაა აცდენილი, ასევე, კონდიქციის მოვალის გამკაცრებული პასუხისმგებლობა 981-ე მუხლის მიხედვით და არაკეთილსინდისიერი არაუფლებამოსილი მფლობელის პასუხისმგებლობა 164-ე მუხლის მიხედვით იმგვარად, რომ შეუძლებელია მათი შესაბამისობაში მოყვანა.

3. სალდოს თეორია, როგორც ორმხრივი ხელშეკრულების უკუქცევის სპეციალური წესი

979 IV მუხლი წარმოადგენს სალდოს თეორიის¹²⁸ კანონში განსხეულებას. მაშინ ამ დანაწესის გამოყენების წინაპირობა უნდა იყოს ორი კონდიქციური მოთხოვნის ურთიერთდაპირისპირება და არა ვინდიკაცია-კონდიქციისა. განსხვავებით გერმანიისაგან, ვინდიკაცია-კონდიქციის ეს დაპირისპირება საქართველოში ყოველთვის გვექნება სახეზე ხელშეკრულების არანამდვილობასთან ერთად. მაგალითად: ა უცვლის ბ-ს თავის საათს მის კუთვნილ ველოსიპედში. გაცვლის ხელშეკრულება აღმოჩნდება არანამდვილი, თუმცა სანამ მხარეები მას უკუაქცევდნენ, ა-ს საათი ნადგურდება ბ-სთან ამ უკანასკნელის ბრალის გარეშე. ბ ველოსიპედს უკან ითხოვს ვინდიკაციით. ამ შემთხვევაში, თუ მას ველოსიპედის ვინდიკაციით უკან დაბრუნების შესაძლებლობა ექნებოდა, ამით ის გვერდს აუვლიდა 979 IV მუხლში გამყარებული სალდოს თეორიის გადაწყვეტას – ცალმხრივად დაიბრუნებდა გაცემულს, მიღებულის დაბრუნების გარეშე (იხ. ამასთან დაკავშირებით 979-ე მუხლის სარეფორმო წინადადება).

ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ კონდიქციური სამართლისა და მისი 979 IV მუხლის არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების უკუქცევის სპეციალურ ინსტრუმენტად მიჩნევით ამ შემთხვევისათვის.¹²⁹

¹²⁸ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 155-ე და მომდევნო გვერდები.

¹²⁹ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 259-ე და მომდევნო გვერდები.

ალტერნატიული გადაწყვეტა შესაძლებელია იყოს, სალდოს თეორიის (979 IV) პრინციპების ვინდიკაციით უკუქცევაზე გავრცელება,¹³⁰ რასაც აკეთებს კიდევ გერმანული სასამართლო პრაქტიკა.¹³¹ ეს გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შედეგის მხრივ მოწონებული, ხოლო დოგმატური დასაბუთების მხრივ მკაცრად გაკრიტიკებულია.¹³² თუმცა ამ გავრცელების დოგმატური დასაბუთების პრობლემურობის გარდა, ის, სავარაუდოდ, ძალზე რთულად აღსაქმელი იქნება სასამართლო პრაქტიკისათვის.¹³³

ამგვარი ხელოვნული გადაწყვეტის აუცილებლობა საბოლოო ჯამში არც არსებობს. გადაწყვეტის გაცილებით მარტივი გზა იქნებოდა, იმის აღიარება, რომ მხარეებს არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულებიდან მათი შესრულებების უკან მოთხოვნა მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიხედვით შეუძლიათ. ეს მოგვეცემა საშუალებას ისეთი ასპექტების გათვალისწინებისა, რაც ვინდიკაციური მოთხოვნისა და მისი დამატებითი მოთხოვნების გამოყენებისას ყურადღების მიღმა რჩება.

ორ პირს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი სინალაგმა აუცილებლად გასათვალისწინებელია, ასევე, ამ ურთიერთობის უკუქცევისას, რისი გაკეთებაც მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოთხოვნების მეშვეობით შეიძლება. ეს განსხვავება, ერთი მხრივ, ორ და მეტ პირს შორის ურთიერთობისას და, მეორე მხრივ, გამოსაყენებელი კონდიქციის სახისდა მიხედვით, სრულებით გა-

¹³⁰ იხ. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით დეტალურად *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 263-ე და მომდევნო გვერდები.

¹³¹ BGH NJW 1995, 2627; BGH m. Anm. *Wilhelm* JZ 1995, 572; BGH m. Anm. *Medicus* JZ 1996, 153.

¹³² *Martinek*, EWIR § 986 BGB 1/95, 977; იხ. ამასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 223-ე და მომდევნო გვერდები.

¹³³ სსკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილის ვინდიკაციაზე გამოყენების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოცემული დანაწესი კონდიქციური სამართლის ნორმათა კომპლექსს განეკუთვნება, შექმნილს კონდიქციისმიერი უკუქცევისათვის და მისი ანალოგიით გამოყენება ვინდიკაციაზე, როგორც მისი სისტემური ადგილიდან გამომდინარე, ასევე მისი სიტყვასიტყვით განმარტების მეშვეობით სრულებით დაუსაბუთებელი ჩანს. გარდა ამისა, ვინდიკაციაზე ანალოგიით გამოყენების წინაპირობა იქნებოდა არაგვემამოყენებელი რეგულატიური ვაკუუმი, ანუ კანონმდებელს ვინდიკაციის სამართლის მოწესრიგებისას უნდა გამორჩენოდა შესაბამისი დაკავების უფლება. მსგავსი დანაწესი ვინდიკაციის ფარგლებში სრულებით წარმოუდგენელია და მოდის ცალსახა წინააღმდეგობაში ვინდიკაციის არსთან, რომლებიც ცალმხრივი უკუმოთხოვნისათვის არიან შექმნილი. თუ, მაგალითად, გერმანული სამართლის მიხედვით, ვინდიკაციით გამოსათხოვ ნივთზე გაწეული დანახარჯებიც კი მხოლოდ დაკავების უფლებას წარმოშობს და არა მფლობელობის უფლებას (შდრ. გერმანულ სამართალში ამასთან დაკავშირებული დისკუსიისათვის *Gursky*, in Staudinger BGB, 16. Aufl., 2012, § 1000 Rn. 3). სისტემიდან ამოვარდნილი იქნებოდა, თუ ვინდიკაციური მოთხოვნისათვის სრულებით უმნიშვნელო მოვლენა (კერძოდ კი, ის ფაქტი, რომ ვინდიკაციის მოვალემ ვინდიკანტის წინაშე, თავის მხრივ, შესარულა და ეს შესრულება განადგურდა) სსკ-ის 980-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მეშვეობით დაკავების ან საერთოდ ნივთზე მფლობელობის უფლებამდე მივიყვანა. საბოლოო ჯამში, ეს იქნებოდა საკუთრების, როგორც ნივთთან მიჯაჭვული სამართლებრივი პოზიციის უარყოფა (*Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 20 I 1 c).

მართლებულია, რადგან ვინდიკაცია (172 I) და მესაკუთრე-მფლობელს (163-164) შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები მიესადაგება ისეთ მესაკუთრე-სა და მფლობელს შორის ურთიერთობას, რომლებსაც ხელშეკრულება არ დაუდიათ და, შესაბამისად, ამ ურთიერთობაში მოქმედი პარადიგმა სინალაგმატური ხელშეკრულების¹³⁴ უკუქცევისას არ გამოგვადგება. როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობის მიზანს წარმოადგენს იმ მფლობელის პრივილეგირება, რომელმაც არამესაკუთრისაგან მიიღო ნივთი და შემდეგში ის მესაკუთრეს უნდა დაუბრუნოს, თუმცა ეს პრივილეგირება გაუმართლებელია, როდესაც ორ პირს შორის ურთიერთობას ეხება საქმე. დიდი ხნის წინ *ფონ კემერერის*¹³⁵ მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ საკუთრების გადასვლა მხოლოდ მესამე პირთა მიმართ არის მნიშვნელოვანი და ამ მოსაზრებიდან ნაწარმოები დამატებითი გადაწყვეტა, რომელის მიხედვითაც, შესრულების კონდიქციას ვინდიკაციასთან მიმართებით უპირობო უპირატესობა უნდა მიენიჭოს, უნდა რევიზირდეს სამომავლო რედაქციის 980 III მუხლში.

¹³⁴ v. *Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 387; v. *Caemmerer*, Leistungsrückgewähr bei gutgläubigem Erwerb, FS Boehmer 1954, 154 სქ. 42.

¹³⁵ v. *Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 387; v. *Caemmerer*, Leistungsrückgewähr bei gutgläubigem Erwerb, FS Boehmer 1954, 154 სქ. 42.

მუხლი 981 – გამკაცრებული პასუხისმგებლობა

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 981. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	მუხლი 981. გამკაცრებული პასუხისმგებლობა
<p>1. თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე.</p> <p>2. თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს.</p> <p>3. შესრულებისას გადაცემული საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღები მოვალეა ანაზღაუროს ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. მიმღებს შეუძლია მოითხოვოს დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესების მიხედვით იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია შესრულების საგანთან დაკავშირებით. აუცილებლის გარდა, სხვა ხარჯები არ ანაზღაურდება.</p>	<p>1. (1) შესრულების უსაფუძვლობის შესახებ შეტყობის მომენტიდან (არაკეთილსინდისიერი მიმღები) ან კონდიციური სარჩელის მისთვის ჩაბარების შემდეგ მიმღები ვეღარ მიუთითებს განმდიდრებაზე 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.</p> <p>(2) მისი პასუხისმგებლობის ფარგლები დამატებით განისაზღვრება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის საფუძველზე.</p> <p>2. (1) მიმღები ვალდებულია, აანაზღაუროს ბრალეულად მიუღებელი სარგებელი, ხოლო ფულადი ვალის შემთხვევაში – გადაიხადოს პროცენტები.</p> <p>(2) საგნის გასხვისების შემთხვევაში ის აბრუნებს გასხვისებიდან მიღებულ მოგებასაც, რომელიც აღემატება საგნის ღირებულებას.</p> <p>3. (1) შესრულების საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღები მოვალეა, აანაზღაუროს ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამაში ბრალი მიუძღვის.</p> <p>(2) საგანზე გაწეული აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურება მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესების მიხედვით.</p>

4. ვადის გადაცილებისათვის მოვალის პასუხისმგებლობაზე ეს წესები არ ვრცელდება.

4. არაკეთილსინდისიერი მიმღების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 402-ე მუხლი.

I. გამკაცრებული პასუხისმგებლობა, 981 I

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 981. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება</p> <p>1. თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე.</p>	<p>მუხლი 981. გამკაცრებული პასუხისმგებლობა</p> <p>1. (1) შესრულების უსაფუძვლობის შესახებ შეტყობის მომენტიდან (არაკეთილსინდისიერი მიმღები) ან კონდიციური სარჩელის მისთვის ჩაბარების შემდეგ მიმღები ვეღარ მიუთითებს განმდიდრებაზე 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.</p> <p>(2) მისი პასუხისმგებლობის ფარგლები დამატებით განისაზღვრება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის საფუძველზე.</p>

შესრულების კონდიციის მოვალის გამკაცრებული პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმა, 981-ე მუხლი, ახალ რედაქციაშიც არსობრივად უცვლელი უნდა დარჩეს. უნდა შეიცვალოს მხოლოდ გამკაცრებული პასუხისმგებლობის წინაპირობები უხეში გაუფრთხილებლობის ნაწილში და უკეთესი აღქმადობისათვის უნდა შეიცვალოს მისი ფორმულირება მთელ რიგ პუნქტებში, ასევე გასწორდეს კონიგის კანონპროექტიდან შესაბამისი ნორმის არასწორად გადმოღებული და ბუნდოვანი შინაარსი (981 II 3).

თავად ნორმის სათაური უნდა დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან. „გამკაცრებული პასუხისმგებლობის“ ხსენება უკვე ნორმის სათაურში ზუსტად მიანიშნებს მის შინაარსზე – ნაცვლად შემთხვევით და არაზუსტად შერჩეული ამჟამინდელი სათაურისა – და ხელს შეუწყობს მის ტექნიკურ ტერმინად დამკვიდრებას, რაც ცალსახად სასურველია.

1. გამკაცრებული პასუხისმგებლობის წინაპირობები, 981 I

ა) არაკეთილსინდისიერი მიმღები

გერმანულ დოქტრინაში შესრულების მიმღების გამკაცრებული პასუხისმგებლობის წინაპირობას წარმოადგენს მისი პოზიტიური ცოდნა მიღებულის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით,¹³⁶ რასაც უთანაბრდება, მაგალითად, შეცდომების უფლების შესახებ ცოდნა.¹³⁷ ამის საპირისპიროდ, უსაფუძვლობის განმაპირობებელი გარემოებების მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა საკმარისი არ არის.¹³⁸ კონიგმა¹³⁹ ეს წინაპირობა მიმღების საზიანოდ გაამკაცრა – კანონპროექტის შესაბამისი დანაწესის (§ 1.6 (1) მიხედვით, გამკაცრებულად აგებს პასუხს ასევე მიმღები, რომელმაც უხეში გაუფრთხილებლობით არ იცის მიღებულის უსაფუძვლობის შესახებ. ეს გამკაცრებული პასუხისმგებლობის კიდევ დამატებითი გამკაცრება რეტროსპექტულ პერსპექტივაში ვერ ჩაითვლება წარმატებულ არჩევანად. მოცემული გადაწყვეტა ძალზე აფართოებს გამკაცრებული პასუხისმგებლობის ფარგლებს და მეტწილად შლის ზღვარს გამკაცრებულ და არაგამკაცრებულ პასუხისმგებლობას შორის – ცალკეულ შემთხვევაში რთულად დასადგენია ხელშეკრულების არანამდვილობა შესრულების მიმღებისათვის უხეში თუ მხოლოდ მარტივი გაუფრთხილებლობით დარჩა უცნობი. კონიგის მიერ მოყვანილი პარალელური სხვა გერმანულ კანონებთან არ გამხდარა გამკაცრებულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლის საფუძველი გერმანიაში,¹⁴⁰ მით უმეტეს არააქტუალურია ის საქართველოში. უხეში გაუფრთხილებლობის საკმარისად მიჩნევა მიმღების არაკეთილსინდისიერებისათვის, წინააღმდეგობაში მოვიდოდა ხელყოფის კონდიქციის პარალელურ დანაწესთან (985 I).

თუ მიმღები შეგნებულად არიდებს უსაფუძვლობის შესახებ ცოდნის მოპოვებას თავს – ბანკის თანამშრომელი ყურადღებას არ აქცევს გადაცემული ჩეკის მიზნობრივ დანიშნულებას,¹⁴¹ მოცემული შეიძლება გაუთანაბრდეს მის პოზიტიურ ცოდნას.¹⁴² ეს წარმოადგენს უფრო მოქნილ გადაწყვეტას, ვიდრე უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნის ყოველთვის და ავტომატურად არაკეთილსინდისიერებაში ჩათვლა.

¹³⁶ BGH NJW 1996, 2652; BGH BB 2014, 1602.

¹³⁷ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 819 Rn. 4; სამართლებრივი შედეგების ზუსტი გაცნობიერება აუცილებელი არ არის BGHZ 1996, 2652; BGHZ 26, 260; BGHZ 32, 92; BGHZ 132, 306; BGH BB 2014, 1602.

¹³⁸ Wendehorst, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 819 Rn. 3.

¹³⁹ König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1549.

¹⁴⁰ იშვიათი გამონაკლისის გარდა, (შდრ. AG Berlin-Schöneberg BeckRS 2011, 5210) თავად ამ პოზიტიურ ცოდნასაც მკაცრი წინაპირობები წაეყენება, იხ. BGH NJW 1985, 1074; BGH NJW 1986, 2057; BGH NJW 1992, 2415; BGH NJW 2000, 741; Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 819 Rn. 2, 21.

¹⁴¹ OLG Bamberg WM 2007, 389.

¹⁴² Wendehorst, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 819 Rn. 6.

ამგვარად, არაკეთილსინდისიერი მიმღების გამკაცრებული პასუხისმგებლობის განმაპირობებელი უნდა იყოს მხოლოდ პოზიტიური ცოდნა მიღებულის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, რასაც გამონაკლისის სახით შეიძლება გაუთანაბრდეს შეგნებულად არცოდნის შემთხვევები.

ბ) სარჩელის ჩაბარება მოპასუხისათვის

981 I მუხლის ამჟამინდელ რედაქციაში სარჩელის წარმოებაში მიღება, როგორც გამკაცრებული პასუხისმგებლობის წინაპირობა, უნდა ჩანაცვლდეს ამ სარჩელის მოპასუხისათვის – კონდიქციის მოვალისათვის – ჩაბარებით. კონდიქციის მოვალეს მისთვის მხოლოდ სარჩელის ჩაბარების მომენტიდან და არა სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოტანის მომენტიდან აქვს საბაბი ივარაუდოს, რომ შესაძლოა უსაფუძვლოდ ფლობდეს ქონებრივ სიკეთეს, რითიც არის გამართლებული მისი გამკაცრებული პასუხისმგებლობა. მხოლოდ ეს წარმოადგენს გერმანული *Rechtshängigkeit*-ის შესატყვისს, რომელიც დაფიქსირებულია როგორც გსკ-ის 818 IV პარაგრაფში, ასევე *კონიგის* კანონპროექტის § 1.6 (1)-ში და რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს სარჩელის აღძვრა, ეს უკანასკნელი კი, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261 I, 253 I პარაგრაფების მიხედვით, მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარებას გულისხმობს.¹⁴³

2. განმდიდრებაზე მითითების შეუძლებლობა

გამკაცრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში მიმღები ვეღარ მიუთითებს განმდიდრებაზე. ეს შესაგებელი მას არ ენიჭება.¹⁴⁴ მოცემული პრინციპი, მართალია, ჩამოყალიბებულია 981 I მუხლის არსებულ რედაქციაშიც, თუმცა უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს სამომავლო რედაქციაში. 979 II მუხლის მიხედვით, არაკეთილსინდისიერი მიმღები ანაზღაურებს მიღებულის ღირებულებას გამდიდრებისაგან დამოუკიდებლად. ამის საპირისპიროდ, გამკაცრებულად პასუხისმგებ მიმღებს უნდა ჰქონდეს სალდოს თეორიაზე (979 IV) მითითების უფლება, როგორც ეს განსაზღვრული იყო *კონიგის* კანონპროექტის შესაბამის ნორმაში (§ 1.6 (1) და რაც ქართველმა კანონმდებელმა გაურკვეველი მიზეზების გამო არ გადმოიღო.¹⁴⁵

¹⁴³ იხ. დეტალურად *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 304.

¹⁴⁴ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმდიდრება გამოიწვია გარემოებამ, რომელიც გამკაცრებული პასუხისმგებლობის დაწყებამდე წარმოიშვა, BGH NJW 1996, 3409; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 72 II Vor 1; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 52; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 311.

¹⁴⁵ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts, Köln 1981, 1523.

არასწორია ამჟამინდელ რედაქციაში 980 I მუხლზე მითითება, რადგან არაკეთილსინდისიერ მიმღებს არ უნდა ჰქონდეს მის მიერ გაწეული დანახარჯების არსებული გამდიდრებისათვის გამოკლების საშუალება. მას აუნაზღაურდება მხოლოდ აუცილებელი დანახარჯები 981 III 2 მუხლის მიხედვით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მიხედვით.¹⁴⁶ მიღებულ საგანთან დაკავშირებით წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისი მას არ უნაზღაურდება – გამკაცრებულად პასუხისმგებ მიმღებს არ შეიძლება ჰქონდეს ნდობა მიღებულის სამუდამოდ შენარჩუნებასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტა შეესატყვისება კონიგის კანონპროექტს, სადაც § 1.6(1) (980 I) უთითებს მხოლოდ § 1.4(1)-(2)-ზე და არ უთითებს § 1.4-ის შემდგომ ნაწილებზე, მათ შორის არც მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებაზე, სადაც მიმღების მიერ გაწეული დანახარჯების ანაზღაურების წესია მოწესრიგებული. ამჟამინდელი რედაქციის ეს ხარვეზი სამომავლო რედაქციაში გასწორებას საჭიროებს, რაც უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ახალი რედაქციის 981 I მუხლი გამორიცხავდეს ზოგადად განმდიდრების შესაგებელს გამკაცრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, მათ შორის დანახარჯებისა და ქონებრივი დანაკლისის შესაგებელსაც 980 I მუხლის მიხედვით.

II. commodum ex negotiatione (981 II 2) და ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობა

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 981. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება</p> <p>2. თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს.</p> <p>3. შესრულებისას გადაცემული საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღები მოვალეა ანაზღაუროს ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის.</p>	<p>მუხლი 981. გამკაცრებული პასუხისმგებლობა</p> <p>2. (1) მიმღები ვალდებულია, აანაზღაუროს ბრალეულად მიუღებელი სარგებელი, ხოლო ფულადი ვალის შემთხვევაში – გადაიხადოს პროცენტები.</p> <p>(2) საგნის გასხვისების შემთხვევაში ის აბრუნებს გასხვისებიდან მიღებულ მოგებასაც, რომელიც აღემატება საგნის ღირებულებას.</p> <p>3. (1) შესრულების საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღები მოვალეა, აანაზღაუროს ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამაში ბრალი მიუძღვის.</p>

¹⁴⁶ RGZ 117, 114; Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 316.

მიმღებს შეუძლია მოითხოვოს დავალე-
ბის გარეშე სხვისი საქმის შესრულების
წესების მიხედვით იმ ხარჯების ანაზღა-
ურება, რომლებიც მან გასწია შესრულე-
ბის საგანთან დაკავშირებით. აუცილებ-
ლის გარდა, სხვა ხარჯები არ ანაზღაურ-
დება.

(2) საგანზე გაწეული აუცილებელი და-
ნახარჯების ანაზღაურება მას შეუძლია
მოითხოვოს მხოლოდ დავალების გარე-
შე სხვისი საქმის შესრულების წესების
მიხედვით.

გამკაცრებულად პასუხისმგებლის შესრულების მიმღები ანაზღაურებს არა მხო-
ლოდ რეალურად მიღებულ (979 I), არამედ ბრალეულად მიუღებელ სარგებელსაც
(981 II 1).¹⁴⁷ ამ შემთხვევაში ნორმის ახალი რედაქცია ძველთან შედარებით არა-
ფერ ახალს არ ამბობს, მხოლოდ გადმოსცემს იდენტურ დებულებას უფრო ლა-
კონიურად, რისი განვრცობის აუცილებლობაც არ არსებობს და შესაძლებელია ამ
განვრცობა-დაკონკრეტების სასამართლო პრაქტიკისათვის გადალოცვა.

დაკონკრეტებას საჭიროებს მხოლოდ ე.წ. გარიგებისმიერი სუროგატის
(*commodum ex negotiatione*)¹⁴⁸ ანაზღაურება, რაც დაფიქსირებულია კონიგის კა-
ნონპროექტში (§ 1.6 (2))¹⁴⁹ და რისი გასაგებად გადმოღებაც ვერ მოახერხა ქართ-
ველმა კანონმდებელმა – „საგნიდან მიღებული შემოსავალი“ პირდაპირ არ მი-
უთითებს იმ ობიექტურ ღირებულებას აღმატებულ მოგებაზე, რაც უნდა დააბრუ-
ნოს მიმღებმა ამ შემთხვევაში და რისი შეცვლაც აუცილებელია 981 II 2 მუხლის
სამომავლო რედაქციაში.

ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობით, 979 II მუხლისგან განსხვა-
ვებით, მოცულია არა მხოლოდ ღირებულების ანაზღაურება, არამედ მთლიანი
ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.¹⁵⁰ ბრალზე დამოკიდე-
ბული პასუხისმგებლობა და აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება 981 III მუხლის
მიხედვით უცვლელი უნდა დარჩეს, მხოლოდ უმნიშვნელოდ უნდა შეიცვალოს
მეორე წინადადების ფორმულირება.

¹⁴⁷ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 315; Wendehorst, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 92; Sprau, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 818 Rn. 52.

¹⁴⁸ BGH NJW 1982, 1585; BGHZ 75, 204; BGHZ 83, 293, 300; BGH NJW 2014, 2794; Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 73 II 3b, 315; Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 328; Reuter/Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 9 I; Esser/Weyers, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 51 III 2 b; BGH NJW 1980, 178.

¹⁴⁹ König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1549.

¹⁵⁰ BGH NJW 2014, 2793.

III. ზიანის ანაზღაურება ბრალისგან დამოუკიდებლად, 981 IV

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 981. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	მუხლი 981. გამკაცრებული პასუხისმგებლობა
...	...
4. ვადის გადაცილებისათვის მოვალის პასუხისმგებლობაზე ეს წესები არ ვრცელდება.	4. არაკეთილსინდისიერი მიმღების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 402-ე მუხლი.

უნდა აგოს თუ არა კონდიქციის მოვალემ გამკაცრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში ბრალის გარეშე მიყენებული ზიანისათვის პასუხი ისე, როგორც ვადაგადაცილებულმა მოვალემ 402 2 მუხლის მიხედვით, კამათის საგანს წარმოადგენს გერმანულ სამართალში. ერთი მოსაზრების თანახმად, გამკაცრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში შესრულების არაკეთილსინდისიერი მიმღები (რომელმაც იცის მიღებულის უსაფუძვლობის შესახებ) მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი შემთხვევითი ზიანისათვის, თუ ნამდვილად ვადაგადაცილებულია,¹⁵¹ რადგან გაფრთხილებულია (400 ბ) ან მის წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი.¹⁵² ამის საპირისპიროდ, კეთილსინდისიერი მიმღების შემთხვევაში მხოლოდ სარჩელის აღძვრა (საქართველოში: სარჩელის ჩაბარება) უკუდაბრუნების მოთხოვნით არ უნდა იყოს საკმარისი, მისთვის ამ მომენტიდან შემთხვევითი დაღუპვის რისკის დაკისრებისათვის.¹⁵³ არაკეთილსინდისიერმა მიმღებმა იცის, რომ უსაფუძვლოდ ფლობს მიღებულს და არ უნდა დაიტოვოს ის კონდიქციის კრედიტორის მიერ მისი უკუმოთხოვნის შემდეგ. არაკეთილსინდისიერი მიმღებისაგან განსხვავებით, კეთილსინდისიერი მიმღები, რომლის წინააღმდეგაც სარჩელია აღძრული, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დარწმუნებული, მოუწევს თუ არა საბოლოოდ ნივთის დაბრუნება. მას შეუძლია გათავისუფლდეს ვადაგადაცილებული მოვალის პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ შესრულების დაუყოვნებლივ დაბრუნებით, რაც არ შეიძლება მოეთხოვოს; მიმღებმა უნდა შეინარჩუნოს შანსი დაიცვას თავისი

¹⁵¹ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 86; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 73 II 4 c; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 819 Rn. 16; *Röthel*, Die „verschärfte Haftung“ des Bereicherungsschuldners, Jura 2016, 265.

¹⁵² როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, გერმანიაში სარჩელი აღძრულად ითვლება მოპასუხისათვის მისი ჩაბარების შემდეგ.

¹⁵³ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 323.

პოზიციები ისე, რომ არ ატაროს ნივთის შემთხვევითი განადგურებისათვის პასუხისგების რისკი.¹⁵⁴ კონიგის კანონპროექტიდან არასწორად¹⁵⁵ გადმოღებული ამჟამინდელი რედაქციის 981 IV მუხლის ფორმულირება უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ მხოლოდ არაკეთილსინდისიერი კონდიციის მოვალე აგებდეს პასუხის ვადის გადაცილებისას ნივთის შემთხვევითი განადგურება-დაზიანებისათვის.

¹⁵⁴ შდრ. *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 86; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 73 II 4 b.

¹⁵⁵ კანონპროექტის § 1.6 (4): „ვადაგადაცილებული მოვალის პასუხისმგებლობა უცვლელად რჩება ძალაში“, რისი არასწორი თარგმანიც დაფიქსირდა 981 IV მუხლში, თუმცა სწორად გადმოღების შემთხვევაშიც არ იქნებოდა სრულ შესაბამისობაში ზემოთ მოყვანილ გადაწყვეტასთან.

მუხლი 982 – ხელყოფის კონდიქცია

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 982. სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები</p> <p>1. პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.</p> <p>2. ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმოყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება.</p>	<p>მუხლი 982. ხელყოფის კონდიქცია</p> <p>1. ვინც ხელყოფს სხვა პირის საკუთრებას ან სხვა უფლებასა თუ ქონებრივ სიკეთეს, რომლის გამოყენება-განკარგვის უფლებამოსილებაც მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს, მისი თანხმობის გარეშე მითვისების, განკარგვის, სარგებლობის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, ვალდებულია დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს ამის შედეგად მიღებული.</p> <p>2. (1) სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში ხელმოყოფმა უნდა გადასცეს უფლებამოსილ პირს მიღებული სასყიდელი.</p> <p>(2) თუ განკარგვა არანამდვილია, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს მიღებული სასყიდლის მისთვის გადაცემა მის მიერ განკარგვის მოწონების სანაცვლოდ.</p>

I. ხელყოფის კონდიქციის ამოსავალი დებულება, 982 I

1. გამოყენება-განკარგვის მონოპოლია

982-ე მუხლის სამომავლო რედაქციაში, პირველ რიგში, ხელყოფის კონდიქციის გამოყენების სფეროს აღწერისას კონდიქციის კრედიტორის (ფართო გაგებით) ქონებრივ სფეროში ჩარევამე აქცენტირებაა აუცილებელი,¹⁵⁶ რის გარეშეც არ აქვს აზრი მისგან ქონებრივი სარგებლის გამოთხოვამე საუბარს.¹⁵⁷

გარდა ამისა, 982 I მუხლში ცვლილების განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია იმ კრიტიკით, რომელიც თავის დროზე გამოთქმულ იქნა კონიგის მიერ ჩამოყალიბებული ხელყოფის ზოგადი კონდიქციის ფორმულირებასთან და-

¹⁵⁶ რაც არასწორად გამოტოვა ქართველმა კანონმდებელმა კონიგის კანონპროექტის შესაბამის ნორმის რეცეფციისას.

¹⁵⁷ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 281.

კავშირებით. *კონიგის* მიერ შერჩეული გადაწყვეტა თავის დროზე გაკრიტიკებულ იყო იმის გამო, რომ იყენებდა „ქონებრივი სიკეთის“ ცნებას,¹⁵⁸ რაც აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია ხელყოფილი სამართლებრივი პოზიციის დახასიათებისათვის.¹⁵⁹ ეს ცნება საბოლოო ჯამში არაფრისმთქმელია და გადაუწყვეტელს ტოვებს პრაქტიკაში წარმოშობილ მთავარ პრობლემებს. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უკეთესი იქნებოდა დანაწესში „მართლწესრიგის მიერ მინიჭებული რეალიზაციის მონოპოლიის“¹⁶⁰ შინაარსის მქონე ცნების დაფიქსირება, რა შემთხვევაშიც ცალსახა გახდებოდა, რომ ხელყოფის ობიექტი არ შეიძლება იყოს, მაგალითად, მეორე პირისათვის მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება საკონკურენციო სამართლის წესების მიხედვით.¹⁶¹ ეს კრიტიკა აუცილებლად გასათვალისწინებელია ქართულ სამართალშიც, სადაც ამ ობიექტის აღმნიშვნელი ცნება 982 I მუხლში ზუსტად ისეთივე არაფრისმთქმელი და ძალზე ზოგადი ფორმულირებით არის დატოვებული. ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე, რადგან არც სასამართლო პრაქტიკაში და არც სამეცნიერო ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით დისკუსია არ მიმდინარეობს და ამ ზოგადი ცნების დაკონკრეტება მათგან მოსალოდნელი არ არის.

გერმანული დოქტრინა ხელყოფის კონდიქციის დაუწერელ წინაპირობად მოიაზრებს ხელყოფის „სხვის ხარჯზე“¹⁶² (კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე) განხორციელების აუცილებლობას, რა შემთხვევაშიც გადამწყვეტია არა ქმედება (და მისი მართლსაწინაღმდეგობა), არამედ ხელყოფილი სამართლებრივი პოზიცია, კერძოდ, მისი დაცვითი სფერო და ფარგლები: აკუთვნებს თუ არა მართლწესრიგი კონდიქციის კრედიტორს ამ (ხელყოფილ) სამართლებრივ პოზიციას ექსკლუზიური განკარგვა-გამოყენების უფლებით (ე.წ. მიკუთვნებული სამართლებრივი სფეროს თეორია – *Zuweisungstheorie*).¹⁶³ სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი კრიტერიუმებია:

¹⁵⁸ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1554.

¹⁵⁹ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 3 IV 2.

¹⁶⁰ *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 50 I 1.

¹⁶¹ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 3 IV 2; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 283, თუ პირი არღვევს საკონკურენციო სამართლის წესებს, კონკურენტს, მართალია, შეუძლია მოსთხოვოს მას ამ ქმედებისაგან თავის შეკავება, თუმცა დამრღვევს ამ შემთხვევაში არ მიუთვისებია ის სამართლებრივი პოზიცია, რომელიც მის კონკურენტს სარგებელს ანიჭებდა. კონკურენციის წესები არ ეხება უკვე არსებულ და ამგვარად დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, არამედ მხოლოდ სამომავლო შანსს, რომლის რეალიზაციის თანაბარი და თავისუფალი შესაძლებლობაც უნდა შეუნარჩუნდეთ კონკურენტებს.

¹⁶² BGHZ 94, 165; BGHZ 99, 390.

¹⁶³ BGH NJW 1982, 1155; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 23; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 709.

- აკუთვნებს თუ არა კანონი ამ პოზიციას კონდიქციის კრედიტორს (სანივთო (170 I) ან ვალდებულებითი ძალით)
- ფლობს თუ არა კრედიტორი ამ პოზიციის გამოყენების, გასხვისების ან სხვა გზით სასყიდლის მიღების შესაძლებლობას (სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული რეალიზაციის შესაძლებლობა),¹⁶⁴
- აქვს თუ არა კრედიტორს უფლება მოსთხოვოს მოვალეს ხელშეშლის აღკვეთა,¹⁶⁵
- ამ კონკრეტული სამართლებრივი პოზიციის დაცვის შესაძლებლობას დელიქტური წესით.¹⁶⁶

ამგვარად, ხელყოფის კონდიქციით შეიძლება მხოლოდ იმ ქონებრივი სარგებლის უკუმთხოვნა, რომელიც პირმა მოიპოვა სხვა პირის სამართლებრივი პოზიციის ხელყოფისა და ამ პოზიციის მისთვის მიკუთვნებული რეალიზაციის მონოპოლიის მითვისებით. აუცილებელია, რომ დაცული სამართლებრივი პოზიცია უფლებამოსილ პირს ანიჭებდეს მესამე პირთათვის მისი გამოყენების აკრძალვის შესაძლებლობას. მხოლოდ ნივთის მოპოვებისა და მოგების მიღების შანსი საკმარისი არ არის.¹⁶⁷

დამქირავებელი შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებით არ ხელყოფს გამქირავებლის სამართლებრივ პოზიციებს,¹⁶⁸ არ აკარგინებს მას ნივთის რეალიზაცია-გამოყენების რაიმე დამატებით შესაძლებლობას, რომელიც უკვე არ ექნებოდა გაცემული ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში¹⁶⁹ – მას აღარ ჰქონდა უკვე გაქირავებული საგნის კიდევ ერთხელ გაქირავების უფლება. არაუფლებამოსილი მესამე პირის მიერ დამქირავებლის ოთახებით სარგებლობის შემთხვევაში მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ დამქირავებელს და არა გამქირავებელ მესაკუთრეს.¹⁷⁰ ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტია ის გარემოება, თუ ვის აკუთვნებს მართლწესრიგი ქონებრივი პოზიციის რეალიზაციის უფლებას, რაც წარმოადგენს კონდიქციის კრედიტორის

¹⁶⁴ Hüffer, Die Eingriffskondiktion, JuS 1981, 265; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 1 d; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 248; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 7 III 2 c, § 7 III 2 d.

¹⁶⁵ *Kleinheyer*, Rechtsgutsverwendung und Bereicherungsausgleich, JZ 1970, 471.

¹⁶⁶ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 1 c.

¹⁶⁷ BGHZ 107, 117.

¹⁶⁸ BGH NJW 1996, 838.

¹⁶⁹ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 2 a; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 266; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 255.

¹⁷⁰ *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 97.

იდენტიფიცირების საშუალებას. თუ პირი იყენებს იმ ცოდნას, რომელიც არ არის დაცული სპეციალური საწარმოო უფლებებით, აღიარებულია შესაბამისი საჯარო პროცედურის დაცვით და ამგვარად გასაჯაროებული და ზოგადად ხელმისაწვდომია, სახეზე არ არის იმ პირისათვის მიკუთვნებული უფლების სფეროში ჩარევა, რომელმაც მოიპოვა ეს ცოდნა საკუთარი სამეცნიერო კვლევის ფარგლებში.¹⁷¹ მხოლოდ ვალდებულებითი მოთხოვნის უფლება საგნის დაბრუნებასთან და გამოთხოვასთან დაკავშირებით არ აკუთვნებს ამ საგანს უფლებამოსილ პირს, რის გამოც ამ საგნის განკარგვა (რაც აკარგვინებს უფლებამოსილ პირს შესაბამის მოთხოვნას) არ წარმოადგენს ამ პირის ქონების ხელყოფას მისთვის მიკუთვნებულ სამართლებრივ პოზიციებში ჩარევის გზით.¹⁷²

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი ნათელყოფს, რომ ხელყოფის კონდიქციის გამოყენების სფეროს მონიშვნისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ხელყოფის ხერხების განსაზღვრა, როგორც ეს თავის დროზე *კონიგმა* გააკეთა, არამედ გერმანული *Zuweisungsgehalt*-ის (მიკუთვნებული სამართლებრივი სფეროს თეორიის) შესატყვისი კატეგორიის მეშვეობით ხელყოფაუნარიანი ობიექტთა წრის გამოკვეთა. თუმცა ეს არ უნდა მოხდეს მხოლოდ ამ ცნების ხსენებით – რაც სამართლის შემფარდებლისათვის (საქართველოში) არაფრის მომცემი იქნებოდა – არამედ ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების გამოკვეთის მეშვეობით, რამდენადაც ეს შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე. მოცემული კრიტერიუმების გადმოსაცემად კი ყველაზე გამართლებული ჩანს ზემოთ არაერთხელ ნახსენები გამოყენება-განკარგვის მონოპოლიაზე აქცენტირება, ქართველი იურისტისათვის მაქსიმალურად გასაგები ფორმით.

2. მიღებულის დაბრუნება

982 I მუხლის არსებული რედაქციიდან უნდა ამოიშალოს „ზიანის ანაზღაურება“, როგორც ხელყოფის კონდიქციით პასუხისგების სამართლებრივი შედეგი და ჩანაცვლდეს ის მიღებულის დაბრუნების მოთხოვნით. ზიანის ანაზღაურების ხსენება კონდიქციური სამართლის ნორმაში არასწორია და, სავარაუდოდ, მთარგმნელის შეცდომას უნდა მიეწეროს.¹⁷³ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი არ არის ზიანის ანაზღაურების სამართალი, არამედ ქონების უსაფუძვლო გადადინების უკუქცევის სამართალი. კონდიქციური მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც უფლებამოსილ პირს ამით არაფერი არ დააკლდა და არ წარ-

¹⁷¹ BGHZ 107, 117.

¹⁷² BGH NJW 1993, 1919.

¹⁷³ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1554, *კონიგის* კანონპროექტში სარგებლის ანაზღაურებაზე საუბარი.

მოიშვას, მიუხედავად მეორე პირისათვის მიყენებული ზიანისა, თუ სხვისი ქონების ხელმოყოფმა ამ ზიანის სანაცვლოდ არაფერი არ მიიღო.

კონიგმა თავის კანონპროექტში ხელყოფის კონდიქციის საგნად პირდაპირ ღირებულების ანაზღაურება დაასახელა. ამით მან მოცემული კონდიქცია აქცია ღირებულებაზე ორიენტირებულ მოთხოვნად,¹⁷⁴ რომლის პირველად მიზანსაც აბსტრაქტული კომპენსაცია და არა კონკრეტული საგნის დაბრუნება წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, დღეს შესრულებისა და ხელყოფის კონდიქციების მიზნად, პირველ რიგში, ნატურით რესტიტუციაა მიჩნეული.¹⁷⁵ ეს წესი მოქმედებს არა მხოლოდ უშუალოდ მიღებულის, არამედ, ასევე, სარგებლის დაბრუნების შემთხვევაშიც, თუ მისი დაბრუნება ნატურით (მაგ., ნაყოფი) ვერ კიდევ შესაძლებელია. არც კონდიქციის კრედიტორს და არც მოვალეს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ცალმხრივად მოითხოვოს ღირებულების ანაზღაურება ამ რესტიტუციის სანაცვლოდ,¹⁷⁶ რის საშუალებასაც ანიჭებს მათ 982-ე მუხლის არსებული ფორმულირება. მართალია, შერევის, მიერთების, გადამუშავების შემთხვევაში პირდაპირ ღირებულება წარმოადგენს კონდიქციის საგანს და სარგებლის ანაზღაურება საერთოდ არ ხდება,¹⁷⁷ თუმცა ეს განპირობებულია არა ხელყოფის კონდიქციის თავისებურებით, არამედ 197 | 2 მუხლით და იგივე წესი ვრცელდება შესრულებით მიღებულის შერევაზე, მიერთებასა და გადამუშავებაზეც. მხოლოდ ის გარემოება, რომ შესრულების კონდიქციის ფარგლებში უმეტესწილად საგნის რესტიტუცია იქნება მოთხოვნილი, ხოლო ხელყოფის კონდიქციის შემთხვევაში კი, საბოლოო ჯამში, ღირებულების ანაზღაურება, არ არის საკმარისი ამ უკანასკნელის სტრუქტურის ცვლილებისათვის და მისი საგნის გამოთხოვაზე ორიენტირებული მოთხოვნიდან ღირებულების კომპენსაციის მოთხოვნად გარდაქმნისათვის.

ამჟამინდელი ფორმულირების თანახმად, ხელყოფის კონდიქციით მფლობელობის გამოთხოვა შეუძლებელია, რაც არასწორია. მფლობელობაც წარმოადგენს ყველა სხვა ქონებრივი სიკეთების დარად დამოუკიდებლად კონდიცირებად სამართლებრივ სიკეთეს. მაშინ როდესაც არანამდვილი გარიგების შესრულების კონდიქციით უკუქვევისას 979 | მუხლის გაგებით მიღებულის ქვეშ, ჩვეულებრივ, მფლობელობა უნდა მოვიაზროთ, მფლობელობის ხელყოფის კონდიქციით გამოთხოვად სიკეთეთა წრიდან გამორიცხვა, ამ ორ კონდიქციას შორის ისეთ სისტემურ ბარიერს აღმართავს, რომელიც მხოლოდ მათი ტიპოლოგიური თავი-

¹⁷⁴ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 3 IV 2.

¹⁷⁵ BGH NJW 1995, 55; BGH ZIP 2002, 532; BGH NJW 2002, 1874; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 21; *Sprau*, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 818 Rn. 5, 18.

¹⁷⁶ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 19.

¹⁷⁷ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 10; შდრ. ასევე BGH LM § 951 Nr. 13; *Sprau*, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 951 Rn. 17; *Gursky*, in Staudinger BGB, 17. Aufl., 2017, § 951 Rn. 38; BGH NJW 1961, 2205.

სებურებით ვერ იქნება გამართლებული. გარდა ამისა, სარგებლობის შესაძლებლობა შეიძლება ნაწარმოები იყოს, როგორც საკუთრების, ისე მფლობელობის უფლებიდან.¹⁷⁸ ქურდისაგან ხელყოფის კონდიქციით ნივთის გამოთხოვის უფლება უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ მესაკუთრეს, არამედ ნივთის კეთილსინდისიერ მფლობელსაც ნივთიდან მიღებულ სარგებელთან ერთად,¹⁷⁹ რისი დასაბუთებაც შეუძლებელია, თუ მფლობელობა არ ჩაითვლება ხელყოფაუნარიან ობიექტად.¹⁸⁰

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია მფლობელობის ხელყოფის კონდიქციით გამოთხოვის აქცენტირება ხელყოფის ხერხებს შორის „მითვისების“ გათვალისწინებით, ხოლო უკუმოთხოვნის მიზნად კი ნეიტრალური „მიღებულის დაბრუნების“ და არა „ღირებულების ანაზღაურების“ გათვალისწინება. ხელყოფის კონდიქციის დეფინიციაში არ არის აუცილებელი ხელყოფის ყველა ცალკეული ხერხის ჩამოთვლა, საკმარისია მხოლოდ სამაგალითო მითითება.

II. განკარგვის შედეგად მიღებული სასყიდლის დაბრუნება, 982 II 1

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 982. სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები	მუხლი 982. ხელყოფის კონდიქცია
1. ...	1. ... 2. სასყიდლიანი განკარგვის შემთხვევაში ხელმყოფმა უნდა გადასცეს უფლებამოსილ პირს მიღებული სასყიდელი. ...

გერმანულ სამართალში ცხარე კამათის საგანს წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვისი ნივთის ნამდვილი განკარგვის შემთხვევაში ამ ხელყოფის პასუხისმგებლობის ფარგლები. ეს პრობლემა დგება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც განკარგული საგნის ღირებულება არ ემთხვევა (ჩამოუვარდება ან აღემატება) რეალურად მოპოვებულ სასყიდელს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ბა-

¹⁷⁸ RGZ 115, 34; RGZ 129, 312; BGH JZ 1995, 573; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 30.

¹⁷⁹ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 43.

¹⁸⁰ დამქირავებელი, რომელიც არანამდვილი ქირავნობის საფუძველზე ფლობდა ნივთს, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, უფლებამოსილია ამ ნივთის ქურდისაგან ხელყოფის კონდიქციით გამოითხოვოს ის სარგებელი, რომელიც მას დარჩებოდა როგორც კეთილსინდისიერ მფლობელს (163 I 2).

ზარზე საგნის გასხვისების შემთხვევაში. მიუხედავად შესაბამისი დანაწესის (§ 816 I 1 გსკ) ცალსახა ფორმულირებისა, რომელიც განკარგვის შედეგად მიღებულის (სასყიდლის) გადაცემის ვალდებულებაზე საუბრობს, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთი მოსაზრების¹⁸¹ თანახმად, მის საფუძველზე მაინც მხოლოდ ობიექტური ღირებულება ანამლაურდება.¹⁸² ამის საპირისპიროდ, გაბატონებული მოსაზრება¹⁸³ არ სცდება კანონის სიტყვასიტყვითი გაგების ფარგლებს და ხელმყოფს განკარგვის შედეგად მიღებული სასყიდლის ოდენობით აგებინებს პასუხს.

არაუფლებამოსილი პირის მხრიდან განკარგვის შემთხვევაში ხელმყოფის პასუხისმგებლობის ფარგლების მოწესრიგება აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მუდმივად აზრთა სხვადასხვაობის საგანი იქნება, განკარგული ქონების ობიექტურ ღირებულებას ანამლაურებს ხელმყოფი თუ აბრუნებს განკარგვით მიღებულ სარგებელს.

ამასთან, განმკარგავისაგან მის მიერ რეალურად მიღებული სასყიდლის დაბრუნების მოთხოვნა უფრო გამართლებული ჩანს. ეს გადაწყვეტა ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელმყოფის კონდიციის, როგორც ვინდიკაციის ჩამნაცვლებლის ფუნქციას¹⁸⁴ და ზოგადად გამართლებულია სამართლიანობის მოსაზრებებით – ხელმყოფს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ობიექტურ ღირებულებას აღმატებული მოგების დატოვების შესაძლებლობა.¹⁸⁵

¹⁸¹ v. *Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 357; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 816 Rn. 23; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 816 Rn. 4; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 726.

¹⁸² განკარგვით მიღებულს წარმოადგენს ამ განკარგვის შედეგად ვალდებულებისაგან გათავისუფლების ობიექტური ღირებულება და ამგვარად საგნის ობიექტური ღირებულება.

¹⁸³ BGHZ 29, 159; BGH WM 1975, 1180; RGZ 88, 359.

¹⁸⁴ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 816 Rn. 16.

¹⁸⁵ *კონიგის (König)*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1563) მიერ არჩეული (მომრიგებლური) გადაწყვეტა, როდესაც მხოლოდ ივარაუდება, რომ განკარგვით მოპოვებული სასყიდელი შეესატყვისება ნივთის ობიექტურ ღირებულებას და კონდიციის მოვალეს რჩება საწინააღმდეგოს დამტკიცების შესაძლებლობა, ქართული სასამართლოების პრაქტიკაში გაურკვეველობას გამოიწვევს და, საბოლოო ჯამში, უკუსაგდება – კონდიციური პასუხისმგებლობის ფარგლები ცალსახად უნდა იყოს წინასწარ დადგენილი.

III. არანამდვილი განკარგვის მოწონება, 982 II 2

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 982. სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები</p>	<p>მუხლი 982. ხელყოფის კონდიქცია</p>

2. ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება.

2. ... თუ განკარგვა არანამდვილია, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს მიღებული სასყიდლის მისთვის გადაცემა მის მიერ განკარგვის მოწონების საწინააღმდეგოდ.

იმისათვის, რომ სხვისი ნივთის განკარგვა ჩაითვალოს სხვისთვის მიკუთვნებული სამართლებრივი პოზიციის ხელყოფად, აუცილებელია, რომ ეს განკარგვა იყოს ნამდვილი და უფლებამოსილ პირს მართლაც დააკარგვინოს შესაბამისი უფლება. განკარგვის ნამდვილობა განისაზღვრება სანივთო სამართლის პრინციპების მიხედვით. გადამწყვეტია, სახეზეა თუ არა უფლების კეთილსინდისიერად მოპოვების წინაპირობები (185, 187, 297, 312).

თუ ეს წინაპირობები არ არის სახეზე, ამ შემთხვევაში განკარგვა არანამდვილია უფლებამოსილი პირის წინაშე. მიუხედავად ამისა, გაბატონებულ მოსაზრების¹⁸⁶ თანახმად, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოიწონოს ეს არანამდვილი განკარგვა და წარუდგინოს განმკარგავს კონდიქციური მოთხოვნა.¹⁸⁷ მოცემული გადაწყვეტა, პირველ რიგში, წარმოადგენს იმ მესაკუთრის დამატებითი დაცვის მექანიზმს, რომელსაც ნივთი მოჰპარეს ან ეს ნივთი სხვაგვარად გავიდა მისი ძალაუფლების სფეროდან¹⁸⁸ და გასხვისებათა ჯაჭვის მეშვეობით ხელიდან ხელში გადავიდა. მაშინაც, როდესაც მან იცის ნივთის ადგილსამყოფელი, არ არის ვალდებული მფლობელისაგან ის ვინდიკაციით გამოითხოვოს და არც ქურდისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებას. მესაკუთრეს შეუძლია ამ გასხვისებათა ჯაჭვის შემთხვევაში მოითხოვოს გასხვისებით მიღებული მოგების დაბრუნება იმ კონკრეტული გამსხვისებლისაგან, რომლის პასუხისგებაში მიცემაც მისთვის ყველაზე მოსახერხებელია ან რომელმაც ყველაზე დიდი მოგება ნახა ამ გასხვისე-

¹⁸⁶ BGH NJW 1951, 1452; BGH NJW 1972, 1197; RGZ 106, 44; BGH NJW 1960, 860; BGH NJW 1991, 695; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 II 1c; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 816 Rn. 34; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 816 Rn. 9.

¹⁸⁷ თავდაპირველად ეს მოსაზრება გამოთქმულია: *Oertmann*, Recht der Schuldverhältnisse, 4. Aufl., Berlin 1919, § 816 Anm. 1a; *von Tuhr*, Allgemeiner Teil des BGB, II, München 1918 და *Schulz*, System der Rechte auf den Eingriffserwerb, AcP 105 (1909) 354; შდრ. ამასთან დაკავშირებული თავდაპირველი სასამართლო პრაქტიკისათვის RG 12.3.1923 (IV); RGZ 106, 44; RG 211.10.1926 (IV); RGZ 115, 31.

¹⁸⁸ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts, Köln 1981, 1552.

ბიდან და ა. შ. ამგვარად, 982 II 2 მუხლის მეშვეობით ხდება საკუთრების დაცვის დამატებითი, 982 II 1 მუხლით გაუთვალისწინებელი, მექანიზმის შემოტანა, რაც ცალსახად გამართლებულია – მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს უფლება, უარი თქვას ნივთის უკან მოპოვებაზე და სანაცვლოდ მის გარიგებისმიერ სუროგატს დასჯერდეს.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა არაუფლებამოსილი განმკარგავის წინააღმდეგ კონდიქციური სარჩელის აღძვრას განმარტავდა როგორც ამ განკარგვის კონკლუდენტურ მოწონებას.¹⁸⁹ ეს კონსტრუქცია საკმაოდ სარისკოა უფლებამოსილი პირისათვის, რადგან მოწონებასთან ერთად განკარგვა ხდება ნამდვილი და ის კარგავს მესამე პირის მიმართ ვინდიკაციურ მოთხოვნას. დოკმატური მხრივ, პრობლემურია, ასევე, პირობადებული მოწონების კონსტრუირების მცდელობა,¹⁹⁰ რის გამოც გაბატონებული მოსაზრება¹⁹¹ შემდეგ ხერხს მიმართავს: არანამდვილი განკარგვისას უფლებამოსილი პირი არ არის ვალდებული წინასწარ მოიწონოს ეს განკარგვა, არამედ სასამართლო ავალდებულებს განმკარგავს დააბრუნოს მიღებული სასყიდელი მოწონების გაცემის სანაცვლოდ (Zug um Zug). ეს გადაწყვეტა დააფიქსირა *კონიგმა* თავის კანონპროექტში (§ 2.1. (1).2),¹⁹² რომელიც ქართველმა კანონმდებელმა, სამწუხაროდ, სრულებით არასწორად გადმოიღო 982 II მუხლში.¹⁹³ 982 II 2 მუხლის ახალ რედაქციაში ეს ხარვეზი უნდა გასწორდეს და ცალსახად დაფიქსირდეს უფლებამოსილი პირის მხრიდან არანამდვილი განკარგვის მოწონების სანაცვლოდ (ერთდროულად) განმკარგავის მიერ მოპოვებული სასყიდლის გამოთხოვის შესაძლებლობა.

¹⁸⁹ BGH NJW 1968, 326; BGH NJW 1989, 2622; RGZ 106, 45; RGZ 115, 34; BGH NJW 1972, 1199; BGH NJW 1989, 1350.

¹⁹⁰ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 816 Rn. 12; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 816 Rn. 35.

¹⁹¹ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 II 1c; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 816 Rn. 9; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 8 I 2c; *Sprau*, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 816 Rn. 7; სკეპტიკურად: *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 816 Rn. 35.

¹⁹² იხ. *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1563.

¹⁹³ 982 II მუხლის ამჟამინდელი ფორმულირებიდან არა მხოლოდ არ იკითხება ზემოთ აღწერილი კონსტრუქცია, არამედ რთულია საერთოდ რაიმე შინაარსის გამოტანა.

მუხლი 983 – შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 983. შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ</p> <p>თუ უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი, მაშინ იგი მოვალეა მიღებული დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს.</p>	<p><i>მუხლი 983. შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ</i></p> <p>(1) თუ არაუფლებამოსილი პირი იღებს უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას, რომელიც ნამდვილია ამ უკანასკნელის წინაშე, მიღებული უნდა გადასცეს უფლებამოსილ პირს.</p> <p>(2) იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი პირი იწონებს არანამდვილ შესრულებას.</p>

I. შესრულების ნამდვილობა უფლებამოსილი პირის წინაშე, 983 1

ამჟამინდელი რედაქციის 983-ე მუხლი წარმოადგენს გსკ-ის 816 II პარაგრაფის ანალოგს, რომელიც *კონიგმა* თავისი კანონპროექტის 2.2-ე პარაგრაფში გაითვალისწინა. სხვისათვის (კრედიტორისათვის) განკუთვნილი შესრულების მიღება, თუ ეს შესრულება ნამდვილია უფლებამოსილი პირის წინაშე – ანუ მოვალე თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან – წარმოადგენს ამ კრედიტორის ქონების ხელყოფას. საბოლოო ჯამში ამგვარი ხელყოფის მეშვეობით მოპოვებული უკუმოთხოვნა შესაძლებელი უნდა იყოს 982 I მუხლის (ხელყოფის კონდიქციის ზოგადი დანაწესი) საფუძველზე, თუმცა ხელყოფის კონდიქციის ამ შემადგენლობის ცალკე გამოყოფა დამატებითი სიცხადის შემომტანია და სამართლის შემფარდებლისათვის საქმის გამარტივებას ემსახურება.¹⁹⁴

მიუხედავად გერმანული ტრადიციის მიბაძვით ხელყოფის კონდიქციის ამ სპეციალური შემადგენლობის ცალკე მოწესრიგებისა, ქართველ კანონმდებელს გამორჩა კანონში მისი ერთ-ერთი მთავარი წინაპირობის დაფიქსირება, რაც მოცემულ ნორმას საერთოდ აგდებს ხელყოფის კონდიქციათა საერთო კონტექსტიდან. ეს არის შესრულების ნამდვილობა უფლებამოსილი პირის წინაშე. არაუფლებამოსილი პირის წინაშე შესრულების განხორციელებით მოვალე უნდა თავისუფლდებოდეს თავისი ვალდებულებისაგან – უფლებამოსილი კრედიტორი

¹⁹⁴ König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1563.

უნდა კარგავდეს მოთხოვნის უფლებას, რის გარეშეც საერთოდ არ გვექნება სახეზე მისი სამართლებრივი პოზიციების ხელყოფა. თუ კრედიტორი ინარჩუნებს მოვალის მიმართ თავის მოთხოვნის უფლებას და შეუძლია მოსთხოვოს მას ხელმოკრედ შესრულება, მას არაფერი არ დაუკარგავს არაუფლებამოსილი პირის მიერ ამ შესრულების მიღებით¹⁹⁵ და არც უნდა მიენიჭოს მის მიმართ კონდიციური მოთხოვნა. ამ დროს უფლებამოსილი პირისათვის შესაძლებლობის მინიჭება, აირჩიოს, მოვალისგან მოითხოვოს შესრულებას თუ არაუფლებამოსილი პირისაგან ხელყოფის კონდიციით მიღებულის დაბრუნებას, მისი გაუმართლებელი პრივილეგირებაა. ამასთან, პრაქტიკაში პრობლემური იქნებოდა ერთი შესრულების ორჯერ მოთხოვნის რისკის განეიტრალება.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღებით მოვალე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან (მაგ., ცესიის შემდეგ ცესიონერის წინაშე შესრულება მე-200 მუხლის მიხედვით), შესრულების მიღება წარმოადგენს ნამდვილი კრედიტორის სამართლებრივი პოზიციების ხელყოფას და კონდიცირებადია.

იმისათვის, რომ მოცემული დანაწესი ჰარმონიულად ჩაჯდეს ხელყოფის კონდიციათა საერთო კონტექსტში, აუცილებელია წინაპირობის სახით „შესრულების ნამდვილობის“ გათვალისწინება 983 1 მუხლში.

II. არანამდვილი შესრულების მოწონება, 983 2

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 983. შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ	მუხლი 983. შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

(1) ...

(2) იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი პირი იწონებს არანამდვილ შესრულებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც არაუფლებამოსილი პირის მიერ უფლებამოსილი კრედიტორისათვის განკუთვნილი შესრულების მიღება არანამდვილია, ანუ მოვალე ვერ თავისუფლდება ვალდებულებისგან, 983 1 მუხლი არ გამოიყენება, რადგან უფლებამოსილი პირის სამართლებრივი პოზიციების ხელყოფა სახეზე არ არის. თუმცა ამ უფლებამოსილ პირს შეუძლია, მოიწონოს არანამდვილი

¹⁹⁵ გამდიდრება არ მომხდარა კრედიტორის ხარჯზე.

შესრულება, რის შემდეგაც შემსრულებელი მოვალე თავისუფლდება და უფლებამოსილ პირს აქვს შესაძლებლობა, უკვე მიმღებისგან მოითხოვოს მიღებულის დაბრუნება ხელყოფის კონდიქციით (983 1).¹⁹⁶ ამ გადაწყვეტის სასარგებლოდ მეტყველებს, პირველ რიგში, პარალელი სამომავლო რედაქციის 982 II 2 მუხლთან, რომელიც ითვალისწინებს არანამდვილი განკარგვის მოწონების გზით განმკარგავის მიმართ ხელყოფის კონდიქციის წაყენების შესაძლებლობას.¹⁹⁷ გარდა ამისა, 373 II მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს უფლებამოსილი კრედიტორის უფლებას, მოიწონოს არაუფლებამოსილის მიერ შესრულების მიღება, რაც იწვევს მოვალის გათავისუფლებას და რისი ლოგიკური გაგრძელებაც უნდა იყოს შესრულების მიმღების მიმართ კონდიქციური მოთხოვნის მოპოვება.

მართალია, ეს გადაწყვეტა ნაწილობრივ გაკრიტიკებულია¹⁹⁸ მოვალის (ან მისი კრედიტორების) არასაკმარისი დაცვის გამო,¹⁹⁹ მაგრამ ეს კრიტიკა უკუგდებულ უნდა იქნეს 373 II მუხლის ცალსახა ფორმულირებაზე მითითებით.²⁰⁰ თუ შემსრულებელი მოვალე მოიპოვებს იმას, რაც ეკუთვნის – ვალდებულებისაგან გათავისუფლებას²⁰¹ – მაშინ უფლებამოსილი პირიც აღარ უნდა იყოს შეზღუდული მისთვის კუთვნილი შესრულების დაბრუნების გზების არჩევისას.²⁰²

ამავე არგუმენტით უნდა იყოს გამართლებული ის გარემოება, რომ მოცემული გადაწყვეტა პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს უფლებამოსილ პირს მოვალის გაკოტრებისას²⁰³ – მას შეუძლია ხელი აიღოს გაკოტრებულისაგან რამის მოთხოვნაზე და შესრულების არაუფლებამოსილ მიმღებს წარუდგინოს კონდიქციური მოთხოვნა.

¹⁹⁶ BGH NJW 1972, 1199; BGH NJW 1983, 446; BGH NJW 1986, 2430; BGH NJW 1989, 1350; BGH NJW-RR 2009, 705 Rn. 14; BGH NJW-RR 2012, 1129; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 II 3d; *Sprau*, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 816 Rn. 21; კონდიქციური სარჩელის აღძვრა წარმოადგენს კონკლუდენტურ მოწონებას BGH NJW-RR 2012, 1129; OLG Hamm IPRax 2012, 351; OLG Koblenz VersR 2015, 859.

¹⁹⁷ რაც ამჟამინდელი რედაქციის 982 II მუხლში უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული, თუმცა გაუმართავი ფორმულირების გამო სრულებით გაუგებარია.

¹⁹⁸ *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 50 II 4; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 50 II 4; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 816 Rn. 30.

¹⁹⁹ შდრ. ასევე *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1563

²⁰⁰ შდრ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 98-ე და მომდევნო ველი.

²⁰¹ ერთი შესრულების ორმაგად მოთხოვნის შესაძლებლობა უფლებამოსილ პირს ამ შემთხვევაში არ ენიჭება – არანამდვილი შესრულების მოწონებასთან ერთად ის კარგავს მოვალისაგან შესრულების მოთხოვნის უფლებას – რითიც განეიტრალებულია ზემოთ ხსენებული რისკი.

²⁰² *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 99.

²⁰³ რის გამოც *კონიგმა* (*König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1563) ის თავის კანონპროექტში არ გაითვალისწინა.

მუხლი 984. ხელმოყვის პასუხისმგებლობა

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 984. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება</p> <p>1. თუ ხელმოყვამ არ იცოდა უფლებამოსილების ხარვეზი, გარდა უხეში გაუფრთხილებლობისა, იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს გამდიდრების ნიშნები.</p> <p>2. ხელმოყვი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ გაწეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას.</p>	<p>მუხლი 984. ხელმოყვის პასუხისმგებლობა</p> <p>1. ხელმოყვის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას შესაბამისად გამოიყენება 979-981-ე მუხლები.</p> <p>2. ხელმოყვის მიერ სამართლებრივი სიკეთის მოსაპოვებლად გაღებული ხარჯები არ ამცირებს მის გამდიდრებას.</p>

I. ხელმოყვის პასუხისმგებლობის ფარგლები, 984 I

გერმანულ სამართალში ხელმოყვის კონდიქციით პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის ფარგლები ცალკე არ არის მოწესრიგებული. როგორც ყველა სხვა კონდიქციის საფუძველზე პასუხისმგებელი პირი, ხელმოყვიც პასუხს აგებს გსკ-ის 818-819-ე მუხლების მიხედვით. მისი პასუხისმგებლობის მოდიფიცირება და სპეციალური პრინციპების მეშვეობით შევსება სამართლის დოქტრინის მიერ ხდება პასუხისმგებლობის ამ ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში. *კონიგის* მიერ არჩეული გადაწყვეტა, როდესაც მან ცალ-ცალკე მოაწესრიგა თითოეული კონდიქციის პასუხისმგებლობის ფარგლები, ცალსახად გამართლებულად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ის იძლევა ხსენებული სპეციალური პრინციპების კანონის ნორმად ჩამოყალიბებისა და ფართოდ გათვალისწინების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, შესრულებისა და ხელმოყვის კონდიქციის ფარგლებში პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმატიული ბირთვი იდენტურია,²⁰⁴ რაც მეტწილად დაიკარგა *კონიგის* მიერ არჩეული დიფერენცირებული მოწესრიგების ქართულ კანონში გარკვეული ხარვეზებით რეცეფციის შედეგად.

²⁰⁴ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 71 III 1b; *Flume*, Die Entreichrungsgefahr und die Gefahrtragung bei Rücktritt und Wandlung, NJW 1970, 1163; *Medicus*, Die verschärfte Haftung des Bereicherungsschuldners, JuS 1993, 70; v. *Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 368.

მაგალითად, 984 I მუხლიდან ცხადად და მკაფიოდ არ იკითხება ის გარემოება, რომ ხელმყოფის გამდიდრებაც ზუსტად ისევე განისაზღვრება, როგორც შესრულების მიმღების გამდიდრება 979 I-III მუხლის მიხედვით,²⁰⁵ რომ ორივე შემთხვევაში კონდიქციის მოვალის გამკაცრებულ პასუხისმგებლობას იდენტური წინაპირობები აქვს და რომ გამკაცრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში ხელმყოფიც ანაზღაურებს ბრალეულად მიუღებელ სარგებელს (981 II 1), ფულადი ვალის პროცენტებს (981 II 2), ბრალეულად მიყენებულ ზიანს და ა. შ. გარდა ამისა, კეთილსინდისიერი ხელმყოფსაც ზუსტად ისე შეუძლია მიუთითოს მის მიერ ნივთზე გაწეული დანახარჯებისა და ქონებრივი დანაკლისის ფარგლებში განმდიდრებაზე (980 I), როგორც შესრულების მიმღებს.²⁰⁶

კონიგმა ხელყოფის კონდიქციისათვის სპეციალურად გაწერილ ფარგლებში პირდაპირ გამდიდრებაზე აპელირებით ეს მოთხოვნა გარდაქმნა ღირებულებაზე ორიენტირებულ მოთხოვნად,²⁰⁷ რაც ამგვარი კატეგორიულობით გაუმართლებელია. ხელყოფის კონდიქციაც თავდაპირველად ნატურით რესტიტუციისაკენაა²⁰⁸ მიმართული და მხოლოდ მისი შეუძლებლობის შემთხვევაში გადაიზრდება ღირებულებაზე ორიენტირებულ მეორეულ მოთხოვნად (*Sekundäranspruch*). პირი, რომელიც ითვისებს სხვის მანქანას და ორი წლის განმავლობაში სარგებლობს მისით, ვინდიკაციის მსგავსად, ასევე ხელყოფის კონდიქციით პასუხისგებისასაც, პირველ რიგში, ვალდებულია დააბრუნოს მანქანაზე მფლობელობა და მანქანიდან მიღებული სარგებელი ამ შემთხვევაში ნივთის ფლობას მიეწერება.²⁰⁹ ამის საპირისპიროდ, ხელყოფით (პირველად) მოპოვებულად პირდაპირ სარგებლის მიჩნევის მცდელობა,²¹⁰ სამართლიანად არის უკუგდებული.²¹¹

ნაწილობრივ, თავად *კონიგის* მიერ არჩეული ფორმულირებით, ნაწილობრივ კი, ქართველი კანონმდებლის მიერ შესაბამისი ნორმების არასწორად გადმოტანით გამოწვეული ბუნდოვანება, ხელყოფის კონდიქციის ფარგლებთან დაკავშირებით, უნდა აღმოიფხვრას შესრულების კონდიქციის პასუხისმგებლობის

²⁰⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის განჩინება № 28/164-13.

²⁰⁶ *კონიგის* კანონპროექტის სულ სხვა შინაარსის მქონე ნორმის (§ 2.3) არასწორად გადმოტანამ 984 II მუხლში ხელმყოფს მოუჭრა დანახარჯებზე მითითების შესაძლებლობა, რაც არასწორია. დანახარჯების გამწევი კეთილსინდისიერი ხელმყოფი ზუსტად ისევე იმსახურებს დაცვას, როგორც შესრულების კეთილსინდისიერი მიმღები.

²⁰⁷ *Reuter/Martinek*, *Ungerechtfertigte Bereicherung*, II, Tübingen 2016, § 3 IV 2.

²⁰⁸ BGH NJW 1995, 55; BGH ZIP 2002, 532; BGH NJW 2002, 1874; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 21; *Sprau*, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 818 Rn. 5, 18.

²⁰⁹ RGZ 115, 34; RGZ 129, 312; BGH JZ 1995, 573; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 30.

²¹⁰ *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 818 Rn. 35.

²¹¹ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 35; *Koppensteiner/Kramer*, *Ungerechtfertigte Bereicherung*, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 13 I 1b (aa).

ფარგლებზე ცალსახა მითითებით, ამ ნორმაში მოწესრიგებული წესების ტავტოლოგიის გარეშე. 982-ე მუხლში შესატანი ცვლილებების გარდა (იხ. ამ მუხლის სარეფორმო წინადადება I.2), ესეც აუცილებელია ხელყოფის კონდიციის პირველ რიგში ნატურით რესტიტუციაზე ორიენტირებულ მოთხოვნად გარდაქმნისათვის. ამით უნდა აღდგეს ე. წ. „რეგულარული კონდიციური პასუხისმგებლობის“ მომწესრიგებელი ნორმატიული ბირთვი, რომელიც საერთოა შესრულებისა და ხელყოფის კონდიციისათვის.²¹² მოცემული მითითების გარდა, 984-ე მუხლში უნდა დაფიქსირდეს ის პრინციპი, რომელიც მოქმედებს სპეციალურად ხელყოფის კონდიციის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ხელყოფის კონდიციით პასუხისმგებლობას არ მოქმედებს შესრულების უკუქცევის ისეთი სპეციალური წესი, როგორცაა სალდოს თეორია (979 IV) და არც 979 V მუხლი, თუმცა ეს ხაზგასმულია 982 I 1 მუხლში დაფიქსირებულ მითითებაშიც, რომელიც მხოლოდ „შესაბამისად“ ტოვებს ძალაში შესრულების კონდიციის ფარგლების მომწესრიგებელ დანაწესებს ხელყოფის კონდიციის შემთხვევაში.

ისევე, როგორც შესრულების კონდიციის შემთხვევაში, ხელყოფის გამკაცრებული პასუხისმგებლობისათვისაც სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის შესახებ უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა, როგორც ეს *კონიგმა* დააფიქსირა კანონპროექტში (§ 2.3) და რაც მექანიკურად გადმოიღო ქართველმა კანონმდებელმა, საკმარისი არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ძალაში რჩება შესრულების 981-ე მუხლთან დაკავშირებით გამოთქმული არგუმენტები (იხ. 981-ე მუხლის სარეფორმო წინადადება, I.1)

II. სამართლებრივი სიკეთის მოპოვების ხარჯები, 984 I 2

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 984. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება</p>	<p>მუხლი 984. ხელყოფის პასუხისმგებლობა</p>
<p>1.</p> <p>2. ხელყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ გაწეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას.</p>	<p>1. ...</p> <p>2. ხელყოფის მიერ სამართლებრივი სიკეთის მოსაპოვებლად გაღებული ხარჯები არ ამცირებს მის გამდიდრებას.</p>

²¹² *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 71 III 1b; *Flume*, Die Entreichungsgefahr und die Gefahrtragung bei Rücktritt und Wandlung, NJW 1970, 1163; *Medicus*, Die verschärfte Haftung des Bereicherungsschuldners, JuS 1993, 70; v. *Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 368.

შესრულების კონდიქციით პასუხისგებისას მოვალის მიერ უკან დასაბრუნებელი საგნის მოსაპოვებლად გაღებული ფასი ამცირებს გამდიდრების ოდენობას სალდოს თეორიის მიხედვით. ამის საპირისპიროდ, ხელმყოფს, რომელიც ნივთს უფლებამოსილ პირს უბრუნებს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის მოსაპოვებლად მესამე პირისათვის გადახდილ სასყიდელზე, როგორც განმდიდრებაზე მითითების უფლება.²¹³ პირველ რიგში, კონდიქციის მოვალე ამ დროს ინარჩუნებს მოთხოვნის უფლებას თავისი კონტრაჰენტის წინაშე, 394-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. შეუძლია მოთხოვოს მას, მაგალითად, ნასყიდობის ფასის დაბრუნება და ა. შ. ამ მოთხოვნის განუხორციელებლობის რისკი კონდიქციის კრედიტორს არ უნდა დაეკისროს;²¹⁴ საკუთარი სახელშეკრულებო კონტრაჰენტის გაკოტრების რისკი უნდა ატაროს კონდიქციის მოვალემ და არა კრედიტორმა. ხელყოფის კონდიქციით დასახული უფლებამოსილი პირის დაცვის მიზანი ჩაიშლებოდა, თუ ხელმოყოფი შეძლებდა მესამე პირებისათვის გადახდილი თანხა დაეპირისპირებინა მისთვის შესაგებლის სახით.²¹⁵ გარდა ამისა, ნივთის მოსაპოვებლად ხარჯის გაღება, როგორც ქონებრივი დანაკლისი, პირდაპირ მიზეზშედეგობრივ კავშირში არ არის გამდიდრებასთან (განსხვავებით მაგ. 980 I მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისაგან).

ეს წესი მოქმედებს ასევე არაუფლებამოსილი განმკარგავის შემთხვევაშიც (სამომავლო რედაქციის 982 II 1 მუხლი), რომელმაც ეს ნივთი სხვა პირისაგან (წინაკაცი) შეიძინა სასყიდლის სანაცვლოდ და შემდეგ თავად გაასხვისა მესამე პირზე (გასხვისებათა ჯაჭვი). უფლებამოსილი პირის კონდიქციას განმკარგავი ვერ დაუპირისპირებს წინაკაცისათვის გადახდილ სასყიდელს, როგორც განმდიდრებას. აქედან გამომდინარე, ხელმოყოფს არ უნდა ჰქონდეს მოცემულ დანახარჯებზე, როგორც განმდიდრებაზე მითითების შესაძლებლობა.

ქართველმა კანონმდებელმა ზემოთ აღწერილი წესი *კონიგის* კანონპროექტის შესაბამისი ნორმიდან (§ 2.3) არასწორად გადმოიღო 984 II მუხლში, „ნივთის მოსაპოვებლად გაღებული ხარჯები“ შეცვალა „ნივთზე გაწეული დანახარჯებით“ და ამით ჩაღო მასში სულ სხვა შინაარსი. რეალურად მიიღო წესი, რომელიც, 980

²¹³ BGHZ 14, 9; BGHZ 66, 157; BGH NJW 1964, 399; BGH NJW 1971, 612; BGH NJW 1971, 1750; BGH NJW 1995, 3317; OLG Koblenz NJW-RR 2010, 1461; OLG Stuttgart WM 2011, 811; *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 59; *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000 § 51 II 2b; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 73 I 5a; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 725; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 818 Rn. 37; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 152.

²¹⁴ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 725; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 152.

²¹⁵ *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 14 II 1; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 17 IV 3c.

1 მუხლისაგან განსხვავებით, ხელყოფის კონდიქციის შემთხვევაში გამორიცხავს დანახარჯებზე (მაგრამ არა ქონებრივ დანაკლისზე²¹⁶), როგორც განმდიდრებაზე მითითების შესაძლებლობას. ხელყოფისა და შესრულების კონდიქციის პასუხისმგებლობის ჩარჩოების ამგვარ აცდენას ვერანაირი გამართლება ვერ მოეძებნება. დანახარჯების გამწევი კეთილსინდისიერი ხელმყოფი ზუსტად ისევე იმსახურებს დაცვას, როგორც შესრულების კეთილსინდისიერი მიმღები. მოცემული დანაწესი მთლიანად უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს *კონიგის* მიერ თავდაპირველად ჩაფიქრებული ფორმით.

²¹⁶ რაც უკვე თავისთავად გაუგებარი დიფერენცირებაა.

მუხლი 985 – მოგების მოთხოვნის უფლება

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 985. მოგების მოთხოვნის უფლება</p> <p>1. თუ ხელმყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს.</p> <p>2. ხელმყოფმა უნდა წარმოადგინოს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა მოგება მიიღო მან სხვისი ქონების გამოყენებით.</p>	<p>მუხლი 985. ხელყოფით მიღებული მოგება</p> <p>1. უფლების განზრახ ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს ამით მიღებული მოგება.</p> <p>2. ხელმყოფმა უნდა წარმოადგინოს ამ მოგებასთან დაკავშირებული ცნობები.</p>

I. ხელმოყობის მოგება, 985 I

სხვისთვის მინიჭებული სარგებლობის უფლების ან სხვა დაცული უფლების ხელყოფისას, ასევე, სხვისი საგნის უნებართვოდ გამოყენებისას, ხელმყოფმა უნდა აანაზღაუროს მიღებული სარგებლის ობიექტური საბაზრო ღირებულება (984 I 1, 979 II).²¹⁷ დაცული სამეწარმეო უფლებების შემთხვევაში ეს არის შესაბამისი ლიცენზიის ღირებულება;²¹⁸ იგივე წესი მოქმედებს პირადი უფლებების ხელყოფისას,²¹⁹ მაგალითად: გამოგონილი ინტერვიუს სხვისთვის მიწერა და სხვისი გამოსახულების უნებართვოდ გამოყენება. შესაბამისი ლიცენზიის თანხის გადახდა არ არის დამოკიდებული იმაზე, შეეძლო თუ არა უფლებამოსილ პირს გაეცა სასყიდლის სანაცვლოდ ლიცენზია მისი გამოსახულების ან ინტერვიუს საჯაროდ გავრცელებისათვის.²²⁰ ამასთან ხელმყოფი ვერ მიუთითებს იმ გარემოებაზე (როგორც განმედიდრებაზე), რომ ის არ შეეცდებოდა ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის მოპოვებას, თუ ამაში საფასურის გადახდა მოუწევდა.²²¹

²¹⁷ RGZ 97, 311 – რელსების გამოყენება; BGH NJW 1956, 1276 – ავტოსადგომის გამოყენება; BGH NJW 1956, 1554 – გამოსახულებაზე უფლების ხელყოფა; BGH NJW 1962, 532; BGH NJW 1963, 651 – საავტორო უფლების ხელყოფა; BGH NJW 1966, 823 – სვაჭრო ნიშანზე უფლების ხელყოფა; BGH NJW 1982, 1154 – სამრეწველო ნიშუის ხელყოფა; BGH NJW 1982, 1151 – პატენტის ხელყოფა; BGH WM 1996, 1497.

²¹⁸ BGH NJW 1982, 1154; BGH BB 1992, 1302; BGH WM 1998, 1739; BGH WRP 2009, 1273; BGH VersR 2010, 1072; OLG Frankfurt BeckRS 2011, 16990; LG Köln ZUM-RD 2009, 475.

²¹⁹ OLG Köln ZUM 2014, 416, 420; LG Hamburg ZUM-RD 2010, 627; LG Köln BeckRS 2013, 15176; 2014, 02971.

²²⁰ BGH NJW 2007, 689; LG Hamburg ZUM-RD 2010, 277.

²²¹ LG Hamburg ZUM-RD 2010, 277.

ამის საპირისპიროდ, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო²²² უარყოფს უფლებამოსილი პირის მიერ ე.წ. „ხელმყოფის მოგების“ (Verletzer-gewinn), ანუ იმ მოგების, რომელიც მიიღო ხელმყოფმა სხვისი უფლების გამოყენებით, მოთხოვნის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, სხვისი უფლების განზრახ ხელყოფის შემთხვევაში ამ გადაწყვეტისაგან გადახვევა და *კონიგის* მიერ არჩეულ პრინციპზე (§ 2.4) ორიენტირებაა აუცილებელი.²²³ გამომდინარე იქიდან, რომ სხვისი ნივთით, თუ არამატერიალური უფლების გამოყენებით მიღებული მოგებამ შეიძლება მრავალჯერ გადააჭარბოს მისი გარიგების საფუძველზე მოპოვების (მაგ., ლიცენზიის) ხარჯებს, განზრახ ხელმყოფის ქცევის სანქციონირებისა და უფლების ხელყოფის შემდგომი პრევენციისათვის²²⁴ აუცილებელია, ხელმყოფს მოეთხოვოს მთელი იმ მოგების დაბრუნება, რომელიც მიიღო სხვისი უფლების რეალიზაციის შედეგად. გერმანულ სამართალში მოსაზრება, რომელიც უარყოფს ხელყოფის კონდიქციით ამ ე.წ. „ხელმყოფის მოგების“ გამოთხოვის შესაძლებლობას, უთითებს ალტერნატიულ მოთხოვნის საფუძველზე, როგორც არის „სხვისი საქმეების განზრახ არანამდვილი შესრულება“²²⁵ (გსკ-ის 687 II, 681 2, 667-ე პარაგრაფები),²²⁶ რომლის ანალოგიც ქართულ სამართალში არ მოიპოვება და რის გამოც აუცილებელია, რომ ხელყოფის ზოგადმა კონდიქციამ იკისროს შესაბამისი მოგების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების ფუნქცია. მხოლოდ სპეციალურ კანონებში მოწესრიგებული მოგების მოთხოვნის უფლებები (მაგ., საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი ან სსკ-ის 18 V, VI 2 მუხლი) ვერ მოიცავს სხვისი უფლებით სარგებლობის, მითუმეტეს ნივთით სარგებლობის, ყველა შემთხვევას.

მოგების გამოთვლა ხდება ხელმყოფის მიერ მიღებული შემოსავლისათვის იმ ხარჯების გამოკლებით, რომლებიც აუცილებელი იყო მისი რეალიზაციისათვის (მაგ., სხვა პირის საავტორო უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის წარმოებისა და გავრცელების ხარჯები).²²⁷ ამ შემთხვევაში ძალაში უნდა დარჩეს 980 I მუხლი.

²²² BGH NJW 1956, 1554; BGH NJW 1962, 532; BGH NJW 1963, 651; BGH NJW 1966, 823; BGH NJW 1982, 1154; BGH NJW 1987, 2869.

²²³ შდრ. ამასთან დაკავშირებით *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1553-ე და მომდევნო გვერდები.

²²⁴ BGH, Urt. v. 2.11.2000, I ZR 246/98; BGHZ 145, 366, 371; BGHZ 181, 98.

²²⁵ იხ. ამასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი/გენატაშვილი*, კამუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 24, 36-ე და მომდევნო გვერდები.

²²⁶ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 72 III 3 c.

²²⁷ შდრ. BGHZ 145, 372; BGH, Urt. v. 21.9.2006, I ZR 6/04.

II. უფლებასმოსილი პირის ქონებრივი დანაკლისი

მიუხედავად მოგების კონდიციების შესაძლებლობის მომწესრიგებელი დანაწესის არსობრივად უცვლელად დატოვებისა, სამომავლო რედაქციის 985 | მუხლის დისპოზიციიდან უნდა ამოიშალოს „ქონებრივ დანაკლისზე“ აპელირება. მართალია, ამჟამინდელი რედაქციით ეს დანაწესი უფლებამოსილ პირს მოგების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს იმისაგან დამოუკიდებლად, მიადგა თუ არა მას კუთვნილი უფლების ხელყოფით რაიმე ქონებრივი დანაკლისი, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ქონებრივ დანაკლისს მაინც ენიჭება მნიშვნელობა ხელმყოფის არაგამკაცრებელი პასუხისმგებლობისას. ეს არასწორია. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კეთილსინდისიერი ხელმყოფიც სხვისი ნივთისა თუ უფლების გამოყენებისას ანაზღაურებს მის საბაზრო ღირებულებას, მაშინაც კი, როდესაც უფლებამოსილი პირი არ გეგმავდა თავისი სამართლებრივი სიკეთის კომერციალიზაციას. ზოგადად, კონდიქციური სამართალი, ეს არის უსაფუძვლოდ მიღებული გამდიდრების უკუქცევის სამართალი და არა ზიანის კომპენსირების სამართალი, რის გამოც უფლებამოსილი პირის ქონებრივ დანაკლისზე აპელირება კონდიქციური სამართლის ნორმაში ყოვლად უადგილოა.²²⁸

²²⁸ გარდა ამისა, ეს წარმოადგენს *კონიგის* კანონპროექტის შესაბამისი ნორმის (§ 2.4) არასწორ თარგმანს, სადაც საუბარია არა ქონებრივ დანაკლისზე, არამედ მოგებაზე, რომელიც აღემატება სარგებლობის საფასურს (მაგ., შესაბამისი ლიცენზიის ალების ხარჯები).

მუხლი 986 – რეგრესის კონდიქცია

არსებული რედაქცია

მუხლი 986. შეცდომით სხვისი ვალების გასტუმრება

პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება.

სამომავლო რედაქცია

მუხლი 986. რეგრესის კონდიქცია

1. ვინც შეგნებულად ფარავს სხვის ვალს, შეუძლია მოითხოვოს მისგან თავისი ხარჯების ანაზღაურება, თუ სხვა საფუძვლით რეგრესი გამორიცხულია.

2. რეგრესის კონდიქციის მოვალის სასარგებლოდ შესაბამისად გამოიყენება მე-200 და 201-ე მუხლის მე-2 ნაწილი. კონდიქციური მოთხოვნა ხანდაზმული ხდება დაფარული მოთხოვნისათვის გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადაში, ამ ვადის შეწყვეტის გარეშე.

I. რეგრესის კონდიქცია

986-ე მუხლში მოწესრიგებულია რეგრესის კონდიქცია, რომელიც კონდიქციური სამართლის ტიპოლოგიაში²²⁹ დამოუკიდებელ კონდიქციად ჩამოყალიბდა. კონდიქციური რეგრესის წინაპირობას წარმოადგენს სხვისი ვალის დაფარვა შესაბამისი განზრახვით, რის გარეშეც მოვალის გათავისუფლება ვალდებულებისგან შეუძლებელია.²³⁰ გარდა ამისა, ეს ვალი რეალურად უნდა არსებობდეს – არანამდვილი ვალდებულების შესრულებით ვითომ-მოვალე არაფერს არ მოიპოვებს და მისგან რამის კონდიცირება შეუძლებელია. რეგრესის კონდიქციის გამოყენება გამორიცხულია, როდესაც ეს რეგრესი სხვაგვარად არის შესაძლებელი, მაგალითად 969-ე, 974-ე მუხლების ან კანონისმიერი ცესიის საფუძველზე.²³¹ თუ დასაშვებია რეგრესი სხვა საფუძვლით, მაშინ მოვალეს რეალურად მხოლოდ კრედიტორი გამოუცვლია და ვერ ჩაითვლება გამდიდრებულად. უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი რეგრესი წარმოადგენს ამგვარად უკანასკნელ გამოსავალს და მკაცრად სუბსიდიარულია. ამის დაფიქსირება სასურველია კანონშივე, გამოყენების სფეროსთან დაკავშირებული გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით.

²²⁹ იხ. ამასთან დაკავშირებით *რუსიაში*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 27-ე და მომდევნო გვერდები.

²³⁰ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 950.

²³¹ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 950.

რეგრესის კონდიქციის ამჟამინდელ დეფინიციაში ნახსენები „ვალის გასტუმრება“ სასურველია შეიცვალოს „ვალის დაფარვით“, როგორც კონდიქციური სამართლის ტექნიკური ტერმინით. ამ ვალის დაფარვის მიზნის (Tilgungsbestimmung) მიხედვით ხდება შემსრულებლისა და შესრულების მიმღების იდენტიფიცირება. ის, ვისაც აქვს კონკრეტული გადახდის შემთხვევაში ვალის დაფარვის მიზანი, წარმოადგენს შემსრულებელს, ხოლო ვის წინაშეც აქვს ეს მიზანი – შესრულების მიმღებს. რეგრესის კონდიქციის განმაპირობებელ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მესამე პირს ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი დაფარვის მიზანი კრედიტორის წინაშე 371 I მუხლის მიხედვით.

გარდა ამისა, 988-ე მუხლის სამომავლო რედაქციაში თავად „რეგრესის კონდიქცია“ უნდა დამკვიდრდეს ტექნიკურ ტერმინად ამ კონდიქციის აღსანიშნავად და ჩაიწეროს მის სათაურში.

II. სხვისი ვალის შეგნებულად დაფარვა

როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, კონდიქციური რეგრესის წინაპირობაა სხვისი ვალის დაფარვა 371-ე მუხლის მიხედვით, რისთვისაც აუცილებელია მესამე პირის მიერ კრედიტორის წინაშე (მიზანმიმართული და გაცნობიერებული) შესრულების განხორციელება.²³² მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან ამ მის სასარგებლოდ შემსრულებელი მესამე პირის ხარჯზე, რაც უნდა აუნაზღაუროს მას კონდიქციის საფუძველზე. მესამე პირის მხრიდან კრედიტორის წინაშე სხვისი ვალის დაფარვა არ უნდა წარმოადგენდეს ამავდროულად მისი მხრიდან ამ მოვალის წინაშე განხორციელებულ შესრულებას,²³³ რადგან ამ შემთხვევაში შემსრულებელს შესრულების არანამდვილობისას მხოლოდ მოვალისაგან შეუძლია კონდიცირება შესრულების კონდიქციით. ამგვარად, გადამწყვეტია შემსრულებლის მიზანი (რაც მიმღების ჰორიზონტიდან განისაზღვრება²³⁴), კერძოდ კი ის, თუ ვის წინაშე სურს მას შესრულების განხორციელება.

მიუხედავად ამისა, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების²³⁵ თანახმად, რეგრესის კონდიქციის გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს. იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი (ვითომ-

²³² v. Caemmerer, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 360; Koppenssteiner/Kramer, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 10 II; Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 III 2; Medicus/Petersen, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 948.

²³³ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 374.

²³⁴ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 376; LG Bonn MDR 2009, 1348.

²³⁵ v. Caemmerer, Irrtümliche Zahlung fremder Schulden, FS Dölle I (1963), 147-ე და მომდევნო გვერდები.

მოვალე) თავისი არასწორი წარმოდგენის თანახმად, ფარავს საკუთარ და არა სხვის ვალს, ანუ აქვს კრედიტორის წინაშე საკუთარი ვალის დაფარვის მიზანი, მას უნდა შეეძლოს მოგვიანებით (რეტროსპექტულად) ამ მიზნის შეცვლა და კონკრეტული გადახდის სხვისი ვალის დაფარვად გარდაქმნა. მაგალითად:²³⁶ ა-ს ჰგონია, რომ მისმა ძაღლმა დაკბინა ბ და უნაზღაურებს მას ზიანს. შემდეგში აღმოჩნდება, რომ ბ სინამდვილეში გ-ს ძაღლმა დაკბინა. ა-ს შეუძლია მოგვიანებით უკუქცევითი ძალით გარდაქმნას საკუთარი ვალის დაფარვა სხვისი ვალის დაფარვად და მოიპოვოს ბ-ს მიმართ რეგრესის კონდიცია.²³⁷

კონიგმა²³⁸ თავის კანონპროექტში და მისი გავლენით ქართველმა კანონმდებელმაც 988-ე მუხლში, როდესაც რეგრესის კონდიციის ფარგლებში ერთმანეთს გაუთანაბრა სხვისი ვალის შეცდომით და შეგნებულად დაფარვა, გაითვალისწინა სწორედ ეს არაგაბატონებული მოსაზრება, რაც ვერ ჩაითვლება წარმატებულ გადაწყვეტილებად. **კონიგთან** ვითომ-მოვალის მხრიდან ეს ვალის დაფარვის „გადათამაშების“ შესაძლებლობა საბოლოო ჯამში დასაბუთებულია ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ სამართალზე მითითებით²³⁹ და არაჰარმონიულად ჯდება ქართული და გერმანული კონდიციური სამართლის სისტემატიკაში.²⁴⁰ პირს, რომელიც თავს შეცდომით ვალდებულად მიიჩნევს და ამიტომ იხდის ვალს, არ უნდა ჰქონდეს მოგვიანებით ამ გადახდის სხვისი ვალის დაფარვად „გასაღების“ შესაძლებლობა. ამგვარი ცალმხრივად „გადათამაშების“ საწინააღმდეგოდ შეტყვევლებს, პირველ რიგში, 371 II მუხლი – მოვალისა და კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდ ვითომ-მოვალეს არ უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარი ვალის დაფარვის მცდელობა სხვისი ვალის გასტუმრებად აქციოს. ეს გადათამაშება არანამდვილად აქცევდა კრედიტორის ან გაკოტრების მმართველის მხრიდან ნამდვილი მოვალის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის განკარგვას. გარდა ამისა, ვითომ-მოვალე მოიპოვებდა დაუშსახურებელ უპირატესობას კრედიტორის გაკოტრებისას. თუ პირი ისტუმრებს ვალს, რომელიც საკუთარი ჰგონია, მისი არარსებობის შემთხვევაში, მიღებული უნდა მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს შესრულების კონდიციით. მას არ უნდა მიეცეს კომპენსაციის დამატებითი შესაძლებლობა რეგრესის

²³⁶ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 948.

²³⁷ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 12 III 4 b; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 III 2 c; *Stolte*, Das Wahlrecht bei irrthümlicher Zahlung fremder Schulden, Jura 1988, 246.

²³⁸ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1567.

²³⁹ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1567.

²⁴⁰ შდრ. ამგვარი გადათამაშების საწინააღმდეგოდ *Lorenz*, Rechtsvergleichung und Rechtsvereinheitlichung, FS Institut Heidelberg (1967), 267; *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 48 III 6 a; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 76, 95; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 59.

კონდიქციის მეშვეობით, როდესაც აღმოაჩენს, რომ ეს ვალი მართლაც არსებობდა, ოღონდ სხვას ემართა.

შეცდომით თუ შეგნებულად სხვისი ვალის დაფარვის შემთხვევების ერთგვარ გადაწყვეტას *კონიგი* დამატებით ამართლებს მტკიცების ტვირთის გამარტივების მოტივით.²⁴¹ პროცესზე მოსამართლეს შეუძლია უარი თქვას შემსრულებლის კონკრეტული განზრახვის გამორკვევაზე, რადგან მას ორივე შემთხვევაში თანაბრად ერგება რეგრესის კონდიქცია. მტკიცების ტვირთის ამგვარი გამარტივება არასწორია. მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესი ამ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ პროცესუალური მოსაზრებებით იყოს ნაკარნახები. მოსამართლემ სწორედ უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოტივი ამოძრავებდა შემსრულებელს და მიანიჭოს ერთ შემთხვევაში შესრულების კონდიქცია ვითომ-კრედიტორის წინააღმდეგ, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – რეგრესის კონდიქცია მოვალის წინააღმდეგ, რადგან ეს ორი განსხვავებული შემთხვევაა თავისი სპეციფიკური ინტერესთა გადანაწილებით.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, 986-ე მუხლის არსებული ფორმულირება უნდა შეიცვალოს და რეგრესის კონდიქციის გამოყენების სფერო დავიწროვდეს და შემოიფარგლოს მხოლოდ სხვისი ვალის შეგნებულად დაფარვის შემთხვევებით.

III. რეგრესის კონდიქციის ფარგლები

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 986. შეცდომით სხვისი ვალების გასტუმრება	მუხლი 986. რეგრესის კონდიქცია

1. ...

1. ...

2. რეგრესის კონდიქციის მოვალის სასარგებლოდ შესაბამისად გამოიყენება მე-200 და 201-ე მუხლის მე-2 ნაწილი. კონდიქციური მოთხოვნა ხანდაზმული ხდება დაფარული მოთხოვნისათვის გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადაში, ამ ვადის შეწყვეტის გარეშე.

რეგრესის, ისევე როგორც დანახარჯების კონდიქციის შემთხვევაში, მოვალის გამდიდრება ხდება მისი ამ პროცესში ჩართვის გარეშე. საკუთარი გამდიდრების

²⁴¹ König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1568.

შესახებ ის, ჩვეულებრივ, მხოლოდ მოგვიანებით შეიტყობს ხოლმე. გარდა ამისა, ეს ორი კონდიქცია ხასიათდება იმ თავისებურებით, რომ მიღებულის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია და კონდიქციის მოვალეს თავიდანვე მისი ღირებულების ანაზღაურება ეკისრება – რეგრესის კონდიქციის შემთხვევაში ვალდებულებისაგან გათავისუფლება შეუძლებელია ნატურით დაბრუნდეს უკან; მის ასანაზღაურებელ ღირებულებას წარმოადგენს მოთხოვნის ნომინალური ღირებულება. მიუხედავად ამისა, ეს ზოგადი წესი სრულებით არ ითვალისწინებს კონდიქციის მოვალის ე. წ. „თავსმოხვეული გამდიდრებისგან“ (Aufgedrängte Bereicherung) დაცვას, რაც ამ კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია. ცალკეულ შემთხვევებში ამ მოვალეს ექნება ინტერესი, მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ მიღებული – ვალდებულებისაგან გათავისუფლება – სრული ოდენობით არ დაღეძილა მის ქონებაში პოზიტიური ნაშთის სახით. რეალურად მან გაცილებით ნაკლები მიიღო, ვიდრე კონდიქციის კრედიტორის მიერ გაწეული დანახარჯებია. ქართველმა კანონმდებელმა გაუგებარი მოსაზრებებით უგულებელყო *კონიგის* კანონპროექტში რეგრესის კონდიქციის მომწესრიგებელი ნორმის (§ 3.1) მეორე ნაწილი და, ამგვარად, სრულებით მოუწესრიგებელი დატოვა მიმღების „თავსმოხვეული გამდიდრებისაგან“ დაცვის პრობლემა, რაც დაუყოვნებლივ ცვლილებას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევებში, როდესაც კონდიქციის კრედიტორი ასრულებს მოვალის იმ ვალდებულებას, რომელიც შესაგებლით იყო დატვირთული – მოვალეს უფლება ჰქონდა კრედიტორის მხრიდან ამ ვალდებულების მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინა შესაბამისი შესაგებელი. გადაწყვეტის შემოთავაზებული გზები, პირობითად, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. წარსულში გამოთქმული ერთი მოსაზრების²⁴² თანახმად, თავსმოხვეული რეგრესის წინააღმდეგ მოვალის დაცვა შესაძლებელია 976 II გ) (სამომავლო რედაქციის: 976 II ბ) მუხლის მიხედვით. ეს მოსაზრება გამართლებულად არის უკუგდებული იმ არგუმენტით, რომ მნიშვნელოვნად სცდება მოცემული დანაწესის მიზანს, რომელიც შესრულების კონდიქციის გამორიცხვისათვის არის შექმნილი²⁴³ და არ მიესადაგება რეგრესის კონდიქციის შემთხვევას.²⁴⁴

2. უკუსაგდება ასევე მოსაზრება, რომელიც მოვალის დაცვას ცდილობს ღირებულების განსაზღვრის ეტაპზე (979 II), ამ ღირებულების მისი სუბიექტური სარგებლიანობის მიხედვით განსაზღვრით²⁴⁵ ან მხოლოდ ამ სუბიექტური სარგებლის

²⁴² *Reeb*, Grundprobleme des Bereicherungsrechts, München 1975, 84, იხ. ამის საწინააღმდეგოდ *v. Caemmerer*, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 360; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 105; BGG NJW 1976, 144

²⁴³ შდრ. *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 952.

²⁴⁴ იხ. 976 II გ) მუხლის უკან მდგომ პრინციპთან (*venire contra factum proprium*) დაკავშირებით 976-ე მუხლის სარეფორმო წინადადება.

²⁴⁵ *Medicus*, Bürgerliches Recht, 9. Aufl., München 1979, Rn. 952.

979 III მუხლის გაგებით გამდიდრებად მიჩნევის გზით.²⁴⁶ დამოუკიდებლად ამ ორი მოსაზრების დოგმატური გამართულობა-სიმცდარისა,²⁴⁷ არც ერთი მათგანი არ გთავაზობს კონკრეტულ კრიტერიუმებს კონდიქციის კრედიტორის მიერ გაწეული დანახარჯებისა და მოვალის სუბიექტური სარგებლის შეპირისპირებისათვის.²⁴⁸ ბუნდოვანი რჩება, თუ როგორ უნდა „გამოიქცითოს“ ვალის დაფარვის ხარჯებიდან ის გარემოება, რომ მოვალეს თავისი თავდაპირველი კრედიტორის წინაშე ჰქონდა, მაგალითად, ვალის გადადების შესაგებელი.

3. რეგრესის კონდიქციისათვის განმდიდრების შესაგებლის კონსტრუირების ზემოთ აღწერილი ხელოვნური მცდელობების საპირისპიროდ, სამოქალაქო კოდექსი იცნობს მოვალის დაცვის გაცილებით უფრო ზუსტ და დახვეწილ მექანიზმს. ესენია მე-200 და 201 II მუხლები, რომელთა ანალოგიით გამოყენებაც უნდა მოხდეს რეგრესის კონდიქციის მოვალის სასარგებლოდ.²⁴⁹ ამ გადაწყვეტის სასარგებლოდ მეტყველებს, პირველ რიგში, მსგავსება გარიგებისმიერი თუ კანონისმიერი ცესისა და რეგრესიის კონდიქციის შემთხვევებს შორის. მიანიჭებს თუ არა კანონი შემსრულებელს კონდიქციურ მოთხოვნას, თუ დაფარული მოთხოვნა კანონის ძალით გადავა მასზე (372 3) მხოლოდ ტექნიკური საკითხია და არ უნდა აისახოს უკუმოთხოვნის ფარგლებზე.²⁵⁰ თუ ამ მეორე შემთხვევაში მოვალეს შეუძლია 207, 201 2 მუხლების მიხედვით დაუპირისპიროს ცესიონერს ყველა ის შესაგებელი, რაც თავდაპირველი კრედიტორის წინაშე ჰქონდა, ეს წესი ანალოგიით უნდა გავრცელდეს რეგრესის კონდიქციით პასუხისგებაზე.²⁵¹ მოცემული გადაწყვეტა წარმოადგენს უფრო კონკრეტულ და მოქნილ მექანიზმს მოვალის დაცვისა, ვიდრე აბსტრაქტულად, რეგრესის კონდიქციის მოვალის გამდიდრებაზე საუბარი და შემდეგ მეტ-ნაკლებად თვითნებური კრიტერიუმების შემუშავება მის დასაკონკრეტებლად. ამის საპირისპიროდ, ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილება გთავა-

²⁴⁶ *Wilhelm*, Rechtsverletzung und Vermögensentscheidung als Grundlagen und Grenzen des Anspruchs aus ungerechtfertigter Bereicherung, Bonn 1973, 176, ციტ.: *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 219.

²⁴⁷ იხ. კრიტიკასთან დაკავშირებით *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 81-ე და მომდევნო გვერდი.

²⁴⁸ აბსტრაქტულად გამდიდრებაზე აპელირებს *კონიგიც* თავის კანონპროექტში (§ 3.1): „... რამდენადაც მოვალე ამ ხარჯებით საქმის წარმოებაში მიღების მომენტისათვის ჯერ კიდევ დამდიდრებულია“.

²⁴⁹ *Canaris*, Der Bereicherungsausgleich im Dreipersonenverhältnis, FS Larenz (1973), 845; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 III 2 b; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 12 III 4 a; *Wendehorst*, Der Rückgriff, Jura 2004, 511; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 952; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 221; *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 142; *Bartels*, Zum Rückgriff nach eigennütziger Zahlung auf fremde Schuld, RabelsZ 2014, 505.

²⁵⁰ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 221.

²⁵¹ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 221.

ზობს ცალსახა კრიტერიუმს მოვალის დაცვისათვის – კონდიქციისმიერი რეგრესი არ უნდა იყოს უფრო შორსმიმავალი, ვიდრე ცესიისმიერი.²⁵²

მართალია, გსკ-ის 406-ე პარაგრაფისაგან განსხვავებით, მე-200 და მომდევნო მუხლები არ ითვალისწინებენ მოვალის უფლებამოსილებას, გაქვითოს ცესიონერის წინაშე, თუმცა ამ შემთხვევაში კონდიქციისმიერი რეგრესის დროს შესაძლებელია 201 2 მუხლის ორმაგი ანალოგიით მოშველიება.

გარდა ხსენებულისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკის²⁵³ მიხედვით, სხვისი ვალის დაფარვიდან წარმომდგარი კონდიქციური მოთხოვნა ხანდაზმული ხდება დაფარული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაში, ამ ვადის შეწყვეტის გარეშე. ეს წესი ცესიის შემთხვევაში ცალკე მოწესრიგებას არ საჭიროებს, რადგან ამ შემთხვევაში იმავე მოთხოვნის გადასვლას ეხება საქმე, თუმცა სწორედ ამ პარალელის გამო აუცილებელია მისი გათვალისწინება რეგრესის კონდიქციისათვის.

²⁵² v. *Caemmerer*, Irrtümliche Zahlung fremder Schulden, FS Dölle I (1963), 153; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 952.

²⁵³ BGH NJW 2000, 3495; BGH NJW 1978, 1375; BGH NJW 1984, 1759; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 818 Rn. 334; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 221; იხ. საპირისპირო პრაქტიკასთან დაკავშირებით RGZ 86, 98; BGH NJW 1960, 529.

მუხლი 987 – დანახარჯების კონდიქცია

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 987. შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე</p>	<p>მუხლი 987. დანახარჯების კონდიქცია</p>
<p>1. პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა.</p> <p>2. გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გამრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს.</p> <p>მ. მოთხოვნა გამოირიცხულია, თუ:</p> <p>ა) პირს, რომელსაც წაეყენება მოთხოვნა, შეუძლია მოითხოვოს დანახარჯების ამოღება და ამოიღებს მას, ან</p> <p>ბ) პრეტენზიის წარმდგენმა პირმა ბრალულად დააყოვნა შეტყობინება ხარჯების მოთხოვნის შესახებ, ანდა</p> <p>გ) პირმა, რომელსაც წაეყენება პრეტენზია, სადავო გახადა ხარჯები მათ განხორციელებამდე.</p>	<p>1. ვინც შეგნებულად ან შეცდომით სწევს ხარჯებს სხვის საგანზე, შეუძლია მოითხოვოს მისგან ამ დანახარჯების ანაზღაურება.</p> <p>2. ანაზღაურების ვალდებულება არსებობს იმდენად, რამდენადაც მოვალე საგნით სარგებლობით, მისი გასხვისებით ან სხვაგვარად ახერხებს დანახარჯების შედეგად გამრდილი ღირებულების რეალიზებას.</p>

I. დანახარჯების კონდიქცია, 987 I

დანახარჯების კონდიქცია (987) წარმოადგენს კონდიქციური მოთხოვნის დამოუკიდებელ ტიპს,²⁵⁴ რომელიც მიმართულია ერთი პირის მიერ მეორის ქონებაზე გაწეული დანახარჯების კომპენსირებისაკენ. ის ენათესავება რეგრესის კონდიქციას (986), რის გამოც მათ საერთო დასახელების „ხარჯების კონდიქცია“ ქვეშაც აერთიანებენ.²⁵⁵

²⁵⁴ ტიპოლოგიასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 27-ე და მომდევნო გვერდები.

²⁵⁵ *Schwab*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 373; რეგრესის კონდიქციის, როგორც კონდიქციური მოთხოვნის დამოუკიდებელი ტიპის უარყოფის მცდელობა (*Wendehorst*, in *Beck OK BGB*, 43. Aufl.,

ამ შემთხვევაში მიმღების ქონების შევსება ხდება არა შესრულებით, არამედ დანახარჯების გამწევის ცალმხრივი „თვითნებური“ ქმედებით. ამგვარად, გამდიდრება არ არის გამდიდრებულის მხრიდან მისი ნებაყოფლობით მიღებით განპირობებული.²⁵⁶ დანახარჯების გამწევის, ჩვეულებრივ, აქვს ან სხვისი საქმის შესრულების ნება ან მისი ქმედება განპირობებულია საკუთარი ქონების ან სხვა მესამე პირის ქონების გაზრდის სურვილით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში მიზანს სცდება. გარდა ამ ასპექტისა, დანახარჯების კონდიქციის არსებული დეფინიცია ითვალისწინებს გერმანული სასამართლო პრაქტიკის²⁵⁷ მიერ მოთხოვნილი ე. წ. „ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლის“ აუცილებლობასაც და მისი ცალკე ხაზგასმა ზედმეტია.

დანახარჯების ცნება 987-ე მუხლის ამჟამინდელ და სამომავლო რედაქციაშიც უცვლელი უნდა დარჩეს. გერმანულ სამართალში მოცემული ტრიქოტომიის, რომლის ფარგლებშიც ასხვავებენ აუცილებელ, სასარგებლო და ფუფუნების დანახარჯებს შორის, რეცეფცია უკუსაგდება,²⁵⁸ პირველ რიგში, შესაბამისი პარადიგმის არარსებობის გამო სანივთო სამართალში (163-164-ე მუხლები). კონდიქციურ სამართალში ანაზღაურებადი დანახარჯების არაანაზღაურებადისაგან გამიჯვნა უნდა მოხდეს სხვა პრინციპების მიხედვით. ცნების დონეზე დანახარჯების ქვეშ ზოგადად უნდა მოვიაზროთ მიმღების ნივთზე გაწეული სამუშაოები თუ მასზე დახარჯული სამუშაო მასალა.²⁵⁹

მართალია, დანახარჯების კონდიქციის შემთხვევაში პრობლემურია მინიჭებული პირდაპირი სარგებლის ე. წ. რეფლექსური სარგებლისაგან²⁶⁰ გამიჯვნა, რომელიც არ უნდა იყოს კონდიქციური მოთხოვნის განმაპირობებელი,²⁶¹ თუმცა სამომავლო საკანონმდებლო ჩანაწერი საკამო ადგილს ტოვებს ამგვარი დიფერენცირებისათვის ნორმის პირველ ნაწილში საგანზე გაწეული მიზნობრივი დანახარჯებისა და მეორე ნაწილში კი დანახარჯების შედეგის რეალიზების ხაზგასმით.

2017, § 812 Rn. 147) და სხვისი ვალის დაფარვის ქონებაზე გაწეული დანახარჯებისათვის გათანაბრების მცდელობა არაადამაჯერებელია. დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქციებს შორის დიქტომია გაცილებით უფრო მარტივად აღსაქმელ გადაწყვეტას გვთავაზობს, შდრ. *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1568.

²⁵⁶ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 341; *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 812 Rn. 148.

²⁵⁷ OLG Brandenburg BeckRS 2015, 13732; LG Hamburg BeckRS 2013, 21925.

²⁵⁸ რაც სწორად უკუაგდო უკვე *კონიგმა* თავის კანონპროექტში, იხ. *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1568-ე და მომდევნო გვერდები.

²⁵⁹ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1568.

²⁶⁰ სარგებელი, რომელიც პირის ქმედების მხოლოდ შემთხვევით შედეგს წარმოადგენს.

²⁶¹ BGH NJW 2015, 229; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 III 1 b; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 345; *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 812 Rn. 151.

სამომავლო რედაქციაში თითქმის უცვლელი რჩება არსებული რედაქციის 987 I მუხლის ჩანაწერი, სადაც მოცემულია დანახარჯების კონდიქციის დეფინიცია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ დეფინიციაში არ ხდება გამდიდრებაზე, როგორც ამ კონდიქციის წინაპირობაზე მითითება. პირველ რიგში, ეს განპირობებულია იმით, რომ გამდიდრება არ წარმოადგენს ამ მოთხოვნის წინაპირობას – მოთხოვნის წინაპირობაა დანახარჯების შედეგად რაიმეს მოპოვება. გამდიდრება მნიშვნელოვანია მხოლოდ ამ მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, გამოითვლება რა დანახარჯების შედეგად მიძღვების ქონების ზრდა (და, შესაბამისად, უკუმოთხოვნის ფარგლებიც) 987 II მუხლში დაფიქსირებული სპეციალური წესის თანახმად, დანაწესის პირველ ნაწილში გამდიდრების ხსენებამ სამართლის შემფარდებელი (შეცდომით) არ უნდა გადაამისამართოს 979-ე მუხლთან.

II. კონკურენცია დანახარჯების ანაზღაურების სხვა მოთხოვნებთან

ცხარე კამათის საგანს წარმოადგენს დანახარჯების კონდიქციისა და მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობიდან წარმომდგარი დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის კონკურენციის საკითხი. გერმანული სასამართლო პრაქტიკის²⁶² მიხედვით, დანახარჯების კონდიქცია ამ ნორმების გვერდით არ გამოიყენება, მაშინაც კი, როდესაც სახეზე არ არის დანახარჯები ამ დანაწესების გაგებით. იურიდიულ ლიტერატურაში ეს მოსაზრება საკმაოდ გაკრიტიკებულია, პირველ რიგში, მფლობელი დანახარჯების გამწვევის არამფლობელთან (რომელიც შეუზღუდავად აგებს პასუხს დანახარჯების კონდიქციით) შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენების გამო, რისი გამართლებაც შეუძლებელია.²⁶³ სასამართლოს ზემოთ მოყვანილი მოსაზრების საპირისპიროდ, გასაზიარებელია სხვა პოზიცია,²⁶⁴ რომელიც ამ ორი რეგულატიური კომპლექსის პარალელური გამოყენებისაკენ იხრება. 163-164-ე მუხლები განსაზღვრავენ იმ ხარჯების ოდენობას, რომელიც უნდა აუნაზღაუროს მესაკუთრემ არაუფლებამოსილ მფლობელს იმისათვის, რათა მოახერხოს ნივთის (ვინდიკაციით) დაბრუნება. ამის საპირისპი-

²⁶² BGHZ 39, 189; BGHZ 41, 158; BGHZ 41, 346; BGH NJW 1996, 52; *Waltjen*, Das Eigentümer-Besitzer-Verhältnis und Ansprüche aus ungerechtfertigter Bereicherung, AcP 175 [1975], 133; *Herrler* in Palandt, 75. Aufl. 2016, Vorb. § 994 Rn. 15; *Gursky* in Staudinger BGB, 16. Aufl., 2013, Vor § 994–1003 Rn. 43.

²⁶³ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 897.

²⁶⁴ *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, 207; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 74 I 3; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, Vor § 812 Rn. 24; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 897; კრიტიკისათვის: *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 20 III 3 a.

როდ, კონდიქციური სამართალი აწესრიგებს იმ კომპენსაციის ოდენობას, რომელიც უნდა გადაუხადოს მესაკუთრემ მფლობელ თუ არამფლობელ დანახარჯების გამწვევს იმისათვის, რომ ჰქონდეს ამ დანახარჯების შედეგებით სარგებლობის შესაძლებლობა.²⁶⁵ ქართულ სამართალში ამ მოსაზრების გაზიარების სასარგებლოდ მეტყველებს, ასევე, ის გარემოებაც, რომ გსკ-ის 994-ე და მომდევნო პარაგრაფებისაგან განსხვავებით, სსკ-ის 163-164-ე მუხლები ვერ ჩაითვლება ამომწურავ და თვითკმარ დანაწესებად. შესაბამისად, კონკურენციისას მათ უპირობო უპირატესობაზე საუბარი ზედმეტია.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმომდგარი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნისა (973) და დანახარჯების კონდიქციის გამოყენების სფეროებს შორის თავისთავად არის დადებული ზღვარი იმ გარემოებით, რომ, თუ სახეზეა 969-ე და მომდევნო მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ეს წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს კონდიქციური სამართლის გაგებით, რაც ავტომატურად გამოირიცხავს დანახარჯების კონდიქციის გამოყენების შესაძლებლობას.

ამგვარად, 987-ე მუხლის გამოყენების სფეროსა და დანახარჯების ანაზღაურების სხვა მოთხოვნებს შორის კონკურენციის გადაწყვეტა შესაძლებელია კონდიქციურ სამართალში სპეციალური წესის გათვალისწინების გარეშე (განსხვავებით 986-ე მუხლში მოწესრიგებული რეგრესის კონდიქციისაგან), რაც სამომავლო რედაქციაშიც უცვლელი უნდა დარჩეს.

IV. პასუხისმგებლობის ფარგლები

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 987. შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე</p> <p>1. ...</p> <p>2. გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს.</p>	<p>მუხლი 987. დანახარჯების კონდიქცია</p> <p>2. ...</p> <p>2. ანაზღაურების ვალდებულება არსებობს იმდენად, რამდენადაც მოვალე საგნით სარგებლობით, მისი გასხვისებით ან სხვაგვარად ახერხებს დანახარჯების შედეგად გამრდილი ღირებულების რეალიზებას.</p>

²⁶⁵ Medicus/Petersen, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 897.

3. მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:
 ა) პირს, რომელსაც წაუყენებია მოთხოვნა, შეუძლია მოითხოვოს დანახარჯების ამოღება და ამოიღებს მას, ან
 ბ) პრეტენზიის წარმდგენმა პირმა ბრალულად დააყოვნა შეტყობინება ხარჯების მოთხოვნის შესახებ, ანდა
 გ) პირმა, რომელსაც წაუყენებია პრეტენზია, სადავო გახდა ხარჯები მათ განხორციელებამდე.

დანახარჯების კონდიციის მთავარ პრობლემას წარმოადგენს კონდიციის მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ მიმღები სხვა პირის მიერ მის ქონებაზე დანახარჯების გაწევის მომენტში პასიურია და მისი გამდიდრება მისი ნებისაგან დამოუკიდებლად ხდება, განსაკუთრებით მწვავედ დგება ამ კონტექსტში ე. წ. „თავსმოხვეული გამდიდრების“ საკითხი.²⁶⁶

*მაგალითი 1:*²⁶⁷ ქურდი იპარავს მანქანას, რომელსაც ის წითლად გადალებავს. მოგვიანებით, მანქანის მესაკუთრისათვის დაბრუნების შემდეგ ის ითხოვს გადაღების ხარჯების ანაზღაურებას.

*მაგალითი 2:*²⁶⁸ ა-ს მიწის ნაკვეთის არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი ბ აშენებს ამ ნაკვეთზე ბუნკერს. ნაკვეთის დაბრუნების შემდეგ ითხოვს ამ მშენებლობის ხარჯების ანაზღაურებას.

ორივე შემთხვევაში პრობლემურია საკითხი, უნდა ანაზღაუროს თუ არა მესაკუთრემ არაუფლებამოსილი მფლობელის მიერ თვითნებურად გაწეული დანახარჯები.

კონიგის კანონპროექტის შესაბამის დანაწესში (§ 3.1), განსხვავებით 987 I მუხლის ამჟამინდელი რედაქციისაგან, აქცენტი კეთდებოდა არა ზოგადად მიმღების გამდიდრებაზე, არამედ „გამდიდრებაზე მისი ქონებრივი დაგვემარების კონტექსტში“,²⁶⁹ რაც ქართველმა კანონმდებელმა ამ ნორმის რეცეფციისას გამოტოვა. ეს

²⁶⁶ შდრ. შეჯამებისათვის *Lieb*, in *MüKo BGB*, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 258; *Larenz/Canaris*, *Lehrbuch des Schuldrechts*, II/2, München 1994, § 72 IV; *Reuter/Martinek*, *Ungerechtfertigte Bereicherung*, II, Tübingen 2016, § 15 III 2 a; *Koppensteiner/Kramer*, *Ungerechtfertigte Bereicherung*, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 16 II 3 b.

²⁶⁷ *Medicus/Petersen*, *Bürgerliches Recht*, 24. Aufl., München 2013, Rn. 893, 897, 899.

²⁶⁸ *Baur*, *Der Beseitigungsanspruch nach § 1004 BGB*, AcP 160, 490.

²⁶⁹ *König*, *Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes*, Köln 1981, 1570-ე და მომდევნო გვერდი.

გამოტოვება გამართლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც *კონიგის* მიერ არჩეული ფორმულირება ძალზე აბსტრაქტული და არაფრისმთქმელი იყო და, ამასთან, შეუძლებელია მისი გამართულად თარგმნა ქართულ ენაზე. მიუხედავად ამისა, აუცილებელია 987 II მუხლში მოვალის პასუხისმგებლობის შემოსაზღვრის ისეთი კრიტერიუმის შერჩევა, რომელიც იქნება, ერთი მხრივ, საკმარისად ზოგადი იმისათვის, რომ მოიცვას ყველა აქტუალური შემთხვევა, ხოლო, მეორე მხრივ, დაკონკრეტებუნიარნი ცალკეული შემთხვევებისათვის.

987 III ა)-გ) მუხლში რეციპირებული *კონიგის* მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა, რომელიც ქართველმა კანონმდებელმა ფრაგმენტულად და არასწორად გადმოიღო, იძლევა არა მოვალის გამდიდრების და, შესაბამისად, კონდიციური მოთხოვნის ფარგლების დაკონკრეტების, არამედ მხოლოდ მისი გამორიცხვის შესაძლებლობას ცალკეულ შემთხვევებში. ეს, ერთი მხრივ, უბიძგებს სამართლის შემფარდებელს უსაგნო კაზუსტიკისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ამით ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით.

1. „დანახარჯების ამოღება“, 987 III ა)

987 III ა) მუხლის მიხედვით, რეგრესის კონდიცია გამორიცხულია, თუ „პირს, რომელსაც წაეყენება მოთხოვნა, შეუძლია მოითხოვოს დანახარჯების ამოღება და ამოიღებს მას“. ამ წინადადებიდან აზრის გამოტანა შეუძლებელია, რაც არა-შემთხვევითია. მოცემული დანაწესი წარმოადგენს *კონიგის* კანონპროექტის შესაბამისი ჩანაწერის (§ 3.2 a) არასწორ თარგმანს, რომელშიც თავდაპირველი შინაარსი სრულებით დაკარგულია. კანონპროექტის დანაწესის მიხედვით, „დანახარჯების ანაზღაურება გამორიცხულია, თუ კონდიციის მოვალეს შეუძლია მოითხოვოს ამ დანახარჯების შედეგად მიმატებულის წაღება ან უკვე მოითხოვა ეს“.²⁷⁰ ეს ჩანაწერი ემყარება გერმანული სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის მიერ აღიარებულ გადაწყვეტას, რომლის მიხედვითაც, ნივთის მესაკუთრე შეიძლება გათავისუფლდეს დანახარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ მიუთითებს დანახარჯების გამწვევს ამის შედეგად მიმატებულის მოშორების შესაძლებლობაზე ან პირდაპირ მოითხოვს ამას.

*მაგალითი 3:*²⁷¹ ა-მ იჯარით აიღო მესაკუთრე ბ-საგან მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების თანახმად, ა-ს მინიჭებული აქვს მხოლოდ მცირე ნაგებობების აშენების უფლება, რომლებიც იჯარის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ უნდა დარჩეს ბ-ს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. ა ნაკვეთზე წამომარ-

²⁷⁰ König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1569-ე და მომდევნო გვერდი.

²⁷¹ BGHZ 23, 61.

თავს მასიურ შენობას. ხელშეკრულების მოშლის შემდეგ ითხოვს ანაზღაურებას მისი პირობების დარღვევით წამომართული შენობისათვის.

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ²⁷² ამ შემთხვევაში გამოიყენა გსკ-ის 1001²⁷³ პარაგრაფი და გაათავისუფლა მესაკუთრე ანაზღაურების ვალდებულებისაგან, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა მოიჯარეს არასასურველი ნაგებობის დანგრევის შესაძლებლობაზე მიუთითა. იურიდიულ ლიტერატურაში²⁷⁴ გამოთქმული უფრო დასაბუთებული მოსაზრება შემდეგია: თუ გამდიდრებულს შეუძლია მოითხოვოს დანახარჯების შედეგად მიმატებულის მოშორება (მაგ. 992, 408 I, ან 172 II), მას შეუძლია ეს მოშორების მოთხოვნა შესაგებლის ფორმით დაუპირისპიროს დანახარჯების კონდიქციას, რის შემდეგაც მისი განხორციელება ხანგრძლივი დროით ხდება შეუძლებელი. დანახარჯების გამწევს პრაქტიკულად არ რჩება სხვა არჩევანი გარდა ამ დანახარჯების შედეგად მიმატებულის წაღებისა.²⁷⁵

ორივე ამ გადაწყვეტის გადმოღება ქართულ სამართალში პრობლემურია. პირველ შემთხვევაში კანონის შესაბამისი დანაწესის²⁷⁶ არარსებობის გამო, ხოლო მეორე შემთხვევაში დელიქტური (992) და ნეგატორული (172 II) მოთხოვნების კონდიქციური მოთხოვნის ნეგატიურ წინაპირობად აღქმის სირთულის გამო – კონიგის კანონპროექტის მოცემული დანაწესიდან პირდაპირ არ იკითხება, თუ რა შემთხვევაში აქვს მესაკუთრეს მიმატებულის მოშორების მოთხოვნა და ქართული სასამართლო პრაქტიკა 987 II ა) მუხლის შინაარსის გასწორებისა და კონიგის მიერ მონიშნულ თარგზე გამოჭრის შემთხვევაშიც, მისი გამოყენების მხრივ, სირთულეებს წააწყდებოდა.

გარდა ამისა, მიმატებულის წაღებაზე მითითებით, აპრიორი ვერ გადაწყდება თავსმოხვეული გამდიდრების ყველა შემთხვევა, გამომდინარე იქიდან, რომ დანახარჯები ყოველთვის ვერ ჩაითვლება საკუთრების დაზიანებად, ამის გარეშე კი გამორიცხულია როგორც დელიქტური, ისე ნეგატორული მოთხოვნები. მაგალითად, მანქანის დაჟანგული ზედაპირის გადაღებვა არ წარმოადგენს არც მის დაზიანებას (408) და არც საკუთრების ხელყოფას (172 II).²⁷⁷

²⁷² BGHZ 23, 61.

²⁷³ „...ხარჯების მოწონებამდე მესაკუთრეს შეუძლია გაათავისუფლდეს მოთხოვნის უფლებისაგან უკან მიღებული ნივთის დაბრუნებით ...“.

²⁷⁴ *Baur/Stürner*, Lehrbuch des Sachenrechts, München 1992, § 53 Rn. 33; *Wolf*, Die aufgedrängte Bereicherung, JZ 1966, 476.

²⁷⁵ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 899.

²⁷⁶ § 1001 2 გსკ.

²⁷⁷ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 899.

2. შეტყობინების ვალდებულების ბრალეული დარღვევა, 987 III ბ)

თავსმოხვეული გამდიდრების გამორიცხვის უფრო დახვეწილ კრიტერიუმს არ გვთავაზობს არც 987 II ბ) მუხლი, ხარჯების მოთხოვნის შესახებ შეტყობინებაზე აქცენტირებით. პირველ რიგში, ეს ნორმაც *კონიგის* კანონპროექტის შესაბამისი დანაწესის (§ 3.2. c) არასწორ თარგმანს წარმოადგენს. *კონიგთან* საუბარია დაგეგმილი დანახარჯების შესახებ წინასწარ შეტყობინებაზე²⁷⁸ და არა კონდიციური მოთხოვნის დროულად წაყენებაზე, რაც ხანდამშულობის საგანს წარმოადგენს და არა თავსმოხვეული გამდიდრების.

ამ არასწორი ენობრივი ფორმულირების გასწორების შემთხვევაშიც საეჭვოა თავად ამ შეტყობინების, როგორც ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვის კრიტერიუმის, მიზანშეწონილობა. პირველ რიგში, გაუგებარია, თუ რატომ უნდა იყოს ხარჯების შესახებ ნივთის მესაკუთრის წინასწარი ინფორმირება გადამწყვეტი, თუ ეს მესაკუთრე მოგვიანებით მანაც ახერხებს დანახარჯების შედეგად გაზრდილი ღირებულების რეალიზებას. დანახარჯების კონდიქცია არ წარმოადგენს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართლის ნაწილს, სადაც შესაძლებელია სხვისი საქმეში დაუშვებელი ჩარევის სანქციონირება მხოლოდ იმის გამო, რომ დანახარჯების გამწევ პირს უნდა შეეცნო მესაკუთრის საპირისპირო ნება.

დანახარჯების გამწევი პირის ვაკიცხავდი ქვევის სანქციონირების მაგივრად, გადამწყვეტია ახერხებს თუ არა მიმღები დანახარჯების შედეგად წარმოქმნილი ქონებრივი უპირატესობის რეალიზებას და, ამგვარად, იღექება თუ არა დანახარჯები პოზიტიური ნაშთის სახით მის ქონებაში. გარდა ამისა, ნივთის მესაკუთრისათვის შეტყობინების ვალდებულების დაკისრებისა და მითუმეტეს მისი ბრალეული დარღვევის შემთხვევების გამოკვეთა სასამართლოს სრულებით უმიზნო კაზუსტიკისაკენ უბიძგებს, რაც სცდება კონდიქციის მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლების შემოსაზღვრის მიზანს. ამისგან დამოუკიდებლად, თუ დანახარჯების გამწევს დაეკისრებოდა მათ გაწევამდე მესაკუთრის ინფორმირების ზოგადი ვალდებულება, ამას, თანამედროვე სამყაროში კომუნიკაციის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საერთოდ აღარ დაეტოვებინა ადგილი დანახარჯების კონდიქციის გამოყენებისათვის.²⁷⁹

²⁷⁸ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1576.

²⁷⁹ დანახარჯების გაწევამდე მესაკუთრის ინფორმირებისა და მასთან მორიგების პროცედურა *კონიგმა* გადმოიღო ფრანგული იჯარისა და ქირავნობის სამართლიდან (*König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1576), რაც თავისთავად საეჭვოს ხდის ამ პარადიგმის კონდიქციურ სამართალში დამკვიდრების მცდელობას. დამოუკიდებლად ამისა, ეს პროცედურა სრულებით უცხო სხეულია ქართული სამართლისათვის, არანაირი ბმა არ აქვს რეალურ პრაქტიკასთან და მხოლოდ კანონით გაწერილ ფიქტიურ პროცედურად რჩება. პრაქტიკული ცხოვრებისაგან ამ სრულებით მოწყვეტილი პროცედურის სავალდებულობის ზედმიწევნით დაცვამ, საბოლოო ჯამში, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიძლება საერთოდ დანახარჯების კონდიქცია აქციოს ფიქტიურ ინსტრუმენტად.

3. უარი დანახარჯებზე, 987 III გ)

უკვე ხსენებული არგუმენტის გამო, მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლების დაკონკრეტების კონტექსტში მიზანს აცდენილია ასევე 987 III გ) მუხლში მოცემული კრიტერიუმი – კონდიქციის მოვალის წინასწარი უარი²⁸⁰ დანახარჯების გაწევაზე. მაშინაც კი, როდესაც ქონების მესაკუთრე უარს ამბობს დანახარჯებზე, თუმცა მოგვიანებით რეალურად იღებს სარგებელს ნივთის გაუმჯობესებიდან, მან მაინც უნდა აგოს პასუხი დანახარჯების კონდიქციით.

4. სარგებლის რეალიზაცია

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია კონდიქციური მოთხოვნის პირდაპირ გამომრიცხავი ამ სამი საკმაოდ არამიზანშეწონილი გარემოების ჩანაცვლება ქმედითი კრიტერიუმით, რომელიც გამოსადეგი იქნება ასანაზღაურებელ და თავსმოხვეულ გამდიდრებას შორის მიჯნის დადებისათვის. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში²⁸¹ გამოთქმული ერთი მოსაზრების თანახმად, დანახარჯები უნდა ანაზღაურდეს (§ 818 II გსკ, შეესაბამება სსკ-ის 979 II მუხლს) მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ის სუბიექტურად სასარგებლოა ნივთის მესაკუთრისათვის (სუბიექტური ღირებულება): გადამწყვეტი უნდა იყოს არა დანახარჯების ობიექტური საბაზრო ღირებულება, არამედ ის, თუ რამდენად შეუძლია კონდიქციის კონკრეტულ მოვალეს მოუნახოს დანახარჯების შედეგად გაზრდილ ღირებულებას გამოყენება საკუთარი მიზნების ფარგლებში.²⁸² სხვა ავტორები²⁸³ ასანაზღაურებელი ღირებულების გამოთვლას სუბიექტური სარგებლიანობის მიხედვით გსკ-ის 818 II პარაგრაფის შინაარსის დაუშვებელ მოდიფიკაციად მიიჩნევენ. თავსმოხვეული გამდიდრების პრობლემა არ წარმოადგენს

²⁸⁰ ამ შემთხვევაშიც *კონიგის* მიერ შესაბამის დანაწესში (§ 3.2. c) ჩადებული შინაარსი ირდილება არასწორი ენობრივი ფორმულირებით (*König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1576). კანონპროექტის შესაბამის დანაწესში საუბარია მესაკუთრის უარზე დანახარჯების გაწევასთან დაკავშირებით და არა მათ სადაოდ ქცევაზე, რისი შინაარსიც ბუნდოვანია.

²⁸¹ *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 818 Rn. 313; *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 51 I 4 e; *Goetzke*, Subjektiver Wertbegriff im Bereicherungsrecht? AcP 173, 318; *Koller*, Aufgedrängte Bereicherung und Wertersatz bei der Wandlung im Werkvertrags- sowie Kaufrecht, DB 1974, 2389; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 16 II 3 c; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 899; *Pinger*, Funktion und dogmatische Einordnung des Eigentümer-Besitzer-Verhältnisses, München 1973, 123; *Reeb*, Grundprobleme des Bereicherungsrechts, München 1975, 101.

²⁸² *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 818 Rn. 225.

²⁸³ *Larenz*, Zur Bedeutung des Wertersatzes im Bereicherungsrecht, FS v. Caemmerer, 1978, 222; *Gursky* in Staudinger BGB, 16. Aufl., 2013, § 951 Rn. 51; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 72 IV 3 d.

მიღებულის ღირებულების გამოთვლის (ობიექტური) წესიდან გადახვევის საფუძველს, არამედ განაპირობებს მხოლოდ განმდიდრების შესაგებელს (§ 818 III გსკ, შესაბამება სსკ-ის 979 III მუხლს). მოვალე განმდიდრებულად ითვლება მაშინაც კი, თუ დანახარჯები მისთვის თავიდანვე უსარგებლოა (და არა მხოლოდ მოგვიანებით გახდება გამოუსადეგარი).²⁸⁴

მიუხედავად დოგმატური დასაბუთების მხრივ განსხვავებისა (რაც ქართულ სამართალში ამ გადაწყვეტის რეცეფციისათვის უმნიშვნელოა²⁸⁵), ორივე მოსაზრება თანხმდება იმასთან დაკავშირებით, რომ დანახარჯების კონდიციის მოვალემ, საბოლოო ჯამში, მხოლოდ იმ ფარგლებში უნდა აანაზღაუროს ხარჯები, რა ფარგლებშიც ის რეალურად იღებს მათგან სარგებელს.²⁸⁶ 987 II მუხლის სამომავლო რედაქციაში პირდაპირ ამ პრინციპზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. ამგვარად, დასაწყისში მოყვანილი ბუნკერის მაგალითში (იხ. ზემოთ მაგალითი 2), მესაკუთრე მხოლოდ მაშინ არის ვალდებული აანაზღაუროს მისი ღირებულება, თუ რეალურად იყენებს მას ან ბუნკერის წყალობით ნივთს უფრო ძვირად ასხვისებს. წითლად გადაღებული მანქანის შემთხვევაში (მაგალითი 1) ამ გადაღების ღირებულების ანაზღაურება მესაკუთრეს მხოლოდ მაშინ ეკისრება, თუ ის ამით ზოგავს მანქანის გადაღების ხარჯებს, ან, როგორც წინა შემთხვევაში, ახალშეღებულ მანქანას უფრო ძვირ ფასად ყიდის.²⁸⁷

თუმცა ანაზღაურების ფარგლების სუბიექტური სარგებლიანობის („სუბიექტური ღირებულება“) მიხედვით განსაზღვრა არ გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ მიმღების სუბიექტური აღქმა და ნება-სურვილია გადამწყვეტი. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებების – განსაკუთრებით კი მიმღების მიზნებისა და მხარეთა კეთილსინდისიერების – გათვალისწინებით მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფარგლებში შეიძლება მოეთხოვოს მიმღებს დანახარჯების შედეგად მისი ნივთისათვის მიმატებულის ღირებულების რეალიზება.²⁸⁸ თუ მიმღები ხელიდან უშვებს ამ გაზრდილი რეალიზების შესაძლებლობას იმ გარემოებათა გამო, რომლებსაც ის აკონტროლებდა და მისი რისკის სფეროში იყო, მაშინ მას აღარ უნდა ჰქონდეს გამდიდრების თავსმოხვეულობაზე მითითების შესაძ-

²⁸⁴ *Larenz*, Zur Bedeutung des Wertersatzes im Bereicherungsrecht, FS v. Caemmerer, 1978, 224.

²⁸⁵ გამომდინარე იქედან, რომ დანახარჯების კონდიციის ფარგლები სპეციალურად უნდა მოწესრიგდეს 987 II მუხლში, 979-ე მუხლზე მითითების გარეშე.

²⁸⁶ *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 16 II 3 c.

²⁸⁷ *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 899.

²⁸⁸ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 150; *Wendehorst*, Anspruch und Ausgleich, Tübingen 1999, 306-ე და მომდევნო გვერდები; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 72 IV 3 d.

ლებლობა.²⁸⁹ ამგვარად, „სუბიექტური ღირებულება“ შეიცავს გარკვეულ ობიექტურ კონტაქტსაც.²⁹⁰

ამ კონტექსტში პრობლემურია საკითხი, ეკისრება თუ არა მესაკუთრეს (იმ შემთხვევაში, როდესაც ის რეალურად ვერ იღებს სარგებელს დანახარჯებიდან) ნივთის გაყიდვის შემდეგობით ამ გამზრდილი ღირებულების რეალიზება.²⁹¹ მიუხედავად იმისა, რომ ამ გასხვისების ზოგადი ვალდებულების დაკისრება დაუშვებელი ჩარევა იქნებოდა მიმღების საკუთრებაში, მოსამართლეს გამონაკლისის სახით მაინც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაავალდებულოს მიმღები, გაასხვისოს ნივთი, სხვა შემთხვევაში კი არ მისცეს მას დანახარჯების უსარგებლობაზე მითითების შესაძლებლობა.

987 II მუხლის სამომავლო რედაქციის საკმაოდ ზოგადი ფორმულირება – „ახერხებს ... ღირებულების რეალიზაციას“, რომელიც მოიცავს, როგორც უკვე რეალურად რეალიზებულ, ისე სამომავლოდ რეალიზებად სარგებელს და თავად „მოხერხებაზე“ აქცენტის გაკეთება,²⁹² რაც მიმღების მხრიდან გამოსაჩენ გარკვეულ ძალისხმევაზე უთითებს, იძლევა საბოლოო ჯამში ყველა შემთხვევაში ხსენებული ასპექტის გათვალისწინების შესაძლებლობას.

²⁸⁹ BGH NJW-RR 2006, 295.

²⁹⁰ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 818 Rn. 150.

²⁹¹ ამ ვალდებულებას გამართლებულად მიიჩნევს *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 72 IV 3 d; ნაკლებ კატეგორიულია *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 899.

²⁹² განსხვავებით 987 II მუხლის არსებული რედაქციის სტატიკური „სარგებლის მიღებისაგან“.

მუხლი 988 – კონდიქციური ურთიერთობა სამ პირს შორის. შესრულება მითითების საფუძველზე

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 988. ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები</p> <p>1. პირს, რომელიც 976-ე მუხლის თანახმად რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულებულის გამოთხოვა ვითომ-კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.</p> <p>2. პირს, რომელიც 976-ე მუხლის მიხედვით ახალ ვითომ-კრედიტორს რაიმეს გადასცემს მოთხოვნის წაყენების შემდეგ, შეუძლია თავდაპირველი ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს დაბრუნება ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ თავდაპირველ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკუმოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ახალი ვითომ-კრედიტორის მიმართ.</p>	<p>მუხლი 988. კონდიქციური ურთიერთობა სამ პირს შორის. შესრულება მითითების საფუძველზე</p> <p>1. (1) მიმღები არ აგებს პასუხს უფლება-მოხილი პირის წინაშე ხელყოფის კონდიქციით, თუ მან სამართლებრივი სიკეთე შესრულებით მოიპოვა სხვა პირისაგან.</p> <p>(2) გადაცემული მიმღებისაგან უკან უნდა მოითხოვოს შემსრულებელმა 976-ე მუხლის მიხედვით.</p> <p>2. (1) ვითომ-კრედიტორის მითითების საფუძველზე მესამე პირისათვის (მიმღებისათვის) რაიმეს გადაცემის შემთხვევაში შემსრულებლად ითვლება ვითომ-კრედიტორი, თუ ის ასეთად არის აღქმული მესამე პირის მიერ.</p> <p>(2) ამ შემთხვევაში პირს, რომელსაც მიუთითეს, 976-ე მუხლის მიხედვით უკუმოთხოვნის უფლება აქვს ვითომ-კრედიტორისაგან, ხოლო მიმითითებელ ვითომ-კრედიტორს – მესამე პირისაგან.</p> <p>(3) მითითების არანამდვილობის შემთხვევაში მისი გამგეში ვითომ-კრედიტორი მანც ჩაითვლება შემსრულებლად, თუ ის ასეთად არის აღქმული შესრულების კეთილსინდისიერი მიმღების მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას მითითება არ შეერაცხება.</p>

(4) ამ უკანასკნელ შემთხვევაში დასაშვებია პირდაპირი უკუმოთხოვნა, რომლის ფარგლებიც შესაბამისად განისაზღვრება 987-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

3. ანაზღაურების მოვალეობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 979-ე და 980-ე მუხლები.

I. შესრულების სამკუთხედი

სამ პირს შორის წარმოშობილი კონდიციური ურთიერთობა (კონდიციური სამკუთხედი) და, კერძოდ კი, ის საკითხი, თუ ამ სამი პირიდან ვინ უნდა მოითხოვოს გადაცემული ვისგან და რა ტიპის კონდიციით, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ყველაზე რთულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით, კონდიციურ ურთიერთობაში ორ პირზე მეტის მონაწილეობის შემთხვევაში შეუძლებელია რაიმე სქემატური გადაწყვეტის გამოყენება, არამედ გადამწყვეტია კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინება.²⁹³

მიუხედავად ამ ერთიანი სქემატური გადაწყვეტის არარსებობისა, გერმანულმა დოქტრინამ შეიმუშავა რამდენიმე ფუძემდებლური პრინციპი, რომლებიც *კონიგის* კანონპროექტიდან (იხ. ქვემოთ) და მითუმეტეს გარკვეული ხარვეზებით რეციპირებული ქართული დანაწესებიდან ისე ნათლად არ იკითხება და სამომავლო რეაქციაში უფრო დეტალურ და ცალსახა მოწესრიგებას საჭიროებს.

სამ პირს შორის კონდიციური ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს არა სამ (ამჟამინდელი რედაქციის 988-990-ე მუხლები), არამედ ოთხ მუხლში (სამომავლო რედაქციის 988-991-ე მუხლები), 991-ე მუხლში გაწერილი გენერალური დათქმის ამოშლის შემდეგ (იხ. ამ მუხლის სარეფორმო წინადადება). 988 I, 2 მუხლში უნდა დაფიქსირდეს ე. წ. ხელყოფის კონდიციის სუბსიდიარულობის დოგმა – ქონების უსაფუძვლო გადადინების შესრულების ურთიერთობის ფარგლებში (შემსრულებელსა და მიმღებს შორის) უკუქცევის პრიმატი. 988 II, 989 I და 989 II მუხლებში უნდა მოწესრიგდეს კონდიციური სამკუთხედის სამი ყველაზე აქტუალური შემთხვევა შესაბამისი თანმიმდევრობით: მითითების საფუძველზე განხორციელებული შესრულება, შესრულება ცესიონერის სასარგებლოდ, ვალის დაფარვა მესამე პირის მიერ 371-ე მუხლის მიხედვით. 990-991-ე მუხლებში უნდა დაფიქსირდეს ის

²⁹³ BGHZ 89, 376, 378; BGH NJW 1968, 1822; BGH NJW 1972, 864; BGH NJW 1974, 39; BGH NJW 1976, 1449; BGH NJW 1976, 1845; BGH NJW 1979, 157; BGH NJW 1983, 2499; BGH NJW 1984, 483.

საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც დასაშვებია მესამე პირის მხრიდან შესრულების მიმღებისაგან პირდაპირი კონდიცირება.

ამჟამად 989-ე და 990-ე მუხლებში მოცემულმა დანაწესებმა ერთი მუხლით უნდა გადაინაცვლოს – ამჟამინდელი რედაქციის 989-ე მუხლი მოწესრიგდება 990-ში და 990-ე მუხლი კი – 991-ში. ზოგადი პრინციპისა და სამ პირს შორის კონდიქციური ურთიერთობის სამი ყველაზე აქტუალური შემთხვევის ორ დანაწესში (988-989-ე მუხლებში) გადანაწილება უფრო მარტივად აღქმადს ხდის ამ წესებს.

II. სუბსიდიარულობის დოგმა

რამდენიმე პირს შორის წარმოშობილი კონდიქციური ურთიერთობის ფარგლებში სამართლებრივი სიკეთის შესრულებით მიღება ერთი პირისაგან შეიძლება ამავდროულად წარმოადგენდეს სხვა პირის უფლების ხელყოფას ამ სიკეთეზე.²⁹⁴ ამ შემთხვევაში მოქმედებს ხელყოფის კონდიქციის ე. წ. „სუბსიდიარულობის დოგმა“²⁹⁵ – ის რაც მიღებულია შესრულებით ვერ ჩაითვლება ამავდროულად ხელყოფით მოპოვებულად. კონდიქციურ სამკუთხედში ქონების გადადინების უკუქცევა უნდა მოხდეს შესაბამისი შესრულების ურთიერთობაში (შესრულების ხაზის მიხედვით).²⁹⁶ ეს შეიძლება აქტუალური გახდეს, მაგალითად, ე. წ. „შესრულებათა ჯაჭვის“ შემთხვევაში (ა მიჰყიდის და გადაცემს ნივთს ბ-ს, რომელიც თავის მხრივ მიჰყიდის და გადასცემს მას გ-ს).

მაგალითი: ა მიჰყიდის ბ-ს მოპედს, რომელსაც ბ, თავის მხრივ, გაუცვლის გ-ს მის ძველ მანქანაში. გ მოპედს გამოუცვლის ძრავს, რა დროსაც მოპედიდან ამოღებული ძველი ძრავიდან ჩამოღვენილი სითხე იატაკს დაუზიანებს. შემდეგ ა-სა და ბ-ს და ბ-სა და გ-ს შორის დადებული ყველა გარიგება არანამდვილი აღმოჩნდება, რის შემდეგაც ა ითხოვს საკუთარ მოპედს პირდაპირ გ-საგან.

ხელყოფის კონდიქციის გამოყენებამდე უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის გადიდრება მოპოვებული შესრულებით. ამ შემთხვევაში შესრულების კონდიქცია გამორიცხავს ხელყოფის კონდიქციის გამოყენებას. ეს გადაწყვეტა ემყარება სამ არგუმენტს:²⁹⁷

²⁹⁴ იხ. მაგალითისათვის რუსიაშვილი/ევნათაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 116-ე და მომდევნო გვერდები.

²⁹⁵ BGHZ 55, 176; BGHZ 56, 228; BGH NJW 2001, 1855 BGH v. 24.4.2001, VI Z R 36/00; ; BGH NJW 1964, 399; BGH NJW 1971, 1750; BGH NJW 1977, 2210; BGH NJW 1999, 1394; BGH NJW 1999, 2892; BGH NJW 2005, 60.

²⁹⁶ *Martinek* in juris PraxisKommentar BGB, 3. Aufl. 2006, § 812 Rn. 102; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 667.

²⁹⁷ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 VI.

- თითოეულ მხარეს უნდა შეუნარჩუნდეს ის შესაგებელი, რომელიც აქვს მეორე მხარის წინააღმდეგ:

თუ გ პირდაპირ ა-ს წინაშე აგებდა პასუხს ხელყოფის კონდიციით, მაშინ ის დაკარგავდა ერთდროულად შესრულების შესაგებელს სსკ-ის 980-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომელიც მას აქვს ბ-ს წინაშე – გ-მ, თავის მხრივ, გადასცა ბ-ს მანქანა შესრულების ფარგლებში და აქვს ინტერესი, მხოლოდ მაშინ დააბრუნოს მიღებული, როდესაც დაიბრუნებს გაცემულს. ამ შესაგებლის გადამისამართება შეუძლებელი იქნებოდა ა-ს მიმართ, თუ ეს უკანასკნელი ხელყოფის კონდიციით გამოითხოვდა გ-საგან მოპედს

- ვალდებულებითი ურთიერთობის ფარდობითი ხასიათიდან გამომდინარე, თითოეულმა მხარემ უნდა წარუდგინოს შესაგებელი მხოლოდ უშუალოდ თავის კონტრაჰენტს და არა მესამე პირს.

განსხვავებით გაწეული ხარჯებიდან წარმოშობილი შესაგებლისა, გ შეინარჩუნებდა ა-ს წინაშე ქონებრივი დანაკლისიდან (გაფუჭებული იატაკი) წარმოშობილ შესაგებელს სსკ-ის 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ვარიანტის შესაბამისად (სსკ-ის 984-ე მუხლის მე-2 ნაწილი გამორიცხავს მხოლოდ ხარჯების ანაზღაურებას, ამისაგან განსხვავებით, ქონებრივი დანაკლისი ანაზღაურდება სსკ-ის 984-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რომელიც იყენებს ტერმინს „გამდიდრება“ და, ამგვარად, მიუთითებს სსკ-ის 979-ე და 980-ე მუხლებზე). ხელმოყოფს, მართალია, არ აუნაზღაურდება მითვისებულ ქონებაზე გაწეული დანახარჯები, მაგრამ აუნაზღაურდება ამასთან დაკავშირებული ქონებრივი დანაკლისი. ეს არასწორია, ა-ს გ არ ამოურჩევია საკუთარ კონტრაჰენტად და არ უნდა ატაროს მასთან წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების რისკი.

- კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, თითოეულმა მხარემ უნდა ატაროს მხოლოდ მისი კონტრაჰენტის ვაკოტრების რისკი.²⁹⁸

თუ ა შეეცდებოდა უკან მოეთხოვა პირდაპირ გ-საგან, მაშინ ის ატარებდა გ-ს გადახდის უუნარობის რისკს, რომელიც მან არ უნდა ატაროს, რადგან გ მას არ აურჩევია თავის კონტრაჰენტად.

ეს არგუმენტები გამომდინარეობს, ასევე, 989-ე და 990-ე მუხლებიდან, რომლებიც მესამე პირისაგან პირდაპირი კონდიციონების შესაძლებლობას მხოლოდ უსასყიდლოდ მიღებული გამდიდრების შემთხვევაში უშვებენ (ასევე, არაპირდაპირად, 197 II მუხლიდან).

²⁹⁸ შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის N 26/4486-10 განჩინება.

სუბსიდიარულობის დოგმა არ წარმოადგენს ზეპოზიტიური სამართლის პრინციპს, რომელიც გამონაკლისის გარეშე²⁹⁹ მოქმედებს კონდიქციური სამკუთხედის ყველა შემთხვევაში.³⁰⁰ მთელ რიგ შემთხვევაში შესაძლებელია იმავე რეზულტატის მიღწევა სამართლის სხვა, ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით.³⁰¹ მიუხედავად ამისა, ეს პრინციპი იძლევა უმრავლეს შემთხვევაში გამართლებული შედეგის მიღების შესაძლებლობას³⁰² და რჩება ერთადერთ ზოგადად აღიარებულ სახელმძღვანელო წესად სამ (და მეტ) პირს შორის კონდიქციური ურთიერთობის გადაწყვეტისათვის.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ სამართალში, სადაც სასამართლო პრაქტიკა კონდიქციურ სამკუთხედში გამდიდრების უკუქცევის წესზე საკმაოდ ბუნდოვან წარმოდგენას ფლობს. გარდა ამისა, კონდიქციური სამკუთხედის შემთხვევები არ ამოიწურება იმ სამით, რომელთა გადაწყვეტის წესიც სპეციალურად დაფიქსირდება კანონში (988 II – მითითების საფუძველზე განხორციელებული შესრულება, 989 I – შესრულება ცესიონერის სასარგებლოდ, 989 II – მესამე პირის მიერ ვალის დაფარვა 371-ე მუხლის მიხედვით). მათ გარდა, კონდიქციური სამკუთხედი წარმოიქმნება, მაგალითად, ზემოთ ხსენებული შესრულებათა ჯაჭვის, პირდაპირი დებიტის, მოთხოვნის დაგირავების, ასევე, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული (ნამდვილი) გარიგების შესრულების შემთხვევაში, რომელთა გადაწყვეტის სპეციალური წესი კანონის არც ამჟამინდელ რედაქციაში არ ფიქსირდება და არც სამომავლო რედაქციაში იქნება გათვალისწინებული. ამიტომაც აუცილებელია 988 I მუხლში განსხეულებული სუბსიდიარულობის დოგმის სახით მოხდეს კანონში ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპის გამყარება, რომელიც ძალაში იქნება კონდიქციური სამკუთხედის ყველა შემთხვევაში.

988 I 2 მუხლის ახალი რედაქციის 980 III მუხლთან ურთიერთკავშირში გამოირიცხება, ასევე, შესრულებების ჯაჭვის გამჭოლი უკუქცევა ვინდიკაციის მეშვეობით.

²⁹⁹ გამონაკლისთან დაკავშირებით იხ. *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 VI 1.

³⁰⁰ ერთი მოსაზრების მიხედვით, სუბსიდიარულობის დოგმა წარმოადგენს „დოგმატურ ბალასტს“, რომლისგანაც გათავისუფლება აუცილებელი, იხ. OLG Celle OLGR 2006, 350; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 67 III 2 c; § 67 IV 3; § 70 III 2; *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 812 Rn. 31; შდრ. ასევე *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 65.

³⁰¹ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 812 Rn. 30.

³⁰² *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 66.

III. მითითების საფუძველზე განხორციელებული შესრულება

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 988. ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები</p>	<p><i>მუხლი 988. კონდიციური ურთიერთობა სამ პირს შორის. შესრულება მითითების საფუძველზე</i></p> <p>....</p> <p>2. (1) ვითომ-კრედიტორის მითითების საფუძველზე მესამე პირისათვის (მიმღებისათვის) რაიმეს გადაცემის შემთხვევაში შემსრულებლად ითვლება ვითომ-კრედიტორი, თუ ის ასეთად არის აღქმული მესამე პირის მიერ.</p> <p>(2) ამ შემთხვევაში პირს, რომელსაც მიუთითეს, 976-ე მუხლის მიხედვით უკუმოთხოვნის უფლება აქვს ვითომ-კრედიტორისაგან, ხოლო მიმითიებელ ვითომ-კრედიტორს – მესამე პირისაგან.</p> <p>(3) მითითების არანამდვილობის შემთხვევაში მისი გამცემი ვითომ-კრედიტორი მანც ჩაითვლება შემსრულებლად, თუ ის ასეთად არის აღქმული შესრულების კეთილსინდისიერი მიმღების მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას მითითება არ შეერაცხება.</p> <p>(4) ამ უკანასკნელ შემთხვევაში დასაშვებია პირდაპირი უკუმოთხოვნა, რომლის ფარგლებიც შესაბამისად განისაზღვრება 987-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.</p>

მითითების საფუძველზე განხორციელებული შესრულება კონდიციური სამკუთხედის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს. ის ამჟამინდელი რედაქციის 988 I მუხლშია დაფიქსირებული, თუმცა აქ მოცემული კონიგის მიერ არჩეული გადაწყვეტა ნამდვილად ვერ ჩაითვლება ოპტიმალურად და სამომავლო რედაქციის 988 II მუხლში სახეცვლილი ფორმით უნდა იქნეს გათვალისწინებული.

1. კონიგის კანონპროექტის კრიტიკა

შესრულების კონდიქციის შემთხვევაში კონდიქციური ურთიერთობის მხარეები არიან შემსრულებელი და ვითომ-კრედიტორი, ანუ მიმღები, რომელსაც მიღებულის შენარჩუნებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. შესრულებისათვის აუცილებელია სხვისი ქონების გაცნობიერებული შევსება, თუმცა ეს არასაკმარისია. შემსრულებელი ამ შევსებით კონკრეტულ მიზანს უნდა ისახავდეს, როგორც არის ვალის დაფარვა. ამ ე.წ. ვალის დაფარვის მიზნის განსაზღვრა გარიგების დარი³⁰³ მოქმედება³⁰⁴ და სასამართლო პრაქტიკას³⁰⁵ და ლიტერატურაში³⁰⁶ გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საეჭვოობისას ობიექტური მიმღების თვალსაწიერიდან უნდა განიმარტოს, თუმცა *კონიგი* ამაზე უარს აცხადებს.³⁰⁷ ეს თავისებური „რევილუცია ნების გამოხატვის სამართლისა“³⁰⁸, რომელიც განსაკუთრებით სამ პირს შორის ურთიერთობაში ხდება აქტუალური, ძნელად თუ შეიძლება გავამართლოთ.³⁰⁹ მაგალითად, კონდიქციურ სამკუთხედში, როდესაც მითითება ნაკლოვანია, გადამწყვეტია, შეერაცხება თუ არა მითითება მიმითებელს. თუ, მაგალითად, ბანკი თავისი კლიენტის კრედიტორს უხდის ორმაგს ისე, რომ კლიენტი აქ არაფერ შუაშია, ეს გადახდა კლიენტს არ შეერაცხება შესრულებად კრედიტორის წინაშე, ამიტომაც, ეს ზედმეტი თანხა უკან უნდა მოითხოვოს არა კლიენტმა შესრულების კონდიქციით, არამედ პირდაპირ ბანკმა მიმღებისაგან არაშესრულების კონდიქციით. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღებმა იცის მითითების გამოხმობის ან არარსებობის შესახებ;³¹⁰

³⁰³ გერმანული *rechtsgeschäftsähnliche Handlung* (ქართულად სავარაუდოდ „გარიგების დარი მოქმედება“) გულისხმობს სამართლებრივ აქტს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს გარიგებას, ცალკე აღებული ან სხვა მოქმედებებთან ერთად იწვევს კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგს.

³⁰⁴ BGHZ 106, 166; BGHZ 111, 386.

³⁰⁵ BGHZ 40, 274; BGHZ 72, 249; BGHZ 105, 365, 369; BGHZ 122, 46, 50-ე და შემდეგი გვერდი; BGH ZIP 1999, 435, 437; BGH NJW 2005, 60.

³⁰⁶ *Beuthien*, *Zweckerreichung und Zweckstörung im Schuldverhältnis*, Tübingen 1969, 292; *Hagmann-Lauterbach*, *Der Zusammenhang zwischen dem finalen Leistungsbegriff im Bereicherungsrecht und den Erfüllungslehren*, Gelsenkirchen 1974, 156-ე და შემდგომი გვერდები, 174; *Hassold*, *Zur Leistung im Dreipersonenverhältnis – Anweisung und Vertrag zugunsten Dritter als Modell –*, München 1981, 14; *Seibert*, *Erfüllung und Konvaleszenz – Eine Untersuchung über den Zusammenhang zwischen dem Erfüllungsstatbestand des § 362 und den Heilungsvorschriften des BGB*, JZ 1981, 384; *Bülow*, *Grundfragen der Erfüllung und ihrer Surrogate*, JuS 1991, 531; *Gernhuber*, *Die Erfüllung und ihre Surrogate*, Tübingen 1994, § 5 III 4; *Muscheler/Bloch*, *Erfüllung und Erfüllungssurrogate*, JuS 2000, 734; შდრ. დამატებითი ლიტერატურა *Beckhaus*, *Die Rechtsnatur der Erfüllung*, Tübingen 2013, 64 სქ. 423.

³⁰⁷ *König*, *Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes*, Köln 1981, 1541.

³⁰⁸ *Thomale*, *Erfüllungsautonomie im Bereicherungsrecht*, Tübingen 2012, 24.

³⁰⁹ *Thomale*, *Erfüllungsautonomie im Bereicherungsrecht*, Tübingen 2012, 24.

³¹⁰ BGH ZIP 2003, 69, 71; BGH NJW 2001, 2880, 2881; BGHZ 88, 232, 236.

მას არ აქვს უფლება ივარაუდოს, რომ ამგვარი გაშუალებული გადახდით მოვალეს მის წინაშე სურდა შესრულება. მიმთითებელს, დამოუკიდებლად მიითიებულ მიმღების³¹¹ ცოდნა-არცოდნისა, არ შეერაცხება მიითიება, თუ მას არ შეიძლება მივაწეროთ ეს მოჩვენებითი სამართლებრივი ფაქტი,³¹² ანუ მას არაფრით გამოუწვევია ის (იხ. დეტალურად ქვემოთ).³¹³

ეს შეერაცხვის მიხედვით გადაწყვეტა³¹⁴ კონიგმა თავის პროექტში გადაიღო. კანონპროექტის შესაბამისი ნორმა შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

კონიგის კანონპროექტი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
<p>§ 4.1. (1) ვინც 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილის³¹⁵ მიხედვით საკუთარი კრედიტორის მიითიების საფუძველზე მესამე პირს გადასცემს რაიმეს, შეუძლია უკან გამოითხოვოს შესრულება ვითომ-კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ ვითომ-კრედიტორს არ შეერაცხება მიითიება, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ მესამე პირის წინააღმდეგ.</p>	<p>მუხლი 988. ვითომ-კრედიტორის მიითიებით შესრულების შედეგები. 1. პირს, რომელიც 976-ე მუხლის თანახმად რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მიითიებით, შეუძლია შესრულების გამოთხოვა ვითომ კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ ვითომ-კრედიტორის მიითიება საეჭვოა, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.</p>

კონიგის კანონპროექტის ტექსტი და ქართული ტექსტი ერთმანეთს ზუსტად არ შეესატყვისება, თუმცა, საბოლოო ჯამში, ფორმულირების უზუსტობის მიუხედავად, ქართული დანაწესიც კანონპროექტის ამ ნორმის აზრს მაინც სწორად გადმოსცემს, მაგრამ გერმანული იურიდიული ლიტერატურის კრიტიკა სწორედ რომ კონიგის მიერ შექმნილი ნორმის წინააღმდეგაა მიმართული. მან, მართალია, გადაიღო შეერაცხვის პრინციპი, მაგრამ უარი თქვა დაფარვის მიზნის მიმღების თვალსაწიერიდან განმარტებაზე და გსკ-ის 362-ე პარაგრაფისა (სსკ-ის 427-ე მუხლი) და 812-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ალტერნა-

³¹¹ Anweisungsbegünstigte – „მიითიებული მიმღები“, ანუ პირი, რომელიც იღებს გაშუალებულ შესრულებას მესამე პირის მიერ განხორციელებული მიითიების საფუძველზე.

³¹² Scheintatbestand – გარკვეული გარემოებების გამო შექმნილი სამართლებრივი ფაქტის არსებობის ილუზია, რაც ქართულად, სავარაუდოდ, მოჩვენებით სამართლებრივ ფაქტად უნდა ითარგმნოს.

³¹³ BGH NJW 2001, 2880, 2881; BGH NJW 2004, 1315, 1316; BGH NJW 2005, 3213, 3214.

³¹⁴ ეს ე. წ. Zurechnungsgedanke, როდესაც გადაწყვეტია, თუ რამდენად შეერაცხება მიითიება მის სავარაუდო გამცემს.

³¹⁵ კანონპროექტის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი ნაწილი შეესატყვისება სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ელ ნაწილს.

ტივის (სსკ-ის 976 I ა) მუხლი) მიხედვით შესრულების იდენტურად აღქმაზე.³¹⁶ ამ შემთხვევაში კი ავტორის მიერ მიზნად დასახული კონდიქციური სამართლის გამარტივება ფუჭ მისწრაფებად რჩება, რადგან კანონი არ შეიცავს ამ მესამე პირის მიმართ განხორციელებული გადახდის შერაცხვის კრიტერიუმებს. ამის საპირისპიროდ, ზოგად ვალდებულებით სამართალში მოწესრიგებული ვალის დაფარვასა და უსაფუძვლო შესრულებას შორის პარალელური კავშირის აღიარება გზას გახსნიდა გარიგებების შესახებ მოძღვრების ფარგლებში შემუშავებული შერაცხვის კრიტერიუმებისაკენ.³¹⁷

კონიგი თავის კანონპროექტში ამ შემთხვევების გადაწყვეტას სამართლიანობის პრინციპს გადაულოცავს, რასაც ყოველთვის არ მივყავართ სამართლიან შედეგამდე. მაგალითად, მხოლოდ სამართლიანობის პრინციპის მიხედვით შეუძლებელია მოჩვენებითი მოვალის მიერ მოჩვენებითი ცესიონერისათვის გადაცემული შესრულების გადაწყვეტა (იხ. ქვევით 989 I მუხლის სარეფორმო წინადადება). მოცემული საკითხი – გამცემის თვალსაწიერი თუ მიმღების თვალსაწიერი უნდა იყოს გადამწყვეტი კონდიქციურ სამკუთხედში – შეუძლებელია მხოლოდ სამართლიანობის კრიტერიუმის გამოყენებით გადავწყვიტოთ, ყოველგვარი დოგმატური ხელმოსაჭიდის გარეშე.

კონიგის მიხედვით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტი უნდა იყოს გამცემის თვალსაწიერი, რადგან მიმღები თავისთავად არის დაცული გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 979 III მუხლი) შესაბამისად, აბრუნებს რა გამდიდრებას მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ჯერ კიდევ გამდიდრებულია. თუმცა ის ფაქტი, რომ მიმღების მხოლოდ გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით დაცვა არასაკმარისია, გერმანულ სამართალში დიდი ხანია აღიარებულია,³¹⁸ უკვე რაიხის სასამართლოს ცნობილი „საფოსტო მითითების გადაწყვეტილებიდან“³¹⁹ მოყოლებული. შემთხვევა მდგომარეობდა შემდეგში: ფოსტის მოხელემ სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მიუთითა ფოსტის განყოფილებას და გადაარიცხვინა გარკვეული თანხა თავისი კრედიტორისათვის. პირადად მას ფოსტისათვის არაფერი გადაუხდია. მოგვიანებით სასამართლო დავის საგანს წარმოადგენდა, ჰქონდა თუ არა ფოსტას ადრესატისაგან გადახდილი თანხის კონდიციონების უფლება თუ ეს თანხა ფოსტის მოხელისაგან უნდა მოეთხოვა, რომელმაც გააყალბა მითითებები. ზემოთ მოყვანილი არგუმენტი, რომ მიმღების ინტერესები საკმარისადაა დაცული გსკ-ის 818-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აქაც ძალაში იყო, თუმცა სასა-

³¹⁶ *Thomale*, *Erfüllungsautonomie im Bereicherungsrecht*, Tübingen 2012, 24, 163.

³¹⁷ *Reuter/Martinek*, *Ungerechtfertigte Bereicherung*, Tübingen 1983, § 3 IV 2.

³¹⁸ *Reuter/Martinek*, *Ungerechtfertigte Bereicherung*, Tübingen 1983, § 3 IV 2.

³¹⁹ RGZ 60, 24.

მართლომ მაინც მიიჩნია, რომ მიმღებს „არ მიუღია იმაზე მეტი, ვიდრე ეკუთვნოდა და არ იყო უსაფუძვლოდ გამდიდრებული“.³²⁰ ანუ არ დააბრუნებინა უკან მიღებული, რადგან ფოსტის მიერ მოტყუებით განხორციელებული გადახდა მისი ვითომ-კრედიტორის კრედიტორისათვის, ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი მოვალის მხრიდან განხორციელებულ გადახდად აღიქმებოდა. ამრიგად, სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ცალსახა იყო, რომ მიმღების დაცვის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ე. წ. „კონკრეტული ნდობის დაცვა“³²¹ საკმარისი არ არის.³²²

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კონიგის მიერ არჩეული გადაწყვეტა, რომელიც დღეს გერმანულ დოქტრინაში ცალსახად უკუგდებულია, აღარ უნდა იყოს პარადიგმატული ახალი რედაქციის 988-ე (და ასევე 989-ე) მუხლისათვის. კონდიქციური სამკუთხედის მომწესრიგებელი წესები თავიდან უნდა იქნეს გადააზრებული.

2. შემსრულებლის განსაზღვრა მიმღების თვალსაწიერიდან

სუბსიდიარულობის დოგმის (988 I) გარდა, 988 II მუხლში ცალ-ცალკე უნდა გამოიყოს ნამდვილი და არანამდვილი მითითების შემთხვევები, თუმცა ორივეგან შემსრულებლის პიროვნების განსაზღვრისათვის შესრულების მიმღების თვალსაწიერი უნდა იყოს გადამწყვეტი. სახეზეა თუ არა შესრულება და ვინ არის შემსრულებელი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, გაბატონებული მოსაზრების³²³ თანახმად განისაზღვრება ქონების (ობიექტური) მიმღების თვალსაწიერიდან (ე. წ. „მიმღების ობიექტური ჰორიზონტი“).

*მაგალითი:*³²⁴ ა უკვეთავს ბ-ს მაღაზიაში სამზარეულოს, რომელსაც ბ შეიძენს გ-სთან, როგორც ა-ს წარმომადგენელი, თუმცა შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე. გ მიუთანს და დაუმონტაჟებს პირდაპირ ა-ს.

მოცემულ შემთხვევაში გ-ს თვალსაწიერიდან ის ასრულებს ა-ს წინაშე, ა კი აღიქვამს მას ბ-ს მოვალედ. მისთვის უცნობია, რომ ბ ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა მისი სახელით, ამიტომაც ის მიიჩნევს, რომ ბ-მ და გ-მ ერთმანეთთან ნასყიდობის ხელშეკრულება დადეს და გ ასრულებს ბ-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო მის მიმართ შემსრულებელი არის ბ.

³²⁰ RGZ 60, 29.

³²¹ იგულისხმება მიღებულის შენარჩუნების ნდობის დაცვა გსკ-ის 818 III პარაგრაფის (სსკ-ის 979 III მუხლის) მიხედვით.

³²² Reuter/Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

³²³ BGHZ 40, 272; BGHZ 72, 248.

³²⁴ რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 177-ე და მომდევნო გვერდი.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, გადამწყვეტია არა უშუალო გამცემის (გ) თვალსაწიერი, არამედ ობიექტური მიმღების, ანუ თუ ვინ უნდა აღექვას კონვირულობის პრინციპის საფუძველზე (52-ე მუხლი) მიმღებს მოცემულ შემთხვევაში შემსრულებლად. შემსრულებლის მიზანი (იგივე ვალის დაფარვის მიზანი), როგორც გარიგების დარი მოქმედება, ნების გამოხატვის მსგავსად, განიმარტება შემსრულებლის მიმღების თვალსაწიერიდან. ამის გამო გ ვერ მოითხოვს ა-საგან სამხარეულოს შესრულების კონდიციით და რჩება ხელცარიელი, თუ მისი მოთხოვნები ბ-ს მიმართ არარეალიზებადია, მაგალითად, ამ უკანასკნელის გაკოტრების გამო.

ეს შედეგი გამართლებულია იმ გარემოებით, რომ გ-მ წარმოუშვა ა-ს ბ-ს მიმართ შესრულების ილუზია, არ განუმარტა რა, რომ ნივთზე საკუთრებისა და მფლობელობის გადაცემით სწორედ მის წინაშე (და არა ბ-ს წინაშე) სურდა შესრულება, რის გამოც უნდა ზღოს კიდევ ამ შედეგებისთვის.

შემსრულებლის პიროვნების მიმღების თვალსაწიერიდან განსაზღვრის პრინციპი უნდა დაფიქსირდეს 988 II მუხლში მითითების შემთხვევისათვის, რისი განზოგადებისა და ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობაც ექნება სამართლის შემფარდებელს.

3. ნამდვილი მითითების შემთხვევა, 988 II 1, 2

მითითების საფუძველზე შესრულების შემთხვევაში ურთიერთობაში სამი პირია ჩართული – მიმითებელი, მითითებული (ვისაც უთითებენ) და მითითების შედეგად განხორციელებული შესრულების მიმღები. მიმითებელსა და მითითებულს შორის ურთიერთობას ეწოდება „საპირისპირო შესრულების ურთიერთობა“ (Deckungsverhältnis), რადგან მითითებული ამ ურთიერთობაში იღებს მიმითებლისაგან ანაზღაურებას (მაგ., მოთხოვნას საკრედიტო ან ანგარიშსწორების ხელშეკრულებიდან). მითითებულსა და მიმღებს შორის ურთიერთობას ეწოდება „გადახდის ურთიერთობა“ (Valutaverhältnis), რადგან მითითებულის მიერ გადახდა მიმითებელს შეერაცხება მიმღების წინაშე შესრულებად („ვალუტა გადაედინება ამ ურთიერთობაში“).³²⁵

მიმღებისათვის გადახდა კონდიციური სამართლის გაგებით (ჩვეულებრივ) არ წარმოადგენს მითითებულის შესრულებას მიმღების წინაშე. რადგან მისი თვალსაწიერიდან (რომელიც გადამწყვეტია შემსრულებლის განსაზღვრისათვის,³²⁶ იხ. ზემოთ) მითითებულ გადახდელს საკუთარი ვალის დაფარვის მიზანი არ

³²⁵ რუსიაშვილი/ალადაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ტანტურია (რედ.), 2019, მუხ. 349 მე-19 და მომდევნო ველები; *Habersack*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2017, § 783 Rn. 4.

³²⁶ BGHZ 87, 399.

ამოძრავებს. ამის საპირისპიროდ, სახეზეა მიმღების ჰორიზონტიდან მიმთითებლის შესრულება, რომელსაც ის ახორციელებს მითითებულის მეშვეობით. ამგვარად, კონდიქციური სამართლის გაგებით, გადახდა წარმოადგენს მიმთითებლის შესრულებას მიმღების წინაშე. ამავდროულად ეს გადახდა ითვლება მითითებულის შესრულებად მიმთითებლის წინაშე, რადგან მითითებულს მიმღების წინაშე გადახდის მეშვეობით სურს შეასრულოს თავისი ვალდებულება მიმთითებლის წინაშე.³²⁷

შემსრულებლისა და შესრულების მიმღების როლების ამგვარად განაწილების გამო, თუ ნაკლოვანია „საპირისპირო შესრულების ურთიერთობა“ (არანამდვილია მიმთითებელსა და მითითებულს შორის დადებული გარიგება),³²⁸ ან „გადახდის ურთიერთობა“, ან ორივე ერთდროულადაა არანამდვილი³²⁹ გადადინებული ქონებრივი ღირებულების უკუქცევა შესრულებების ხაზის მიხედვით უნდა მოხდეს 976 I მუხლის მიხედვით³³⁰ – მითითებული ითხოვს შესრულების კონდიქციით მიმთითებლისაგან, ხოლო მიმთითებელი კი მიმღებისაგან.

გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც გადახდის ურთიერთობაში უსასყიდლო შესრულება გვაქვს სახეზე (989, 990).

4. არანამდვილი მითითება, 988 II 3

ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტისაგან განსხვავდება ის შემთხვევები, როდესაც მითითება საერთოდ არ არის სახეზე ან არანამდვილია:

- მითითებული შეცდომით უშვებს მითითების არსებობას, რომელიც სინამდვილეში საერთოდ არ გაუცია მიმთითებელს.
- მიმთითებელმა გადახდამდე გამოიხმო საკუთარი მითითება.
- მითითება რაიმე სამართლებრივი საფუძვლით არანამდვილია.

არანამდვილი მითითებისას მითითებულს შეუძლია პირდაპირ მიმღებისაგან მოითხოვოს გადაცემული არაშესრულების კონდიქციით³³¹ იმ შემთხვევაში, თუ

³²⁷ BGHZ 176, 237; BGH NJW 2011, 69.

³²⁸ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 II 1 c; 70 IV 4 b; *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 48 III; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 66, 69; OLG Hamm WM 1986, 1216.

³²⁹ BGHZ 48, 71; BGHZ 36, 32; BGHZ 37, 368; BGH JZ 1962, 404, 405; BGHZ 147, 275 BGH NJW 1989, 2881.

³³⁰ BGHZ 61, 291; BGHZ 66, 363; BGHZ 147, 273; BGH NJW 1977, 40; BGH NJW 1983, 2500; BGH NJW 1987, 185 (186); BGH ZIP 1994, 1099; OLG Karlsruhe BeckRS 2015, 15739 Rn. 15; OLG Köln VersR 2001, 1301; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 6 II.

³³¹ BGHZ 152, 307; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 676; ღიად არის დატოვებული: BGHZ 66, 376; BGHZ 67, 80; BGHZ 87, 398.

მიმთითებელს არ შეერაცხება მიითთება³³² ან მიმღებმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა მიითთების არანამდვილობის (არარსებობის) შესახებ.³³³

მაგალითი: ა, რომელიც არის ბანკის (ბ) კლიენტი, შეავსებს თავისი კრედიტორის სახელზე ონლაინ-ფორმულარს 500 ლარის გადარიცხვასთან დაკავშირებით და დროებით შეინახავს მას, რადგან სურს მხოლოდ მას შემდეგ განახორციელოს გადარიცხვა, რაც მიიღებს კრედიტორისაგან საპირისპირო შესრულებას. მოგვიანებით ბანკის ცენტრალური სერვერი დაუშვებს შეცდომას და გადაურიცხავს გ-ს თანხას ა-ს სახელით. უფრო მოგვიანებით კი ა-სა და გ-ს შორის დადებული ნასყიდობა არანამდვილი აღმოჩნდება. ბანკი ა-ს შეცდომით გადარიცხულ თანხას უკან დაურიცხავს და უნდა ამ თანხის გ-საგან უკან მოთხოვნის უფლება.

ბანკს გ-საგან ამ თანხის მოთხოვნა არ შეუძლია შესრულების კონდიციით, რადგან, როგორც მისი, ისე მიმღების პოზიციიდან ცალსახა იყო, რომ ბანკი არ ისახავდა ამ გადარიცხვით გ-ს წინაშე საკუთარი ვალდებულების შესრულებას მიზნად. შესრულებისათვის, სხვისი ქონების გაცნობიერებული შევსების გარდა, აუცილებელია ასევე კონკრეტული მიზნის ქონაც, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის სახეზე.

საკითხავია, უნდა გამოირიცხოს თუ არა ბანკის მიერ გ-საგან მოცემული თანხის არაშესრულების კონდიციით უკან მოთხოვნის შესაძლებლობა, მისი სუბსიდიარულობის გამო. ბანკი გ-საგან ვერ გამოითხოვდა ამ თანხას პირდაპირი კონდიციით, თუ ის ჩაითვლებოდა ა-ს შესრულებით მიღებულად. ა-ს გ-ს წინაშე პირადად არ შეუსრულება, თუმცა კრედიტორ გ-ს ბანკის მიერ ა-ს სახელით განხორციელებული გადარიცხვა შეიძლება ჩაეთვალოს ა-ს შესრულებად. საკითხავია, თუ ვისი თვალსაწიერია გადამწყვეტი, კრედიტორის, ბანკის, თუ სავარაუდო შემსრულებლის. თითოეულს აქვს ინტერესი, რომ მის მიერ შერჩეულ კონტრაქტთან არკვიოს მიღებულის უკან მოთხოვნის საკითხი, ბანკმა თავის კლიენტთან, ხოლო კრედიტორმა თავის მოვალესთან. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ბანკის კლიენტ ა-ს არ განუხორციელება ბანკის მიმართ მიითთება და აქვს ინტერესი, რომ არ მიიღოს მონაწილეობა საბანკო დანარიცხის უკუქცევის ურთიერთობაში. ამისგან განსხვავებით, მისი კრედიტორი გ-სათვის უმჯობესია თავის მოვალე ა-სთან ჰქონდეს საქმე, ვიდრე ბანკს მიეცეს გადარიცხულის პირდაპირი კონდიციონების საშუალება. ამრიგად, კრედიტორისათვის უფრო ხელსაყრელია შესრულების მისი თვალსაწიერიდან განმარტვა, რადგან ამ

³³² BGHZ 176, 237; BGH NJW 2011, 69; BGH NJW-RR 2010, 860.

³³³ BGHZ 88, 236; BGHZ 111, 386.

შემთხვევაში ბანკის მიერ განხორციელებული გადარიცხვა ა-ს შესრულებად აღიქმებოდა და მისი უკან მოთხოვნის უფლებაც მხოლოდ ა-ს ექნებოდა შესრულების კონდიციით (რადგან ნასყიდობა არანამდვილი იყო) და არა ბანკს არაშესრულების კონდიციით. შესრულების განმარტება მიმღების პოზიციიდან ემყარება მისი ნდობის დაცვას. საბოლოო ჯამში, გერმანული სასამართლოს პრაქტიკა შესრულების სამკუთხედის შემთხვევების გადაწყვეტისას უარს ამბობს რაიმე წინასწარმოცემულ, სტემატურ ამოხსნაზე. შემსრულებლის განსაზღვრა უნდა მოხდეს მიმღების ნდობისა და სავარაუდო შემსრულებლის ინტერესის გათვალისწინებით, არ მიიღოს მონაწილეობა უკუქცევაში – ა-ს, რომელსაც არ განუხორციელებია შესრულება და ნასყიდობის არანამდვილობის აღმოჩენის შემდეგ, აღარც აპირებს მის განხორციელებას, ურჩევნია, ბანკმა და კრედიტორმა არკვიონ გაცემულის უკან მოთხოვნის საკითხი და თვითონ ამ ურთიერთობის მიღმა დარჩეს. სავარაუდო შემსრულებლის ინტერესი (არ ჩაითვალოს შემსრულებლად და არ მიიღოს უკუქცევაში მონაწილეობა) მიმღების ნდობას გადაწონის მაშინ, როდესაც მას საერთოდ არ შეერაცხება მითითება ან მიმღები არაკეთილსინდისიერია.

მიმღების ნდობა არ იმსახურებს დაცვას, თუ, მაგალითად, მან იცის, რომ მის კონტრაჰენტს ბანკის მიმართ მითითება არ განუხორციელებია³³⁴ ან იცის, რომ გადარიცხვის დავალება გაუქმდა, ან, მაგალითად, ბანკი შემთხვევით ურიცხავს ათჯერ მეტ თანხას, ვიდრე ეკუთვნოდა და მიმღებს ეს უნდა შეეცნო.³³⁵ ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ბანკი არასწორად რეცხავს (მაგალითად იმავე სახელის მატარებელ სხვა პირს), რომელიც ხვდება შეცდომას ან ბანკი აყალბებს ტრანზაქციას,³³⁶ თვითნებურად უთითებს რა სხვა მიმღების ანგარიშს. კლიენტს განხორციელებული მითითება ასევე არ შეერაცხება, თუ ის, შესაბამის შემთხვევაში, მხარდამჭერის მიმღები, შეზღუდულად ქმედუნარიანი, ქმედუნარო იყო. ყველა ამ შემთხვევაში მიმღების პოზიციიდან შემსრულებლად აღქმული პირი არ ითვლება შემსრულებლად და უკუქცევა ხდება არა სამკუთხედში, არამედ მითითებული მხარის მიერ მიმღებისგან პირდაპირი კონდიციებით. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაშიც ა-ს არ შეერაცხება მითითება, რადგან ის მას არ განუხორციელებია, შესაბამისად, მისი ინტერესი გადაწონის გ-ს ნდობას და ბანკმა არაშესრულების კონდიციით პირდაპირ გ-საგან უნდა მოითხოვოს გაცემული შესრულება.

³³⁴ მაგალითად, ჩეკს აკლია ხელმოწერა BGHZ 62, 362.

³³⁵ BGH NJW 1987, 185; BGH NJW 2011, 66, 70; გამონაკლისი: BGHZ 176, 234.

³³⁶ BGH NJW 2005, 3213.

კონიგის მიერ ფორმულირებული დანაწესი (§ 4.1 (1), რომელიც ქართველ-მა კანონმდებელმა გაუმართავად გადმოიღო 988 I 2 მუხლში, აქცენტს აკეთებს მხოლოდ მითითების მიმითებლისათვის შერაცხვაზე, ყურადღების მიღმა ტოვებს მიმღების კეთილსინდისიერების აუცილებლობას. მიმღები, რომელიც არაკეთილსინდისიერია, არ იმსახურებს დაცვას და დასაშვებია მისგან მიღებულის პირდაპირი კონდიცირება, მაშინაც კი, როდესაც მითითება შერაცხება მიმითებ-ბელს. ეს ხარვეზი ახალი რედაქციის 988 II მუხლში უნდა გასწორდეს.

5. პირდაპირი კონდიციის ტიპი და პასუხისმგებლობის ფარგლები

პირდაპირი (სხვაგვარად ასევე: გამჭოლი) კონდიცია, რომელიც ენიჭება ვითომ-მითითებულ პირს მიმღების წინააღმდეგ არ წარმოადგენს შესრულების კონდიციას.³³⁷ საწინააღმდეგო მოსაზრება,³³⁸ რომელიც ამ კონდიციას (ვითომ-მითითებულ პირის მხრიდან) ვალის დაფარვის მიზნის არარსებობის მიუხედავად მანაც შესრულების კონდიციათა რიცხვს აკუთვნებს,³³⁹ უკუსაგდება, უარყოფს რა ამით ფაქტობრივად მთავარ განმასხვავებელ ნიშანს შესრულებისა და სხვა კონდიციებს შორის. მიმღები ამ შემთხვევაში გამდიდრებულია არა შესრულებით, არამედ სხვაგვარად (შესრულების გარეშე) ვითომ-მითითებულის ხარჯზე³⁴⁰ და უკუმოთხონისათვის მის განკარგულებაში არაშესრულების კონდიციათა.³⁴¹ რაც შეეხება ამ გამჭოლი კონდიციის არაშესრულების კონდიციათა სისტემა-ტიკაში ადგილის მიჩენას, ის ყველაზე მეტად ხარჯების (რეგრესისა და დანახარ-ჯების კონდიციის გვარეობითი დასახელება) კონდიციის ტიპს შეესატყვისება: მართალია, ვითომ-მითითებულს უნდოდა შეესრულებინა ვითომ-მიმითებლის მიმართ, თუმცა ამით ვითომ-მიმითებელს არაფერი მოუპოვებია. საკუთარი მცდარი წარმოდგენის საპირისპიროდ, მითითებულმა რეალურად ნებაყოფლო-ბით განახორციელა ქმედება, რომელმაც მისი ქონების შემცირება გამოიწვია. ამ

³³⁷ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 98.

³³⁸ Lieb, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 60; Kupisch, Rechtspositivismus im Bereicherungsrecht, JZ 1997, 221; LG Bielefeld WM 1970, 1072.

³³⁹ Lieb, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 31.

³⁴⁰ მესამე პირი მიმღების გამდიდრება ხდება ვითომ-მითითებულის ხარჯზე, რადგან ის არ თავისუფ-ლდება საკუთარი ვალდებულებისაგან ვითომ-მიმითებლის წინაშე და არ მოიპოვებს მის მიმართ არც კონდიციურ მოთხოვნას.

³⁴¹ BGH NJW 2001, 1855; BGH NJW 2003, 582; BGH ZIP 1994, 1100; OLG Hamm NJW-RR 1987, 882; AG München BeckRS 2007, 08940; Martinek in juris PraxisKommentar BGB, 3. Aufl. 2006, § 812 Rn. 122; Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 VI 4; Medicus/Petersen, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 677; Wilhelm, Upon the cases bei der Leistungskondition in Dreiecksverhältnissen? JZ 1994, 593; Thielmann, Gegen das Subsidiaritätsdogma im Bereicherungsrecht, AcP 1987 (187), 44.

ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლის გამო ეს შემთხვევა ყველაზე ახლოს ხარჯების კონდიქციის პარადიგმასთან დგას.³⁴²

მართალია, *კონიგი*³⁴³ თავად მიჯნავს შესრულებისა და ხარჯების კონდიქციებს შორის იმის მიხედვით, ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლის გაღება ხდება ვალის დაფარვის მიზნით, თუ მხოლოდ საკუთარ ინტერესებში სულ სხვა მიზნით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში პირდაპირი კონდიქციით პასუხისგების ფარგლების განსაზღვრისას შესრულების კონდიქციის ფარგლებთან გვამისამართებს (§ 4.1(4), რაც უცვლელად არის დაფიქსირებული 988 III მუხლში. ეს არასწორია.³⁴⁴ პირდაპირი კონდიქცია, რომელიც ენიჭება მითითებულს, უფრო ახლოს დგას ხარჯების, ვიდრე შესრულების კონდიქციის ტიპთან – ვითომ-მითითებული იხდის შეცდომით მხოლოდ საკუთარ ინტერესებში, კერძოდ სულ სხვა პირის წინაშე საკუთარი ვალდებულებისაგან გათავისუფლების მიზნით. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ეს პირდაპირი (გამჭოლი) კონდიქცია სწორედ ხარჯების კონდიქციის პარადიგმას იმეორებს.

განსხვავებით შესრულების კონდიქციით პასუხისგებისაგან, ხარჯების კონდიქციის შემთხვევაში წინა პლანზე დგას მიმღების თავსომხვეული გამდიდრებისაგან დაცვის მიზანი. ეს მიზანი ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულია სამომავლო რედაქციის 987 II მუხლში, რომელზეც უნდა მიეთითოს სამომავლო რედაქციის 988 II 4 მუხლით გათვალისწინებული პირდაპირი კონდიქციის შემთხვევაში, რადგან ეს კონდიქცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტიპოლოგიურად ყველაზე უფრო ახლოს სწორედ ხარჯების კონდიქციასთან დგას.³⁴⁵ ამ მითითებით მოხდება მოცემული კონდიქციის ტიპოლოგიური კუთვნილების ხაზგასმა.³⁴⁶

³⁴² *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 98.

³⁴³ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1564.

³⁴⁴ *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

³⁴⁵ ხელყოფის კონდიქციაზე მითითება გამორიცხულია იმდენად, რამდენადაც მიმღები ამ შემთხვევაში არ ითვსება სხვის სამართლებრივ სიკეთეს, არამედ იღებს მას, როგორც ამ სხვა პირის მიერ გაღებულ ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლს, იხ. ხელყოფის კონდიქციის მიზანთან დაკავშირებით *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1564.

³⁴⁶ მართალია, სამომავლო რედაქციის 987 II მუხლში საუბარია დანახარჯების შედეგად გამოწვეული „თავსომხვეული გამდიდრებისაგან“ დაცვაზე, თუმცა სამომავლო რედაქციის 988 II 4 მუხლით გათვალისწინებული კონდიქციისას ეს წესი მოქმედებს მხოლოდ „შესაბამისად“, ანუ იცავს მიმღებს უშუალოდ „რაიმეს“ გადაცემის შედეგად გამოწვეული თავსომხვეული გამდიდრებისაგან.

მუხლი 989 – დათმობილი მოთხოვნის დაფარვა. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 989. მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული</p>	<p><i>მუხლი 989. დათმობილი მოთხოვნის დაფარვა. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ</i></p>
<p>1. თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღებო, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსახსიდლოდ გადახდეს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებთან დაკმაყოფილება შეუძლებელია:</p>	<p>1. (1) დათმობილი არარსებული მოთხოვნის დაფარვით მოვალე ასრულებს ცედენტის, ხოლო ცედენტი – ცესიონერის წინაშე.</p> <p>(2) ამ შემთხვევაში მოვალეს 976-ე მუხლის მიხედვით უკუმოთხოვნის უფლება აქვს ცედენტისაგან, ხოლო ცედენტს – ცესიონერისაგან.</p> <p>(3) თუ დათმობა არანამდვილია ან შესრულება არ ყოფილა განპირობებული ვითომ-ცედენტის მიერ, მოვალეს შეუძლია გადაცემული პირდაპირ ვითომ-ცესიონერისაგან მოითხოვოს უკან, რა შემთხვევაშიც შესაბამისად გამოიყენება 987-ე მუხლის მე-2 ნაწილი.</p>
<p>2. ზიანის ანაზღაურების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 979-981-ე მუხლები მოთხოვნით:</p>	<p>2. (1) ვინც ასრულებს სხვა პირის არანამდვილ ვალდებულებას, გადაცემულის დაბრუნება უნდა მოითხოვოს ვითომ-კრედიტორისაგან 976-ე მუხლის მიხედვით, თუ ეს შესრულება არ არის განპირობებული მოვალის მიერ.</p> <p>(2) მოვალის მიერ განპირობებული შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 988-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება.</p>

I. კონდიციური უპიქცევა მოთხოვნის დათმობისას, 989 I

ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმომდგარი მოთხოვნის დათმობის შემდეგაც ეს ვალდებულებითი ურთიერთობა აგრძელებს არსებობას თავდაპირველ მხარეებს შორის. ახალ კრედიტორზე (ცესიონერზე) გადადის მხოლოდ დათმობილი მოთხოვნა. მოვალის მხრიდან გადახდის შემთხვევაში საკითხავია, ასრულებს ის ამით თავდაპირველი კრედიტორის (ცედენტის) წინაშე არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის შესასრულებლად თუ ახალი კრედიტორის (ცესიონერის) წინაშე კონკრეტული მოთხოვნის დასაფარავად.

ახალი რედაქციის 989 I მუხლში უნდა დაფიქსირდეს ამუშაინდელი რედაქციის 988 II მუხლში ხარვეზებით მოწესრიგებული დათმობილი მოთხოვნის შესრულების შემთხვევა. არსებული რეგულაციის ცვლილების საფუძველს წარმოადგენს, პირველ რიგში, ის გარემოება, რომ 988 II მუხლიდან ნათლად არ იკითხება, რომ ამ შემთხვევაში სწორედ ცესიის შემდეგ შესრულებას ეხება საქმე.³⁴⁷

მითითების ხსენება (988 II 2) ამ კონტექსტში დამაბნეველია და ამისამართებს მითითების საფუძველზე შესრულების შემთხვევასთან (ამუშაინდელი რედაქციის 988 I, სამომავლო რედაქციის 988 II მუხლი), რაც არასწორია. მიუხედავად დათმობილი მოთხოვნისა და მითითების საფუძველზე შესრულებებს შორის ცალსახა პარალელისა, ეს მაინც ორი დამოუკიდებელი შემთხვევაა. ცესიის შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს მითითება ტექნიკური გაგებით, მითუმეტეს, ვერ იქნება გადამწყვეტი მისი საეჭვოობა.³⁴⁸

გარდა ამისა, თავდაპირველი კრედიტორი, ყოველთვის არ იქნება ვითომ-კრედიტორი (988 II 1), მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც არანამდვილია ცედენტსა და ცესიონერს შორის დადებული კაუზალური გარიგება ან არანამდვილია დათმობის ხელშეკრულება (იხ. ქვემოთ), ცედენტი არა „ვითომ“, არამედ რეალური კრედიტორია, თუმცა ეს შემთხვევებიც ექცევა მოცემული დანაწესის მოწესრიგების სფეროში, რის გამოც, სასურველია, სამომავლო რედაქციაში ეს ფორმულირება „თავდაპირველი ვითომ-კრედიტორი“ უფრო ზოგადი ცნებით – „ცედენტი“ ჩანაცვლდეს. ახალი რედაქციის 989 I 3 მუხლში უნდა დაფიქსირდეს ვითომ-ცედენტისა და ვითომ-ცესიონერის ცნებები, რათა ხაზი გაესვას იმ გარე-

³⁴⁷ მხოლოდ ახალი და თავდაპირველი კრედიტორის ხსენება საკმარისად მკაფიოდ არ მინიშნებს ცესიაზე, რადგან ახალი კრედიტორი სახეზე იქნება, ასევე, მოთხოვნის მეკვიდრობის საფუძველზე გადასვლის შემთხვევაში, ან მთლიანი ხელშეკრულების დათმობის შემთხვევაში. *კონიგის* კანონპროექტის შესაბამის დანაწესში (§ 4.1 (3)) პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ ამ შემთხვევაში ცესიას ეხება საქმე, *König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1525.*

³⁴⁸ რაც *კონიგის* კანონპროექტის შესაბამის დანაწესის (§ 4.1 (3)) არასწორ თარგმანს წარმოადგენს, *König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1525, იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ.*

მოებას, რომ მოვალის მხრიდან პირდაპირი კონდიციების შესაძლებლობა განპირობებულია ცესიის არანამდვილობით (ან არარსებობით) და არა მოთხოვნის არარსებობით ან კაუზალური გარიგების არანამდვილობით (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვევით).

1. დათმობილი მოთხოვნის დაფარვა მოვალის მიერ

დათმობილი მოთხოვნის დაფარვისას, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთი მოსაზრების³⁴⁹ თანახმად, მოვალე ასრულებს ცესიონერის წინაშე. მას აქვს თავისი ვალის დაფარვის დამოუკიდებელი მიზანი (Tilgungsbestimmung). მაშინაც კი, როდესაც ამ გადახდით იქვითება ცესიონერის მოთხოვნა ცედენტის წინაშე, მოვალე მაინც არ ექვემდებარება ცედენტის ვალის დაფარვის მიზანს. ამგვარად, ეს ვალის დაფარვის მიზანი არ არის გადამწყვეტი ცესიონერსა და ცედენტს შორის ურთიერთობაში. მოვალე იძულებულია, ჰქონდეს დამოუკიდებელი დაფარვის მიზანი, რათა მოახერხოს მის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის შესრულების მეშვეობით გაქარწყლება. ამ მოსაზრების თანახმად, საწინააღმდეგო პოზიციის ამოსავალი წანამძღვარი, რომ მოვალის დაცვის გამო უნდა დავუშვათ შესრულების ურთიერთობის არსებობა მოვალესა და ცედენტს შორის, არასწორია, რადგან მოვალეს შეუძლია თავი დაიცვას ამ შედეგისაგან დათმობის აკრძალვის შეთანხმებით (199 I 1 მუხლი). მოვალის მიერ ცედენტისა, ხოლო ცედენტის მიერ ცესიონერის წინაშე შესრულების კონსტრუირების მცდელობა წარმოადგენს მხოლოდ ფიქციას და, აქედან გამომდინარე, უკუსაგდება.

ამის საპირისპიროდ, გაბატონებული მოსაზრების³⁵⁰ მიხედვით, რომელსაც

³⁴⁹ *Thomale*, Erfüllungsautonomie im Bereicherungsrecht, Tübingen 2012, 351; *Reuter/Martinek*, Unge-rechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 12 VI 3; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 685a; *Heermann*, Rückabwicklung nach materiell ungerechtfertigter Inanspruchnahme von Bürgen und Garanten „auf erstes Anfordern“, ZBB 1998, 245; *Dörner*, Kondiktion gegen den Zedenten oder gegen den Zessionar? NJW 1990, 474; *Mäsch*, Bereicherungsrecht: Passivlegitimation bei Rückforderung von Zahlungen auf zedierten Anspruch, JuS 2013, 358; *Wilhelm*, Die Kondiktion der Zahlung des Bürgen oder Garanten „auf erstes Anfordern“ im Vergleich zur Zession, NJW 1999, 3519; *Hahn*, Der Rückforderungsanspruch bei der Garantie auf erstes Anfordern, NJW 1999, 2794; *Flume*, Zum Bereicherungsausgleich bei Zahlungen in Drei-Personen-Verhältnissen, NJW 1991, 2521; BFH BB 1994, 1279; BFH WM 1998, 1482; OLG Karlsruhe OLGR 2006, 795.

³⁵⁰ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 812 Rn. 206; *Canaris*, Der Bereicherungsausgleich bei Zahlung des Haftpflichtversicherers an einen Scheingläubiger NJW 1992, 871; *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 48 III 3 d; *Martinek* in juris PraxisKommentar BGB, 3. Aufl. 2006, § 812 Rn. 143; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 V 1; *St. Lorenz*, Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JuS 2003, 842; *W. Lorenz*, Abtretung einer Forderung aus mangelhaftem Kausalverhältnis, AcP 191 (1991), 309; *Eckert*, Anmerkung zu BGH, Urteil vom 23. 03.1988 – XII ZR 58/87, JR 1991, 504; *Schlechtriem*, Rechtsprechungsübersicht zum Bereicherungsrecht, JZ 1993, 29.

იზიარებს, ასევე, სასამართლო პრაქტიკა,³⁵¹ მოვალე ასრულებს ცედენტის, ხოლო ცედენტი კი ცესიონერის წინაშე. კონდიქციური უკუქცევა უნდა მოხდეს ხელშეკრულების მხარეებს შორის.³⁵² მოვალე დარჩებოდა დაუცველი, თუ მას ცესიონერისაგან კონდიცირების შესაძლებლობაზე მივუთითებდით. მე-200 და 201 II მუხლებიდან გამომდინარე პრინციპის მიხედვით, მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა ცესიის შედეგად არ უნდა გაუარესდეს. უკუქცევა უნდა მოხდეს ხელშეკრულების მხარეებს შორის, რათა მხარეებს შეუნარჩუნდეთ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი და მისი გამაქარწყლებელი ყველა შესაგებელი.

ეს გაბატონებული მოსაზრება დამაჯერებელია. მზღვეველს, რომელიც ასრულებს ცესიონერის წინაშე, მოთხოვნის არანამდვილობის აღმოჩენის შემდეგ უნდა ჰქონდეს დაზღვეული-ცედენტისაგან მოთხოვნის უფლება და უნდა ატაროს, ამგვარად, მხოლოდ მისი გადახდისუუნარობის რისკი.³⁵³ გარდა ამისა, დათმობილი მოთხოვნის შესრულება მსგავსია მითითების საფუძველზე განხორციელებული შესრულებისა და, შესაბამისად, მათი გადაწყვეტაც იდენტური უნდა იყოს. ცესიის შემდეგაც მოვალეს, ისევე როგორც მითითებულ მოვალეს, არ აქვს არჩევანი, თუ ვის წინაშე შეასრულებს, არამედ აკეთებს ამას (იძულებით) კრედიტორი-ცედენტის გადაწყვეტილების გამო.³⁵⁴ მართალია, ცესიის შემთხვევაში თავდაპირველი კრედიტორი არ უთითებს მოვალეს, არამედ მხოლოდ ანიჭებს ცესიონერს უფლებას, თავად მოითხოვოს შესრულება, თუმცა ამ განსხვავების გარდა, ეს ორი შემთხვევა, მხარეთა ინტერესების გადანაწილების მხრივ, არსობრივად ერთგვარია და ერთგვარად უნდა გადაწყდეს.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, თუ დათმობილი მოთხოვნა არ არსებობდა, მაგრამ მოვალემ მაინც დაფარა ის ცესიონერის წინაშე, მან გადაცემული უკან უნდა მოითხოვოს შესრულების კონდიქციით ცედენტისაგან. ამის საპირისპიროდ, თუ დათმობილი მოთხოვნა არსებობდა, მაგრამ დათმობა მოხდა შესაბამისი საფუძვლის გარეშე (მაგ., არანამდვილია მოთხოვნის ნასყიდობა ან ჩუქება, რომელიც წარმოადგენდა ცესიის საფუძველს), ამ შემთხვევაში ცედენტს აქვს ცესიონერისაგან გადაცემულის მოთხოვნის უფლება შესრულების კონდიქციით,³⁵⁵ ხოლო მოვალე კი თავისუფლდება ვალდებულებისაგან – ცესიონერის წინაშე ვალის დაფარვა მას ეთვლება ცედენტის წინაშე განხორციელებულ შესრულებად. ორმაგი

³⁵¹ BGHZ 105, 369; BGHZ 122, 50; BGH NJW 1993, 2678; BGH NJW 2005, 1369; BGH NJW 2006, 1732; BGH NZM 2012, 773 Rn. 7; OLG Hamm WM 2001, 1064.

³⁵² *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 41; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 141-ე და მომდევნო ველები; *Canaris*, Der Bereicherungsausgleich bei Zahlung des Haftpflichtversicherers an einen Scheingläubiger, NJW 1992, 868.

³⁵³ BGH NJW 1991, 3031.

³⁵⁴ *Lorenz*, Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JuS 2003, 842-ე და მომდევნო გვერდი.

³⁵⁵ BGH WM 1989, 1813.

არანამდვილობის შემთხვევაში, როდესაც ხდება არარსებული მოთხოვნის დათმობა უსაფუძვლოდ, უკუმოთხოვნა უნდა მოხდეს სამკუთხედში – მოვალე ითხოვს ცედენტისაგან შესრულების კონდიციით, ხოლო ცედენტი – ცესიონერისაგან.³⁵⁶

მართალია, საბოლოო ჯამში, სამომავლო რედაქციის 989 | 1 და 989 | 2 მუხლებში ჩამოყალიბებული დებულება იდენტურია, თუმცა ეს არ არის ფუჭი ტავტოლოგია. გამომდინარე იქიდან, რომ კონდიციური სამკუთხედის ეს შემთხვევა (ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევა) ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში სრულებით დაუმუშავებელ საკითხს წარმოადგენს, აუცილებელია იმის ნათელიყოფა, თუ როგორ არის ამ დროს განაწილებული შესრულების ურთიერთობები და გადაცემულის უკუქცევა ამ ურთიერთობის ფარგლებში 976 | მუხლის მიხედვით არა კანონმდებლის თვითნებურ გადაწყვეტას, არამედ (სამომავლო რედაქციის) 988 | მუხლში მოცემული პრინციპის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

2. არანამდვილი დათმობა და შესრულება, რომელიც ცედენტს არ შეეარაცხება

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 989- შესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული	მუხლი 989. დათმობილი მოთხოვნის შესრულება, ვალის დაფარვა შესამე პირის მიერ

.....

1. ...

(3) თუ დათმობა არანამდვილია ან შესრულება არ ყოფილა განპირობებული ვითომ-ცედენტის მიერ, მოვალეს შეუძლია გადაცემული პირდაპირ ვითომ-ცესიონერისაგან მოითხოვოს უკან, რა შემთხვევაშიც შესაბამისად გამოიყენება 987-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

თუ დათმობა, როგორც ასეთი (ანუ დათმობის სანივთო ხელშეკრულება), არანამდვილია ან საერთოდ არ არსებობს, ერთხმად აღიარებული გადაწყვეტის³⁵⁷ თანახმად, მოვალეს უნდა ჰქონდეს პირდაპირ ცესიონერისაგან კონდიციონის

³⁵⁶ Lieb, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 243.

³⁵⁷ ob. Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 244.

შესაძლებლობა, არაშესრულების კონდიციით.³⁵⁸ ეს შედეგი განპირობებულია პარალელურ არანამდვილ მითითებასთან.³⁵⁹ ქონების გადაღინება ამ შემთხვევაში უნდა მოექცეს იმავე პარადიგმაში, როგორც ვითომ-მითითებულის მიერ განხორციელებული გადახდა (იხ. დეტალურად ამასთან დაკავშირებით 988-ე მუხლის სარეფორმო წინადადება III.4). თუ (არარსებული) ცესიის ილუზია არ შეერაცხება ვითომ-ცედენტს, რადგან მას არაფრით გამოუწვევია ის³⁶⁰ ან, მართალია, გამოიწვია ის (არანამდვილი ცესია), მაგრამ ეს ცესიის არანამდვილობის გამო არ შეერაცხება მას,³⁶¹ ის აღარ უნდა იყოს ჩართული გადაცემულის კონდიციური უკუქცევის პროცესში. მოვალეს უნდა ჰქონდეს გადაცემულის პირდაპირ ვითომ-ცესიონერისაგან გამოთხოვის უფლება. ყველა ის ზემოთ ხსენებული არგუმენტი, რომლებიც სამკუთხედში უკუქცევის სასარგებლოდ მეტყველებს – მათ შორის მოვალის დაცვა – ამ შემთხვევაში არ მოქმედებს. მოვალემ, რომელიც საკუთარი მცდარი წარმოდგენის გამო უხდის არასწორ (შეცდომით ცესიონერად მიჩნეულ) პირს³⁶² ან საკუთარი შეცდომის გამო იხდის უფრო მეტს, ვიდრე ვალდებული იყო,³⁶³ თავად უნდა იზრუნოს მიმღებისაგან მისი უკუმოთხოვნისათვის და

³⁵⁸ ამის საპირისპიროდ, უკუსავდებია მოსაზრება (*Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 244; OLG Saarbrücken NZI 2013, 1074), რომლის მიხედვითაც, მოვალეს უნდა ჰქონდეს ცესიონერისაგან შესრულების კონდიციით კონდიციონების შესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მოვალე არ ასრულებს ცესიონერის წინაშე, როგორც არანამდვილი ცესიის, ისე თვითნებური გადახდის შემთხვევაში (ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, იხ. ამასთან დაკავშირებით ზევით), უკუმოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ არაშესრულების კონდიციით.

³⁵⁹ BGH NJW 1991, 919; BGH NJW 2006, 1732; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 147; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 V 1c; *Lorenz*, Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JuS 2003, 843.

³⁶⁰ და ამგვარად არ უბიძგებია მოვალისათვის ვითომ-ცედენტის წინაშე შესრულებისაკენ.

³⁶¹ მართალია, მხოლოდ მითითების არანამდვილობა საკმარისი არ არის ვითომ-მითითებისათვის შესრულების მიმღების მიმართ პირდაპირი კონდიციონების შესაძლებლობის მინიჭებისათვის (დამატებით აუცილებელია, რომ მითითება არ შეერაცხებოდეს გამცემს, იხ. სამომავლო რედაქციის 988 II 3 მუხლი), თუმცა აქ გასათვალისწინებელია არანამდვილი მითითებისა და არანამდვილი ცესიის შემთხვევაში მიმღების ინტერესების განსხვავებულად დაცვის აუცილებლობა. არანამდვილი მითითების შემთხვევაში, რომელიც ცალმხრივი ნების გამოხატვას წარმოადგენს და რა დროსაც მიმღებისათვის მისი არანამდვილობის საფუძველი, ჩვეულებრივ, დაფარული რჩება, ცესიის, რომელშიც მიმღები უშუალოდ ჩართულია, არანამდვილობით უკვე თავად კანონმდებელი აკეთებს ვითომ-ცედენტისა და ვითომ-ცესიონერის ინტერესებს შორის არჩევანს და აღარ ტოვებს ადგილს მიმღების ნდობის დამატებითი დაცვისათვის – არანამდვილი ცესიის ნამდვილობასთან დაკავშირებით ვითომ-ცესიონერის ნდობა დაცული ვერ იქნება. *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 V 1 c; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 124 c; BGH NJW 1991, 919; შდრ. არანამდვილი ცესიის შემთხვევაშიც არანამდვილობის ისეთ საფუძველებს შორის დიფერენცირებისათვის, რომლებიც შეერაცხება ან არ შეერაცხება ვითომ-ცედენტს *Lorenz*, Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JuS 2003, 843, რაც საბოლოო ჯამში არადაამაჯრებელია.

³⁶² BGH NJW 2006 1732.

³⁶³ *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 147; BGH NJW 1989, 162; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 V 1 b; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 245.

ეს მას ვერ ჩათვლება ვითომ-ცედენტის წინაშე შესრულებად. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე მხოლოდ ვითომ-ცესიონერის დაჟინებული მოთხოვნის გამო ასრულებს.³⁶⁴

ზემოთ მოყვანილი ასპექტები *კონიგს* თავისი კანონპროექტის შესაბამის დაწესებაში (§ 4.1 (3) მხოლოდ ნაწილობრივ – შესრულების ვითომ-ცედენტისათვის შერაცხვის ნაწილში – ჰქონდა გათვალისწინებული, რაც ასევე მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეციპირებული 988 II 2 მუხლში.

კონიგის კანონპროექტი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
<p>§ 4.1. ... (3) <i>თუ შესრულება არ ყოფილა განპირობებული თავდაპირველი ვითომ-კრედიტორის მიერ, მაშინ უკან მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ ახალი ვითომ-კრედიტორის მიმართ.</i></p>	<p>მუხლი 988. ... 2. ... <i>თუ თავდაპირველ ვითომ-კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკუმოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ახალი ვითომ-კრედიტორის მიმართ.</i></p>

სამომავლო რედაქციის 989 II 1 მუხლში უნდა გასწორდეს არასწორი თარგმანით გამოწვეული ბუნდოვანება,³⁶⁵ დაკონკრეტდეს, რომ უკუმოთხოვნა ხდება არა შესრულების,³⁶⁶ არამედ დანახარჯების კონდიციის თარგმე გამოჭრილი არაშესრულების კონდიციით (იხ. ამასთან დაკავშირებით 988-ე მუხლის სარეფორმო წინადადების III.5).³⁶⁷ გარდა ამისა, პირდაპირი კონდიცირება დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი არანამდვილი დათმობის ხელშეკრულების შემთხვევაში, რადგან ამ შემთხვევაშიც ცესია არ შეერაცხება ვითომ-ცედენტს.³⁶⁸

³⁶⁴ BGH NJW 1989, 162.
³⁶⁵ გარდა ამისა, ენობრივი უზუსტობაც: „უკუმოთხოვნა შეიძლება ... ვითომ-კრედიტორის მიმართ“.
³⁶⁶ რაც ლოკუკურად გამომდინარეობს ამჟამინდელი 988 II 1 (და სამომავლო 989 I 1, 2) მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, მოვალე არ ასრულებს ცესიონერის წინაშე.
³⁶⁷ ამის საპირისპირო მოსაზრებისათვის იხ. *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 244.
³⁶⁸ *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 V 1 c.

II. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, 371-ე მუხლი

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 989. მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული	<i>მუხლი 989. დათმობილი მოთხოვნის დაფარვა. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ</i>
...	1. 2. (1) ვინც ასრულებს სხვა პირის არანამდვილო ვალდებულებას, გადაცემულის დაბრუნება უნდა მოითხოვოს ვითომკრედიტორისაგან 976-ე მუხლის მიხედვით, თუ ეს შესრულება არ არის განპირობებული მოვალის მიერ. (2) მოვალის მიერ განპირობებული შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 988-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება.

371 | მუხლის მიხედვით, მესამე პირს მოვალის დაუკითხავად შეუძლია შესრულოს მისი ვალდებულება. თუ ეს მესამე პირის მიერ დაფარული ვალდებულება მართლაც არსებობდა, მოვალე ამ შესრულების შედეგად თავისუფლდება 427-ე, 371 | მუხლის მიხედვით. ამავდროულად გამორიცხულია კონდიქციური მოთხოვნა კრედიტორის მიმართ, რადგან მან ის მიიღო, რაც ეკუთვნოდა. მესამე პირს აქვს მხოლოდ რეგრესის კონდიქცია მის მიერ ვალდებულებისაგან გათავისუფლებული მოვალის წინააღმდეგ.

ამის საპირისპიროდ, 989 II მუხლის სამომავლო რედაქციაში უნდა მოწესრიგდეს მესამე პირის მიერ მოვალის არანამდვილი ვალდებულების შესრულების შემთხვევა, რა დროსაც რეგრესის კონდიქცია არ გამოიყენება, გამომდინარე იქიდან, რომ მესამე პირის შესრულება მოვალეს არაფრისგან არ ათავისუფლებს. მოცემული შემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია, ცალკე მოწესრიგებული არ არის არც სსკ-ში და არც კონიგის კანონპროექტში.³⁶⁹ განსხვავებით კონდიქციური სამკუთხედის წინა ორი შემთხვევისაგან (შეს-

³⁶⁹ კონდიქციური სამკუთხედის მესამე სახე, რომელიც კონიგმა თავის კანონპროექტში გაითვალისწინა (§ 4.1 (2) მესამე პირის სასარგებლოდ დადებული „ნამდვილი“ ხელშეკრულება, რომელიც ქართულ რეალობაში არ არის ისე გავრცელებული, როგორც სხვისი ვალის დაფარვა.

რულება მითითების საფუძველზე (988 II) და დათმობილი მოთხოვნის შესრულება (989 I), 371 I მუხლის მიხედვით სხვისი ვალის დაფარვისას უშუალოდ გადამხდელს აქვს ვალის დაფარვის მიზანი (Tilgungsbestimmung),³⁷⁰ რის გამოც ის პირდაპირ არ ჯდება ამ სხვა შემთხვევებისათვის გათვალისწინებულ პარადიგმაში და დამოუკიდებელ რეგულაციას საჭიროებს.

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, რომელსაც იზიარებს, ასევე, სასამართლო პრაქტიკა,³⁷¹ მესამე პირის მიერ მოვალის არანამდვილი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში უნდა გაკეთდეს განსხვავება იმისდა მიხედვით, ასრულებს თუ არა ეს მესამე პირი საკუთარი ინიციატივით თუ შესრულება რალაც ფორმით მაინც არის განპირობებული მოვალის მიერ. საკუთარი ინიციატივით შესრულებისას უკუმოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ მესამე პირს ვითომ-კრედიტორისაგან შესრულების კონდიციით. მოვალის მიერ განპირობებული შესრულების შემთხვევები უნდა გადაწყდეს სამომავლო რედაქციის 988 II მუხლში გათვალისწინებული მითითების შემთხვევის მსგავსად – მესამე პირი ითხოვს მოვალისაგან, ხოლო მოვალე ვითომ-კრედიტორისაგან.

1. მესამე პირის შესრულება, რომელიც მოვალის მიერ არ არის განპირობებული

თუ პირი ასრულებს სხვის ვალდებულებას ისე, რომ ეს არ არის მოვალის მიერ განპირობებული, მოგვიანებით კი აღმოჩნდება, რომ ვალდებულება საერთოდ არანამდვილი იყო, ვითომ-კრედიტორი მიღებულს მოიპოვებს უსაფუძვლოდ და საკითხავია, თუ ვის აქვს მისგან ამ უსაფუძვლოდ მოპოვებულის კონდიციით უკან მოთხოვნის უფლება. სასამართლო პრაქტიკასა³⁷² და სამეცნიერო ლიტერატურაში³⁷³ გაბატონებული მოსაზრების თანახმად, უკუმოთხოვნის უფლება აქვს მესამე პირს, რომელმაც განახორციელა შესრულება 371-ე მუხლის მი-

³⁷⁰ BGHZ 113, 68.

³⁷¹ BGHZ 113, 68.

³⁷² RGZ 60, 287; RG LZ 1917, 1343; BGH WM 1967, 483 ; BGH NJW 1991, 919; OLG Dresden NJW-RR 2009, 683; OLG Düsseldorf BeckRS 2009, 25233; OLG München BeckRS 2007, 9792.

³⁷³ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 812 Rn. 242; *Beuthien*, Zuwendender und Leistender, JZ 1968, 323; *v. Caemmerer*, Bereicherungsansprüche und Drittbeziehungen, JZ 1962, 386; *Canaris*, Der Bereicherungsausgleich im Dreipersonenverhältnis, FS Larenz (1973), 847; *Martinek*, in juris PraxisKommentar BGB, 3. Aufl. 2006, § 812 Rn. 149; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 6 VI 2; *Lorenz*, Abtretung einer Forderung aus mangelhaftem Kausalverhältnis, AcP 191 (1991), 299; *Lorenz*, Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JuS 1968, 445; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 182; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 24. Aufl., München 2013, Rn. 685; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 43.

ხედვით. საპირისპირო მოსაზრების³⁷⁴ თანახმად, ამ შემთხვევაშიც სახეზეა მრავალპოლუსიანი შესრულების ურთიერთობა: შემსრულებელს აქვს კონდიციური მოთხოვნის უფლება მხოლოდ ვითომ-მოვალის მიმართ, ხოლო ამ უკანასკნელს კი – ვითომ-კრედიტორის წინაშე. ეს მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. კონდიციური მოთხოვნა მოვალის მიმართ გამორიცხულია, რადგან მას არაფერი მოუპოვებია.³⁷⁵ შემსრულებელმა მესამე პირმა ამ შემთხვევაში ვითომ-კრედიტორის წინაშე შეასრულა არა მოვალის მიერ ჩამოყალიბებული ვალის დაფარვის მიზნის საფუძველზე, არამედ მას ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი დაფარვის მიზანი 371-ე მუხლის მიხედვით. ამ შესრულებით მოვალე არ გათავისუფლებულა არც თავისი ვალდებულებისაგან, რადგან ეს ვალდებულება საერთოდ არ არსებობდა. თუ არანამდვილი მითითების შემთხვევაში (რომელიც არ შეერაცხება მოვალეს, 988 II 3) მიძღვების პოზიციიდან მესამე პირი ექვემდებარება სხვის (ვითომ-მიმითებლის) მიერ ჩამოყალიბებულ ვალის დაფარვის მიზანს და, მიუხედავად ამისა, მას ენიჭება პირდაპირი უკუმოთხოვნის უფლება, მით უფრო უნდა ჰქონდეს მას ეს უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც ის საკუთარი ინიციატივით ასრულებს და პირადად მას აქვს ეს „ვალის დაფარვის მიზანი“.³⁷⁶

თუმცა, განსხვავებით არანამდვილი მითითების შემთხვევისაგან, მესამე პირს ამ შემთხვევაში პირდაპირი უკუმოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეს არა არაშესრულების,³⁷⁷ არამედ შესრულების კონდიციით, რადგან მას აქვს ვითომ-კრედიტორის წინაშე თავისი დამოუკიდებელი ვალის დაფარვის მიზანი 371-ე მუხლის მიხედვით და ამგვარად ეს მესამე პირი თავად არის შემსრულებელი.³⁷⁸

2. მესამე პირის შესრულება, რომელიც მოვალის მიერ არის განპირობებული

უფრო რთულია იმ შემთხვევების გადაწყვეტა, როდესაც მესამე პირი ასრულებს არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მოვალის წაქეზებით. მაგალითად,³⁷⁹ სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან მზღვეველს სთხოვს მასთან დაზღვეული პირი, „დაარეგულიროს“ მის მიერ მიყენებული სავარაუდო ზიანის შემთხვევა. მზღვეველი ასრულებს, დაზღვეულის სურვილით, სავარაუდო კრედიტორის წინა-

³⁷⁴ *Reeb*, Grundprobleme des Bereicherungsrechts, München 1975, 83; *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 48 III 4 a.

³⁷⁵ *Wilhelm*, „Upon the cases“ bei der Leistungskondition in Dreiecksverhältnissen? JZ 1994, 593.

³⁷⁶ *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 182.

³⁷⁷ შდრ. *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 1. Aufl., Berlin, New York 1988, § 6 VII 3.

³⁷⁸ ამ გადაწყვეტას იზიარებს ყველა ის ავტორი, რომლებიც ემხრობიან გაბატონებულ მოსაზრებას (შდრ. ზემოთ მოყვანილი სქოლიო) მესამე პირის მიერ პირდაპირ უკუმოთხოვნასთან დაკავშირებით.

³⁷⁹ BGH NJW 1991, 919.

შე. მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ დაზღვეული საერთოდ არ იყო ვალდებული აენაზღაურებინა ზიანი და ვითომ-კრედიტორსაც არ ჰქონია შესაბამისი მოთხოვნა. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ამ შემთხვევაში მიიჩნია, რომ მზღვეველმა შეასრულა, როგორც მესამე პირმა, ვითომ-კრედიტორის წინაშე და პირდაპირ მისგან უნდა გამოეთხოვა გადაცემული.³⁸⁰ საწინააღმდეგო მოსაზრება, ამის საპირისპიროდ, აპელირებს იმ მსგავსებაზე, რომელიც არსებობს ამ შემთხვევასა და ნამდვილი მითითების³⁸¹ საფუძველზე გადახდის შემთხვევებს შორის. მზღვეველმა, ისევე როგორც მითითების საფუძველზე შემსრულებელმა, კონდიციური მოთხოვნა უნდა წაუყენოს დაზღვეულს, ხოლო მოთხოვნა ვითომ-კრედიტორის მიმართ ეკუთვნის დაზღვეულს.³⁸² ის გარემოება, რომ მესამე პირი, განსხვავებით მითითების შემთხვევისაგან, არა მხოლოდ ექვემდებარება მიმითებლის მიერ ჩამოყალიბებულ ვალის დაფარვის მიზანს, არამედ დამოუკიდებლად აყალიბებს მას, წარმოადგენს უმნიშვნელო „ტექნიკურ განსხვავებას“³⁸³ ამ ორ შემთხვევას შორის, რის მიუხედავადაც ორივე მათგანი მაინც იდენტურად უნდა გადაწყდეს. სამკუთხედში უკუქცევის სასარგებლოდ აქ, პირველ რიგში, მეტყველებს ის გარემოება, რომ ვითომ-კრედიტორის მიერ გადახდა განპირობებული იყო დაზღვეულის მიერ. ეს მოსაზრება უფრო დამაჯერებელია, ვიდრე სასამართლოს მიერ შემოთავაზებული თავდაპირველი გადაწყვეტა, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ის არგუმენტი, რომლებიც სამკუთხედში უკუქცევის სასარგებლოდ მეტყველებს (იხ. 988-ე მუხლის სარეფორმო წინადადების II.), ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩება.

ამგვარად, 989 II მუხლის სამომავლო რედაქციაში უნდა დაფიქსირდეს მესამე პირის მიერ მოვალის არანამდვილი ვალდებულების შესრულების შემთხვევა, ზემოთ მოყვანილი დიქტომიით: 989 II 1 მუხლის მიხედვით, მესამე პირს, რომელიც საკუთარი ინიციატივით ასრულებს, თავად ექნება შესრულების კონდიცია ვითომ-კრედიტორის წინააღმდეგ, ხოლო, 989 II 2 მუხლის მიხედვით კი, მოვალის მიერ განპირობებული შესრულების უკუქცევა ისევე უნდა მოხდეს, როგორც მითითების შემთხვევისა (988 II 1).

³⁸⁰ BGH NJW 1991, 919; ამ მოსაზრებას იზიარებენ ასევე *Jakobs*, Die Rückkehr der Praxis zur Regelanwendung und der Beruf der Theorie im Recht der Leistungskondiktion NJW 1992, 2525; *Flume*, Zum Bereicherungsausgleich bei Zahlungen in Drei-Personen-Verhältnissen NJW 1991, 2523 და მხოლოდ შედეგის მხრივ *Martinek*, Der Bereicherungsausgleich bei veranlaßter Drittleistung auf fremde nichtbestehende Schuld, JZ 1991, 399.

³⁸¹ *Larenz/Canaris*, Schuldrecht, besonderer Teil II, 13. Auflage, München 1986, § 70 V 3 a.

³⁸² *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 116; *Canaris*, Der Bereicherungsausgleich bei Zahlung des Haftpflichtversicherers an einen Scheingläubiger NJW 1992, 868; *Canaris*, Noch einmal: Die Rückkehr der Praxis zur Regelanwendung und der Beruf der Theorie im Recht der Leistungskondiktion NJW 1992, 3144.

³⁸³ *Larenz/Canaris*, Schuldrecht, besonderer Teil II, 13. Auflage, München 1986, § 70 V 3 a; *Canaris*, Der Bereicherungsausgleich bei Zahlung des Haftpflichtversicherers an einen Scheingläubiger NJW 1992, 868.

მუხლი 990 – მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული

არსებული რედაქცია	არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 990.- არაუფლებამოსილი პირის მიერ ხაგანის უსახსრიდლოდ განკარგვის შედეგები</p> <p>1. თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე ხაგანს უსახსრიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილი უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო საზარათლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილი პირს.</p> <p>2. ბრალის არსებობის შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება ასევე 984-ე და 985-ე მუხლების მოთხოვნები.</p>	<p>მუხლი 989. მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული</p> <p>1. თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.</p> <p>2. ზიანის ანაზღაურების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 979–981-ე მუხლების მოთხოვნები.</p>	<p>მუხლი 990. მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული</p> <p>1. თუ პირი, რომელსაც ეკისრება უკან დაბრუნების ვალდებულება 976-ე და 989-ე მუხლების მიხედვით, მიღებულ ხაგანს, სარგებელს, სუროგატს ან მათ ღირებულებას უსასყიდლოდ გადასცემს მესამე პირს, მაშინ მესამე პირი მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.</p> <p>2. მესამე პირის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას შესაბამისად გამოიყენება 979–981-ე მუხლები.</p>

I. პირდაპირი კონდიქცია მესამე პირის მიმართ

სამომავლო რედაქციის 990-ე მუხლში უნდა მოწესრიგდეს ამაჟამად 989-ე მუხლში დაფიქსირებული ხელყოფის კონდიქციის სპეციალური ფორმა, რომელიც იძლევა მიღებულის პირდაპირ მისი უსასყიდლოდ მომპოვებელი მესამე პირისაგან გამოთხოვის შესაძლებლობას. ეს გადანაცვლება გამოწვეულია კონ-

დიქციური სამკუთხედის შემთხვევების უფრო ფართოდ მოწესრიგების აუცილებლობით, რასაც უნდა დაეთმოს არა მხოლოდ 988-ე, არამედ ასევე 989-ე მუხლიც, ხოლო ამჟამინდელ 989-ე და 990-ე მუხლებში მოწესრიგებულმა შემთხვევებმა ერთი მუხლით უნდა გადაინაცვლოს.

ამჟამინდელი რედაქციის 989-ე და 990-ე მუხლებში მოწესრიგებული კონდიქციები, რომლებიც ამ ფორმით შესაბამისი გერმანული დანაწესების – გსკ-ის 822-ე და 816 | 2 პარაგრაფის – რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბდა,³⁸⁴ აწესრიგებს საკმაოდ მსგავს შემთხვევებს. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება უსასყიდლოდ მომპოვებელი მესამე პირისაგან პირდაპირი უკუმოთხოვნის შესაძლებლობას. განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: გსკ-ის 822-ე პარაგრაფი (სსკ-ის ამჟამინდელი 989-ე მუხლი) ეხება უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ განკარგვას, ხოლო 816 | 2 პარაგრაფი (სსკ-ის ამჟამინდელი 990-ე მუხლი) – განკარგვას, რომელსაც ახორციელებს არაუფლებამოსილი პირი. ამგვარი დიქტომია მეტწილად განპირობებულია გერმანულ სამართალში მოქმედი აბსტრაქციის პრინციპით – ნასყიდობის არანამდვილობის მიუხედავად, მიმღები მაინც ხდება ნივთის მესაკუთრე (ნამდვილი სანივთო გარიგების საფუძველზე), თუმცა ამავდროულად არის კონდიქციის მოვალე. ნივთის გასხვისების შემთხვევაში ის მას განკარგავს როგორც უფლებამოსილი პირი.³⁸⁵ გერმანელები ამისგან ასხვავებენ შემთხვევას, როდესაც არაუფლებამოსილი პირი განკარგავს სხვის საგანს.

ამის საპირისპიროდ, ქართულ სამართალში მოქმედი კაუზალობის პრინციპის გამო კონდიქციის მოვალე უსაფუძვლოდ მიღებული საგნის განკარგვისას ამავდროულად თითქმის ყოველთვის იქნება არაუფლებამოსილი პირი – ნასყიდობის არანამდვილობასთან ერთად მასზე არ გადადის არც საკუთრება. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც კონდიქციის მოვალე უფლებამოსილი პირი იქნება, ეს არის 977-ე მუხლით გათვალისწინებული კონდიქციით (*condictio ob rem*) უკუმოთხოვნა, როდესაც უშუალოდ გარიგება, რომლის საფუძველზეც მოხდა საგანზე საკუთრების გადაცემა ნამდვილია და ეს საკუთრება რეალურად გადადის, თუმცა ამ გარიგებით დასახული მიზნის ჩაშლის გამო საკუთრების მომპოვებელი ამავდროულად კონდიქციის მოვალეა. თუ ეს პირი ნივთის დაბრუნების მაგივრად მას მესამე პირს გადასცემს, კონდიქციის კრედიტორს შეუძლია პირდაპირ მესამე პირს წაუყენოს კონდიქციური მოთხოვნა (ამჟამინდელი რედაქციის) 989-ე მუხლის მიხედვით. ყველა სხვა შემთხვევაში კონდიქციის მოვალე მიღებული საგნის

³⁸⁴ რა თქმა უნდა, ქართველი კანონმდებლისათვის უშუალო ნიმუშს ამ შემთხვევაშიც კონიგის კანონპროექტის შესაბამისი ნორმები (§ 4.2; § 4.3) წარმოადგენდნენ.

³⁸⁵ Schwab, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 822 Rn. 9.

განკარგვისას წარმოადგენს არაუფლებამოსილ პირს და შესაძლებელია მხოლოდ (ამჟამინდელი რედაქციის) 990-ე მუხლის გამოყენება.³⁸⁶

მიუხედავად ამისა, ეს არ წარმოადგენს გერმანული დოქტრინიდან გადმოღებულ ზემოხსენებულ დიქტომიაზე უარის თქმის საფუძველს. მართალია, უშუალოდ უსაფუძვლოდ მიღებული საგნის განკარგვისას კონდიქციის მოვალე თითქმის ყოველთვის არაუფლებამოსილი განმკარგავი იქნება, თუმცა სხვაგვარადაა საქმე ამ საგნიდან მიღებული სარგებლისა და სუროგატის (979 I)³⁸⁷ ან მათი ღირებულების (979 II)³⁸⁸ (მაგ., ფული საკუთარ ფულთან შერევის შემდეგ³⁸⁹ ან უსაფუძვლოდ მოპოვებული საგნის გასხვისებისას მიღებული სასყიდელი³⁹⁰) მესამე პირისათვის გადაცემის შემთხვევებში.³⁹¹ ყველა ამ შემთხვევაში კონდიქციის მოვალე უფლებამოსილი პირია და (ამჟამინდელი რედაქციის) 989-ე მუხლი ინარჩუნებს (ამჟამინდელი რედაქციის) 990-ე მუხლის გვერდით თავის გამოყენების სფეროს.

ეს დიქტომია სამომავლო რედაქციაში მოცემული კონდიქციური მოთხოვნების ერთი მუხლით წანაცვლების შემდეგაც (989 გადაინაცვლებს 990-ე, ხოლო 990–991-ე მუხლში) უცვლელი უნდა დარჩეს. 989-ე მუხლის სამომავლო ფორმულირებაში უნდა შეიცვალოს მხოლოდ ერთი დეტალი: „მიღებულის“ (რომელიც სამომავლო რედაქციის 979 I მუხლის გაგებით „მიღებულთან“, ანუ შესრულების (ან ხელყოფის) შედეგად პირველად მიღებულ საგანთან ასოცირება) ნაცვლად

³⁸⁶ თუმცა ამ დანაწესის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს განკარგვის ნამდვილობა უფლებამოსილი პირის წინაშე, რაც 187 II 1 მუხლის გამო, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იქნება სახეზე (187 II 2), თუ ამ დანაწესის მიხედვით განკარგვის ცნების ქვეშ არ გაერთიანდება არაუფლებამოსილი პირის მიერ უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შემთხვევების, იხ. ამასთან დაკავშირებით *Diederichsen*, Ansprüche des Vermieters bei unberechtigter Untervermietung, NJW 1964, 2296; *Esser/Weyers*, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 50 II 2; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 9 III 2d bb; *Reeb*, Grundprobleme des Bereicherungsrechts, München 1975, 74; *Schuler*, Bereicherungsprobleme der §§ 816, 951 BGB, NJW 1962, 1843.

³⁸⁷ BGH NJW 2004, 1314; BGH NJW 1999, 1026; *Bockholdt*, zum Urteil des BGH vom 10.02.2004, JZ 2004, 798; *Prütting*, in PWW BGB, 11. Aufl., 2016, § 822 Rn. 4; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 822 Rn. 12; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 6; *Sprau*, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 822 Rn. 3; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 18 IV 4.

³⁸⁸ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 822 Rn. 8; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 822 Rn. 12; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 6; *Sprau*, in Palandt, 75. Aufl. 2016, § 822 Rn. 3; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 18 IV 4.

³⁸⁹ BGH NJW 1969, 605; *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 8 II 1 b; *Lieb*, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 816 Rn. 50; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 816 Rn. 72.

³⁹⁰ *Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 822 Rn. 8.

³⁹¹ გარდა ამისა, მიღებულის მესამე პირის ქონებაში განკარგვის გარდა სხვა ფორმით ინკორპორირების შემთხვევაში, მაგალითად, ჩაშენება, BGH NJW-RR 1992, 345; *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 III 2 a, b; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 816 Rn. 14; *Koppensteiner/Kramer*, Ungerechtfertigte Bereicherung, 2. Aufl., Berlin, New York 1988, § 11 IV, 107; შდრ. *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

მუხლში ნახსენები უნდა იყოს მიღებული საგანი, სარგებელი, სუროგატი და ღირებულება (979 II). როგორც ზემოთ აღინიშნა, უშუალოდ მიღებული საგნის უსასყიდლოდ გაცემის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, გამოიყენება არა 990-ე მუხლი (ამჟამინდელი რედაქციის 989-ე მუხლი), არამედ სამომავლო რედაქციის 991-ე მუხლი (ამჟამინდელი რედაქციის 990-ე მუხლი). ამის საპირისპიროდ, 990-ე მუხლის სამომავლო რედაქციაში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უკუმოთხოვნას ექვემდებარება უფლებამოსილი (მაგრამ ამავედროულად კონდიქციის მოვალე) პირის მიერ სუროგატის, სარგებლისა და მათი ღირებულების გაცემის შემთხვევებიც, რაც წარმოადგენს კიდევ ამ დანაწესის გამოყენების მთავარ სფეროს.

II. პასუხისმგებლობის ფარგლები

მესამე პირის პასუხისმგებლობის ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს 979-981-ე მუხლებზე მითითება, მხოლოდ უნდა ამოიშალოს „ზიანი“, რაც ამ კონტექსტში სრულებით გაუმართლებელია. მესამე პირი აბრუნებს მიღებულს (იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ჯერ კიდევ გამდიდრებულია), დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ზიანი მიადგა ამით კონდიქციის კრედიტორს.

მუხლი 991. არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები

არსებული რედაქცია	არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
<p>მუხლი 991. სხვის- ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები</p> <p><i>პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული.</i></p>	<p>მუხლი 990.</p> <p>არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები</p> <p>1. თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს.</p> <p>2. ბრალის არსებობის შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება ასევე 984-ე და 985-ე მუხლების მოთხოვნები.</p>	<p>მუხლი 991.</p> <p>არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები</p> <p>1. თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს.</p> <p>2. პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას შესაბამისად გამოიყენება 979–981-ე და 985-ე მუხლები.</p>

I. გენერალური დათქმის ამოშლის აუცილებლობა

კონიგის კანონპროექტის უკანასკნელ დანაწესში (წ 5) მოწესრიგებულია კონდიციური სამართლის გენერალური დათქმა, რომელიც ქართველმა კანონმდებელმა ამაჟამინდელი რედაქციის 991-ე მუხლში უცვლელად გადმოიღო. ეს გენერალური დათქმა წარმოადგენს რომაელი იურისტის პომპონიუსის მიერ ჩამოყალიბებული უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის დეფინიციის – „ბუნებოთი სამართლის მიხედვით, სწორია, რომ არავინ გამდიდრდეს სხვის ხარჯზე“³⁹² –

³⁹² lure naturae aequum est neminem cum alterius detrimento et iniuria fieri locupletioem (Pomp. Digest 23, 3, 6.2).

კანონის ნორმაში განსხვავებას. ეს დათქმა, რომლის არსებობაც შეიძლება გამართლებული იყოს რომის სამართლის მაგვარ ე.წ. „ღია სისტემაში“, სადაც სამართლის რამდენიმე შრე თავისუფლად თანაარსებობდა და კონკურირებდა ერთმანეთთან, სრულებით გაუმართლებელია ქართულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში, თავისი ამომწურავად გაწერილი სისტემატიკით. ამასთან, რომაელებს ეს პრინციპი არ ჩაუწერიათ შესაბამის სასარჩელო ფორმულაში, ანუ არ უქცევიათ თანამედროვე გაგებით სამართლის ნორმად. მით უფრო საეჭვოა მისი ფუნქცია და მიზანშეწონილობა სსკ-ში, სადაც უცვლელად არის დაფიქსირებული *ვილზურგისა* და *ფონ კემერერის* მიერ შემუშავებული პარადიგმა, კონდიციური მოთხოვნების ოთხ (ამომწურავ) ტიპად დაყოფასთან დაკავშირებით.³⁹³ *კონიგმა* ეს ტიპოლოგია უფრო გამოკვეთა თითოეული კონდიციური მოთხოვნისათვის შესაბამისი ფარგლების გაწერით ცალ-ცალკე ნორმებში, რაც უცვლელად გამოიღო ქართველმა კანონმდებელმა და რაც, მცირეოდენი მოდიფიკაციისდა მიუხედავად, არსობრივად უცვლელად უნდა დარჩეს კანონის სამომავლო რედაქციაში. მით უფრო უადგილოა ამ დანაწესების მიღმა გენერალური და ყოვლისმომცველი დათქმის დაფიქსირება, რომელიც გადახაზავს ყოველგვარ ტიპოლოგიას – უგულებელყოფს ცალკეული კონდიციური მოთხოვნების ექსკლუზიურ წინაპირობებს და სპეციალურად გაწერილ პასუხისმგებლობის ფარგლებს. ის გარემოება, რომ ამ ტიპის გენერალური დათქმა შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, სამართლებრივი სტაბილურობისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისათვის უკვე თავად *კონიგმა* შენიშნა,³⁹⁴ თუმცა არ მიიჩნია ეს საფრთხე რეალურად, მოცემული დათქმის სუბსიდიარულობაზე მითითებით, რაც ცალსახა უნდა გამხდარიყო მისი ფორმულირებიდან. ამის საპირისპიროზე მეტყველებს ამ დანაწესის ხშირი და უადგილო ხსენება სასამართლოების გადაწყვეტილებებში,³⁹⁵ მაშინაც კი, როდესაც სასამართლო საბოლოო ჯამში არ აკმაყოფილებს მხარის მოთხოვნას ამ საფუძვლით, ეს მაინც არასწორი ტენდენციის მანიშნებელია, რაც სამომავლოდ შეიძლება არასწორ პრაქტიკაში გადაიზარდოს. ამასთან, რეალური სარგებელი ამ გენერალური დათქმის არსებობიდან ნულის ტოლფასია. *კონიგი* გენერალური დათქმის გამოყენების ერთადერთ შემთხვევად ბუნების მოვლენე-

³⁹³ იხ. ამასთან დაკავშირებით *რუსიაშიელი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, თბილისი 2017, 27-ე და მომდევნო გვერდები.

³⁹⁴ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1590.

³⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის № ას-1038-999-2016 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ნოემბერი № ას-698-669-2016 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის განჩინება № 2ბ/164-13; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 მაისის განჩინება № 2ბ/6571-13, ამ კონტექსტში შეიძლება ქართული სასამართლოების მთელ რიგ სხვა გადაწყვეტილებებზე მითითება.

ბის შედეგად წარმოშობილ გამდიდრებას ასახელებს³⁹⁶ და ამ დანაწესის გამოყენების მთავარ სფეროდ მომავალში წარმოშობილი წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევების გადაწყვეტას მიიჩნევს.³⁹⁷ კანონპროექტის შექმნიდან ოცდაათ წელზე მეტის გასვლის შემდეგაც, ეკონომიკური ცხოვრების განვითარების მიუხედავად, რთულია შემთხვევის დასახელება, რომელიც არ ექცევა ზემოთ მოყვანილი ტიპოლოგიის მიერ მოწოდებულ ყალიბში. თავად ბუნების მოვლენის შედეგად წარმოშობილი გამდიდრებაც უპრობლემოდ შეიძლება გადაწყდეს ხელყოფის კონდიციის დოგმატიკის ფარგლებში – ხელყოფისათვის გადამწყვეტია ქონების გადადინება შესრულების (ან დანახარჯების გაწევის) გარეშე და არა ის, თუ ვისი ქმედებით არის ეს გამოწვეული (და ურევია თუ არა ამაში საერთოდ ადამიანის ხელი).³⁹⁸ გარდა ამისა, ნაკლებსავარაუდოა, რომ ესეთი შემთხვევა ოდესმე სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს.³⁹⁹ სამომავლო შემთხვევები, უმჯობესია, გადაწყდეს რომელიმე სხვა ნორმის ანალოგიით, კონდიციურ მოთხოვნათა ტიპოლოგიის დაურღვევლად და არა გაურკვეველი ფარგლებისა და წინაპირობების მქონე გენერალური დათქმის მეშვეობით. ეს ქართულ სასამართლო პრაქტიკას, რომელიც ისედაც პრობლემებს აწყდება კონდიციური სამართლის სისტემატიკისა და ტიპოლოგიის სწორად აღქმისას, კიდევ ერთი სრულებით ბუნდოვანი დანაწესის განმარტების ტვირთს აკისრებს, რისი შედეგებიც, დიდი ალბათობით, ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სამომავლო რედაქციის 991-ე მუხლში აღარ უნდა იყოს გათვალისწინებული გენერალური დათქმა და ეს მუხლი უნდა დაეთმოს აშუამინდელი რედაქციის 990-ე მუხლში მოწესრიგებულ ხელყოფის კონდიციის სპეციალურ ფორმას.

II. პასუხისმგებლობის ფარგლები

არსებული რედაქცია	სამომავლო რედაქცია
მუხლი 990.	<p><i>მუხლი 991.</i></p> <p>1. ...</p> <p>2. პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას შესაბამისად გამოიყენება 979–981-ე და 985-ე მუხლები.</p>

³⁹⁶ König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1550.

³⁹⁷ König, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1590.

³⁹⁸ შდრ. Reuter/Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 15 II.

³⁹⁹ Reuter/Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 9 II.

ამჟამინდელი რედაქციის 989-ე და 990-ე მუხლებში მოწესრიგებულ კონდიქციებს, რომლებიც გსკ-ის 822-ე და 816 I 2 პარაგრაფებში გაწერილი კონდიქციების თარგმეა გამოჭრილი, პასუხისმგებლობის განსხვავებული ფარგლები აქვს.⁴⁰⁰ პირველ შემთხვევაში (989 II) კანონმდებელი უთითებს შესრულების კონდიქციის, ხოლო მეორე შემთხვევაში (990 II) კი – ხელყოფის კონდიქციის პასუხისმგებლობის ფარგლებზე. *კონიგის*⁴⁰¹ მიერ არჩეული ეს გადაწყვეტა კანონპროექტის გამოქვეყნებიდან მალევე გახდა კრიტიკის საგანი. *როიტერ/მარტინეკი*⁴⁰² უთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ სრულებით გაუგებარია, თუ რატომ უნდა აგოს პასუხი კონდიქციის მოვალემ გსკ-ის 822-ე პარაგრაფის (რომელიც შეესაბამება სსკ-ის 989 I მუხლს) შემთხვევაში შესრულების კონდიქციის პრინციპების მიხედვით, ხოლო გსკ-ის 816 I 2 (რომელიც შეესაბამება სსკ-ის 990 I მუხლს) პარაგრაფის შემთხვევაში კი სულაც ხელყოფის კონდიქციის პრინციპების მიხედვით. ორივე შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომ ქონების უსასყიდლოდ მოპოვება არ უნდა მოხდეს მესამე პირის ხარჯზე. ამ დროს კონდიქციური უკუქცევისა გადაწყვეტის ნამატის აღმოფხვრა (Abschöpfung), რასაც არ შეესატყვისება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება შესრულებისა და ხელყოფის კონდიქციების პრინციპების მიხედვით. პირს, რომელსაც მეორე პირი სხვისი მასალით უსასყიდლოდ მოუპირკეთებს სახლის ფასადს, უნდა ჰქონდეს იმაზე მითითების უფლება, რომ ასეთ ძვირადღირებულ ნივთს თავად ვერასოდეს შესწვდებოდა. აქედან გამომდინარე ღირებულების ანაზღაურების ფარგლები უნდა დადგინდეს მიმღების „ქონებრივი დაგეგმარების“ გათვალისწინებით. ეს კრიტიკა საბოლოო ჯამში გაუმართლებელია. ორივე შემთხვევაში უსასყიდლოდ მიმღები მესამე პირისაგან კონდიქციით პირდაპირი უკუმოთხოვნა იმეორებს მესამე პირისაგან ვინდიკაციით უკუმოთხოვნის პარადიგმას:

*მაგ.*⁴⁰³ ა-სათვის მოპარულ ნივთს ქურდი ბ მიჰყიდის გ-ს.

გამომდინარე იქიდან, რომ გ ვერ მოიპოვებს ნივთზე საკუთრებას, როგორც კეთილსინდისიერი შემძენი, ა-ს შეუძლია ეს ნივთი მისგან გამოითხოვოს ვინდიკაციის მეშვეობით, რომელსაც გ ქურდისათვის გადახდილ საფასურს ვერ დაუპირისპირებს და ეს მის ცალმხრივ დანაკარგად რჩება. თუ გ გადაამუშავებს ნივთს და ამგვარად მოიპოვებს მასზე საკუთრებას, ხელყოფის კონდიქცია (982) ანაცვლებს

⁴⁰⁰ რითიც განსხვავდებიან თავისი გერმანული არქეტოპებისაგან. გერმანიაში ორივე კონდიქციით მოვალე ერთგვარად აგებს პასუხს გსკ-ის 818-820-ე პარაგრაფების მიხედვით (*Wendehorst*, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 822 Rn. 23).

⁴⁰¹ *König*, Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechtes, Köln 1981, 1525.

⁴⁰² *Reuter/Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 3 IV 2.

⁴⁰³ BGH NJW 1971, 612.

დაკარგულ ვინდიკაციას,⁴⁰⁴ თუმცა უცვლელად ტოვებს რისკების გადანაწილებას. გ ვერ მიუთითებს ქურდისათვის გადახდის სასყიდელზე, როგორც განმდიდრებაზე (სამომავლო რედაქციის 984 II).⁴⁰⁵ ამჟამინდელი რედაქციის 989-ე, 990-ე (სამომავლო: 990-ე, 991-ე) მუხლების მიზანია დაკარგული ვინდიკაციის ჩანაცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც (უსასყიდლო) განკარგვა ნამდვილია (მაგ., ფული ან ფასიანი ქალაქი, 187 II 2) ან ვინდიკაციის გამოყენება თავიდანვე შეუძლებელი იყო განკარგულის ხასიათიდან გამომდინარე (ასევე ჩაშენება, შერევა-შერწყმის შემთხვევებში). ამ დანაწესებით გათვალისწინებული პირდაპირი კონდიციების შესაძლებლობის გამო უსასყიდლო მოპოვება უთანაბრდება სასყიდლიან არანამდვილ შეძენას. შესაბამისად, თუ პირველ შემთხვევაში (სასყიდლიან) მომპოვებელს არ აქვს ქურდისათვის გადახდილ საფასურზე, როგორც განმდიდრებაზე, მითითების უფლება, არც უსასყიდლოდ მომპოვებელს არ უნდა ჰქონდეს ობიექტურად არსებული გამდიდრების, „თავსმოხვეულად“ წარმოჩენის უფლება.

გარდა ამისა, დანახარჯების კონდიქცის მოვალისათვის მინიჭებული „გამდიდრების თავსმოხვეულობის შესაგებელს“ ამ შემთხვევაში უსასყიდლოდ მიღები არ იმსახურებს, რადგან ის ქონებრივ სიკეთეს მოიპოვებს არა მესამე პირის თვითნებური ქცევით (როგორც ეს დანახარჯების შემთხვევაშია სახეზე) არამედ შესრულების ნებაყოფლობით მიღებით, ამიტომაც მას უნდა ჰქონდეს მხოლოდ დანაზოგის არარსებობაზე, როგორც განმდიდრებაზე, მითითების უფლება (სამომავლო რედაქციის) 979 III მუხლის მიხედვით, თუ მიღებული მის ქონებაში აღარ მოიპოვება, მაგრამ არა „გამდიდრების თავსმოხვეულობაზე“, თუ მიღებული ჯერ კიდევ სახეზეა პოზიტიური ნაშთის სახით მის ქონებაში. გამომდინარე აქიდან, ზემოთ მოყვანილი კრიტიკა უკუსაგდება.

985-ე მუხლი შესაბამისად უნდა დარჩეს ძალაში, თუ უსასყიდლოდ მომპოვებელი ახერხებს ე. წ. „ხელყოფის მოგების“ რეალიზებას (იხ. ამასთან დაკავშირებით 985-ე მუხლის სარეფორმო წინადადება).

ამჟამინდელი რედაქციის 990 II მუხლში ბრალზე აპელირება, რასაც მხოლოდ ბუნდოვანება შემოაქვს კონდიქციის მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას, სამომავლო რედაქციის 991 II მუხლიდან უნდა ამოიშალოს.

⁴⁰⁴ ამ შემთხვევაში სამომავლო რედაქციის 988 I მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიარულობის დოგმა არ მოქმედებს, რადგან შესრულებითა და ხელყოფით მოპოვებული არაიდენტურია: გ შესრულებით ქურდისაგან მხოლოდ მფლობელობას მოიპოვებს და საკუთრებას კი ხელყოფს ნივთის გადამუშავების შედეგად. ხელყოფის კონდიქცია მიზნად ისახავს სწორედ ამ დაკარგული საკუთრების ღირებულების კომპენსაციას და არა მხოლოდ მფლობელობის, შდრ. *რუსიაშვილი/ვენატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 124-ე და მომდევნო გვერდი.

⁴⁰⁵ რაც ამჟამინდელ რედაქციაში, ტექნიკური შეცდომის გამო, სრულებით საპირისპირო შინაარსით არის დაფიქსირებული.

